www.kvirispalitra.ge

კვირის პალიტრა

№8 (968) ◆ 18 — 24 თებერვალი, 2013 წ. ფასი 1 ლარი

„ჩიორა თუ არის ადამიანი, ჩვენ ალარ ვართ?!“

ჩემმა სისხლიანმა ფოტომ გვ.7 მთელი მსოფლიო მოიარა, მაგრამ ერთხელაც არავინ იკითხა, ეს კაცი ცოცხალია თუ მოკვდაო! თუ ჩიორას სისხლი ოქროსი იყო?!

„გიგის რომ შინდისფერსაყელოიანი ფორმით მოჰყვნენ ტიპები, მათში 26 მაისს დაზარალებულებმა ბევრი ზონდერი ამოიცნეს“

„თუ სადმე გადავწყდი უგულავას, ბოკერიას ან სააკაშვილის ხელისუფლების სხვა გაბოროტებულ მუტანტებს, შეიძლება მართლა ჩავიდინო დანაშაული, რადგან ამ არაკაცებმა ცხოვრება დამინგრიეს“ გვ.6

„კვირის პალიტრის“ ამ ნომერთან ერთად!

მკითხველთა თხოვნით!

მნიშვნელოვანი სიახლე სერიაში „დიდი მხატვრები“

კანდინსკი

დიდი მხატვრები



კანდინსკი

ოცდამეთოთხმეტე წიგნი სერიიდან „დიდი მხატვრები“

სპეციალური ფასი მხოლოდ „პალიტრის“ მკითხველისათვის – 15 ლარი

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან.

„ნაციონალური მოძრაობა“ გვ.3 რევანშის მიზნით მძიმე სცენარისთვის ემზადება“

„გამოდის, რუსეთმა უნდა უარყოს აღიარება, სამაგიეროდ, საქართველო უნდა დაბრუნდეს დსთ-ში“

„ნუ ეცდებით ივანიშვილის მოტყუებას, მაინც გაიგებს“

„ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები გვ.5 ივანიშვილისთვის ხაფანგია“

ექსკლუზივი

ბენდუქიძესაც დაიბარებენ? გვ.32

ასი მილიონი ოთხ მილიონად?!

„ძალიან „ბუქსაობს“ ჩვენი მართლმსაჯულების მანქანა“

„ბატონ ბიძინას ჩემთვის არ სცალია, ამიტომ საჯაროდ უნდა შევეხმიანო: ბატონო ბიძინა, ხალხს სურს და სამართლიანობაც მოითხოვს მართლმსაჯულების აღსრულებას“

„თუ ვინმეს ჰგონია, მშვიდად დაველოდებით, როგორ მორიგდება „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა, ძალიან ცდება!“

„ჩემი კეთილი რჩევაა, თინამ თავი დაანებოს პიედესტალიდან ხალხის დამოძღვრას“ გვ.12

მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...

ასტეროიდი და ჩიორა

ჩვენი ასტეროიდი ისეთი არაპროგნოზირებადია, რომ წვიმად მოგვევლინება, ქარიშხლად თუ მიწისძვრად, არავინ იცის... გვ.8

5 თვის ლომის ბოკვერს თბილისის ზოოპარკში გვ.25 თვალის ოპერაცია გაუკეთდა

ქართველი ბიზნესმენების ანტარქტიდული თავგადასავალი გვ.18,19

ექსკლუზივი

„ყინულის სამეფოს“ ერთ-ერთი პირველი კაცი ქართველია

„თირზა“– ამბავი ბაირონისა და მონათა ბაზარზე გაყიდული ქართველი ქალისა გვ.15

სერია №6

ამოჭრილი

ლურჯი მონეტა

სერია ძალაშია 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით

თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით

„ᲣᲤᲐᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქადაგებისას ბრძანა, რომ უფალი ყველაფერს ხედავს და ადამიანებმა სიკეთის კეთება უნდა იჩქარონ. „უნდა ვაკეთოთ სიკეთე და ისეთი საქმე, რომელიც საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ერისთვის. ხშირია, როდესაც ადამიანს ერი ავიწყდება, ფიქრობს მხოლოდ საკუთარ სკამსა და თანამდებობაზე, საკუთარ კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებს და ანაცვალებს მას ერის კეთილდღეობას. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიყოთ დაკვირვებული“, — ბრძანა უწმინდესმა. პატრიარქმა უფალს შესთხოვა, მიანიჭოს ერს „განცდა ცოდვათა თვისთა და გული გონიერი“, რათა შეძლოს გარჩევა, სად არის კეთილი და სად — ბოროტი. უწმინდესმა მრევლს აცნობა, რომ საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებით, 2013 წელი თამარ მეფის წლად ცხადდება. პატრიარქმა ბრძანა, რომ 2013 წელი საიუბილეოა, რადგან მეცნიერები ფიქრობენ, რომ წელს თამარ მეფის გარდაცვალებიდან 800 წელი სრულდება (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

100 ᲓᲦᲔ

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა, რომლის დროსაც მთავრობის მიერ 100 დღის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე ისაუბრა. მან მთავრობის მიღწევებზეც, გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ თებერვალში გაზის ტარიფი 10%-ით შემცირდება. მისივე თქმით, იმედი იზრდება, რომ მოხერხდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც და რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაც. პრემიერი გამოეხმაურა მერაბიშვილის ბრალდებებსაც, რომლის მიხედვით, ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისია. მისი თქმით, ბიუჯეტი სრულდება გადაჭარბებით, თუმცა გარკვეული პრობლემებია იმ კომპანიებში, რომლებსაც ძველი ხელისუფლება პირობებს კარნახობდა. მან კოალიციის სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი საპრეზიდენტო ინსტიტუტის პირობებში პრეზიდენტობის ეტალონ კანდიდატად ვახტანგ ხმალაძე ესახება. ივანიშვილის აზრით, უახლოეს ათწლეულებში „ნაციონალური მოძრაობის“ სახელიც კი ალერგიას გამოიწვევს, სააკაშვილი, მერაბიშვილი და უგულავა მათ მიმართ გაჩენილი კითხვების გამო პანიკაში არიან (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

VI

რა უნდა ვიცოდეთ?
„ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ“-Ს ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲣ�პᲝᲜᲔᲑᲡ, „ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲝᲕᲘᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“, „ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ“ ᲓᲐ „ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ“ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ, ᲘᲥᲕᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲘᲢᲧᲝᲑᲗ:

- ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ წᲔᲡᲔᲑᲘ;
- ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ „ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲐ“ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ;
- „ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲘᲡ“ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ.

„ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ“ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲖᲔ.

ᲗᲕᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ!.

„ᲚᲣᲠᲯᲘ ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ, ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐ Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲖᲔ.

ᲡᲔᲠᲘᲐ №6 ᲥᲐᲚᲐᲨᲘᲐ

2013 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ!

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ ᲒᲕ. 43

ᲪᲔᲪᲮᲚᲘ-ᲒᲧᲔᲠᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡᲗᲐᲜ

8 თებერვალს პრეზიდენტი პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით უნდა წარმდგარიყო, თუმცა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სააკაშვილის გამოსვლა გადაიდო. სამაგიეროდ, სააკაშვილმა გადაწყვიტა, მოსახლეობისთვის ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიემართა. ბიბლიოთეკასთან დილიდანვე შეიკრიბნენ პოლიტპატიმრები, მათი ოჯახის წევრები, 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენებისას დაზარალებულები. ისინი პრეზიდენტის გამოსვლაზე 10-კაციანი ჯგუფის დაშვებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აცხადებდნენ, რომ სააკაშვილს შენობაში არ შეუშვებდნენ. ამ თხოვნაზე უარი მიიღეს, რის შემდეგაც ბიბლიოთეკაში შესვლა სცადეს, რაც პოლიციამ აღკვეთა. სიტუაცია მაშინ დაიძაბა, როდესაც ბიბლიოთეკაში შესვლა „ნაციონალების“ ლიდერებმა სცადეს, კერძოდ, ჯერ

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა გაემართა ხალხისკენ. აქციის მონაწილეებმა მას ბოთლები და ქაღალდები ესროლეს. შემდეგ კი იქ გიგი უგულავა, გიგა ბოკერია და სხვა „ნაციონალები“ მივიდნენ. გიგი უგულავა გაიძახოდა: „ჰა, მოაწყვეთ შოუ ახლა“. მას ბოთლები და კვერცხები ესროლეს, დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. სიტუაციის განმუხტვის მიზნით ადგილზე შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მივიდა. მისი განცხადებით, „ნაციონალებს“ ბიბლიოთეკაში შესვლა ორი ალტერნატიული დერეფნით შეეძლოთ, თუმცა მათ ხალხის გავლით მოინდომეს იქ შეღწევა. ღარიბაშვილმა პროვოკაციაში გიგი უგულავას დასდო ბრალი. საბოლოოდ, ბიბლიოთეკაში პრეზიდენტის მისვლა ჩაიშალა და მან საზოგადოებას თავისი რეზიდენციიდან მიმართა. ინციდენტთან დაკავშირებით შსს-მ დააკავა მელორ ვაჩნაძე, მიშა მესხი, რომლებსაც სასამართლომ 100-100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. გელა მამალაძე თაქთაქიშვილისთვის და რამდენიმე ნაციონალისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაშია ბრალდებული (ვრცლად იხ. გვ. 5, 6, 7, სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲦᲝᲕᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲚ

პრემიერი ბიძინა ივანიშვილი გმობს იმ ძალადობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. იგი აცხადებს, რომ შს მინისტრი მისი დავალებით ახორციელებს ღონისძიებებს მოძალადეთა გამოსავლენად. პრემიერი პრეზიდენტის მიერ 8 თებერვალს გაკეთებულ განცხადებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სააკაშვილის გამოსვლაში საყურადღებო მომენტები შენიშნა. „პრეზიდენტმა ქართველ ხალხს ბოდიში მოუხადა იმ შეცდომებისთვის, რაც წლების განმავლობაში დაუშვეს მან და მისმა მთავრობამ. აღიარა ისიც, რომ გასულ საპარლამენტო არჩევნებში ხალხმა სამართლიანად ჩამოართვა მათ ძალაუფლება და ხალხის ნდობის დასაბრუნებლად, პირველ რიგში, საჭიროა წარსულის პრობლემების გაანალიზება და სწორი დასკვნების გაკეთება. ახლა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რათა გაჩნდეს ნდობა მისი ამ და სხვა სიტყვებისადმიც. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი მზადაა, მხარი დაუჭიროს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც პარლამენტის მონაწილეობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, ველით ამ განცხადების დადასტურებას, რის შემდეგაც პარლამენტი უმოკლეს ხანში კენჭს უყრის ამ კანონპროექტს“, — აღნიშნულია განცხადებაში. „ძალადობრივი დანაშაულის პატიების უფლება ჩემთვის არავის მოუცია. ყველა სხვა საკითხზე მზად ვარ გონივრული კომპრომისებისთვის“, — დასძინა ივანიშვილმა.

ᲛᲘᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲞᲔᲚᲘᲠᲔᲑᲐ „ᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐᲖᲔ

განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილის განცხადებით, კატეგორიულად მიუღებელია გაუთავებელი აპელირება „ნაციების“ პროვოკაციაზე.

„ვის და მე ნამდვილად არ მჭირდება იმის მტკიცება, თუ რა ცუდი ხელისუფლება იყო „ნაცმოძრაობა“ და რა ცუდი საქმეები აკეთეს. ბოლო რვა წელიწადი მათთან ბრძოლის მეტი არაფერი მიკეთებია, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელია გაუთავებელი აპელირება „ნაციების“ პროვოკაციაზე. იგივე „ნაცმოძრაობა“ სხვას კი არაფერს ამბობდა, როცა აგვისტოს ომის გამო საკუთარ პასუხისმგებლობას არ ცნობდა. „აბა, ის კაი იყო, თქვენ რომ გვცემდით“ — ტიპის არგუმენტზე ხომ აღარაფერს ვამბობ. ნორმალური ხელისუფლება იმით განსხვავდება დიქტატურისგან, რომ თუნდაც პროვოცირებული ძალადობა არ დაუშვას. თუ გვინდა, წარსულის მემკვიდრეობას გავემიჯნოთ, ასე უნდა მოვიქცეთ, თუ არადა წავალთ კიდევ ერთ წრეზე და აღარ მინდა! მთელი ცხოვრება გავიდა ამ წრებრუნვაში!“, — წერს თავის ფეისბუქზე დავით ზურაბიშვილი.

ᲙᲝᲰᲐᲑᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ

საქართველოში აშშ-ის ელჩ რიჩარდ ნორლანდის განცხადებით: „მნიშვნელოვანია, მთავრობას ჰქონდეს საშუალება, მართოს ქვეყანა, რადგან საზოგადოება ელოდება შედეგს, ვითარების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, ოპოზიცია პასუხისმგებლობით მოეკიდოს მთავრობის კრიტიკას და მისი მხრიდან მთავრობის კრიტიკა არ გახდეს თვითმიზანი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მთავრობასა და ოპოზიციას ჰქონდეთ თანაცხოვრების საშუალება და კოჰაბიტაცია ეფექტურად გაგრძელდეს“ (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲠᲔᲑᲣᲚᲝᲨᲘ

თბილისის საკრებულოში „ქრისტიანდემოკრატიული“ მოძრაობის ყოფილმა წევრებმა ზაზა გაბუნიამ, ჯაბა სამუშიამ და კახა ბროკიშვილმა ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ შექმნეს. ახალი ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხვა ფრაქციებთან ერთად, საკრებულოში ახალი უმრავლესობის შექმნას შეეცდება. არსებული ინფორმაციით, ახალი უმრავლესობის შექმნის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები იქნებიან ჯაბა სამუშია, გიორგი მუსხელიშვილი ან გულიკო ზუმბაძე.

ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ

დეპუტატებმა მარიკა ვერულაშვილმა და გიორგი ფიქრიშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვეს. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ვერულაშვილმა უმცირესობა მუქარისა და შანტაჟის გამო დატოვა. „ასეთი მუქარები, ზეწოლა და შანტაჟი კვირების განმავლობაში პარლამენტის რამდენიმე წევრზე მიმდინარეობს“, — აღნიშნა ბაქრაძემ.

ᲞᲠᲝᲠᲣᲡᲚᲝᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ

საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით ვერ დაინახა ისეთი ქმედება, რომელიც დაარწმუნებდა, რომ ხელისუფლებაში პრორუსული ძალა მოვიდა. იგი რუსეთთან დიალოგის აღდგენასაც მიესალმება, თუმცა მიიჩნევს, რომ ფორმატი უკეთესად მოფიქრებული უნდა ყოფილიყო. „პირდაპირი დიალოგი ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ ისევ იმ რუსეთზე ვლაპარაკობთ, რომელმაც 15 ათასი კაცი მოკლა მარტო აფხაზეთის ომის დროს. თუკი რამე ვისწავლეთ რუსეთთან ურთიერთობისგან, პირველ რიგში ის, რომ არ შეიძლება ამ ქვეყანასთან საუბარი მკაცრად განსაზღვრული წესებისა და მედიაციის გარეშე. ყოველთვის უნდა იყოს დაუინტერესებელი მხარე, რომელიც იტყვის სიმართლეს, თუ ვინ რა თქვა“, — აღნიშნა ვაშაძემ.

ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ აპირებს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად ვანო მერაბიშვილი დაასახელოს. ამის შესახებ თავად მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ბედნიერი იქნება, თუ მასზე უკეთესი შეირჩევა. „პირადად ჩვენ, 1-ლი ოქტომბრის არჩევნებიდან, როცა ხალხის უმრავლესობამ ხმა არ მოგვცა, გაკვეთილი გამოვიტანეთ. რაღაც ისეთი ვერ გავაკეთეთ, რაც ხალხს უნდოდა. კარგი იქნება, თუ ეს მთავრობა ჩვენს შეცდომებზე ისწავლის“, — აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲪᲜᲔᲡ

30-მდე პირი შსს-ს მათთვის გასულ წლებში ჩამორთმეული მანქანების დაბრუნებას სთხოვს. ადვოკატების — ირმა ჭკადუასა და ზურაბ ტაბიძის ინფორმაციით, მეპატრონეებმა მანქანები მაშინ იცნეს, როდესაც შსს-მ ისინი გასული წლის დეკემბერში აუქციონზე გაიტანა. ერთ-ერთი დაზარალებულის, გივი თოდაძის, განცხადებით, მისი კუთვნილი ორი ავტომობილი — „რეინჯროვერ სპორტი“ და „კრაისლერ 300“ საპროცესო გარიგების გაფორმების გარანტიის მიზნით სამინისტროსთვის საჩუქრად გადააცემინეს. მისი ინფორმაციით, „რეინჯროვერ სპორტით“ კუდ-ის მაღალჩინოსნის, ლევან ქარდავას მეუღლე გადაადგილდებოდა, ხოლო „კრაისლერ 300“ შსს-ს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ემსახურებოდა.

ᲓᲝᲜᲐᲫᲔ ᲓᲐᲞᲐᲧᲐᲕᲔᲡ

პროკურატურამ ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალი საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსს ზურაბ მიქაძეს, შსს-ს პრესსამსახურის ყოფილ ხელმძღვანელ გურამ დონაძეს, შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსნებს — დავით იაშვილს, ირაკლი ფირცხალავას, ალექსანდრე გვაზავას, ლევან გვაზავასა და ზაზა ბაქრაძეს წაუყენა. მათ ბრალი ედებათ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, ძალადობასა და დაზარალებულის შეურაცხყოფაში. პროკურატურის განცხადებაში ვრცლად არის აღწერილი, როგორ მოახდინეს ზემოხსენებულმა მაღალჩინოსნებმა რობაქიძის საქმის ფაბრიკაცია. გურამ დონაძე, რომელიც საზღვარგარეთ იყო, საქართველოში დაბრუნდა და ის საზღვარზევე დააკავეს.

გურამ დონაძის ადვოკატებმა 10 000-ლარიანი გირაოს შეფარდების შუამდგომლობა დააყენეს და იქვე დონაძის ჯანმრთელობაზე გაამახვილეს ყურადღება. მათი მტკიცებით, იგი B და C ჰეპატიტით არის დაავადებული, აქვს შაქრიანი დიაბეტი და გაკეთებული აქვს კუჭის ოპერაცია. მას შემდეგ, რაც დარბაზში რეპლიკა ისროლა სოსო რობაქიძემ, მოსამართლემ პროცესიდან გააძევა. მოგვიანებით სასამართლო დარბაზი ბუტას ბაბუამ და ბიძამ დატოვეს. ბრალდებულმა დონაძემ სცადა საჯაროდ სამძიმარი ეთქვა რობაქიძეებისთვის, რასაც დარბაზში შეძახილი მოჰყვა:

— ᲨᲔᲜ ᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲣᲡᲐᲛᲫᲘᲛᲠᲝ, ᲨᲔ ᲜᲐᲒᲐᲕᲝ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲨᲔᲜᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲛᲝᲘᲮᲐᲠᲨᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲗᲘᲗᲘᲗᲮᲜᲐ, ᲮᲛᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲚᲔᲒ?

თბილისის საქალაქო სასამართლომ დონაძეს 25 ათასი ლარის, ალექსანდრე და ლევან გვაზავებს, ირაკლი ფირცხალავასა და დავით იაშვილს 15-15 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

ᲛᲐᲙᲙᲔᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲓᲘᲜᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲘᲛᲔᲜᲘ ᲨᲔᲣᲚᲓᲐᲠᲐ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი გამოეხმაურა ირანის პრეზიდენტ აჰმადინეჟადის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, იგი მზად არის, გახდეს პირველი ადამიანი, რომელსაც ირანელი მეცნიერები ორბიტაზე გაიყვანენ. „მაშ ასე, აჰმადინეჟადს სურს, პირველი ირანელი იყოს კოსმოსში. კი მაგრამ, იქ გასულ კვირას არ იყო?“, — დაწერა მაკკეინმა სოციალურ ქსელში. თავის პოსტს სენატორმა ინფორმაცია დაურთო, რომლის მიხედვითაც, 28 იანვარს ირანელებმა კოსმოსში მაიმუნი გაუშვეს. მაკკეინის განცხადებამ ოფიციალური თეირანის აღშფოთება გამოიწვია.

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ“

ქართველებს გვეხერხება ყველაფრის გამართლება, განსაკუთრებით უცხოეთიდან მაგალითების მოყვანით. მაგალითად, როდესაც ვწერდით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე, გვეუბნებოდნენ, რომ აფრიკაში შიმშილისგან დაოსებულ ბავშვებს ბუზები ეხვევიან. როდესაც ვწერთ, რომ პოლიტიზებულმა ცემა-ტყეპამ საშიში ტენდენცია შეიძინა, მოჰყავთ უკრაინისა და სამხრეთ კორეის პარლამენტების მაგალითები, სადაც თურმე უარესი ხდება. მძიმე ვითარების მსუბუქად წარმოჩენა, ალბათ, სულ ცოტა, უპასუხისმგებლობაა. არადა, საქართველოში სულაც არ არის სახუმარო სიტუაცია. ერთი მხრივ, გვყავს უკვე ლამის რადიკალური ოპოზიციის ტაქტიკით მოქმედი პარტია, რომლის ლიდერები მოქმედი პრეზიდენტი, თბილისის მერი თუ უშიშროების საბჭოს მდივანი არიან, მეორე მხრივ კი ახალი მმართველი ძალა, რომლის დიდმა ნაწილმა ვერ გაითავისა, რომ უკვე ხელისუფლებაშია და პოლიტიკურ ცხოვრებას კვლავ ოპოზიციური ჭრილიდან უყურებს. ქვეყანას, ბოლოს და ბოლოს, სიმშვიდე სჭირდება, ოღონდ არა უსამართლობასა და უკანონობაზე თვალის დახუჭვის ხარჯზე. ექსპერტი **მამუკა არეშიძე** *ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველო ნელ-ნელა სახიფათო ზღვარს უახლოვდება და აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ რევანშის მიზნით მძიმე სცენარისთვის ემზადება.*

— „ნაციონალები“ საკითხის ძალისმიერი გზით გადაწყვეტისთვის ემზადებიან. მაგალითად, როგორც მატყობინებენ, გლდანი-ნაძალადევში დადიან აქტივისტები და ხალხს ეუბნებიან, რომ ის ჩინური ქალაქი, რომლის აშენებასაც ყოფილმა ხელისუფლებამ მოაწერა ხელი, დღევანდელი ხელისუფლების გაფორმებული ხელშეკრულებით შენდება. მოკლედ, აქტიურად მუშაობენ. „ნაციონალური მოძრაობის“ უპირველესი ამოცანაა, ხალხს ახალი ხელისუფლების იმედი გაუცრუვდეს. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წევრის მცდარი ნაბიჯები ამას ხელს უწყობს. „ნაციონალები“ ცდილობენ, ხალხში აგრესიული განწყობა დამკვიდრდეს, რომელსაც მომავალში მიმართულებას მისცემენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ძალოვან სტრუქტურაში „ნაციონალებს“ თავისი კაცი ჰყავთ. გარდა ამისა, როგორც ვიცი, არსებობს იარაღის სამარხები როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ექსტრემალურ ვითარებაში გამოიყენებენ. ასევე, ჰყავთ ე.წ. რეზერვი. ეს გეგმის ნაწილია და როგორ იქნება რეალიზებული, დღევანდელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. მას საზოგადოებრივად ექსცესური ნაწილი უნდა ჩამოშორდეს, მეორე მხრივ კი, დანაშაულებზე პასუხის მოთხოვნის პროცესი აქტიური უნდა იყოს. როდესაც ქვეყანაში 200 პოლიტპატიმარი გყავს, ის გამომძიებლები, პროკურორები თუ მოსამართლეები, რომლებმაც მათი საქმე გამოიძიეს თუ გაასამართლეს, ავტომატურად არიან დამნაშავეები. ერთ-ერთი ჩემი ახლობელი პოლიტპატიმარი გამოვიდა ციხიდან და საბუთების მოსაწესრიგებლად რომ მივიდა პროკურატურაში, ის გამომძიებელი დახვდა, რომელმაც ციხეში ჩასვა. მან გამომძიებელს ხელი გაარტყა. მეორედ რომ მივიდა, ისევ დახვდა ის გამომძიებელი და ისევ გაარტყა ხელი. ნორმალურია, როდესაც პროკურორს თავის კაბინეტში სცემენ? რა თქმა უნდა, არ არის ნორმალური და ქვეყნისთვის არაბუნებრივი ვითარებაა. ამიტომ ხელისუფლება მეტად კატეგორიული უნდა იყოს კადრების შერჩევასა და სამართლიანობის აღდგენაში. მას მეტი მობილიზება სჭირდება, სწორედ შიდა მობილიზების დეფიციტია ის ცემა-ტყეპა, რომელსაც ტელეეკრანებზე ვხედავთ, ან 8 თებერვლის მოვლენები.

— ანუ მიგაჩნია, რომ „ნაციონალები“ დესტრუქციას მიმართავენ და ამას სახალხო ამბოხებად მონათლავენ.

— დიახ, ამის გაკეთებას აუცილებლად შეეცდებიან.

— და დასავლეთს ამ ამბავს როგორ შესაძლებენ?

— დასავლეთი მათი ხავსია. კარგად ვხედავ, როგორ მუშაობენ „ნაციონალების“ ლობისტები და საინფორმაციო ჯგუფები არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთის მიმართულებითაც. სხვათა შორის, ახერხებენ საზღვარგარეთ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებასაც და მათ გააქტიურებას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ ახალმა ხელისუფლებამ განაგრძო პასიურობა, განსაკუთრებით, დასავლურ საინფორმაციო სივრცეში, ვშიშობ, არ აღმოვჩნდეთ იმ მდგომარეობაში, როგორშიც თავის დროზე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ჩავარდა. ამიტომ დასავლეთში საჭიროა ბევრად უფრო მიზანმიმართული და პროდუქტიული მუშაობა. გარდა ამისა, დღევანდელი ელექტრონული საინფორმაციო სივრცე თითქმის მთლიანად „ნაციონალების“ ხელშია, რაც ასევე არაჯანსაღ ვითარებად მიმაჩნია. კოჰაბიტაციისა და სამოქალაქო შერიგების საფარვლით აკეთებენ იმას, რაც სჭირდებათ, — ერთი მხრივ, აკავებენ ხელისუფლებას მუდმივი პროტესტებითა და დასავლეთზე აპელაციებით, მეორე მხრივ კი თავიანთ შავბნელ საქმეებს აკეთებენ.

ხალხს უკვირს, რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება ზოგიერთი ბარიერის გადალახვას. ჩნდება ეჭვიც — ბოლოს და ბოლოს, მართლა დამნაშავეა თუ არა ესა თუ ის ჩინოვნიკი. როცა კანონზეა ლაპარაკი, დელიკატურობა საჭირო არ არის. ყოფილი ხელისუფლება არ ყოფილა დელიკატური არასოდეს და ოპოზიციონერი დეპუტატები არათუ დაკითხვაზე დაუბარებია, არამედ ქუჩაშიც წიხლქვეშ გაუგდია. მაგალითად, აკაკი ბობოხიძე ჟურნალისტებს პირდაპირ ეთერში სცემდა ხოლმე, მაგრამ ორი მოწვევის პარლამენტის წევრია. მოკლედ, თურმე მათი გაღიზიანება სამართლიანია, ოპონენტის გაბრაზება კი უკანონო. ისე, რაც მოხდა „მაესტროს“ ეთერში კობა დავითაშვილსა და სერგო რატიანს შორის, მიუღებელია და ვერ გამოდგება არგუმენტად, უარესი ხდება სამხრეთ კორეის პარლამენტსა და უკრაინის რადაშიო. სხვათა შორის, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, როგორ ორგანიზებული არიან „ნაციონალები“ და როგორ ახერხებენ თავისი პატარა სატკივრის გაბუქებას.

— დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა ევროპარლამენტში „ევროპის ხალხთა პარტიის“ ჯგუფის ვიცე-თავმჯდომარე გუნარ ჰოკმარკის განცხადებას, რომლის მიხედვითაც „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი მომხრეების საწინააღმდეგო ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო. საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი დასავლელის ცალმხრივი განცხადებები ტენდენციად იქცა. ისე, გაჩნდა მოსაზრებაც, რომ ასეთი განცხადებები დიდ აჟიოტაჟად არ ღირს.

— ჩვენ არ გვჭირდება მეგობრებისა და პარტნიორების დაკარგვა. მაგრამ არც ის შეიძლება, არ აუხსნა პარტნიორს, თუ კონკრეტულ მოვლენაში ვინ არის დამნაშავე. გამოდის, რომ ნაკლებად ვმუშაობთ საამისოდ. ისე, საქართველოში არიან ელჩები, რომლებთანაც, რა ინფორმაციაც უნდა მიაწოდო, არაფერი გამოვა, ისე არიან ყოფილ ხელისუფლებასთან სხვადასხვა სქემაში ჩართულნი და მჭიდროდ თანამშრომლობენ. მიუხედავად ამისა, საუბარი ფაქტებით არის საჭირო. სხვათა შორის, რესპუბლიკელებს ამის დიდი გამოცდილება აქვთ. ასე რომ, დასავლეთთან მუდმივი კონტაქტი უნდა გვქონდეს. რაც შეეხება ევროპარლამენტარებს, თავისუფლად შეიძლება იმ წინააღმდეგობების გამოყენება, რომელიც ევროპარლამენტში სხვადასხვა ფრაქციას შორის არის. მხოლოდ ამის ცოდნა და კვალიფიციური ხალხის გაგზავნაა საჭირო, რომელიც ამ წინააღმდეგობებს საჩვენოდ გამოიყენებს.

> **„გამოდის, რუსეთმა უნდა უარყოს აღიარება, სამაგიეროდ, საქართველო უნდა დაბრუნდეს დსთ-ში“**

— გასულ კვირას ახალ ხელისუფლებასა და „ნაციონალებს“ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებზე კონსულტაციები გაგრძელდა. ამ საკითხზე მიხეილ სააკაშვილი და დავით უსუფაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს. „ნაციონალების“ ინიციატივით, 2010 წელს დამტკიცებული საკონსტიტუციო ცვლილებების ზოგიერთი მუხლი, რომელიც 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა ამოქმედებულიყო, ვადაზე ადრე უნდა შევიდეს ძალაში.

— „ნაციონალებისთვის“ ორი თეზა არსებობს: მუდმივი ბრძოლა და მუდმივი აპელაცია დასავლეთზე. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული „ნაციონალების“ გადაწყვეტილებები ინიციატივის ხელიდან არგაშვებას ემსახურება. თუ ატყობთ, სულ თავად აყენებენ ინიციატივებს, ხშირად იმისთვის, რომ კონკრეტული საკითხი მიჩქმალონ და ახალი წამოაყენონ. ეს ადასტურებს, თუ რა კარგად ფლობენ პიარის ტექნოლოგიას. კონსტიტუციაში ნატოს თემის შეტანის ინიციატივაც აქედან გამომდინარეობს. ძალიან კარგად იციან, რომ ეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მახინჯი ფორმაა. კონსტიტუციაში ნატოს შესახებ ჩანაწერის გაკეთება ნიშნავს, რომ საზოგადოებას არ ენდობი და საკანონმდებლო დონეზე გინდა ასახო ალიანსისკენ მისწრაფება. ეს კარგად იციან „ნაციონალებმა“, თუმცა ამას ისე კარგად ფუთავენ, რომ საზოგადოების ნაწილი ამ ნაბიჯის არსს ვერ ხვდება. „ნაციონალები“ მოქმედებენ პრინციპით: გამდის და ვაკეთებ და თუ ვაჟკაცი ხარ, წინააღმდეგობა გამიწიეო. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლება არაორგანიზებულობის გამო ხშირად წინააღმდეგობას ვერც უწევს.

როდესაც „ნაციონალებს“ სჭირდებოდათ, სარკოზის ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტს აფრიალებდნენ და გაიძახოდნენ, ეს დაგვიბრუნებს ტერიტორიებსო. დღეს ამბობენ, რომ თურმე ტერიტორიებს ნატო დაგვიბრუნებს და კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ საქართველო ალიანსის წევრი უნდა გახდეს. ორივე შემთხვევაში ტყუიან და თვალთმაქცობენ. კარგად იციან, რომ საქართველო ნატოში რომ შევიდეს, ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს. ალიანსს არც ერთ დოკუმენტში არ უწერია, რომ ის თავის წევრ ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარება. ის ეხმარება ალიანსის წევრ სახელმწიფოს იქ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში. ასევე, სახიფათოა სარკოზის დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ უნდა აღდგეს 2008 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობა — ე.ი. იქ უნდა დაბრუნდნენ სამშვიდობო ჯარები, ქართველი დევნილები კი — თავიანთ სახლკარში. სიტყვასიტყვით ეს არ წერია ამ დოკუმენტში, მაგრამ იგულისხმება, რომ ეს უნდა გაკეთდეს. სარკოზის დოკუმენტის მიღების შემდეგ რუსეთმა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, 25 აგვისტოს კი, საქართველომ დსთ დატოვა. გამოდის, თუ ამ დოკუმენტის პირობები შესრულდება, რუსეთმა უნდა უარყოს აღიარება, სამაგიეროდ, საქართველო უნდა დაბრუნდეს დსთ-ში. ეს არ წერია, მაგრამ იგულისხმება. მოკლედ, სარკოზის დოკუმენტით „ნაციონალები“ დსთ-ში გვაბრუნებდნენ უკან?!

> **„ნუ ეცდებით ივანიშვილის მოტყუებას, მაინც გაიგებს“**

— ამბობთ, რომ არაორგანიზებულობის გამო ახალი ხელისუფლება ზოგჯერ ვერ უწევს წინააღმდეგობას „ნაციონალებს“ და მათ მანიპულირების შესაძლებლობა ეძლევათ. როგორ ფიქრობთ, პრობლემის არსი კოალიციის სიჭელეშია თუ საკადრო პოლიტიკაში?

— „ქართულ ოცნებაში“ მატერიალური რესურსის პრობლემა არ არის, რომ საშინაო თუ საგარეო კუთხით ეფექტურად არ იმუშაოს. ადამიანური რესურსი კი ხშირად ხელოვნურად იბლოკება თავად ივანიშვილისა და კოალიციის ხელმძღვანელობის გარემოცვაში. ეს დიდი პრობლემაა. თავად ბიძინა ივანიშვილს აქვს ადამიანების შერჩევის უნარი, მაგრამ ქუჩა-ქუჩა ვერ ივლის, რომ ნიჭიერი და კვალიფიციური ადამიანები შეაგროვოს. ამიტომ საჭიროა, რომ მის გარშემო სხვა ტიპის გუნდი იყოს, რომელიც ამაზე იქნება ორიენტირებული. ვფიქრობ, „ქართულ ოცნებაში“ არიან პირები, რომლებიც ცდილობენ, საბანი თავიანთ თავზე მოირგონ. ერთ ეპიზოდს გეტყვით: „ნაციონალებმა“ გადამზიდავების სისტემის მონოპოლიზება მოახდინეს, ე.ი. საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ვალდებული იყვნენ, მხოლოდ ფოსტის მეშვეობით შემოეტანათ პროდუქცია. დღესაც იგივე სიტუაციაა, — ნაცვლად იმისა, ეს მახინჯი სისტემა შეცვლილიყო, მონოპოლია

> **„არსებობს იარაღის სამარხები როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ექსტრემალურ ვითარებაში გამოიყენებენ“**

დარჩა. უფრო ზუსტად, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთხანს შეწყდა, მაგრამ შემდეგ ვიღაცამ გადაწყვიტა, ეს აღადგინოს, რადგან ფულის შოვნის კარგი გზაა. ვიცი, როგორც განვითარდება მოვლენები, — ივანიშვილი ამას გაიგებს, რომელიმე მინისტრის მოადგილეს თუ უწყების ხელმძღვანელს თავზე დაამხობს ყველაფერს და ვითარება შეიცვლება. მოკლედ, ყველა ცდილობს, რაღაც გააპაროს. არაერთხელ მითქვამს, — ნუ ეცდებით ივანიშვილის მოტყუებას, რადგან მაინც გაიგებს ხოლმე და როგორ მთავრდება, ჰკითხეთ ზოგიერთ მათგანს. ასეთი მდგომარეობაა ყველა სფეროში და არაორგანიზებულობას ვიღებთ.

— ბიძინა ივანიშვილი აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ თურქეთს ეწვია. ანკარაში ვიზიტისას მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ოშკისა და იშნის რეკტავრაციაში ქართული სპეციალისტები ჩაერთვებიან, ბათუმში კი მეჩეთი აშენდება, ოღონდ არ იგულისხმება აზიზიეს მეჩეთი, რომლის აღდგენისაგან ქართული მხარე ჯერ თავს იკავებს.

— აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში პრემიერის ვიზიტისას განსაკუთრებით განცხადებები იყო საინტერესო, რომელმაც უფრო ზონდაჟის შთაბეჭდილება დატოვა. აფხაზეთის რკინიგზაზე ითქვა სიტყვა, დანარჩენი უკვე რეგიონის ხელისუფლებებისა და საზოგადოების რეაქციაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მეჩეთს, მინდა გავიხსენო განცხადება, რომელიც თავის დროზე ქართველ მუსლიმანთა ორგანიზაციამ გააკეთა. მათ განაცხადეს, რომ მეჩეთი უნდა აშენდეს ბათუმში, ოღონდ არა იმ ადგილას, სადაც აზიზიეს მეჩეთი იდგა და რაც მთავარია, ეს უნდა იყოს ქართული კულტურის ძეგლი და უნდა ააშენონ ქართველმა მუსლიმანებმა. აი, ამაშია საქმე. თუ ასე მოხდება, წინააღმდეგი არავინ იქნება, ხოლო თუ აშენდა აზიზიეს მეჩეთი, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები და ამ შემთხვევაში არავის აზრი არ მაინტერესებს. კიდევ ერთ თემაზე გავამახვილებდი ყურადღებას. დღეს ხშირად ისმის კითხვა, რატომ დაუტკბა რუსეთი საქართველოსო. ყველა მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი რუსეთის საქართველოში ფეხის მოკიდების სურვილია. ეს ნამდვილად ასეა და რუსეთს ამ მიზნის მისაღწევად არაფერზე უკან არ დაუხევია, თუნდაც 2008 წლის მოვლენები გავიხსენოთ. მაგრამ მინდა გითხრათ ერთი რამ, — დღეს გეოპოლიტიკური ვითარება შეცვლილია და 2015 წლისთვის რუსეთი ევრაზიული კავშირის შექმნას ცდილობს, ცდილობს, ამ კავშირში შეიყვანოს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები, ბალტიისპირეთის გარდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ თურქეთიც იმავეს აკეთებს, ქმნის იმავე კავშირს, იმავე დასახელებით და მის წევრად მოიაზრებს რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანას, იგულისხმება შუა აზიისა და რაც მთავარია, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები — საქართველო და აზერბაიჯანი. ეს არის იმ დოქტრინის რეალიზება, რომელიც თავის დროზე დავით ოღლუმ წარმოადგინა, — ოსმალეთის იმპერიის ინტერესების სფეროში მყოფი ქვეყნები ისევ ამ სფეროში უნდა იყვნენ. ეს არ ნიშნავს ომს, ექსპანსიას — ინტერესთა სფეროს გაფართოებაა. მოკლედ, გამოდის, რომ რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს უპირისპირდებიან ერთნაირი იდეის გამო ერთ სივრცეში — შუა აზიასა და კავკასიაში. ოფიციალური მოსკოვი, ბუნებრივია, უფრო მომგებიან პოზიციაში იქნება, რაც მეტი მოკავშირე (და არა სატელიტი) ეყოლება რეგიონში. ამიტომ ამ სიტუაციამ კოზირი მოგვცა ხელში.

მოვლენების განვითარებას უნდა დავველოდოთ, განცხადებები უნდა გაკეთდეს, მაგრამ დოკუმენტების ხელმოწერაზე რომ მივა საქმე, კარგად უნდა დავფიქრდეთ, რას მოიგებს ამით საქართველო. საჭიროა დიპლომატთა და ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ამ საკითხზე კონსოლიდირებულად იმუშავებს.

გიორგი კვიტაშვილი

როცა ბანკი კარზე აკაკუნებს

6 ათქვამია, ბავშვის ცრემლი მთელ სამყაროს გადაწონისო. მე კი, როცა გორში მივდიოდი და ვიცოდი, რომ იქ ექვსი ბავშვის ცრემლი დამხვდებოდა, მეშინოდა. გზის პირას ჩამწკრივებული სახლებიდან ამომავალ ბოლს და ეზოებში აფრიალებულ ბავშვის სარეცხს რომ ვაყოლებდი თვალს, ვფიქრობდი, — რა კარგია, რომ ამ ბავშვებს მაინც აქვთ სახლი, ნეტავ, თუ ხვდებიან, რა ბედნიერები არიან, რომ ვილაც სახლიდან არ გამოყრის-მეთქი!

დადაღული ბავშვობა და უცხო კედლებს შეხიზნული 6 ფუძემოშლილი ბავშვის ცრემლი

უმეკაშვილები ახლა ნაქირავებში არიან. „არიან“ და არა „ცხოვრობენ“ — შესასვლელშივე მუყაოს ნაგლეჯებით დანთებული ღუმელი, გამოყინული ოთახები და „ხაზეიკის“ ზარი, — უკვე რამდენი თვეა, ქირა არ გადაგიხდიათ, ფული მჭირდებაო...

«შიმშილზე საშინელება ჩემი შვილებისთვის იმ დღის მოგონებაა, როცა სახლიდან გამოყარეს. ალექსანდრე კრუნჩხვებში ჩამივარდა. უმცროსი, დაჩი, სამი წლისაც არ იყო, მეგონა, ვერ დაიმახსოვრებდა, მაგრამ მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა, ის კი ღამით იღვიძებს და ტირის, – ჩემს სახლში წამიყვანეთ. იმას რომ კედლები აქვს, ის მინდაო.

მარიამი კი გაიქცევა, ლოგინში ჩაწვება და ვეღარ ვაყენებ. ერთხანს სკოლაშიც აღარ უნდოდა სიარული, – ძალიან ნიჭიერია, ფასიან სკოლაში დაგვყავდა და წელში რომ გაგვტეხა უბედურებამ – 70 ლარის გადახდა არ შეგვიძლია, სკოლიდან უნდა გამოხვიდე-მეთქი, მაშინ საერთოდ არც ერთ სკოლაში აღარ წავალო და იმდენი იტირა, მთელი ტანი დაუსივდა.

— ბატონო ალეკო, ბავშვის ცრემლი მთელ სამყაროს გადაწონისო, ამბობენ. ეს ასეა?

— ეს ასეა. ბავშვის ცრემლი ბევრ ცოდვას ანანებს ადამიანს. ბავშვი ცოდვილ ადამიანს ანანებს, ბავშვი ანანებს ადამიანს, ბავშვი ანანებს ადამიანს... ეს ასეა.

— ბატონო ალეკო, ბავშვის ცრემლი ბევრ ცოდვას ანანებს ადამიანს. ბავშვი ცოდვილ ადამიანს ანანებს, ბავშვი ანანებს ადამიანს, ბავშვი ანანებს ადამიანს... ეს ასეა.

— ეს ასეა. ბავშვის ცრემლი ბევრ ცოდვას ანანებს ადამიანს. ბავშვი ცოდვილ ადამიანს ანანებს, ბავშვი ანანებს ადამიანს, ბავშვი ანანებს ადამიანს... ეს ასეა.

— ეს ასეა. ბავშვის ცრემლი ბევრ ცოდვას ანანებს ადამიანს. ბავშვი ცოდვილ ადამიანს ანანებს, ბავშვი ანანებს ადამიანს, ბავშვი ანანებს ადამიანს... ეს ასეა.

ახალი ტექნოლოგიები „პალიტრამედიაში“!

ნახეთ ვიდეოსიუჟეტი ამ თემაზე!

დაასკანერეთ ეს QR კოდი სმარტფონით (iPhone, Android და სხვ.), რომელშიც გახსნილია შესაბამისი (QR კოდების სკანირების) აპლიკაცია.

თქვენი მობილური ავტომატურად გახსნის შესაბამის ვიდეოს.

შენიშვნა: QR აპლიკაცია მუშაობს მხოლოდ იქ, სადაც ინტერნეტია.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲐᲤᲐᲜᲒᲘᲐ“

თუ უმცირესობის ლიდერის განცხადებას დავუჯერებთ, საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება ფინალისკენ მიდის. დღეს კოალიციისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით სააკაშვილს ჩამოერთვას მთავრობის (და პარლამენტის) დათხოვნის ბერკეტი. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებით პრეზიდენტს აღარავითარი უფლებამოსილება აღარ ექნება, აღარ ექნება მთავრობის გაუქმების უფლება. ოპოზიცია მმართველ გუნდს სთავაზობს ახალი კონსტიტუციის ნაწილი (რაც ეხება პრეზიდენტსა და მთავრობას, მთავრობასა და პარლამენტს, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის ურთიერთობას) დღესვე ამოქმედდეს და არა საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ. ისე ჩანს, რომ ამ შედეგით კოალიციამ მეტად იხვირა, მაგრამ ასე არ ფიქრობს საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი ***ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.***



— ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები ბიძინა ივანიშვილისთვის ხაფანგია. ამ ცვლილებების ამოქმედების შემთხვევაში, ვინაიდან პარლამენტის დათხოვნა უფრო გართულებულია, „ნაციონალური მოძრაობა“ იცილებს პარლამენტის დათხოვნისა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის ალბათობას, რითაც პარლამენტში შეინარჩუნებს ადგილებს და 4 წელი გარანტირებულად იქნება საპარლამენტო უმცირესობის როლში.

„ქართული ოცნების“ ინიცირებული ცვლილებები ითვალისწინებს სააკაშვილისთვის იმ ბერკეტების ჩამორთმევას, რაც მან 2004 წელს მიითვისა, მაგრამ ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობა“ ცდილობს მოლაპარაკება გააჭიანუროს, რათა თუ საშუალება მიეცემა, გამოიყენოს კონსტიტუციური ბერკეტი (პრეზიდენტმა დაითხოვოს მთავრობა) და მოახდინოს ხელისუფლების უზურპაცია.

— „ნაციონალური მოძრაობა“ ასევე ითხოვს საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის კვორუმი ახლავე გაიზარდოს 3/4-მდე (ეს ნორმა საპრეზიდენტო არჩევნების მერე უნდა ამოქმედებულიყო).

— კვორუმის აწევით კონსტიტუციას კეტავენ. 3/4 ძალზე მაღალი ცენზია, რაც გაართულებს შემდგომში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას.

2013 წლის ოქტომბრის შემდგომ ასამოქმედებელი მოდელით ძალიან გაიზრდება პარლამენტის როლი. მთავრობის თავმჯდომარეს ექნება მაღალი უფლებამოსილება, მაგრამ მისი ბედი დამოკიდებული იქნება პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერაზე. დღევანდელი პარლამენტის შემადგენლობას თუ გავაანალიზებთ, ეს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის პრემიერმინისტრობა დამოკიდებული იქნება იმაზე, შეინარჩუნებს თუ არა „ქართული ოცნება“ კოალიციურ ერთიანობას. „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ცვლილებების ამოქმედებისთანავე „ქართული ოცნების“ დაშლისთვის იმუშავებს.

— შეძლებს „ნაციონალური მოძრაობა“ კოალიციის დაშლას?

— „ქართულ ოცნებაში“ არის პრობლემები. ერთი-ორი წლის შემდეგ გამოჩნდება, რომ მთავრობა ვერ შეასრულებს ყველა დაპირებას, რაც ივანიშვილის რეიტინგზე იმოქმედებს. შესაძლებელია, პარლამენტში ზოგიერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ბიძინა ივანიშვილის ზურგს უკან რაღაც საკითხებზე ივაჭროს. პარლამენტისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომ მთავრობის ბედი მთლიანად დამოკიდებული იყოს საპარლამენტო უმრავლესობის ერთიანობაზე, მთავრობისთვის სახიფათოა. ჩვენ ვიცით, როგორი ტაქტიკით მუშაობს „ნაციონალური მოძრაობა“. დღესაც კი, როდესაც „ქართული ოცნება“ უმრავლესობაშია, ზოგიერთ საკითხზე სათანადო ოპონირებას ვერ უწევს „ნაციონალურ მოძრაობას“. წარმოიდგინეთ, როდესაც მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობა უმრავლესობის ერთიანობაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად შეიძლება ეს ვაჭრობის საგანი გახდეს.

მთლად ისე არ არის, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით პრემიერი ხდება ძლიერი. პარლამენტის თავმჯდომარე და პარლამენტიც გაძლიერდებიან, სუსტდება პრეზიდენტი, მაგრამ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ისედაც ეწურება. ამიტომ შესაძლოა დღევანდელ სახიფათო კვერცხზე (მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა) მეტად „ნაციონალურ მოძრაობას“ ერჩივნოს ხვალინდელი ქათამი: 4 წლის განმავლობაში გახლიჩონ უმრავლესობა და მერყევი გახადონ პრემიერის თანამდებობა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, კარგი იქნებოდა ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, როდესაც კრიზისის შემთხვევაში პრეზიდენტი არის არბიტრი.

— ამ ცვლილებებით მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ხომ არ ილეს მისთვის სასარგებლო ცვლილებებს, თავის ინტერესს „ქართული ოცნებაც“ იკმაყოფილებს.

— „ნაცმოძრაობა“ დღეს ბევრს არაფერს იგებს ამ ცვლილებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ მოიგებს 2013 წლის შემდეგ, როდესაც კონსტიტუციური ცვლილებებისთვის 3/4-მდე იზრდება ცენზი.

„ᲩᲕᲔᲜ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“

ჩვენ არ გვიცხოვრია ისეთ მოდელში, როგორსაც დღეს გვთავაზობენ, ჩვენ არ ვიცით, ეს მოდელი როგორ იმუშავებს და როდესაც დღეს ვკეტავთ კონსტიტუციის შეცვლის საკითხს, ეს ნიშნავს, რომ თუ ეს მოდელი ვერ გაამართლებს და ქვეყანაში კრიზისი დაიწყება, ამ მოდელის შესაცვლელად საჭირო იქნება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან ვაჭრობა. დღეს 2/3-ია საჭირო ისეთი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, რომელიც სააკაშვილს შეუძლია შექმნას და ამას ვერ აგროვებს უმრავლესობა და 3/4-ის შემთხვევაში ხომ წარმოგიდგენიათ, რა ვითარება იქნება.

— უმრავლესობა ამბობს, რომ აქვს საკონსტიტუციო ცვლილებისთვის საჭირო 2/3.

— თუ აქვს, რატომ დადის „ნაცმოძრაობის“ ხუშტურებზე? მიიღოს საკონსტიტუციო ცვლილებები, ჩამოართვას პრეზიდენტს მთავრობის ერთპიროვნული დათხოვნის უფლებამოსილება და შემდგომ კომისიამ შეიმუშაოს სწორი კონსტიტუციური მოდელი ყველა პოლიტიკურ ძალასთან შეთანხმებით, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ეფექტური იქნება.

კოალიცია „ნაცმოძრაობას“ დათანხმდა ისეთ მოლაპარაკებაზე, რომელიც მხოლოდ დროის გაჭიანურებას ემსახურება. ეს ყველაფერი ქმნის ილუზიას, რომ „ნაცმოძრაობა“ კარნახობს „ქართულ ოცნებას“ პირობებს და „ნაცმოძრაობა“ ქმნის პოლიტიკურ ამინდს პარლამენტში. თუ „ქართულ ოცნებას“ მართლაც აქვს კონსტიტუციური ცვლილებისთვის საკმარისი 100 ხმა, ჩამოართვას ბერკეტები სააკაშვილს. გაუგებარია, რატომ ერთვება „ნაცმოძრაობის“ თამაშში?

ჩვენ გვახსოვს „ქართული ოცნების“ პოზიცია, არასერიოზულია კონსტიტუციაში საგარეო კურსის თაობაზე ჩანაწერიო, მაგრამ დღეს თანახმაა, ასეთი ჩანაწერი იყოს კონსტიტუციის პრეამბულაში.

— თქვენი ვარაუდით, რატომ ელაპარაკება „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ საკონსტიტუციო ცვლილებების თემაზე, თუკი უმისოდაც შეუძლია ამ ცვლილების გატანა პარლამენტში?

— ან არა აქვთ საკმარისი ხმები საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის და არ უნდათ ამაში გამოტყდნენ, ან ვეჭვობ, მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ კი არა, კოალიციაში მყოფ ზოგიერთ ძალას უნდა, ახლავე ამოქმედდეს ის ცვლილებები, რაც ოქტომბრის შემდეგ უნდა ამოქმედებულიყო (პარლამენტის გაძლიერებას ვგულისხმობ).

— კოალიციიდან რომელი პოლიტიკური ძალის ინტერესში შეიძლება იყოს პარლამენტის როლის გაძლიერება?

— „ქართული ოცნების“ ფრაქცია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ალასანიას გუნდი დაძაბულია, რესპუბლიკელები კი კომფორტულად გრძნობენ თავს, მათია პარლამენტის თავმჯდომარეც და ყველა მნიშვნელოვანი კომიტეტისაც. ამით რესპუბლიკელები ზურგს იმაგრებენ. მათ გადაწყვეტილებასა და კოალიციაში ყოფნაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

„ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲔᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲐᲡᲐᲪ ᲓᲐᲣᲡᲕᲐᲜ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ“

ჩვენ ზუსტად კიდევ არ ვიცით, რაზე შეთანხმდნენ „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ და რა გარანტიები მისცეს „ნაციონალებს“.

— რა გარანტიებს გულისხმობთ?

— თუნდაც პირადი უსაფრთხოების გარანტიებს. შესაძლოა, ითხოვეს, რომ შეწყდეს ძველი თანამდებობის პირების საქმიანობის სამართლებრივი შეფასება და მათი დაკითხვაზე დაბარება. შეიძლება გარანტიებს ითხოვდეს სააკაშვილი, რადგან იცის, როდესაც პრეზიდენტი აღარ იქნება, შესაძლოა, მასაც დაუსვან კითხვები. „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება საკონსტიტუციო ცვლილებებით მიიღოს ქონებრივი ხელშეუხებლობის გარანტიაც. მათი პოზიცია გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, როდესაც საკმაო ხმა გაქვს საკონსტიტუციო ცვლილებისთვის, რა საჭიროა ამ ყველაფრის დათმობა, თუ ძალიან არ გაწყობს ის საკონსტიტუციო მოდელი (პარლამენტის გაძლიერება), რომელიც ახლაა ინიცირებული. ეს კი, მოგახსენეთ, ყველაზე მეტად კოალიციის რომელ სუბიექტსაც აძლევს ხელს.

იზო რიკაძე

„ᲔᲯᲧᲝᲑᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲪᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲯᲧᲐᲕᲔᲑᲐᲖᲔ“

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები იმის ნიშანია, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონეთა თანაცხოვრება არცთუ წარმატებულად მიმდინარეობს. პრეზიდენტის ესკორტს სამეგრელოში კვერცხი ესროლეს და წყალი მიასხეს. ამ და სხვა თემებზე საპარლამენტო უმცირესობის წევრს, ***ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲐᲪᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲡ*** *ვესაუბრეთ:*

— სამეგრელოში ერთი ჯგუფი მუდმივად აწყობს პროვოკაციას. დავინახეთ ზუგდიდის გამგებლის მოადგილის დედა, რომელიც ამ პროვოკაციაში მონაწილეობდა. კოჰაბიტაცია ჩვენთვის გამოწვევაა და კარგია, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებული მოლაპარაკება მიმდინარეობს.

— უმრავლესობის წინადადებით პრეზიდენტი პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ უნდა გამოსულიყო.

— ეს წინადადება კი არა, ულტიმატუმი იყო, რასაც წინ უძღოდა საპარლამენტო დებატები. უმცირესობის პოზიცია კარგად იყო არგუმენტირებული. ეჭვი მაქვს, უმრავლესობა ამაზე გაბრაზდა და გადაწყვიტა, პრეზიდენტი პარლამენტში აღარ მოსულიყო. ამას მოჰყვა 8 თებერვალი და მცდელობა, რომ ყველაფერი თბილისის მერს და უმცირესობის დეპუტატებს გადააბრალონ.

— გიგი უგულავას ხელების ქნევა და შეძახილები არ იყო გამომწვევი?

— გიგი რომ ხელს აქნევდა, ამიტომ მოხვდა ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირში? სანამ უგულავა მოვიდოდა, მანამდე ვინ ცდილობდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ცოცხებით შესვლას? იმედი მაქვს, ხელისუფლებაში არიან საღად მოაზროვნენი. ამ იმედს მიჩენს საკონსტიტუციო ცვლილებებზე მიმდინარე მოლაპარაკება.

— არ კონკრეტდება საკითხები, რაზეც მოხდა შეთანხმება.

— ლაპარაკია იმაზე, რომ მთავრობას ჰქონდეს გარანტიები და აღარავინ ნერვიულობდეს, რომ აპრილში მთავრობას დაითხოვენ. გვინდა, კონსტიტუციაში ჩაიწეროს ჩვენი ისტორიული არჩევანი (საგარეო კურსი) და ის, რომ საქართველო აღარ დაბრუნდება ძველ კავშირებში. ვცდილობთ, ხელისუფლებასთან ძირითად საკითხებზე შევთანხმდეთ.

— თუმცა რამდენიმე დღის წინ უმცირესობისა და უმრავლესობის ურთიერთობა კარგად ნახა საზოგადოებამ დავითაშვილი-რატიანის ჩხუბის დროს.

— რაც მოხდა, არც მე მომეწონა, არც სერგო რატიანს, მაგრამ პასუხისმგებლობა ხელისუფლებაში მყოფთ მეტი აქვთ. ჩვენს აქტივისტებს კი კვლავ იბარებენ პროკურატურაში. უკვე 5 ათასზე მეტი კაცია დაკითხული.

— დაკითხვაზე კარგა ხანს არ მიდიოდა გიგი უგულავა და არ მიდის ზოგიერთი დეპუტატი.

— მიღებული პრაქტიკაა — გამომძიებლები თვითონ მიდიან დაკითხვაზე. არაერთი დეპუტატი, ყოფილი მინისტრი და გუბერნატორი გამოცხადდა დაკითხვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ივანიშვილი და მერე პარლამენტის თავმჯდომარე ლაპარაკობდნენ ყოფილ თანამდებობის პირთა პოლიტიკურ ამნისტიაზე. ეტყობა, ეს თემა აღარ არის ხელისუფლებისთვის აქტუალური. სიძულვილის ენაზე ჩვენ არ დაგვიწყია საუბარი. გაიხსენეთ ლუკა კურტანიძის ნათქვამი ოპოზიციაზე, ეგენი ცოცხლად უნდა გაატყავოო, რაზეც იუსტიციის მინისტრმა თქვა, რაზეც ვფიქრობთ, ხმამაღლა არ უნდა ვთქვათო. ეტყობა, ხელისუფლება მართლაც ფიქრობს ჩვენს ცოცხლად გატყავებაზე. ცუდი ვიყავით თუ კარგი, ვცდილობდით ქვეყნისთვის რაღაც გაგვეკეთებინა და გული მწყდება, რომ ხალხისთვის მნიშვნელოვანი თემები — დასაქმება, ჯანდაცვა, ტარიფები მეხუთეხარისხოვანი გახდა. ოპოზიციის ვალია, ზოგიერთ საკითხზე შევთანხმდეთ ხელისუფლებასთან, რომ ეს ხალხი საქმის კეთებაზე გადავიდეს.

— ხელისუფლებასაც აქვს განცდა, რომ ოპოზიცია მოწადინებულია, იმივჯი შეულახოს ქვეყნის გარეთ. ევროპარლამენტის წარმომადგენელს ინციდენტიდან მეხუთე დღეს ლოგინში ჩაწოლილი დახვდა ჩიორა თაქთაქიშვილი, 8 თებერვალს კი პრეზიდენტის გამოსვლას გულისყურით უსმენდა.

— პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ, ექიმმა ჩიორას ერთი კვირით წოლითი რეჟიმი დაუნიშნა, რადგან ტვინის შერყევა აქვს. მას მერე ჩიორა აღარ მოსულა ოფისში. თანაც

ᲩᲘᲝᲠᲐᲡ ᲑᲘᲜᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲜᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ.

იზო რიკაძე

„მიშა, მითხარი, რატომ ვარ სამშობლოს მოღალატე?“

„ჩემი მოწოდება იქნება, ბოლომდე ნუ გაამწარებენ ხალხს“

„25 წელია იარაღით ვიცავ საქართველოს და ამიხსნას ვინმემ, რატომ ვარ სამშობლოს მოღალატე? თუ დამიმტკიცებენ, რომ მართლა მოღალატე ვარ, ჩემი ფეხით შევბრუნდები ციხეში... სამი შვილი ისე მყავს გაზრდილი, რომ ჰკითხო, გეტყვიან, ჯერ საქართველო მიყვარს და მერე დედ-მამაო და მე ვარ მოღალატე?“ — მეუბნება ვიცე-პოლკოვნიკი ***მიხეილ ცილიკიშვილი,*** *რომელიც „ყინწვისის საქმეზე“ დააკავეს:*

„თუ სადმე გადავაწყდი უგულავას, ბოკერიას ან სააკაშვილის ხელისუფლების სხვა გაბოროტებულ მუტანტებს, შეიძლება მართლა ჩავიდინო დანაშაული, რადგან ამ არაკაცებმა ცხოვრება დამინგრიეს“

— ორგანიზაცია „მთავარანგელოზ მიქაელის მხედრობის“ ხელმძღვანელი ვიყავი და 2011 წლის მაისში ჩემი ორგანიზაციით შევედი ეროვნულ-სარწმუნოებრივ მოძრაობაში. 24 მაისს მეგობრებთან ერთად ყინწვისში წავედი მოსალოცად, სადაც ჩემი მოძღვრის, მამა იაკობის სტიქაროსანი დამხვდა. ის დღე და მეორე დღეც ლოცვაში გავატარეთ. 25 მაისს, საღამოს, საკლავი დავკალით და ვიქეიფეთ. მთელი ღამე იქ აპირებდნენ ბიჭები დარჩენას, მაგრამ შორიახლოს ფარნებიანი ხალხი დავინახე და ბიჭებს ვუთხარი, ტაძარში ავიდეთ-მეთქი. იქ რომ დავრჩენილიყავით, სუფრასთან ჩაგვხოცავდნენ. 26 მაისს დილით რადიოთი შევიტყვეთ, რომ რუსთაველზე მომიტინგეები დაარბიეს და თბილისში წასვლა გადავწყვიტეთ.

— 2 ათას რუს ჯარისკაცზე საუბრობდა ხელისუფლება, ცხინვალიდან უნდა შემოსულიყვნენ?

— სად უნდა მოეძებნათ ქართულად მოლაპარაკე 2 000 რუსი ჯარისკაცი? 2 000 ჯარისკაცი 2 კაცი ხომ არ არის, რომ მათი გადაადგილება ვერავინ დაინახოს? მერე შევიტყვე, ქართულად მოლაპარაკე რუსი ჯარისკაცები თურმე ტანკებით უნდა შემოსულიყვნენ ცხინვალიდან. მაშინ ეს დაახლოებით 9-კმიანი კოლონა უნდა ყოფილიყო, რადგან ტანკში 4 კაცზე მეტი არ ეტევა.

ის იყო, ყინწვისიდან თბილისში წამოსვლას ვაპირებდით, რომ სპეცრაზმელები დაგვეცნენ თავს შეძახილებით,

დაწექით, თქვე გრუ-ს აგენტებო, თქვე ფეესბეშნიკებო, გვიყვიროდნენ მე და ჩემს მეგობრებს, რომლებიც 1991 წლიდან 2008 წლის ჩათვლით რუსებს ვეომებოდით.

როდესაც ნიღბიანი სპეცრაზმელები დავინახე, ტეტე, რომელიც გულის ჯიბეში მქონდა, ხევში გადავაგდე. ეტყობა, სამხარეო პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა შეამჩნია. ჩავიდა ხევში და ამოიტანა იარაღი, რომელიც ჩემზე იყო გაფორმებული (იმ დროს ტარების უფლება არ მქონდა), მაგრამ ისე გამოიყვანეს, თითქოს ეს იარაღი ნიკა გოგუაძეს მივყიდე და ჩხრეკისას ტეტე გოგუაძის მამის კუთვნილ მანქანაში აღმოჩნდა. ეს იმიტომ, რომ მანქანაც წაეყვანათ. სასამართლოზე ვთქვი, რომ იარაღი არავისთვის მითხოვებია და მით უმეტეს, არ მიმიყიდია.

3 საათი მოვუნდით ქარელის პოლიციამდე მისვლას, რადგან სპეცრაზმელები გზაში გამუდმებით ვიღაცას უკავშირდებოდნენ — ავიყვანეთ და რა ვქნათო. მივხვდი, ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ჩვენი ამბავი.

რამაზ ღვალაძე, *„ყინწვისის საქმეზე“ დაკავებული:* — მონასტერში, ბერების თვალწინ ჩვენი ამოხოცვა არ გამოვიდოდა. მონასტრის მსახურ მამებს და მორჩილებს ხომ ვერ დახოცავდნენ. მამა საბამ სპეცრაზმელებს უთხრა, ბიჭებს იარაღი არა აქვთო. ამან ძალიან არია მათი გეგმები, რადგან ამოტანილი ჰქონდათ იარაღი, რომელიც მერე უნდა ამოეღოთ და ჩვენთვის შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა დაებრალებინათ. ალბათ, ჩვენი დახოცვა 26 მაისის გამართლებისთვის სჭირდებოდათ — იმიტომ დავარბიეთ ხალხი, რომ ამ აქციებთან დაკავშირებული შეიარაღებული ბანდა სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდაო.

მიხეილ ცილიკიშვილი: — ჩემი ბევრი მეგობარი კუდ-ის სპეცდანიშნულების რაზმის წევრია და ამ რაზმის ხელმძღვანელად დანიშვნას დღე-დღეზე ველოდებოდი (ეს ის სპეცრაზმია, რომელიც ახლა უგულავას ექვემდებარება), მაგრამ რადგან ყინწვისში წავედი, უცებ გავხდი მოღალატე. მანქანაში რომ შემაგდეს, ორმა სპეცრაზმელმა მიცნო, მიშა არ ხარო? — მკითხეს. ყინწვისში დაკავებული რამდენიმე ჩემი მეგობარი ქარელის პოლიციაში შეიყვანეს. დანარჩენები დასახვრეტებივით კედელთან დაგვამწკრივეს. შენობიდან ისეთი საშინელი ხმები გამოდიოდა, გეგონებოდათ, პოლიცია კი არა, სასაკლაოაო, ცემის ხმა და ჩვენი მეგობრების ბღავილი გვესმოდა. მერე ერთი გამოვიდა და ჩემზე იკითხა, ამას რატომ არ სცემთო. ოთახში შეყვანისთანავე ცემა დამიწყეს. ოთხი კაცი ისე მირტყამდა ფეხით, ხელით და ხელკეტით, რომ სკამიდან ვეღარ ავდექი. რამდენიმე წუთში ცემისაგან ერთიანად შავი ვიყავი. ჩემს ცემას ერთი კაცი ესწრებოდა, რომელიც მითითებებს აძლევდა მათ, ვინც მცემდა და მე მეუბნებოდა, დაწერეო. მითხარით, რა უნდა დავწერო და დავწერ-მეთქი. რამდენიმე გვარი (ერთ-ერთი კუდ-ის მაღალჩინოსანია, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება) დავუსახელე, მათთან დარეკე და გეტყვიან, ვინც ვარ-მეთქი. ეტყობა, დარეკა, რადგან რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა და ვინც მცემდა, გააჩერა, ამას თავი დაანებეთო, მაგრამ სპეცრაზმელებმა რომ თავი დამანებეს, მერე პოლიციის ოპერმა დამცხო. სიმწრისაგან რკინის ხელბორკილი გავწყვიტე. მერე ორი პლასტმასის ხელბორკილი დამადეს. ერთი ცინიკურად მეუბნებოდა, შენზე გავიგეთ, თავს ურტყამ მაგრად და აბა, დაარტყიო. გამწარებული კედელს ვურტყამდი თავს, რომ ტკივილი სხეულიდან თავზე გადმოსულიყო.

„2 წელი იმისთვის ვიყავი ციხეში, რომ ამ ხელისუფლების საქმიანობას ვაპროტესტებდი. გამოვედი და ისევ სააკაშვილია პრეზიდენტი, უგულავა კი მერი“

„სიმწრისაგან რკინის ხელბორკილი გავწყვიტე“

ერთი კვირა არ ვაწერდით ხელს საპროცესო გარიგებაზე. პროკურორი მეუბნებოდა, 17 წლის გოგო გყავს და დაფიქრდიო. ამის მერე როგორ არ მოვაწერდი ხელს იმაზე, რომ რუსები შემომყავდა საქართველოში ხელისუფლების შესაცვლელად.

რამაზ ღვალაძე: — რომ მცემდნენ, თავიდან არ ვყვიროდი და სულ გადაირივნენ. უფრო გამეტებით დამიწყეს ცემა. მივხვდი, სჯობდა მეყვირა. ცოფიანი ძაღლებივით იყვნენ. ვეუბნებოდი, მაჩვენეთ, რაზე მაწერინებთ ხელს და მოვაწერ, ნუ მცემთ-მეთქი, მაგრამ არა, ჩვენი ცემა უნდოდათ. მაშინ გავიგე პირველად 2 ათასი რუსი ჯარისკაცის ამბავი. ფეხებით მათრევდნენ იატაკზე. ორლტრანი „კოკა-კოლას“ ბოთლები ჰქონდათ წყლით სავსე და თავში მირტყამდნენ. მერე იარაღზე დამიწყეს ლაპარაკი, სად გაქვთო? ფეხისგულებზე ხელკეტებს მირტყამდნენ, წვივები დამილეწეს. ნაცემები ისეთ მდგომარეობაში ვიყავით, გარეთ რომ გამოვედით, ყველას

«ფეხები დასივებული და გაშავებული მქონდა. ფეხსაცმელი გავიხადე. ერთი ბიჭი მოვიდა და დალურჯებულ ტერფებზე კიდევ ფეხს მირტყამდა და ძალიან სწყინდა, ტკივილს რომ ვეღარ ვგრძნობდი. ბიჭო, ამას რომ აკეთებ, ოჯახში პრობლემები ხომ არ გაქვს-მეთქი. დამემუქრა, ვნახავ, ოჯახში ვისაც ექნება პრობლემები, შენს ცოლს დავადგები სახლში და გაგიბახებო...

ღმუილი აღმოგვხდა. ის ხალხი დღესაც თუ სპეცრაზმში მუშაობს, ადამიანების წამებას ისე იყვნენ მიჩვეული, იმავეს გააგრძელებენ.

ძალიან მძიმეა, ქვეყნის ღალატს რომ გაბრალებენ, თანაც ვინ? ის, ვინც თვითონ ანგრევს ქვეყანას. ციხეში ბევრი გამწარებული პატიმარი ვნახე. სასჯელი გლდანის ციხეში მოვიხადე. ეს იყო ისეთი საპყრობილე, სადაც ადამიანებს ფიზიკურად კი არა, სულიერადაც ანადგურებდნენ. დარწმუნებული ვარ, ასეთი სისასტიკე სააკაშვილის ხელისუფლების ავადმყოფური ექსპერიმენტის ნაწილი იყო, რის გადმოტანასაც მერე, ალბათ, ქვეყანაში აპირებდნენ, რადგან ციხეში ეს ექსპერიმენტი წარმატებულად ჩატარდა. იქ ადამიანს თავში უდებენ აზრს, რომ შენა ხარ არარაობა, უღირსი და რასაც გეტყვიან, ყველაფერი უნდა გააკეთო. შეიძლება თავი შეაკლა, მაგრამ არ გკლავენ და ყველაზე მტკივნეული თემით, ოჯახით ახდენენ ზეწოლას. სანამ საპროცესო გარიგებაზე ხელს მოვაწერდი, პროკურორმა მკითხა, შარვალი ვინ შემოგიტანაო. ცოლმა-მეთქი. კიდევ რომ შემოგიტანს რამეს, წამლის შემოტანაზე დავაკავებ, მინიმუმ 7-წლიანზე გავუშვებ და შენს ბავშვებს მიმხედავი არ ეყოლებათო(!).

— როგორც ვიცი, თქვენ თბილისს პოლიციის სამმართველოსა და კუდ-შიც გცემეს.

— პოლიციის სამმართველოში კორიდორში იატაკზე დაგვყარეს. ჩვენი ერთი მეგობარი ისე ცუდად იყო, ვერც ფეხზე დგებოდა და ვერც იატაკზე ჯდებოდა. სკამი მოუტანეს. ეს რა დეპუტატივით დაგისვამთო და სახეში ჩაარტყეს წიხლი. დაკითხვაზე რომ შემიყვანეს, 2 გააფთრებული კაცი დავინახე (ერთ-ერთი გმირთა მოედანზე ვეტერანების აქციის დარბევას ხელმძღვანელობდა. დაბალი, დიდყურა ბიჭია, მეორე კი ის იყო, ვინც მაშინ ქალს დაარტყა), ისინი ხელმძღვანელობდნენ ჩემს ცემას. გრძელი ხელკეტი მოიტანეს, ეს ახალიაო და ჩემზე გამოცადეს. მეუბნებოდნენ, უნდა თქვა, რომ სადღაც ორმოში გქონდათ იარაღი დამალულიო. იქ ეს რომ ვერ მაღიარებინეს, კუდ-ში გადამიყვანეს და მაწამეს. კუდ-ში რომ მივყავდი, რამდენჯერმე გააჩერეს მანქანა, გაიქეციო, უნდოდათ, გავქცეულიყავი და მოვეკალი...

„ბოკერიას ან სააკაშვილის ხელისუფლების სხვა გაბოროტებულ მუტანტებს, შეიძლება მართლა ჩავიდინო დანაშაული“

კუდ-ში კუნთმაგარი და შუშისთვალება ადამიანები დამხვდნენ. ახალგაზრდა თანამშრომელს ასწავლიდნენ, როგორ უნდა მოეტეხა ჩემთვის თითი ორი ფანქრით. მან ვერ ისწავლა, ფანქარი გაუტყდა და ამით გადავრჩი თითების დამტვრევას. მერე მოიტანეს წნევის აპარატისმაგვარი რაღაც და ხელზე წამომაცვეს, ეს სიცრუის დეტექტორიაო. სინამდვილეში ელექტროშოკი იყო, რომელიც პულტით იმართებოდა. ელექტროშოკითაც კარგა ხანს მაღრიალეს. მას მერე გული დამიავადმყოფდა. იმდენ ხანს მაწამეს, რომ ელექტროშოკისაგან ხელი დამწვარი მქონდა. მერე ვიღაც ბიჭი ძუას მიჭერდა ყელზე, მგუდავდა. ვინც დენით მაწვალებდა, მოგვიანებით ის ბიჭი ციხეში ვნახე. 1-ლი ოქტომბრის მერე დაუკავებიათ. გვარი ვიკითხე და კვირკველიაარ... ერთმა კაცმა ხელით ჩამიყვანა კუდ-ის კაპეზეში. ფეხები დასივებული და ერთიანად გაშავებული მქონდა. ფეხსაცმელი გავიხადე. ერთი ბიჭი მოვიდა და დალურჯებულ ტერფებზე კიდევ ფეხს მირტყამდა და ძალიან სწყინდა, ტკივილს რომ ვეღარ ვგრძნობდი. ბიჭო, ამას რომ აკეთებ, ოჯახში პრობლემები ხომ არ გაქვს-მეთქი. დამემუქრა, ვნახავ, ოჯახში ვისაც ექნება პრობლემები, შენს ცოლს დავადგები სახლში და გაგიბახებო.

„პროკურორი მეუბნებოდა, 17 წლის გოგო გყავს და დაფიქრდიო. ამის მერე როგორ არ მოვაწერდი ხელს...“

მიხეილ ცილიკიშვილი: — გლდანის ციხეში რომ მიგვიყვანეს, 2 კვირა „აბეზიანნიკებში“ ვიყავით. 4-კვმეტრიან საკანში 4 კაცი ვიყავით, სადაც არც სკამია და არც საწოლი. გვერდით, მეორე „აბეზიანნიკიდან“ მესმოდა, რომ კაცს საპირფარეშოში გასვლა უნდოდა და არ გაჰყავდათ... კარანტინის დაშლა, რომელიც ვიდეოფირებით ნახა საზოგადოებამ, ჩემი საკნის გვერდით ხდებოდა. ისეთი ხმები მესმოდა, კედლები ზაზზარებდა...

დაპატიმრებამდე დაცვის სამსახური „ჯავშანი“ მქონდა. დღეს აღარც ბიზნესი მაქვს და აღარც სახლი. ნაქირავებში ვცხოვრობ. ჩემი ოჯახი ბელგიაში წავიდა. სანამ აქ იყვნენ, პაემანზე არასოდეს მომიყვანია ბავშვები. მათ იციან, რომ მამა მეომარი ჰყავთ და არ მინდოდა ციხეში ვენახე...

„რამდენჯერმე გააჩერეს მანქანა, გაიქეციო, უნდოდათ, გავქცეულიყავი და მოვეკალი...“

8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მივედი, იმ 10-კაციან სიაში ვიყავი, ვისაც პრეზიდენტისთვის კითხვის დასმა სურდა. რადგან მაშინ ვერ ვკითხე პრეზიდენტს, ახლა ვეკითხები, — მე, მიხეილ ცილიკიშვილი, რომელიც ვიბრძოდი აფხაზეთსა და ცხინვალში, იარაღით ვიცავდი სამშობლოს, რატომ ვარ მოღალატე? წინასწარ ვაცხადებ — უიარაღოდ დავდივარ, წამალს არ ვიკეთებ და არც პლანს ვეწევი. შეიძლება რაღაც ისევ მოგვიწყონ, რადგან პოლიციასა და სპეცრაზმში ისევ ძველი ზონდერები ჰყავთ. გიგის რომ შინდისფერსაყელოიანი ფორმით მოჰყვნენ ტიპები, მათში 26 მაისს დაზარალებულებმა ბევრი ზონდერი ამოიცნეს.

„გიგის რომ შინდისფერსაყელოიანი ფორმით მოჰყვნენ ტიპები, მათში 26 მაისს დაზარალებულებმა ბევრი ზონდერი ამოიცნეს“

რამაზ ღვალაძე: — 2 წელი იმისთვის ვიყავი ციხეში, რომ ამ ხელისუფლების საქმიანობას ვაპროტესტებდი. გამოვედი და ისევ სააკაშვილია პრეზიდენტი, უგულავა კი მერი. მითხრან, რატომ გამატარებინეს ციხეში 2 წელი, რატომ მაწამეს? ჩემს 10 მეგობარს სახლები გაუყიდეს. ჩვენი შვილები ფსიქოლოგიურად დანგრეული არიან. თუ სადმე გადავაწყდი უგულავას, ბოკერიას ან სააკაშვილის ხელისუფლების სხვა გაბოროტებულ მუტანტებს, შეიძლება მართლა ჩავიდინო დანაშაული, რადგან ამ არაკაცებმა ცხოვრება დამინგრიეს. ფრთხილად იყვნენ, ბოლომდე ნუ გაამწარებენ ხალხს(!).

იზო რიკაძე

„ჩემმა სისხლიანმა ფოტომ მთელი მსოფლიო მოიარა“

„26-მა მაისმა ჩემი ცხოვრება შეცვალა“

დარეჯან უტიაშვილის ფოტო (planeta.ge)

„კვირის პალიტრა“ 26 მაისის მოვლენების დროს დაზარალებულს ესაუბრა, რომლის ფოტოზე აღბეჭდილი გასისხლიანებული სახე ყველას ახსოვს და რომელიც 8 თებერვლის აქციაზე თავის ფოტოსთან ერთად მოვიდა. ნოდარ არველაძე სოფელ დიღომში ცხოვრობს და მისი სახლის სახურავზე საქართველოსა და „ქართული ოცნების“ დროშები ფრიალებს. მან 26 მაისიც გაიხსენა და 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტიც შეაფასა:

— ყოველთვის ვიდექი იქ, სადაც საქართველო იდგა. ვარ 9 აპრილის მონაწილეც. ის კი, რაც 26 მაისს მოხდა, 9 აპრილზე უარესი იყო, რადგან თვითონ ქართველებმა გაგვიმეტეს. სააკაშვილის ხელისუფლებით უკმაყოფილება თანდათან დამიგროვდა. 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე ჩემი ძველი მანქანით წავედით. წვიმა რომ დაიწყო, პოლიციამ დაშლისკენ მოგვიწოდა, მაგრამ რას დავიშლებოდით, როცა სპეცრაზმელებმა ალყა შემოგვარტყეს. ვცადე პირველი საშუალო სკოლისკენ გაქცევა, მაგრამ ხუთი ნიღბოსანი დამესხა თავს, რუსთაველზე რა გინდოდაო, მიღრიალა ერთ-ერთმა და შემაგინა. მეც ამითვე ვუპასუხე. გამეტებით დამიწყეს ცემა. ჯერ თავში მირტყამდნენ ხელკეტებს, ხელები რომ წავიფარე, მუცელში დამიწყეს ცემა, თან მაგინებდნენ. ვფიქრობ, ისინი ციხის ჯალათები იყვნენ.

— რატომ ფიქრობთ ასე?

— მოგვიანებით გავიგე, რომ ციხის ჯალათები მონაწილეობდნენ დარბევაში. მახსოვს, მაშინ ერთმა პოლიციელმა დამიცვა და ამ ბიჭებს უთხრა, არ გრცხვენიათ, მამისტოლა კაცს რომ სცემთო? იმათ კი მეგრული აქცენტით უპასუხეს, ასაკოვანი თუ არის, მაშინ აქ რაღას მოეთრეოდაო. რაც ჯიბეში მქონდა, ყველაფერი წამართვეს, — მართვის, პირადობის მოწმობები, ტელეფონი, ფულიც კი და ხელფეხშეკრული დამტოვეს. ღვთის წყალობით გადავრჩი, ბოლოს სამმართველოში წამათრიეს, სადაც სისხლის გუბეები იდგა. მითხრეს, 65 წლის ზემოთ ადამიანებს არ ვცემთო, ხელბორკილის ახსნა რომ ვითხოვე, დამცინეს, ვინც დაგადო, იმან აგხსნასო. აბუჩად ამიგდეს, დამამცირეს. ასეთი სადისტები სად გაიზარდნენ! იმ დღიდან ყველა მიტინგზე დავდივარ.

26 მაისის შემდეგ შიშით ერთი კვირა სახლიდან გამოსვლასა და ექიმთან მისვლას ვერ ვბედავდი. ვფიქრობდი, ექიმთან რომ მივიდე, უკან გამობრუნებულს, ალბათ, კიდევ გამისწორდებიან-მეთქი. ორი კაცი ისე მოკლეს და მაღაზიის სახურავზე შეაგდეს, ვითომ არაფერი და მე რატომ დამინდობდნენ?

— თქვენი ფოტო მთელმა მსოფლიომ ნახა. თუ გახსოვთ, როდის გადაგიღეს?

— არა, არ მახსოვს. ფოტოზე კარგად ჩანს, რომ შოკში ვარ. მეგონა, ველარ გადავრჩებოდი, ღაპაღუპით მომდიოდა ცრემლი და სისხლი.

— თქვენ ცხოვრების შესახებ რას გვეტყვით?

— მყავს ერთი შვილი და სამი შვილიშვილი. ადრე ისნის რაიონის სურსათ-მომარაგების დარგში ვმუშაობდი. ბოლო დროს ძალიან გამიჭირდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მივხვდი, რომ ვცხოვრობდი სახელმწიფოში, რომელიც არ მიცავდა. 26-მა მაისმა ჩემი ცხოვრება შეცვალა და როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთო, იმედი ჩამესახა. ჩემი სახლის სახურავზე დღესაც საქართველოსა და „ქართული ოცნების“ დროშები ფრიალებს. არასდროს არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, არჩევნების წინ კი „ქართული ოცნების“ წევრი გავხდი... სადაც ქართველი ხალხი იქნება, იქ იქნება ჩემი ადგილიც ყოველთვის.

„ნაციონალებს“ როგორ უნდა გაებედათ გამწარებულ ხალხთან ახლოს მისვლა“

— ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ აქციაზეც შეგინშნეს.

— კი, იქვე ვიყავი, სადაც უგულავა გაიძახოდა, წავიდეთ, წავიდეთო. თითქოს მამამისის სახელობის ბაღში მიდიოდა. ბიბლიოთეკაში უნდოდა შესვლა, თანაც იმ გზიდან, სადაც ამ ხელისუფლებისგან ჩემსავით გამწარებული და გაჭირვებული ხალხი იდგა. ბევრი ჩემი ნაცნობი გამოვიდა ციხიდან და ვიცი, როგორ უმოწყალოდ ექცეოდნენ პატიმრებს. განა ამ გაუბედურებული ხალხის გამონვევა შეიძლებოდა? „ნაციონალებს“ როგორ უნდა გაებედათ გამწარებულ ხალხთან ახლოს მისვლა. ეს ფოტოც 8 თებერვლის აქციაზე გადამიღეს... ჩემი გასისხლიანებული სახე არასოდეს დამავიწყდება.

— თქვენ რომ გცემეს 26 მაისს, უცხოელებმა თუ განახეს?

— მაშინ არავინ მოსულა. ახლა, რაც ხელისუფლება შეიცვალა, უამრავი უცხოელი მოვიდა, ინტერვიუები ჩაწერეს. ჩიორა თაქთაქიშვილს ერთი ხელი მოხვდა და სამი დღის მერე ჩაწვა ლოგინში, მაშინაც ევროპარლამენტარმა ჰოკმარკმა მოინახულა, მე კი ამ ხნის კაცი ცემისგან ერთი კვირა ვიყავი ლოგინად ჩავარდნილი, მაგრამ არავის მოვუნახულებივარ.

ჩემმა ფოტომ ლამის მსოფლიო მოიარა და ხელისუფლება ერთხელაც არ დაინტერესებულა, ეს კაცი ისევ ცოცხალია თუ მოკვდაო. ჩიორა თუ არის ადამიანი, ჩვენ აღარ ვართ?

თუ მისი ერთი წვეთი სისხლი ოქროსი იყო? ჩიორა ბიბლიოთეკასთან გამომწვევად იქცეოდა, იგინებოდა და აღიზიანებდა ხალხს. ჩვენ კი 26 მაისს მშვიდობიანად ვიდექით, მაგრამ თავ-პირი დაგვილეწეს და დაგვამცირეს.

ეკა ასათიანი

«ერთმა პოლიციელმა დამიცვა და ამ ბიჭებს უთხრა, არ გრცხვენიათ, მამისტოლა კაცს რომ სცემთო? იმათ მეგრული აქცენტით უპასუხეს, ასაკოვანი თუ არის, აქ რაღას მოეთრეოდაო... 26 მაისის შემდეგ შიშით ერთი კვირა სახლიდან გამოსვლასა და ექიმთან მისვლას ვერ ვბედავდი. ვფიქრობდი, ექიმთან რომ მივიდე, უკან გამობრუნებულს, ალბათ, კიდევ გამისწორდებიან-მეთქი. ორი კაცი ისე მოკლეს და მაღაზიის სახურავზე შეაგდეს, ვითომ არაფერი და მე რატომ დამინდობდნენ?

„ჩიორა თუ არის ადამიანი, ჩვენ აღარ ვართ?!“

«ჩიორა თაქთაქიშვილს ერთი ხელი მოხვდა და სამი დღის მერე ჩაწვა ლოგინში, მაშინაც ევროპარლამენტარმა ჰოკმარკმა მოინახულა, მე კი ტვინის შერყევა მქონდა ცემისგან ამ ხნის კაცს და ერთი კვირა ვიყავი ლოგინად ჩავარდნილი, მაგრამ არავინ მოსულა. ჩემმა ფოტომ ლამის მსოფლიო მოიარა და ხელისუფლება ერთხელაც არ დაინტერესებულა, ეს კაცი ისევ ცოცხალია თუ მოკვდაო. ჩიორა თუ არის ადამიანი, ჩვენ აღარ ვართ? თუ მისი ერთი წვეთი სისხლი ოქროსი იყო?



„სააკაშვილს სამეგრელოში კუბო დავუდგით და უკვე ცოცხლად დავმარხეთ“

„სამეგრელოში ანტიმიშისტური მოძრაობა დაიწყო. სადაც ჩამოვა, ყველგან პროტესტით დავხვდებით. ვადაგასული სააკაშვილი აუტანელია მეგრელებისათვის“, — აცხადებს „დაიცავი საქართველოს“ წევრი **კახა მიქაია**:

— სააკაშვილი გაბრაზებულია იმ პროტესტით, თბილისელები რომ გამოხატავენ და ამიტომ გამოაცხადა, სოფელ-სოფელ ვივლიო. უნდოდა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში ჩასვლით პიარი გაეკეთებინა, მაგრამ სამეგრელოდან გაქცევამ მოუწია. პროტესტი დღითი დღე მატულობს სამეგრელოში, სადაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები მოიგო. სააკაშვილს სურდა სოფელ ნარაზენის ცენტრში კრივის კლუბში შეხვედროდა მოსახლეობას. მე და ჩემი მეგობრები ამ შეხვედრაზე იმ მიზნით მივედით, რომ მისთვის დაგვესვა კითხვები. გვინდოდა გვეკითხა, ვინ არის მეგის ქარდავა ან კრიმინალი გუნავა, რომელიც გუბერნატორად დანიშნა. სააკაშვილმა დაინახა საშიშროება, რომ მწვავე კითხვებზე მოუწევდა პასუხის გაცემა და შეხვედრის ფორმატი შეცვალა. ვიღაც თოდუას ოჯახში შეხვდა 12 დევნილს. არც ერთი ნარაზენელი არ დასწრებია იმ შეხვედრას. ის დევნილები ხეცერის მეურნეობიდან მოიყვანეს და მომზადებული კითხვები დასმევინეს. სააკაშვილს იმდენად შეეშინდა ნარაზენში 100 კაცის პროტესტისა, რომ თბილისში შვეულმფრენით გადაფრინდა. სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა კი არა, ყველანაირად გაუვიდა ყავლი. ის უკვე ნერვებს უშლის საზოგადოებას და ხალხი ამიტომ გამოხატავს პროტესტს. მის ესკორტს ამიტომაც მიასხეს წყალი და კვერცხები ესროლეს. სააკაშვილს სამეგრელოში კუბოც დავუდგით და უკვე ცოცხლად დავმარხეთ.

„სააკაშვილს იმდენად შეეშინდა ნარაზენში 100 კაცის პროტესტისა, რომ თბილისში შვეულმფრენით გადაფრინდა“

მიუხედავად იმ ტერორისა, რაც სამეგრელოში სუფევდა კოდუების, ახალაიების, ლომაიების, გოროზიების და ქობალიების წყალობით, ხალხს აღარ ეშინია.

დღეს მთელი სამეგრელოს მოსახლეობა ბოთლიდან ამოსული ჯინივით არის და თავის ემოციას გამოხატავს. ამას ხელი არავინ უნდა შეუშალოს და ბუნებრივად დაწყნარდება ყველაფერი. ნარაზენი კახა ლომაიას მშობლიური სოფელია და სიმბოლურია, რომ სააკაშვილი სწორედ ამ სოფლიდან გაიქცა.

მარი ზანდუკელი

„რაც უნდა იგნორირება გაუკეთო, ფაქტი ფაქტად რჩება“

ოლდოს ჰაქსლი

მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...

ასტეროიდი და ჩიორა

მთელ მსოფლიოს ასტეროიდმა შაბათს, გამთენიისას ჩაუარა, ჩვენ კი მხოლოდ ოქტომბერში ჩაგვივლის. ახლა საკითხავია, ეს ისევე მშვიდობიანად მოხდება, როგორც შაბათს გამთენიისას, თუ ისეთივე ცუდი შედეგი ექნება, როგორიც მანამდე რუსეთის თავზე მოსულ მეტეორიტების წვიმას. საერთოდ, ასტეროიდის ტრაექტორიის განსაზღვრა შესაძლებელია და მეცნიერებმაც ზუსტად იცოდნენ, რომ ის დედამიწას ზიანს არ მოუტანდა. აი, ჩვენი ასტეროიდი კი ისეთი არაპროგნოზირებადია, რომ წვიმად მოგვევლინება, ქარიშხლად თუ მიწისძვრად, არავინ იცის. მე ჯერ არ ვკარგავ იმედს, რომ ასტეროიდი, სახელად მიხეილ სააკაშვილი, მაინც მშვიდობიანად ამჯობინებს ჩავლას. ეს იმედი წინა კვირას მისმა და „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ინიციატივამ გამიჩინა, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების დაგეგმილზე ადრე ამოქმედებას და პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვას ეხება. დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ისინი იმაზე მეტზე არიან თანახმა, ვიდრე ჩვენ ვითხოვდითო. ამის გამგონემ გავიფიქრე, მგონი, „ნაციონალები“ უკვე ხვდებიან, რომ აგრესიული ტაქტიკით მხოლოდ საკუთარ თავს ვნებენმეთქი, თუმცა ბოლოს მათ გულწრფელობაში ეჭვი მაინც შემეპარა. უპირველესად იმიტომ, რომ ისინი იშვიათად დგამენ ნაბიჯს, რომელიც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ ისინი საერთაშორისო ასპარეზზე ისევ ცდილობენ, თავი მსხვერპლად წარმოადგინონ, ახალი ხელისუფლება კი — მოძალადედ. ჯერ შუა კვირაში „ევროპის სახალხო პარტიამ“ გააკეთა განცხადება, მერე, კვირის ბოლოს, სულაც ამერიკელი კონგრესმენების განცხადება გამოქვეყნდა. ორივე შემთხვევაში საქართველოში მიმდინარე მოვლენები ისე იყო წარმოდგენილი, როგორ ინტერპრეტაციასაც მათ „ნაციონალური მოძრაობა“ უკეთებს. კიდევ კარგი, იმ ამერიკულმა გაზეთმა, რომელმაც კონგრესმენების მიმართვა გამოაქვეყნა, სტატიის ბოლოს მიაწერა: „სააკაშვილის მთავრობამ დაიქირავა ლობისტები თავისი, როგორც საქართველოს წამყვანი ოპოზიციური პარტიის, ინტერესების წარმოსაჩენად აშშ-ის კონგრესისა და ობამას ადმინისტრაციის წინაშე“. კიდევ კარგი, ეს დაწერეს, თორემ „ნაციონალები“ ისევ გულუბრყვილო სახით დაგვიწყებდნენ მტკიცებას: „თქვენ გგონიათ, იმდენი ძალა გვაქვს, რომ მთელ მსოფლიოს ვატყუებთ?“

მათი სურვილი — მსოფლიოს თავი მსხვერპლად წარუდგინონ — იქამდე მივიდა, რომ საქართველოში ჩამოსულ ევროპარლამენტარს ჩიორა თაქთაქიშვილი ლოგინში ჩაწოლილი დაახვედრეს. არადა, ქალბატონი

ჩიორას დაშავებიდან რამდენიმე დღე იყო გასული და პირველ ხანებში მას სალოგინე არაფერი ეტყობოდა, უფრო მეტიც — ეს-აუბრებოდა ჟურნალისტებს, თამამად აცხადებდა, რომ „ნაციონალებს“ ვერ შეაშინებენ, დაესწრო პრეზიდენტის გამოსვლას... მართალია, როგორც ამიხსნეს, თეორიულად არსებობს შესაძლებლობა, რომ მას მოგვიანებით დაუდგინდა ტვინის შერყევა, მაგრამ როგორიც უნდა იყოს თავად ფაქტი, როგორ მიიყვანეს ლოგინში ჩაწოლილ პარლამენტართან ევროპარლამენტარი, უკვე მეტყველებს „ნაციონალების“ ბუნებაზე, რომ ისინი ვერასოდეს გადაეჩვევიან „პიარშჩიკობას“.

სწორედ ამიტომ, ყველაფერს, რასაც ისინი აკეთებენ, ეჭვის თვალით ვუყურებ. დარწმუნებული ვარ, ასე მოიქცევა ახალი ხელისუფლებაც, თუმცა ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ იმით, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას ეხვეწება, ხელოვნურად ანიჭებს „ნაციონალურ მოძრაობას“ იმაზე მეტ მნიშვნელობას, ვიდრე მას დღეს აქვს ქართულ პოლიტიკაში, და რატომ აკეთებს ამას მმართველი გუნდი, ვერ მივხვდი. იმისთვის, რომ ასტეროიდმა მშვიდად ჩაგვიაროს? ვითომ ეს უშველის? რა გითხრათ... კო(ჰ)აბიტაცია ფრანგული სიტყვაა და იმედი მაქვს, ქართულად „ხალხის ზურგს უკან გარიგებას“ არ ნიშნავს.

P.S. კვირის ბოლოს სოციალური ქსელით გავრცელდა ირაკლი კაკაბაძის ინფორმაცია: „სააკაშვილის ლობისტები ამერიკის შეერთებულ შტატებში აპირებენ, უახლოეს დღეებში კონგრესს მიაღებინონ გადაწყვეტილება საქართველოს ბლოკადის შესახებ, რათა საქართველოს შეუწყდეს საერთაშორისო დახმარება.“ არ ვიცი, მართალია თუ არა ეს, მაგრამ ჩვენი ასტეროიდისგან პირადად მე აღარაფერი გამიკვირდება. ვფიქრობ, უპირველესად ის უნდა გავარკვიოთ, „ნაციონალურ მოძრაობას“ დღესაც საიდან აქვს ლობისტების დასაქირავებელი ფული.

კიდევ ერთხელ: არა ძალადობას!

სერგო რატიანს, ალბათ, ბავშვობაში არ უჩხუბია ამდენი, რაც პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ჩხუბობს. ჯერ ბიბლიოთეკასთან იქნია მუშტები, შემდეგ — „მაესტროს“ ეთერში. არა მგონია, ახლა მტყუან-მართლის გარკვევა მნიშვნელოვანი იყოს, მხოლოდ ერთს ვიტყვი: მართალია, კობა დავითაშვილს აღშფოთების და გაღიზიანების სერიოზული საფუძველი ჰქონდა (რთულია, როდესაც გეუბნებიან, რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასიკვდილოდ გაგიმეტეს, წარსულზე ნუ ვისაუბრებთო), მაგრამ მას სერგო რატიანი ისეთი სიტყვებით მაინც არ უნდა გაელანძღა, როგორითაც გალანძღა. რატიანსაც მეტი მოთმინება უნდა გამოეჩინა და წამყვანის წინ ჭიქა არ უნდა დაეფშვნა. მოკლედ, იმ დღეს ვერც სერგო და ვერც კობა კარგად ვერ წარმოჩნდნენ... ისე, „სერგო და კობა“ რა ისტორიულად და საბედისწეროდ ჟღერს!.. რატიანმა საზოგადოებას მაინც მოუხადა ბოდიში, დავითაშვილმა ესეც არ გააკეთა. შეიძლება „ნაცებთან“ საბოდიშო მას არაფერი აქვს, მაგრამ ასეთი საქციელის შემდეგ პოლიტიკოსი მაყურებელს კი უნდა უხდიდეს ბოდიშს. თუმცა მთავარი პრობლემა საზოგადოებაში დაგროვილი აგრესიაა. 8 თებერვალმაც და „მაესტროს“ სტუდიაში მომხდარმა ამბავმაც აჩვენა: მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები დიდი ხნის წინ დამთავრდა, პოლიტიკური ტემპერატურა ისევ მაღალია. რა არის ამის მიზეზი? ვფიქრობ, ის, რომ არჩევნების შემდეგ ყველგან ირკვევა, ვინ არის ხელისუფლებაში და ვინ წავიდა. 1-ლი ოქტომბრის შემდეგ კი, ფაქტობრივად, ორივე ძალა ხელისუფლებაშია, ამიტომ, ვნებებიც ისევ დუღს. ამის გარდა, „ნაციონალები“ აგრესიულად მოქმედებენ და გაღიზიანებულ ხალხს კიდევ უფრო აღიზიანებენ. ამიტომ, რადგან დღეს ხელისუფლება მაინც „ოცნებას“ ჰქვია, ინიციატივა ხელში მან უნდა აიღოს, არც თავად უნდა აჰყვეს პროვოკაციებს და არც მოსახლეობას მისცეს ძალადობის საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ რამე მოხდა, პასუხისმგებლობა სწორედ ხელისუფლებას, ანუ „ოცნებას“ დაეკისრება.

„პროკრედიტ ბანკმა“ ახალი სათავო ოფისი გახსნა და გასული წლის წარმატებები შეაჯამა

თბილისელები აუცილებლად შენიშნავდნენ ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე, №21-ში აღმართულ ახალ შენობას, რომელიც პირველ რიგში თვალს თავისი გრანდიოზულობით და თანამედროვე დიზაინით იპყრობს. ეს „პროკრედიტ ბანკის“ ახალი სათავო ოფისია და როგორც ბანკის მესვეურები აღნიშნავენ, დასტურია იმისა, რომ „პროკრედიტ ბანკ საქართველოს“ ადგილობრივ ბაზართან დაკავშირებით შორსმიმავალი გეგმები აქვს. ამბობენ: ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობსო, ამიტომ გირჩევთ თავად ესტუმროთ ბანკის ახალ სათავო ოფისს. აქვე გეტყვით, რომ თანამედროვე დიზაინით შექმნილი შენობა 12 000 კვ.მ. ფართობს მოიცავს, აქვს მიწისქვეშა ავტოსადგომი, კაფეტერია, პარკი... შენობის პირველ ორ სართულზე ცენტრალური ფილიალი მდებარეობს, რომელიც სერვისპუნქტსა და ბიზნესცენტრს მოიცავს, შემდეგი ოთხი სართული სათავო ოფისის განყოფილებებს ეთმობა, ხოლო მეშვიდე სართულზე სასწავლო ცენტრი და ტერასაა.

ჩვენ კი, ჟურნალისტებს, ბანკის წარმომადგენლებმა შენობის პირველ სართულზე, საკონფერენციო დარბაზში გვიმასპინძლეს, სადაც ბანკის ახალი სათავო ოფისის კონცეფცია გაგვაცნეს და „პროკრედიტ ბანკის“ მიერ გაწეული სამუშაოს შედეგები შეაჯამეს.

საშა ტერნესი, *„პროკრედიტ ბანკ საქართველოს“ გენერალური დირექტორი:* „ჩვენი ბანკი კვლავაც მესამე ადგილზეა მოცულობის თვალსაზრისით ადგილობრივ საბანკო სექტორში. გვაქვს 58 ფილიალი მთელი ქვეყნის მასშტაბით და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ გვაქვს ქვეყანაში ყველაზე საუკეთესო საბანკო რეიტინგი. რაც შეეხება ახალ სათავო ოფისს, მინდა აღვნიშნო, რომ შვიდსართულიანი შენობის ატრიუმი და მინის სახურავი კლიენტებისა და თანამშრომლებისათვის სასიამოვნო გარემოს ქმნის და მთლიან სივრცეს ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას. იზოლაციის თანამედროვე ტექნოლოგიის საშუალებით კი თბოდანაკარგი მინიმუმამდეა დაყვანილი.

როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ფინანსური ინსტიტუტი, „პროკრედიტ ბანკი“ გარემოზე ზრუნვას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. მშენებლობისას ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური მასალები გამოვიყენეთ, რაც, შედარებით მეტ ინვესტიციას საჭიროებს, თუმცა ენერგორესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა და ამცირებს გარემოზე მავნე ზეგავლენას. ამავე მიზეზით, შენობა მიწის მცირე ნაკვეთზეა განთავსებული. შენარჩუნებულია პარკში არსებული ხეები და სხვადასხვა ჯიშის ნარგავები, რაც ხელს უწყობს ეკოლოგიური გარემო პირობების გაუმჯობესებას.

რაც შეეხება ჩვენი ბანკის მიერ გასული წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებს, მინდა აღვნიშნო, რომ გამარტივდა და დაიხვეწა ბევრი პროცედურა, ფილიალები ახალი კონცეფციის — „საბანკო მომსახურება ერთ წერტილში“ მიხედვით განახლდა და კლიენტების მომსახურება უფრო მოკლე დროში გახდა შესაძლებელი. გარდა ამისა, განახლდა 3 ფილიალი, მათგან ორი თბილისში და ერთიც გორში. „პროკრედიტ ბანკის“ მარნეულის ფილიალი ახალაშენებულ, საკუთარ შენობაში გადავიდა და ავლაბარში კიდევ ერთი ახალი სერვისპუნქტი გაიხსნა. ბანკის ახალი სტრატეგიის თანახმად, 2013 წელს დაგეგმილია დარჩენილი 36 ფილიალის განახლება, რაც დაახლოებით 7 მილიონი დოლარის ინვესტიციას საჭიროებს.

2012 წლის აგვისტოდან „პროკრედიტ ბანკმა“ დანერგა ახალი სერვისი — ეკო სესხი, რომელიც ენერგოეფექტური მასალების შეძენასა და წარმოებას აფინანსებს. აღნიშნული სერვისი პროცედურების სიმარტივით, მიმზიდველი და შეღავათიანი პირობებით გამოირჩევა. ეკო სესხის მიზნობრივი გამოყენება არა მარტო ამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას, არამედ ხელსაყრელია კლიენტებისათვის, რადგან მომხმარებელს საშუალება აქვს ეფექტურად მოიხმაროს ენერგორესურსები და დაზოგოს თანხა.

აქვე გეტყვით, რომ გასული წლის განმავლობაში, „პროკრედიტ ბანკმა“ 89 თანამშრომელი დაასაქმა, საიდანაც 56 „ახალგაზრდა ბანკირების პროგრამის“ საშუალებით შეირჩა. 2011 წლიდან „პროკრედიტ ჯგუფმა“ შეიმუშავა კადრების შერჩევის ახალი მეთოდი — „ახალგაზრდა ბანკირების პროგრამა“, რომელიც პროფესიული განვითარების უნიკალური საშუალებაა. პროგრამის ექვსთვიანი კურსის დასრულებისთანავე, გამორჩეულ კანდიდატებს, მათი უნარ-ჩვევებისა და ინტერესების გათვალისწინებით, „პროკრედიტ ბანკში“ დასაქმების შესაძლებლობა ეძლევათ“.

პეტერ სლავოვი, *„პროკრედიტ ბანკ საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:* „ფინანსური თვალსაზრისით 2012 წელი „პროკრედიტ ბანკი საქართველოსთვის“ მორიგი წარმატებული წელიწადი იყო. ბანკმა შეინარჩუნა მტკიცე საბაზრო პოზიცია და კვლავაც განაგრძობდა საიმედო და სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი საბანკო მომსახურების გაწევას ბიზნესკლიენტებისა და ფიზიკური პირებისათვის. 2012 წელს ბანკის მთლიანმა აქტივებმა 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც წლის განმავლობაში 8,3%-იან ზრდას ნიშნავს. ბანკის მთლიანი საკრედიტო პორტფელი 7-%-ით გაიზარდა და 728 მლნ ლარი შეადგინა, რაც ბიზნესკლიენტების დაფინანსების აქტიური ზრდით იყო გამოწვეული. ამასთანავე, ვადაგადაცილებული სესხების წილი პორტფელში მხოლოდ 2.1% იყო. შედარებისთვის, საბანკო სექტორის საშუალო მაჩვენებელი 5.6%-ია. კლიენტთა მთლიანი სახსრები 4%-ით გაიზარდა და 525 მლნ ლარი შეადგინა. 2012 წლის ბოლო კვარტალში შემნახველი ანაბრის პირობების გაუმჯობესებამ ფიზიკური პირების დაინტერესება მნიშვნელოვნად გაზარდა. ბანკის კაპიტალი 10.4 %-ით გაიზარდა და 145.3 მლნ ლარი შეადგინა. მთელი წლის განმავლობაში ბანკის ლიკვიდური აქტივების მარაგი საკმაოდ მყარი და კონსერვატიული იყო, შესაბამისად, საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი გაუმჯობესდა და ეროვნული ბანკის სტანდატების მიხედვით, წლის ბოლოს 38.9% შეადგინა. ბანკის წმინდა მოგებამ 22 მლნ ლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით მეტია. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია ხარჯების ეფექტური მართვით, წმინდა საპროცენტო და საკომისიო შემოსავლების ზრდით“.

ანია ლეპი, *„პროკრედიტ ბანკ საქართველოს“ და „პროკრედიტ ჰოლდინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი:* „მინდა ჩვენს გუნდს საქართველოში მივულოცო ახალი სათავო ოფისის მშენებლობის დასრულება, რომელიც, „პროკრედიტ ჯგუფის“ მასშტაბით, ერთ-ერთი მშვენიერი შენობაა. ასევე, მოხარული ვარ ბანკის 2012 წლის ფინანსური შედეგებით, რომელიც არა მხოლოდ ბანკის ისტორიაში, არამედ საქართველოს საბანკო სექტორში საუკეთესო მაჩვენებელია. „პროკრედიტ ჰოლდინგი“, საბანკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, კვლავ განაგრძობს საქართველოში მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებას.“

R

NATO-ს სტანდარტის ტუალეტებიც მითი ყოფილა?!

გასულ კვირას თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გაერთიანებული შტატების უფროსის მოადგილესთან, პოლკოვნიკ ლადო ჩაჩიბაიასთან ერთად სენაკსა და ქუთაისში ქართული არმიის ორი სამხედრო ბაზა მოინახულა.

ამის შემდეგ თავად თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ფოტო და ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს სენაკის მე-2 და ქუთაისის მე-3 ქვეითი ბრიგადების ინფრასტრუქტურის არცთუ სახარბიელო სახე.

წინა ხელისუფლება და მისი თავდაცვის მინისტრები იმით ამაყობდნენ, რომ ყაზარმებში „NATO-ს სტანდარტის ტუალეტები“ მოაწყვეს, თუმცა ასეთი სტანდარტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, ბუნებრივია, არასოდეს ჰქონია, რადგან გამართულად მომუშავე და სუფთა პირსაბანი და ტუალეტი 21-ე საუკუნეში გასაკვირი არ უნდა იყოს, თუნდაც ყაზარმაში.

ასე გამოიყურება პირსაბანი სამხედრო ბაზის ყაზარმაში

იმ ფოტო და ვიდეოკადრებში, რომლებიც თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა, კარგად ჩანს მწყობრიდან გამოსული და გაპარტახებული ტუალეტები და პირსაბანები. თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ბოლო წლებში სამხედრო უწყებისთვის დაახლოებით 5,5 მლრდ ლარი დაიხარჯა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ჯარს და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას არ მოხმარდა, რადგან ეს ხარჯი არ იყო გამჭვირვალე და არ არსებობდა მისი კონტროლის მექანიზმი.

საინტერესოა, რომ თავდაცვის მინისტრის მიერ სენაკისა და ქუთაისის ქვეითი ბრიგადების ინსპექტირებას წინ უსწრებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის გიორგი კერესელიძის დაპატიმრება.

სწორედ ლოგისტიკის სარდლობის საქმეა სამხედრო ბაზებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, თუმცა კერესელიძეს პროკურატურა ბრალს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და დაზარალებულთა პირადი ღირსების შეურაცხყოფაში სდებდა.

არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ლოგისტიკის სარდალმა საწვავის ქურდობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე მძღოლი ორმოში ჩაყარა, დიზელის საწვავი გადაასხა და ცეცხლის წაკიდებით ემუქრებოდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და გიორგი კერესელიძე სასამართლო სხდომის დარბაზიდან 13 თებერვალს გაათავისუფლა.

ფხენიანი ისევ აფეთქებს...

ჩრდილო კორეამ მესამე მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება განახორციელა, თუმცა მაინც საეჭვოა, აქვს თუ არა ფხენიანს ბირთვული იარაღი...

12 თებერვალს ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე ზემგრძნობიარე ხელსაწყოებმა დააფიქსირა 4,9 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები, რომელთა ეპიცენტრი ჩრდილო კორეაში, ბირთვული პოლიგონის რაიონში იყო.

იმავდროულად, ფხენიანმა ოფიციალური განცხადება გაავრცელა მესამე მიწისქვეშა ბირთული გამოცდის ჩატარების შესახებ.

პირველი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება ჩრდილო კორეამ 2006 წლის 9 ოქტომბერს, მეორე კი 2009 წლის 25 მაისს განახორციელა. თუმცა სპეციალისტებს დღემდე ეეჭვებათ, რომ ფხენიანმა მსოფლიოს პირველ ბირთვულ გამოცდად მიწის ქვეშ რამდენიმე ასეული ტონა ტროტილის აფეთქება „შეაპარა“, რათა დასავლეთი დაეშინებინა.

ასეთივე ეჭვი გაუჩნდათ ექსპერტებს ბოლო გამოცდის შემდეგაც, რადგან მიწისქვეშა აფეთქების შემდეგ ატმოსფეროში არ გამოჟონა აირებმა, რომელთა ანალიზით დადგინდებოდა, მართლაც იყო თუ არა ეს ბირთვული გამოცდა.

ასეა თუ ისე, ჩრდილო კორეა უკვე შეიძლება „ბირთვული კლუბის“ მე-9 წევრად ჩაიწეროს აშშ-ის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთის, ინდოეთისა და პაკისტანის შემდეგ. ისრაელი, როგორც წესი, არც ადასტურებს და არც უარყოფს ბირთვული იარაღის ქონას, მაგრამ სავარაუდოდ, მის განკარგულებაში ორასამდე ბირთვული ქობინი მაინც უნდა იყოს.

ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის ქონა ნახევარი საქმეა, რადგან ის ისეთი კომპაქტური გაბარიტების და მცირე წონის უნდა იყოს, რომ ბომბდამშენით ან რაკეტით შეიძლებოდეს მისი გადასროლა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე.

ჩრდილო კორეის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია უაღრესად მოძველებული, 60 წლის წინ გამოშვებული Ил-28 ტიპის სამ ათეულამდე ბომბდამშენი, რომელთა საბრძოლო გამოყენება და მით უმეტეს, მათ მიერ ბირთვული ბომბის გადატანა ძნელად წარმოსადგენია.

ფხენიანის განკარგულებაშია შედარებით თანამედროვე Су-25 ტიპის სამ ათეულზე მეტი მოიერიშე თვითმფრინავი, რომლებიც საბჭოთა პერიოდში თბილისის საავიაციო ქარხანაში ააწყვეს. თუმცა ამ მოიერიშეების საბრძოლო მოქმედების მცირე რადიუსის გამო ისინი მხოლოდ სამხრეთ კორეას თუ დაუპირისპირდებიან.

გაცილებით უკეთესია ფხენიანის სარაკეტო შეიარაღება. მის განკარგულებაშია ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც საბჭოთა „ტოჩკასა“ და „სკადის“ ბაზაზეა შექმნილი. რაც მთავარია, ჩრდილოკორეელებმა სულ ახლახან, გასული წლის 12 დეკემბერს, შეძლეს გაეშვათ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამგზავრის დედამიწის ორბიტაზე გამყვან რაკეტა-მატარებელს შეეძლება ისიც, რასაც ასე უფრთხიან თეთრ სახლში, კერძოდ, რამდენიმე ასეული კგ მასის ბირთვული ქობინის გადატანა ჩრდილო კორეიდან ჩრდილო ამერიკის კონტინენტამდე.

ჩრდილო კორეის წინააღმდეგ სახმელეთო ოპერაციის ჩატარება ამერიკელებს ვერაფერს მისცემს; ეს მათ ერთხელ უკვე იწვნიეს 1950-იანი წლების დასაწყისში. წერტილოვანი საჰაერო დარტყმებით შეიძლება ფხენიანის ბირთვული და სარაკეტო პროგრამების შეფერხება, მაგრამ არა — მთლიანად განადგურება, რადგან მთელი ინფრასტრუქტურა ღრმადაა განთავსებული მიწის ქვეშ და კარგადაა დაცული. ამერიკული საჰაერო დარტყმების საპასუხოდ ფხენიანი საარტილერიო და სარაკეტო ცეცხლს გაუხსნის სამხრეთ კორეას, რაც დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ერთადერთ ლოგიკურ ქმედებად ლოდინი და ეფექტური ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის სამხრეთ კორეასა და იაპონიაში შექმნა რჩება...

დაუპატიჟებელი კოსმოსური სტუმარი

NASA-ს ინფორმაციით, ურალის თავზე 15 მ-იანი ბოლიდი 64.000 კმ/სთ სიჩქარით შეიჭრა და 19-24 კმ სიმაღლეზე 300-500 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტური სიმძლავრით აფეთქდა. ბოლიდის თეთრი შლეიფი 480 კმ-ზე იყო გადაჭიმული

ვისაც ცნობილი ამერიკული მძაფრსიუჟეტიანი, ნახევრად ფანტასტიკური ბლოკბასტერი „არმაგედონი“ უნახავს, ის ადვილად წარმოიდგენს, რა მოხდა 15 თებერვლის დილას რუსეთის შუაგულში, ურალში, ქ. ჩელიაბინსკის სიახლოვეს.

ავტომანქანების ვიდეორეგისტრატორებმა და ქუჩებში დაყენებულმა ვიდეოკამერებმა კარგად დააფიქსირა, თუ როგორ შემოიჭრა დედამიწის ატმოსფეროში უზარმაზარი სიჩქარით (15-20კმ/წმ) მფრენი სხეული, რომელიც უკან თეთრ მსხვილ კვალს ტოვებდა. მიწასთან მოახლოებამდე, ატმოსფეროს გადალახვისას ის სამჯერ აფეთქდა და მრავალ წვრილ ნატეხად დაიშალა.

აფეთქებების ტალღამ დასახლებულ პუნქტებში რამდენიმე შენობა დაანგრია, შუშები ჩაამსხვრია, რაც 1 200 ადამიანის დაზიანების მიზეზი გახდა.

რა ჩამოვარდა ჩელიაბინსკთან?

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მტკიცებით, ეს იყო არა მეტეორიტების წვიმა, არამედ შედარებით დიდი მეტეორიტი-ბოლიდი, რომელიც დედამიწის ატმოსფეროში დიდი სიჩქარით შემოჭრის გამო აფეთქდა და ნაწილებად დაიშალა.

პირველადი ინფორმაციის თანახმად, ადგილობრივი სატანკო ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს ექვსი მეტრი დიამეტრის ღრმული, რომელიც სავარაუდოდ, დაუპატიჟებელი ციური სხეულის ერთ-ერთმა ნამსხვრევმა დატოვა.

საგულისხმოა, რომ ურალის თავზე აფეთქებულმა ბოლიდმა თითქმის ერთი დღით დაასწრო მართლაც რომ ისტორიულ მომენტს — დედამიწის სიახლოვეს ასტეროიდ 2012 DA14-ის ჩაფრენას.

ეს პირველი ამ ზომის ასტეროიდი იყო, რომელმაც დედამიწას მას შემდეგ ჩაუფრინა, რაც კოსმოსურ ობიექტებზე აქტიური დაკვირვება დაიწყო.

ასტეროიდმა დედამიწას სულ რაღაც 27,7 ათას კმ-ზე ჩაუფრინა, რაც 14-ჯერ უფრო ახლოა, ვიდრე მანძილი მთვარემდე. უფრო მეტიც — ასტეროიდმა 7,8კმ/წმ სიჩქარით გაიფრინა დედამიწასა და იმ ორბიტას შორის, რომელზეც საერთაშორისო კოსმოსური სადგური და იქ მყოფი კოსმონავტები მოძრაობენ. აშშ-ის ეროვნული კოსმოსური სააგენტოს, NASA-ს ინფორმაციით, ამ ზომის ასტეროიდები ჩვენი პლანეტის სიახლოვეს საშუალოდ 40 წელიწადში ერთხელ ჩაიფრენს, ხოლო დედამიწაზე საშუალოდ ათასი წლის ინტერვალით ეცემა.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

ვის შეეძლო მოეკლა ქართველი მილიარდერი

„ჩვენ იმიტომ კი არ გიხდით, რომ რაიმე სასარგებლოს აკეთებთ, არამედ იმისთვის, რომ რაიმე საზიანო არ გააკეთოთ“

„ის (ბადრი პატარკაციშვილი. — ავტ.) ერთგვარი გრაფი ფოსკაა, რომანიდან „ქალი თეთრებში“. წიგნში ვერ გაიგებთ რამე მნიშვნელოვანს გრაფის შესახებ — რას ფიქრობს, როგორ გაიცნო მადამ ფოსკა. მაგრამ ამ ფიგურის გარეშე რომანი ვერ შედგებოდა. ასეა ბადრისთანაც. მის გარეშე ცხოვრება სხვანაირი ხდება, ის სწორედაც ავსებს ყველაფერს.“

ჟურნალისტი სერგეი დორენკო, 2002 წ.

„ჩვენ იმიტომ კი არ გიხდით, რომ რაიმე სასარგებლოს აკეთებთ, არამედ იმისთვის, რომ რაიმე საზიანო არ გააკეთოთ.“

ბადრი პატარკაციშვილი, 1996 წ. (შეხვედრა OPT-ს თანამშრომლებთან)

„1994 წელს „სიბნეფტის“ იდეა გამიჩნდა. იმ დროის რუსეთში მისი განხორციელება, პოლიტიკური კავშირების მქონე პირების დაუხმარებლად, შეუძლებელი გახლდათ. გარდა ამისა, აუცილებელი იყო „ფიზიკური“ დაცვაც, რადგან ყველა, ვისაც ხელი მიუწვდებოდა დიდი ფულის მომტან საწარმოებზე, ორგანიზებული დანაშაულის წნეხის ქვეშ იტანჯებოდა, „სიბნეფტის“ შექმნისას ბერეზოვსკიმ ჩემი პოლიტიკური მხარდაჭერა უზრუნველყო, ხოლო ბატონმა პატარკაციშვილმა კი — „ფიზიკური“ დაცვა, როცა დამცველი თქვენი ბიზნესის დასაცავად ყველა მომსახურებას უზრუნველყოფს, ის დარწმუნებულია, რომ გადაუხდით, როდესაც მოგთხოვთ და რამდენსაც მოგთხოვთ.“

რომან აბრამოვიჩი, ლონდონის სასამართლო, 2011 წ.



„მე მაქვს ინფორმაცია, რომ 4 კაცი ჩამოვიდა საქართველოდან ლონდონში. გამფრთხილეს — შენს წინააღმდეგ რაღაცას მოიმოქმედებენო. 120 კაცი მიცავს, მაგრამ თავს დაუცველად ვგრძნობ, ამიტომაც არსად დავდივარ, მით უმეტეს, საქართველოში.“

ბადრი პატარკაციშვილი, „სანდეი თაიმსი“, 2007 წლის დეკემბერი

2008 წლის 13 თებერვალს სურეის საგრაფოს ქალაქ ლაზერჰედის (ლონდონის მახლობლად) პოლიციის განყოფილებას შეატყობინეს, რომ ქალაქის ფეშენებელურ უბანში, საკუთარ ვილაში გარდაიცვალა ქართველი მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციის მობილურ ჯგუფს გარდაცვლილის ოჯახის წევრებთან ერთად ექიმების ბრიგადაც დახვდათ, რომლებმაც, სამწუხაროდ, პატარკაციშვილის გადარჩენა ვერ მოახერხეს. დაასკვნეს, რომ სიკვდილის მიზეზი გულის მწვავე შეტევა უნდა გამხდარიყო; თუმცა ადგილობრივმა პოლიციამ ეს ფაქტი სარწმუნოდ არ მიიჩნია, ამიტომ ცხედრის პროზექტურაში გადასვენების შემდეგ, ვილაში რადიოაქტიური ნივთიერების კვალს სპეციალისტების ჯგუფი დაეძებდა.

13 თებერვალს ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილის ამბავი საქართველოში მეხის გავარდნას ჰგავდა. გულის შეტევით მისი გარდაცვალება იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ ერი თუ ბერი მის მკვლელობაზე ალაპარაკდა, ამის საფუძველს იძლეოდა „სანდი თაიმსთან“ პატარკაციშვილის ბოლო ინტერვიუც, რომელშიც ამბობდა, რომ იგეგმებოდა მისი შესაძლო ლიკვიდაცია. ქართველი მილიარდერის გარდაცვალებაზე კარგა ხანს მსჯელობდნენ. ქართული მედია, პოლიტიკურ წრეებზე დაყრდნობით, ბადრის გარდაცვალებაში საეჭვო ინფორმაციას ადანაშაულებდა, რუსული მედია — ბორის ბერეზოვსკის. ინგლისში კი ელოდებოდნენ პათანატომების დასკვნას, რომელიც სპეციალურად აღჭურვილ ლაბორატორიაში ტარდებოდა (შიშობდნენ, რომ პატარკაციშვილი მოწამლული იყო, ამიტომ სპეციალისტებს, რისკის ასაცილებლად, სკაფანდრები ეცვათ).

ბადრი (არკადი) პატარკაციშვილი 1955 წელს დაიბადა თბილისში. 90-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში გადავიდა. როგორც მაშინ ამბობდნენ, პატარკაციშვილის რუსეთის დედაქალაქში, ხოლო შემდეგ კონცერნ ВАЗ-ში გამოჩენა ოთარ კვანტრიშვილის დამსახურება იყო, სწორედ აქ, „ჟიგულის“ საამქროში, ბადრიმ გაიცნო მომავალი მეგობარი და ბიზნესპარტნიორი (თუ ჭორებს ვირწმუნებთ, მოგვიანებით მისივე მკვლელობის შემკვეთი) ბორის ბერეზოვსკი, რომელიც ქარხნის ხელმძღვანელობასთან ერთად საწარმოში რეფორმებს გეგმავდა. ცოტა ხანში შეიქმნა ცნობილი ЛОГОВАЗ-ი („ლოგოვაზი“ სახელმწიფო ფასში ნაყიდ მანქანებს ბაზარზე სარფიანად ყიდდა). თუმცა ბერეზოვსკი-პატარკაციშვილის მზერა სულ სხვა მხარეს — ტელეკომპანია „ოსტანკინოსკენ“ იყო მიპყრობილი. ტელეარხი რეკლამიდან მილიონობით დოლარს იღებდა. როგორც ამბობდნენ, ეს იყო „ოქროს წვიმა, რომლისთვისაც ჯამი უნდა შეგეშვირა და აქეთ-იქით გერბინა“. ამ მსუყე ლუკმის ხელში ჩასაგდებად უამრავი პოლიტიკური თუ კრიმინალური დაჯგუფება იბრძოდა, თუმცა, მხოლოდ ბორის ბერეზოვსკის გაუმართლა და ოსტანკინოს ბაზარზე შეიქმნა ახალი არხი, OPT, რომლის ფინანსურ დირექტორად ბადრი პატარკაციშვილი დაინიშნა.

1994 წლის 1-ელ მარტს საბედისწერო გასროლამ მოსკოვში, ბადრი პატარკაციშვილის სახელი სამუდამოდ „დაუკავშირა“ კრიმინალურ წრეებს. ამ დღეს საკუთარი სახლის სადარბაზოსთან მოკლეს OPT-ს გენერალური დირექტორი ვლადისლავ ლისტევი. მკვლელობის მიზეზი ჟურნალისტის ახალი სარეკლამო პოლიტიკა იყო, რომელიც ნამდვილად არ შედიოდა ბერეზოვსკის ინტერესებში. მიუხედავად იმისა, რომ ბადრისთვის ამ საქმეში ბრალი არ წაუყენებიათ, მილიარდერს მოწინააღმდეგეები წლების განმავლობაში ორაზროვნად უხსენებდნენ ჟურნალისტის მკვლელობას.

1995 წელს ბადრი პატარკაციშვილი ახალი პოპულარული ტელეარხის, ТВ-6-ის გენერალური დირექტორი გახდა (ამ არხის მფლობელიც ბერეზოვსკი იყო). როგორც ამბობენ, იმ დროისთვის პატარკაციშვილი ერთ-ერთ გავლენიან პირად ითვლებოდა არა მარტო ბიზნესის, არამედ კრიმინალურ წრეებში, მისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბევრი ბიზნესმენი იბრძოდა, მათ შორის რომან აბრამოვიჩიც.

„ბადრი და ბერეზოვსკი რომ არა, „სიბნეფტი“ (ახლანდელი გაზპრომნეფტი. — ავტ.) არ იქნებოდა. მეტიც, 1999 წელს რუსეთის ალუმინის აქტივების შეძენაც სწორედ იმიტომ გადავწყვიტე, რომ ბადრისგან „ფიზიკური“ დაცვის გარანტია მქონდა, ალუმინის ბიზნესი ხომ ყველაზე სისხლიან ბიზნესად ითვლება რუსეთში და დიდხანს არავის ახარებენ, ვინაიდან ალუმინის აქტივები ძირითადად კრასნოიარსკის მხარეში იყო, ბადრი ხშირად ჩადიოდა იქ. მე კი ამ ბიზნესში რომ შევედი, ყველაფერი დალაგებული და უსაფრთხო დამხვდა. ძალიან მიკვირს — რა ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა ბატონ პატარკაციშვილს, რომ დაეყოლიებინა კრიმინალური სამყარო, დაეთმო ალუმინი, რომელიც მათ 10 წელი აჭმევდათ. ყველამ იცოდა, რომ ორგანიზებული დანაშაული კრემლსაც კი არ დაუთმობდა ამ აქტივებს. დახმარებისთვის ბადრის და ბორიას მე 1,3 მილიარდი დოლარი გადავუხადე. ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილება იყო. თან ეს ისე უნდა გამეკეთებინა, რომ არ გამეფუჭებინა ურთიერთობა ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილთან. მე ამ ჟესტით ერთგვარად თავისუფლებასაც ვყიდულობდი. რა თქმა უნდა, არ ვნანობ, რომ გადავიხადე — ისინი ბევრ რამეში დამეხმარნენ, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლიდი, გადამეხადა და ამით დამემთავრებინა ჩვენი ურთიერთობა — „კრიშას“ ვგულისხმობ, ეს იურიდიული ვალდებულება არ არის, ეს ერთგვარი გაგებაა.

რომან აბრამოვიჩი, ლონდონის სასამართლოს ჩვენებიდან, 2011 წ.

« ძალიან მიკვირს — რა ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა ბატონ პატარკაციშვილს, რომ დაეყოლიებინა კრიმინალური სამყარო, დაეთმო ალუმინი, რომელიც მათ 10 წელი აჭმევდათ. ყველამ იცოდა, რომ ორგანიზებული დანაშაული კრემლსაც კი არ დაუთმობდა ამ აქტივებს

2002 წელს რუსეთის პროკურატურამ რამდენიმე საქმე აღძრა ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ, ამიტომ მილიარდერი საქართველოში ჩამოვიდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ რუსეთს ბადრის გადაცემაზე უარი უთხრა, თუმცა 2005 წელს მას ახალი სკანდალი ამჯერად ამერიკის კონტინენტზე ელოდა: ბრაზილიის პროკურატურამ საფეხბურთო კლუბ „კორინთიანსის“ საფინანსო დარღვევებზე ძიება დაიწყო. სამართალდამცავები ეჭვობდნენ, რომ კლუბის მეპატრონეები — ბორის ბერეზოვსკი და ბადრი პატარკაციშვილი კლუბს ფულის გასათეთრებლად იყენებდნენ.

2006 წელს ბადრი პატარკაციშვილმა საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციის შეხვედრაზე, ბიზნესმენთა მხარდაჭერის იმედით, მკაცრად გააკრიტიკა ხელისუფლების პოლიტიკა ბიზნესის მიმართ. სამწუხაროდ, მას მხარი არავინ დაუჭირა, რაც საბედისწერო გამოდგა. სწორედ ამ დღიდან დაიწყო „ვარდების“ ხელისუფლებამ ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესმენის დევნა. 2007 წელს გენერალურმა პროკურატურამ პატარკაციშვილს ბრალი დასდო შეთქმულების მოწყობასა და ხელისუფლების დამხობის მცდელობაში.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ (ბიზნესმენი პრეზიდენტობის კანდიდატიც იყო), ბადრი პატარკაციშვილი დიდ ბრიტანეთში გადასახლდა...

2008 წლის 24 თებერვალს ბრიტანელმა პათანატომებმა ცხედრის გამოკვლევის წინასწარი დასკვნა გაავრცელეს. დასკვნის მიხედვით, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების მიზეზი გულის ინფარქტი გახდა, გარდა ამისა, სპეციალისტები აცხადებდნენ, რომ რადიოაქტიური ნივთიერების კვალი სხეულში არ აღმოჩნდა. ასევე არ აღმოჩნდა მისი კვალი ბიზნესმენის საცხოვრებელ სახლში. მიუხედავად ამისა, მაინც დაისვა კითხვები — ვის შეეძლო მოეკლა ქართველი მილიარდერი. ერთი ვერსიით, ეს ბორის ბერეზოვსკი უნდა ყოფილიყო.

ცნობილი იყო, რომ ბიზნესმენს გარდაცვალებამდე ექვსი საათით ადრე ბორის ბერეზოვსკი შეხვდა. მართალია, ბერეზოვსკი მალავდა ბადრისთან შეხვედრის ადგილს, თუმცა მაინც გაირკვა, რომ 13 თებერვალს პატარკაციშვილი, ბერეზოვსკი, მათი ორი საქმიანი პარტნიორი — დუბოვი და გლუშკოვი (აეროფლოტის ყოფილი ხელმძღვანელი) ერთ-ერთ საადვოკატო კანტორაში იყვნენ, ბადრის თან თავისი ადვოკატი, ინგლისის ყოფილი გენერალური პროკურორი, ლორდი გოლდსმიტი ახლდა. მოგვიანებით თავყრილობას ლორდი ბელიც შეუერთდა, რომელიც იხსენებდა, რომ „ოთახში ძალიან ცხელოდა, ჰაერი ჩახუთული იყო, ბადრიმ თქვა, კარგად ვერ ვარო და დაბლა ჩავიდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად, როცა შემოგვიერთდა, უკეთ გამოიყურებოდა“.

ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, ბერეზოვსკის არ მოსწონდა ბადრისა და რუსეთის პოლიტიკური ელიტის ბოლოდროინდელი დამთბარი ურთიერთობა.

მეორე ვერსიით, მილიარდერის მკვლელობაში საქართველოს ხელისუფლების ხელი ერია. ამის საფუძველს ერთი საგულისხმო ფაქტი იძლეოდა: 2007 წელს ქართველმა სპეცსამსახურებმა ხელისუფლებისთვის აბეზარი მილიარდერის მკვლელობა დაგეგმეს. ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა ქართული სპეცსამსახურების ისტორიაში, როდესაც ოპერაციის „ბიუჯეტი“ განსაზღვრული არ იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკვლელობის შემსრულებელს გადაუხდიდნენ იმდენს, რამდენსაც მოითხოვდა. ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, გია დგებუაძე, მეტსახელად „მასტერა“, ცნობილ ჩეჩენ კრიმინალს, უვას ახმადოვს (ცხრა ძმა ახმადოვი, რომელთა სახელები რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე გახმაურებულ მკვლელობებსა და ადამიანის გატაცებებს უკავშირდება. ამჟამად მხოლოდ ორია ცოცხალი. 2001-2002 წლებში უვას და ემრან ახმადოვები პანკისის ხეობაში იმყოფებოდნენ და ანტიტერორისტული ცენტრის ქოლგის ქვეშ ეწეოდნენ კრიმინალურ საქმიანობას) დაუკავშირდა და „საქმე“ შესთავაზა. უვას ახმადოვი, რომელიც იმ დროისთვის თურქეთსა და რუსეთში დოკუ უმაროვის თანამოაზრეებზე ნადირობდა, სარფიანი ჰონორარის შეთავაზების შემთხვევაში მზად იყო, სამუშაო შეესრულებინა. დამკვეთები ერთ უპირობო მოთხოვნას აყენებდნენ — მკვლელობა ისე უნდა დაგეგმილიყო, რომ მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების კვალი გამოჩენილიყო. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები თითქოს წარმატებით დასრულდა და მხარეებიც დეტალებზე შეთანხმდნენ, მოვლენები სულ სხვანაირად წარიმართა: უვას ახმადოვმა „მასტერასთან“ საუბარი ჩაიწერა და შემდეგ ბერეზოვსკის 1,5 მლნ დოლარად მიჰყიდა (როგორც ამბობენ, აქედან ახმადოვს მხოლოდ 75 ათასი ერგო, დანარჩენი აჰმედ ზაკაევს, რომლის მთავრობაშიც ახმადოვი თავდაცვის საკითხების კურატორია).

„ბატონმა ბადრიმ გამაცნო ჩანაწერი, სადაც ვიღაც შსს-დან ჩეჩენ „ბოევიკს“ პატარკაციშვილის მკვლელობას უკვეთდა და მითხრა, — ამ ჩანაწერში დიდი ფული გადაიხადეს, რომ ის როგორმე ჩემთან მოხვედრილიყოო. დაიწყო კვლევა — ვისი გეგმით ცდილობდნენ ბადრის ლიკვიდაციას. მაშინ პატარკაციშვილმა მითხრა, რომ ლონდონში საქართველოს საკონსულოში ხელისუფლების ძალოვანი უწყების წარმომადგენლები იყვნენ ჩასულნი. ისინი მუდმივად აკვირდებოდნენ მისი გადაადგილების მარშრუტებს ლონდონში. ამის გამო მან შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და გადავიდა ისრაელში. დაიქირავეს ცნობილი ადვოკატი და დაისვა საკითხი, ლონდონის სკოტლანდ-იარდში აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე. როდესაც ბადრიმ გაიგო, რომ ერეკლე კოდუას მასთან შეხვედრა სურდა, ძალიან გააქტიურდა, ეს შეხვედრა რომ შემდგარიყო. ბატონ კოდუას უნდა დაედასტურებინა, ეს ხმა შსს-ს რომელ მაღალჩინოსანს ეკუთვნოდა. დაასახელა კიდეც ის პირი. გამოძიებას აქვს ამ ჩანაწერის სტენოგრამა. სამწუხაროდ, ჩანაწერი სკოტლანდ-იარდში ვერ მოხვდა — საკაშვილის ხელისუფლებას ჩაუვარდა ხელში.“

ვალერი გელბახიანი, 2012 წ., 23 მარტი

ნინო ბურჭულაძე

ნაციონალთა ტრანსფორმაციის რეალური მიზეზები

პოლიტიკურ შოუებში ჭიპმოჭრილი ქართველი მაყურებლისთვისაც კი ძნელად ასახსნელია იმგვარი ტრანსფორმაცია, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლო დღეებში გვთავაზობს: ერთ დღეს რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე უარს ამბობს, მეორე დღეს მზადყოფნას აცხადებს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვები დღესვე აამოქმედოს; ერთ დღეს რომ დაუნანებლად ლანძღავს მთავრობას, მეორე დღეს — საგარეო პოლიტიკურ კურსს უწონებს და ა.შ.

რეალურად რა ხდება?! ზუსტად იმ დროს და იმ საათზე, 8 თებერვალს, როცა „ნაციონალთა“ ლიდერები საჯარო ბიბლიოთეკის წინ იმყოფებოდნენ, დღემდე მათ მიერ კონტროლირებადი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი გამოვიდა ინიციატივით საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერის 1%-მდე დაწევის თაობაზე. პირველი შთაბეჭდილება ის გახლდათ, რომ ამით „ნაციონალებმა“, ფაქტობრივად, საკუთარი თავის ლუსტრირება მოახდინეს და ირიბად აღიარეს, რომ მათ დღეს არსებული 7%-იანი ბარიერიც კი აფრთხობთ. ცოტა უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ, ეს შემოთავაზება მათი მხრიდან პოლიტიკური ლანდშაფტის მათთვის სასარგებლოდ გადაწყობის კიდევ ერთი მცდელობაა. კერძოდ: 1. დღევანდელი „ნაციონალური მოძრაობა“ რამდენიმე ჯგუფად დაიყოფა, სახეებს და სახელს შეიცვლის და დაბალი ბარიერის და საინფორმაციო სივრცის დიდი სეგმენტის კონტროლის პირობებში, იოლად შეაღწევს პარლამენტში; 2. ამავე მიზნით გააააქტიურებს დაკონსერვებულ პარტიებს: ედპ-ს, ლეიბორისტებს, პაატა დავითაიას და სხვა მსგავს პოლიტიკურ სუბიექტებს; 3. ეს ინიციატივა მმართველ კოალიციაში შფოთის თუ უსაფუძვლო ამბიციების შეტანის მშვენიერ საბაბადაც შეიძლება გამოდგეს: ფაქტობრივად, არარსებული საარჩევნო ბარიერის პიროგებში, კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს შეიძლება საკუთარ შესაძლებლობებზე გადამეტებული წარმოდგენები შეექმნათ და არარეალური ფასიც დაიდონ.

რას ნიშნავს მაგიური 3/4

და მაინც, რატომ მოიწადინეს ასე მოულოდნელად „ნაციონალებმა“ პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვა 2013 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში და სანაცვლოდ რა პირობებს აყენებენ?!

ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც ისინი ითხოვენ, არის საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის საჭირო არსებული დეპუტატების ხმათა 2/3-ის შეცვლა 3/4-ზე, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ამ ცვლილების შედეგად საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის საჭირო იქნება დეპუტატთა ხმების 3/4-ის მოგროვება. ეს კი რას ნიშნავს?! სულ მცირე იმას, რომ ეს მნიშვნელოვნად ზრდის „ნაციონალთა“ შანსებს, შეინარჩუნონ კონტროლი 1%-იანი ბარიერის მოსურნე ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სასამართლოზე.

მეორე მხრივ, სააკაშვილის გადაწყვეტილება, ტრადიციისამებრ გააგრძელოს სვლა სოფელ-სოფელ და ქალაქ-ქალაქ, რა თქმა უნდა, არ ეფუძნება იმ ილუზიას, რომ ის რეიტინგს აკრეფს ან თავისი თავის რეაბილიტაციას მოახდენს. მისი მიზანი ერთადერთია: მაქსიმალურად დათესოს იმედგაცრუება ხალხში ახალი ხელისუფლების მიმართ. ორი დღის წინ „მაესტროს“ ეთერში გამოქვეყნებული კვლევების თანახმად, კითხვაზე: ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პოლიტიკურ ძალას მისცემდით ხმას, პასუხები ასე განაწილდა: „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“ — 52,6%; „ნაციონალური მოძრაობა“ — 5,8%; სხვა პარტიები —1,5; გამოკითხულთა უზარმაზარი ნაწილი — ღამის 40% ჩამოუყალიბებელია თავის არჩევანში.

სააკაშვილის დაგეგმილი ვოიაჟების მიზანი სწორედ მოსახლეობის ამ ნაწილში მმართველი კოალიციის მიმართ უნდობლობის დათესვა და მათი შემზადებაა სხვა ახალი ან კარგად დავიწყებული ძველი პოლიტიკური ძალების მისაღებად. აქვე უნდა მოვიყვანოთ ამავე კვლევის კიდევ ერთი მონაცემი, რომლის თანახმადაც მოსაზრებას, რომ უკმაყოფილება და კრიტიკული განწყობები საზოგადოებაში მატულობს, იზიარებს გამოკითხულთა 51% (კვლევა ჩატარებულია საქართველოს მასშტაბით). ასე რომ, შეშფოთების საფუძველი — არა, მაგრამ გასაანალიზებელი ახალ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, აქვს.

ახლა მოკლედ, „ნაციონალთა“ სტრატეგიის საგარეო მდგენელის თაობაზე. იმაზე, რომ „ნაციონალთა“ ქალებს ლამის ლოგინშიც აღარ ასვენებენ მათ მიერვე დაქირავებული ლობისტები, თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ. მაგრამ ის ინფორმაციები, რაც უშუალოდ უცხოეთიდან ჩვენი თანამემამულეებისგან მოდის, სულ მცირე დაკვირვებას და რეაგირებას ნამდვილად იმსახურებს. ბოლო დღეებში ირაკლი კაკაბაძე და სალომე ზურაბიშვილი აქტიურად საუბრობენ საზღვარგარეთ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებულ მავნებლურ პოლიტიკაზე. კერძოდ, ირაკლი კაკაბაძე თავის „ფეისბუკის“ გვერდზე ავრცელებს ინფორმაციას, რომ

სააკაშვილის ლობისტები ცდილობენ კონგრესში შეიტანონ სავაჭრო სანქციები საქართველოზე, რომლის მიზანი და შედეგიც საქართველოში შიმშილის დაწყებაა. ასეთივე მიზნით, ევროპაშიც მუშაობს „ნაციონალ“ ლობისტთა ჯგუფი.

გასაგებია, რომ ამერიკისა და ევროპის პოლიტიკური ელიტა „ნაციონალ“ ლობისტთა ზომბირებას ნაკლებად ექვემდებარება და იგივე ამერიკელები არანაკლები ყურადღებით ეკიდებიან ახალი ხელისუფლების იდეას სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური ზონის თაობაზე, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საზოგადოება უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს მთავარი პოლიტიკური ფიგურანტების ბრძოლის ფორმებითა და მიზნებით.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით ორი სამშენებლო კომპლექსი დასრულდა

„საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით ორი ახალი კომპლექსის მშენებლობა დასრულდა. ორი თანამედროვე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის „საქართველოს ბანკმა“ სამშენებლო კომპანიებს შპს „გდგ“-სა და შპს „გიგსს“, ჯამში კრედიტის სახით 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გამოუყო. ორივე პროექტის მშენებლობა დასრულებულია და ეტაპობრივად შედის ექსპლუატაციაში.

ამ ორი საცხოვრებელი კომპლექსიდან, ერთი ინგოროყვას №19-ში მდებარეობს. ეს არის ე.წ. „სახლი პარლამენტთან“, რომელიც 91 საცხოვრებელ ბინას, 84 ავტოფარეხს, 11 სავაჭრო და 32 საოფისე ფართს აერთიანებს. „საქართველოს ბანკის“ მიერ დაფინანსებული მეორე საცხოვრებელი სახლის მისამართიც ინგოროყვას ქუჩაა, ოღონდ №5 და მთავრობის კანცელარიის მეზობლად მდებარეობს. აღნიშნული საცხოვრებელი კომპლექსი შედარებით მცირეა და 27 საცხოვრებელ ბინასა და ერთ კომერციულ ფართს მოიცავს. ორივე კომპლექსის სასარგებლო ფართის მოცულობა კი ჯამში 24 272 კვ.მეტრია

ცნობილია, რომ „საქართველოს ბანკი“ ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე უმსხვილესი დამფინანსებელია და ის აქტიურად განაგრძობს კორპორატიული კლიენტების დაკრედიტებას და ჯანსაღი, ეკონომიკურად გამართლებული სამშენებლო პროექტების მხარდაჭერას. მხოლოდ გასული 2012 წლის განმავლობაში, ბანკმა მხოლოდ სამშენებლო სექტორზე ჯამში 20 მილიონ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გასცა. ამ ეტაპზე, „საქართველოს ბანკის“ მიერ დაფინანსებული სამშენებლო პროექტების რამდენიმე ათეულია, რომელთა ნაწილიც წარმატებით დასრულდა, ნაწილი კი მშენებლობის პროცესშია.

არჩილ გაჩეჩილაძე, *„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე:* „დეველოპერული ბიზნესი ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა, რომელსაც ჩვენ ვაფინანსებთ. წამყვანი ბანკი ვიყავით და ვართ აღნიშნული ბიზნესსექტორის დაფინანსების თვალსაზრისით. ეს ორი სამშენებლო კომპლექსი ნათელი და წარმატებული მაგალითია 2012 წლის განმავლობაში ჩვენ მიერ დაფინანსებული პროექტებიდან. მოგეხსენებათ, რომ ამ სამშენებლო პროექტების მშენებლობისთვის ჩვენ სესხის სახით დაახლოებით 10 მილიონი დოლარი გავეცით. გპირდებით, რომ 2013 წლის განმავლობაში ასევე გავაგრძელებთ კარგი და ეკონომიკურად გამართლებული პროექტების დაფინანსებას.

— თქვენი თანამშრომლობა სამშენებლო კომპანიასთან მხოლოდ სესხის გაცემით გამოიხატებოდა?

— ჩვენ ძირითადად ორი ტიპის მომსახურებას ვუწევთ სამშენებლო კომპანიებს: დამატებითი ფინანსური რესურსით უზრუნველვყოფთ იმ კომპანიებს, რომელთაც გარკვეული კაპიტალი მშენებლობის დაწყებისთვის უკვე აქვს, თუნდაც ეს მიწის ნაკვეთი იყოს და იპოთეკური დაკრედიტების პროგრამითაც ვეხმარებით სამშენებლო კომპანიას. ამ კონკრეტულ სამშენებლო ჯგუფთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება გვაქვს. ჩვენც საბოლოოდ დაინტერესებული ვართ, რომ მომხმარებელმა დასრულებული და ხარისხიანი პროდუქტი მიიღოს.

— სამშენებლო პროცესის მიმდინარეობას თუ ადევნებს ბანკი თვალს?

— კრიზისამდელი პერიოდისგან განსხვავებით, ახლა ჩვენ გვყავს საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც კომპანიების მიერ ყოველი ტრანშის ათვისებას აკვირდება. ეს ჯგუფი ატარებს მონიტორინგს, თუ რამდენად მიზნობრივად იხარჯება პროექტის ფარგლებში ბანკის მიერ გამოყოფილი თანხა. სხვათა შორის, ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში უძრავი ქონების, საცხოვრებელი ბინების გაყიდვების დინამიკას აქტიურად ვაკვირდებით. შემიძლია გითხრათ, რომ გაყიდვების მოცულობა სტაბილური და მცირედით მზარდიც კია. გვაქვს მოლოდინი, რომ როგორც კი ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი გაიზრდება, ამას აუცილებლად მოჰყვება უძრავი ქონების გაყიდვების ზრდა“.

ბეჟან წაქაძე, *სამშენებლო კომპანიების, შპს „გდგ“-სა და შპს „გიგსის“, ერთ-ერთი დამფუძნებელი:* „პროექტი, რომელსაც „სახლი პარლამენტთან“ დავარქვით, 2010 წლის დეკემბერში წამოვიწყეთ და 2012 წლის მიწურულს დავასრულეთ. საერთო ჯამში, ეს არის დაახლოებით 35 ათასი კვადრატული მეტრი, რომლის მშენებლობაც „საქართველოს ბანკმა“ დააფინანსა. შენობა ექსპლუატაციაშია შესული, მოსახლეობა უკვე შედის საცხოვრებლად, ზოგან სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ძალიან კარგი შენობა და ბინები გამოვიდა. შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში, თბილისში ასეთი სახლი არ აშენებულა. სადარბაზოები და კიბის უჯრედები მთლიანად მარმარილოთია მოპირკეთებული. შენობა 50-იანი წლების არქიტექტურას პასუხობს, პირველი სართული ქართული ქვით არის მოპირკეთებული. ყველა სადარბაზოს ინტერიერს ერმაკოვის ფოტოების გალერეა ამშვენებს. ყველა სადარბაზო დაცულია დაცვის სამსახურის მიერ. გაზაფხულისთვის ეზოც გამწვანდება. აქვე შენობაში მოეწყობა ფიტნესკლუბი, სხვა გასართობი ადგილები. შენობის პერიმეტრზე მოპირკეთდა ასევე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია. აქვე მოეწყობა ბავშვების გასართობი მოედანი და კაფე.

ამ სახლში ბინების 60-70% უკვე გაყიდულია, მოთხოვნა საკმაოდ დიდია. კვადრატული მეტრის ფასი 1500-1800 დოლარის ფარგლებში მერყეობს. საცხოვრებელი ფართები იწყება 100 კვადრატული მეტრიდან. სურვილის შემთხვევაში რამდენიმე ბინის გაერთიანებით და ყველა კომუნიკაციის შენარჩუნებით, შესაძლებელია ერთი საცხოვრებელი ბინის გაზრდა 500 კვადრატულ მეტრამდე. ბინები ბარდება თეთრი კარკასის მდგომარეობაში და ასევე ვიღებთ შეკვეთებს სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე.

მინდა გითხრათ, რომ „საქართველოს ბანკის“ გარეშე ეს ყველაფერი არ იქნებოდა. ბანკთან მომავალშიც ვაპირებთ თანამშრომლობას. მოგეხსენებათ, რომ „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით კიდევ ერთი სამშენებლო პროექტი დავასრულეთ ამავე ქუჩაზე. იმედი გვაქვს „საქართველოს ბანკთან“ ერთად ჩვენ ბევრი წარმატებული ჩანაფიქრის შესრულებას შევძლებთ მომავალშიც“.

R

„ხელისუფლების დღევანდელი საქციელი დოყლაპიობაა!“

„სერგო რატიანთან ჩხუბი ისე არ მწყენია, როგორც თანაგუნდელების განცხადებები“, — მითხრა უმრავლესობის წევრმა, „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე კოგა დავითაშვილმა:

— **დაგიმტკიცეს ცხვირ-პირს და ციხეში წავალო, — ეს სიტყვები ოპონენტის არგუმენტზე გაბრაზებული კაცის ნათქვამს არ ჰგავდა. ვეჭვობ, რომ ზოგადად „ნაციონალებისადმი“ გაქვთ ასეთი დამოკიდებულება.**

— ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ მე კი არა, საზოგადოების უდიდეს ნაწილს აქვს.

ძალიან „ბუქსაობს“ ჩვენი მართლმსაჯულების მანქანა, რის გამოც მეც უკმაყოფილო ვარ და საზოგადოებაც. რატომ ფერხდება 7 ნოემბრის, 26 მაისის, სხვა დანაშაულების გამოძიება, რას ელოდებიან? თუ მართლმსაჯულების სისტემას არა აქვს უნარი, დამნაშავეები დასაჯოს, მაშინ ჩვენ მოვიფიქრებთ რამეს და მერე ჩვენ გაგვასამართლონ.

> „თუ მართლმსაჯულების სისტემას არა აქვს უნარი, დამნაშავეები დასაჯოს, მაშინ ჩვენ მოვიფიქრებთ რამეს და მერე ჩვენ გაგვასამართლონ“

მიუღებელია, როდესაც მართლმსაჯულებაზე ზეწოლაა გაუგებარი კოჰაბიტაციის ფარგლებში. ამის გამო მეც და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილსაც პრეტენზია გვაქვს ხელისუფლებთან.

— **ამ თემებზე ლაპარაკობთ კოალიციაში?**

— ვის ველაპარაკო?

ბატონ ბიძინას ჩემთვის არ სცალია, ამიტომ საჯაროდ უნდა შევეხმიანო: ბატონო ბიძინა, ხალხს სურს და სამართლიანობაც მოითხოვს მართლმსაჯულების აღსრულებას. არავის უნდა არც ცემა-ტყეპა და არც შურისძიება. ხალხს სამართლიანობა სწყურია, მაგრამ თუ ხელისუფლებას არ შესწევს ამის უნარი, სამოქალაქო მშვიდობა ვერ დამყარდება. თუ ვინმეს ჰგონია, მშვიდად დაველოდებით, როგორ მორიგდება „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“, ძალიან ცდება. „ნაცმოძრაობა“ უნდა ჩამოსცილდეს ხელისუფლებას.

— **ივანიშვილს დასავლეთი სთხოვს ოპოზიციასთან დიალოგით გადაწყვეტილებების მიღებას.**

— არასწორია ვიღაც ტაკიმასხარებისთვის ანგარიშის ზედმეტად გაწევა. ისინი საკუთარ ტყავზე ზრუნავენ, როდესაც სააკაშვილს იცავენ, რადგან სააკაშვილში ბევრი ჩადეს. აგრესიული პიარია საჭირო მათ წინააღმდეგ, ვინც აქ ჩამოდის და გვმოძღვრავს. ეს ადამიანები მათივე ქვეყნებში უნდა ვამხილოთ იმის გამო, რომ ასეთ რეჟიმს უჭერდნენ მხარს.

— **თქვენსავით არ ფიქრობს კოალიციის ზოგი წევრი, ვისაც ნერვები არ ჰყოფნის, მისი ადგილი პოლიტიკაში არ არის, სახლში დაჯდესო.**

— მეც მაქვს ჩემი წარმოდგენა იმაზე, თუ ვინ უნდა იჯდეს სახლში, მაგრამ კოლეგებს ჩემს შეხედულებებს არ ვახვევ თავზე. ხიდაშელისა და უსუფაშვილის ნათქვამიდან ყველაზე მეტად ის მეწყინა, რომ მე და რატიანი გაგვათანაბრეს. უსუფაშვილმა თქვა, ჩემს ოლქში თუ იყრიან კენჭს, ხმას არც ერთს არ მივცემო. არ მინდა გაბრაზებულმა ვუპასუხო დათოს, მაგრამ ერთს მაინც ვეტყვი, — დათო უსუფაშვილი და დათო ბაქრაძე დიდუბეში რომ იყრიდნენ კენჭს, მაინც უსუფაშვილს მივცემდი ხმას, მაგრამ თუ ასეთ განცხადებებს კიდევ გააკეთებს, მეეჭვება ჩემი ხმა ეყოს გამარჯვებისთვის.

ჩემი კეთილი რჩევაა, თინამ თავი დაანებოს პიედესტალიდან ხალხის დამოძღვრას

და ასეთი ტონით ლაპარაკს.

— **ძალიან ნაწყენი ჩანხართ.**

— გამართლებას არავისგან ვითხოვ და მზად ვარ, პასუხი ვაგო პოლიტიკურადაც და სამართლებრივადაც, მაგრამ ერთ ქვაბში მოხარშო რატიანი და დავითაშვილი?! მე ვერ ვგრძნობ თანაგუნდელების მხარდაჭერას. თითებზე შემოვლა ჩამოვთვალო ისინი, ვინც ტელევიზიის ინციდენტის მერე მხარი დამიჭირა. მათ ვერ დავასახელებ, რადგან არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში, თუკი გაჭირვებაში თანაგუნდელს გაამხნევებენ? მაშინ რაღა გუნდია ეს? თუ უმრავლესობა გამემიჯნება, ფეხების ბრახუნს არ დავიწყებ.

> „თუ ვინმეს ჰგონია, მშვიდად დაველოდებით, როგორ მორიგდება „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა, ძალიან ცდება!“

როდესაც უსუფაშვილი ამბობს, რომ ხმას არ მოვცემ, ალბათ, ლოგიკურია, რომ გავარკვიო, უნდა თუ არა მას ჩემთან ერთად პოლიტიკურ ერთობაში ყოფნა.

ამ საკითხს გავარკვევ უმრავლესობის სხდომაზე. უმრავლესობა რასაც გადაწყვეტს, დავემორჩილები.

— **რატიანმა ბოდიში მოიხადა, თქვენ კი არავისთვის მოგიბოდიშებიათ.**

— მკვლელებს და კაცების გამაუპატიურებლებს მოვუბოდიშო? მაყურებელს კი, ვფიქრობ, ჩემგან ბოდიში არ სჭირდება. არა მაქვს განცდა, რომ უკმაყოფილო იყვნენ იმით, რაც ნახეს.

> „მკვლელებს და კაცების გამაუპატიურებლებს მოვუბოდიშო?!“

— **სერგო რატიანს უთხარით, სამჯერ მკლავდითო...**

— „ნაციონალური მოძრაობა“ ვიგულისხმე. პირველად 2004 წელს, მუხრუჭები გადამიჭრეს, როდესაც ბათუმიდან მოვდიოდი. ლევან სამხარაულმა ჩაატარა ექსპერტიზა და დასკვნაში ჩაწერა, რომ სამუხრუჭე მილი ბასრი საგნით იყო გადაჭრილი. მეორე შემთხვევა 2006 წელს იყო, როდესაც მკვლელმა ეზოში ჩემი მეზობელი დაჭრა იმის გამო, რომ ჰკითხა, რას აკეთებ ჩვენს ეზოშიო. მაშინ გამოაცხადეს, საქმე გაიხსნა, რუსების დაგეგმილი მკვლელობა იყო და დავითაშვილის მოკვლა უნდოდათო. გამაგებინეთ, თან რუსეთის აგენტი ვარ და თან რუსები მკლავდნენ? მესამედ, 7 ნოემბერს, ელიავას ბაზრობიდან მომიტაცეს. „იმედიდან“ გაიგო ხალხმა ეს ამბავი. რომ არ გამომჟღავნებულიყო, მომკლავდნენ. რომ მოვეკალი, შეიძლება რევოლუცია მომხდარიყო და სააკაშვილი საკუთარ ტყავს გაუფრთხილდა. ამის შემდეგ როგორ უნდა ვითანამშრომლო სააკაშვილის გუნდთან?! ხიდაშელმა განაცხადა, ჩვენი ხელისუფლება ყველა დამნაშავეს სჯისო, მაშინ უსუფაშვილი რატომ ელაპარაკება ბაქრაძეს, ვინც პარლამენტის შენობა განზრახ გაანადგურა? ამას გამოძიება კი არა, სამართლებრივი შეფასება უნდა. ვეკითხები პარლამენტის თავმჯდომარეს: რატომ არ არის ბატონ ბაქრაძეზე საქმე აღძრული, ვინ აფერხებს ამ პროცესს? ეს არ არის შერჩევითი მართლმსაჯულება?

პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა გვაქვს, რაც ჰყოფნის საკონსტიტუციო ცვლილებებს და რატომ ვეხვეწებით „ნაციონალურ მოძრაობას?“ საპარლამენტო ხმების 2/3 სჭირდება პრეზიდენტის იმპიჩმენტს. რატომ არ ვსვამთ ამ საკითხს?

— **შვილის ნათლიას ციხისა და იმპიჩმენტისთვის იმეტებთ?**

— ჩემი შვილის ნათლიობას საკაკაშვილისთვის ხელი არ შეუშლია, რომ სამჯერ ჩემი მკვლელობა დაეგეგმა.

— **მეორე შვილის ნათლიასთან, ოქრუაშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— რა ურთიერთობა უნდა მქონდეს სააკაშვილის სისტემის ერთ-ერთ შემქმნელსა და ჯალათთან?

— **ირაკლი ოქრუაშვილზე არც იმის მერე შეგცვლიათ აზრი, რაც გადაიტანა?**

— რა გადაიტანა? ფული გაატანეს და კარგად ცხოვრობდა პარიზში.

— **რატომ გაატანეს?**

— როგორც ჩანს, გაჩუმებისთვის ან იმისათვის, რომ ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გაეკეთებინა. ადრე გაიძახოდა, ჟვანია მოკლესო, ახლა ამბობს, არ მოუკლავთო. ოქრუაშვილის საქმიანობაზე თავიდან უნდა დაიწყოს გამოძიება. პასუხი უნდა აგოს მერაბიშვილმაც. მან 7 ნოემბერს გასცა ბრძანება რეზინის ტყვიების გამოყენებისა, როდესაც მაშინ მოქმედი პოლიციის კანონის თანახმად, სპეცჩამონათვალში რეზინის ტყვიები არ იყო. ამის გამო დღესვე დასაკავებელია და რას უცდიან? ხელისუფლების დღევანდელი საქციელი დოყლაპიობაა!

იზო რიკაძე

„კომპანია „ნატახტარი“ 2008 წლიდან მუშაობს ახალი შრომის კოდექსის პრინციპების გათვალისწინებით...“

შრომის კოდექსში ცვლილებების პაკეტით, სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში 41 საათი იქნება, ზეგანაკვეთურად ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო. დამსაქმებელს დასაქმებულის დაუსაბუთებლად გათავისუფლება არ შეეძლება და ვალდებული იქნება 30 დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წერილობით.

საქართველოს შრომის კოდექსში შესატან აღნიშნულ ცვლილებებსა და მის მნიშვნელობაზე გვესაუბრება კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი **ხათუნა ჩხაიძე:**

— ***რამდენად მნიშვნელოვანია შრომის კოდექსში არსებული ცვლილებები და რამდენად დაცულია ამ ცვლილებების ფონზე დამსაქმებლის ინტერესები?***

— ჩემი პოზიციაა, რომ შრომის სამართლიანი კანონმდებლობა, ანუ კანონმდებლობა, რომელიც არ ამძიმებს, არც დამსაქმებელთა და არც დაქირავებულთა პირობებს, მომგებიანია ორივე მხარისათვის. როგორც დამსაქმებლის, ჩვენი კომპანიის მიდგომაა — შევუქმნათ თანამშრომლებს საუკეთესო პირობები, რადგან კმაყოფილი თანამშრომელი არის უფრო ერთგული, ნაყოფიერი და მოტივირებული. ერთგვარი სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ კომპანია „ნატახტარი“ 2008 წლიდან არის გადასული მუშაობის იმ პრინციპებზე, რაზეც დღეს საუბრობს შრომის კოდექსი. ამის მიზეზი არის ის, რომ სწორედ 2008 წლიდან ჩვენ გავხდით ეფესის ლუდსახარშების საერთაშორისო ჯგუფის წევრები და ამან გამოიწვია დაქირავებულზე მეტად ორიენტირებული სამუშაო პირობების შექმნა. ინტენსიური ტრენინგი თანამშრომელთა განვითარებისთვის, სამედიცინო დაზღვევა, სესხი, ავანსი, მეცამეტე ხელფასი, უფასო კვება, ყოველთვიური სასაჩუქრე პროდუქცია (ლუდი და ლიმონათი), თანამშრომელთა ტრანსპორტირება, ექიმი — ეს ყველაფერი კომპანიაში ახალი არ არის.



კომპანია „ნატახტარის“ პერსონალის მართვისა და ადმინისტრაციის დირექტორი ხათუნა ჩხაიძე

— ***ახალი კანონპროექტის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით გააფრთხილოს დასაქმებული გათავისუფლების თაობაზე. დამსაქმებელს დასაქმებულის არგუმენტაციის გარეშე გათავისუფლება აღარ შეეძლება. ასეთ ცვლილებას იღებს ბიზნესი?***

— მაგალითად კომპანია „ნატახტარს“ აქვს საკუთარი დისციპლინარული პოლიტიკა — ქცევის კოდექსი, ის გაწერილია დონეებად და ცნობილია თითოეული თანამშრომლისთვის. ამიტომ თითოეულმა იცის, კონკრეტულად რა სახის დარღვევა რა შედეგს გამოიწვევს. თუმცა იმასაც ვითვალისწინებთ, რომ შეცდომებს ის არ უშვებს, ვინც არ მუშაობს, ამიტომ მთელ რიგ შეცდომებს გაგებით ვეკიდებით. მაგალითად, ჩვენს კომპანიაში ცნობილია, რომ ნასვამ მდგომარეობაში მუშაობა კატეგორიულად დაუშვებელია. ალკოტესტის ჩატარების შემთხვევაში ყველა მზადაა მოსალოდნელი შედეგისთვის. ზოგადად, „ნატახტარში“ ძალიან დაბალია თანამშრომლების გათავისუფლების მაჩვენებელი. მაგრამ თუ აუცილებელია შტატის შემცირება, გარკვეული მიზეზების გამო, ის თანამშრომელი ამ შეტყობინებას იღებს ერთი თვით ადრე და მას ეძლევა შესაბამისი კომპენსაციაც. ერთ მაგალითსაც მოვიყვან: დეკრეტული შვებულების პერიოდში თანამშრომელს გარანტირებული აქვს სამუშაო ადგილი და სრული ანაზღაურება.

— ***კანონპროექტის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება კვირაში 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო და ყველა დამატებით საათზე განისაზღვრება გარკვეული ზეგანაკვეთური გადასახადი. დამსაქმებლის გადმოსახედიდან ეს რა პრობლემებს შექმნის, თუნდაც კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მხრივ, როგორ იყო ეს კოდექსში სიახლეების შეტანამდე კომპანია „ნატახტარში“?***

— ყველა თანამშრომელი იღებს ზეგანაკვეთურს, როგორც კი ნამუშევარი საათები 41 საათს გადაცდება. ამას ჩვენ ბიუჯეტის შედგენისას ვითვალისწინებთ. რადგან ლუდის ჩამოსხმა უწყვეტი პროცესია, ქარხანაში არის ღამის ცვლა, ღამის ცვლაში ჩვენი კოეფიციენტია 1.2, ხოლო სადღესასწაულო დღეებზე თანამშრომელს ორმაგს ვუხდით. ეს ყველაფერი ჩვენს კომპანიაში 2008 წლიდან არის დამტკიცებული.

— ***აღნიშნული ცვლილებები შრომის კოდექსში რამდენად დაიცავს დასაქმებულს?***

— შრომის კოდექსში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს მის გაუმჯობესებას, ნამდვილად მისასალმებელია. რა თქმა უნდა, ამ ცვლილებების შედეგად დასაქმებულები უფრო დაცულად იგრძნობენ თავს სამუშაო ადგილებზე.

R

კარფური

ყოველთვის დაბალი ფასები

ფასდაჯილდოების აქცია ჯარფურში

1489.00₾

გარანტია 1წელი

ტაფა

9.95₾

PHILIPS

ხორცსაჭეპი მანქანა

სიმძლავრე: 1500ვტ

179.00₾

გარანტია 1წელი

ყველანი ჯარფურში!

სამუშაო საათები: 09:30-22:00

თბილისი მოლი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 ჯმ.

www.carrefour.com.ge | www.facebook.com/CarrefourGeorgia

18 თებერვლიდან – 25 თებერვლამდე

„ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲛᲐ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ!

3

ᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲛᲐ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ. ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲦᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ... ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ, ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ, ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ, ᲐᲢᲕᲘᲠᲗᲔᲡ „ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲙᲘᲡ“ „ᲛᲐᲒᲢᲘᲤᲐᲜᲘᲡ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲛᲝᲘᲒᲔᲡ 2-ᲙᲐᲪᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ ᲠᲝᲛᲨᲘ! ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲗᲘᲐ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ: „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝ“, „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝ“ ᲓᲐ „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘᲡ“ ᲡᲘᲛᲠᲗᲐᲗᲘᲐ“.

ᲜᲘᲜᲝ ᲚᲝᲛᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ *(ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ — „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝ“):* ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲕᲘᲒᲔ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ ᲛᲝᲛᲘᲜᲓᲐ. ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲦᲝ, ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲛᲝᲰᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲘᲪᲘᲚᲘ ᲛᲘᲰᲐᲠᲘᲐ. ᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲦᲝ, ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ. ᲛᲝᲰᲓᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲪᲐᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲰᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ. ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲔᲜᲘᲗ ᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘᲐ, ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲜᲐᲮᲝᲗ... ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣ-

ᲠᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲥᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲘᲞᲐᲢᲘᲟᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲘᲪᲘᲚᲘ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ. ᲛᲔᲪ ᲘᲥᲕᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕ ᲤᲝᲢᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲪ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲦᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲔᲛᲝᲪᲘᲐᲐ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ. ᲛᲘᲰᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲐ. ᲛᲐᲡ 6000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ „ᲓᲐᲛᲚᲐᲘᲥᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲦᲚᲔᲑᲣᲚᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲛᲐᲗ ᲛᲝ�გᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲡ �გᲐᲓᲐᲕᲘᲪᲔᲛ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲡ �გᲐᲕᲣᲙᲔᲗᲔᲑ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ „ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ“ ᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗ.

— *ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛᲚ ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ?*

— ᲐᲠᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ.

ᲖᲣᲠᲐ ᲚᲝᲚᲐᲫᲔ *(ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ — „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ�გᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝ“):* ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲕᲐᲚᲔᲜ-

ᲚᲘᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲐ. ᲠᲝᲛᲨᲘ ᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲐᲕᲐᲚᲗ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲗᲐᲗᲘᲐ ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ *(ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲨᲘ — „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲗᲐᲗᲘᲐ“):* ᲛᲔ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲗ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ. ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲛᲘᲒᲘᲐ. ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ, ᲠᲝᲪᲐ „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲘᲓᲐᲜ“ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ, ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲚᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲕᲒᲘᲟᲓᲘ... ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ. ᲠᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲘ-ᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲬᲐᲕᲐᲚ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲥ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠ ᲙᲐᲠᲒ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲒᲐᲓᲐ-ᲕᲘᲦᲔᲑ.“

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ 4 000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲘᲧᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲐᲡᲘ ᲡᲐᲣᲙᲔ�თᲔᲡᲝ ᲤᲝᲢᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲓᲐ-ᲕᲘᲓᲐ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ �გᲐᲛᲝᲐᲕ-

ᲚᲘᲜᲔᲑᲘ. „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲛᲐ“ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲜᲣᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, �თᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲒᲕᲡᲣᲠᲓᲐ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲘᲗ ᲒᲐᲒᲕᲔᲮᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲗ, ᲔᲡ ᲨᲔᲫᲚᲘᲗ. ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲬᲘᲜ ᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲨᲘ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ — ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ „ᲛᲐᲒᲗᲘᲙᲝᲛᲨᲘ.“

ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲛᲐ ᲗᲐᲗᲣᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ, ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲘᲣᲚᲝᲪᲐ. „ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠ ᲒᲔᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ!.. ᲓᲐᲔ, ᲗᲐᲗ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲧᲐᲕᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲨᲔᲒᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲘᲜᲝᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲧᲐᲕᲗ, ᲒᲔᲞᲝᲕᲝᲗ!“ — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲐᲜ.

ᲔᲙᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

R

„ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ“

ᲒᲐᲘᲪᲐᲜᲘᲗ, ᲔᲡ ᲠᲘᲩᲘᲐ

ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲛ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲒᲐᲑᲜᲘᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ ᲠᲘᲩᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ. ᲐᲡᲚᲐᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲑᲐᲡᲛᲐᲩᲘᲡ ᲚᲔᲙᲕᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲘᲐᲛᲑᲝᲗ. ᲐᲮᲚᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲒᲐᲡ, ᲠᲐ ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲚᲘᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲕᲓᲔᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲒᲐᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲘᲰᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲕᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲡᲛᲐᲩᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲐᲠᲮᲖᲔ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲪ ᲕᲜᲐᲮᲔ ᲐᲛ ᲑᲐᲡᲛᲐᲩᲘᲡ ᲡᲞᲘᲚᲝᲡᲮᲔᲚᲐ ᲚᲔᲙᲕᲗᲐᲜ.

ᲗᲣᲙᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲐᲛ ᲑᲐᲡᲛᲐᲩᲘᲡ ᲚᲔᲙᲕᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲑᲜᲘᲡ ᲠᲘᲩᲘᲪ. ᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲙᲝᲠᲗᲮᲣᲜᲯᲘᲐᲛ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲪᲮᲠᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲣᲕᲚᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲡᲔᲘᲠᲜᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲠᲘᲩᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲤᲔᲠᲝᲡ, ᲘᲡᲘᲪ ᲡᲐᲝᲪᲠᲐᲓ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ, ᲬᲧᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲝᲒᲮᲔᲓᲐᲕᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲮᲝᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲜ, ᲠᲘᲩᲘᲪ ᲘᲥᲕᲔᲐ. ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲫᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲠ ᲣᲧᲐᲓᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲥᲕᲔ ᲬᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑᲡ. ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲪᲧᲕᲘᲐᲜ, ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲘᲩᲘ ᲮᲝᲛ ᲔᲖᲝᲨᲘᲐᲝ.

ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲘᲩᲘᲡᲐᲪ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲒᲐᲖᲘᲡ ᲯᲘᲨᲘᲪ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲪᲮᲝᲛᲔᲚᲘᲫᲔ

„ᲘᲡᲔᲕ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲡ ᲕᲔᲫᲔᲑ...“

ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ, ᲓᲐᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲓᲘᲚᲔᲛᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲭᲔᲠᲘ, — ᲘᲡ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ �თᲐᲕᲡ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲜᲐᲓ. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲐ, ᲕᲘᲡᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗᲝᲪ ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ.

„ᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲓᲦᲔᲓᲐᲜ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲠᲘᲗ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ. ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲓᲔ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐᲗ, ᲓᲐᲬᲔᲠᲔᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲝ. ᲡᲐᲝᲪᲜᲔᲑᲝ ᲑᲘᲜᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲘᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲔᲩᲕᲔᲜᲐ, ᲙᲘᲜᲐᲚᲐᲛ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲕᲔᲮᲔ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲣᲠᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲐᲛᲝᲕᲘᲚᲣᲦᲚᲣᲦᲔ, — �თᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲕᲬᲔᲠ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ-ᲐᲓᲔᲑᲐᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐᲛ ᲪᲘᲕᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲮᲐᲚᲐ: ᲘᲥ ᲝᲠᲘ-ᲡᲐᲛᲘ ᲑᲘᲜᲐᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ, ᲨᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲡ ᲛᲐᲒᲐᲡᲗ. ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲕᲪᲐᲞᲐᲡᲓᲔᲑᲝᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ, ᲩᲔᲛᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲪᲕᲘᲠᲐᲓ, ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲕᲣᲗᲮᲐᲠᲘ: ᲐᲛ ᲝᲠᲘ-ᲡᲐᲛᲘ ᲑᲘᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲗ ᲐᲛᲓᲔᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ? ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲤᲐᲪᲐᲪᲘᲐᲛ ᲬᲐᲠᲑᲘ ᲨᲔᲧᲠᲐ: ᲫᲕᲔᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲣᲑᲔᲓᲐᲕᲓᲘᲗ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲛᲓᲘᲗᲝᲗ?! ᲡᲐᲮᲢᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲘᲓᲛᲝᲮᲔᲚᲔᲡ ᲛᲘᲕᲐᲫᲐᲮᲔ: — ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲮᲛᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲔᲪᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲕᲐᲠ-ᲛᲔᲗᲥᲘ? ᲛᲔ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲐᲠ, — ᲠᲘᲮᲘᲐᲜᲐ

„თირზა“ — ამბავი ბაირონისა და მონათა ბაზარზე გაყიდული ქართველი ქალისა

ბაირონს თირზას პორტრეტის დახატვა დაუკვეთია, მაგრამ ვერ მივაკვლიეთ... გვაქვს მხოლოდ პორტრეტი იმ ახალგაზრდა ქალისა, რომელიც ბაირონს თირზას აგონებდა თურმე. მისი სახელია კაროლინა ლემი

«შენი ამბორი წმიდა იყო და უწყინარი, დიდრონ თვალებში გამოკრთოდა მზერა უმწიკვლო, ვნება იქ უმალ გაქრებოდა ვით უჩინარი, და სიყვარულის ყველა განცდა იყო უბიწო...

ამ ამბიდან აქამდე უცნობი სიყვარული შემოგყურებთ. მისი აღმოჩენა კი ბაირონოლოგ ᲘᲜᲔᲡᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ დამსახურებაა.

— ბაირონის პოეზიიდან გამოკვლეულია ყველა იმ ქალის პროტოტიპი, რომელსაც ბაირონი ლექსებს უძღვნიდა. მხოლოდ უცნობად დარჩა, ვის ეძღვნებოდა „თირზა“ — ბაირონის შედევრთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო. და აი, ერთ დღესაც, როცა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, მივაკვლიე მისი ბიოგრაფიის ამსახველ სამტომეულს, სადაც თერთმეტ გვერდზე აღწერილია ამბავი ბაირონის შეხვედრისა ქართველ ქალთან. როცა ამ გვერდების ამონაბეჭდი საქართველოში ჩამოვიტანე და ჩემს ქალიშვილს ვუკითხავდი, ერთად ვტიროდით, ჩვენ იმ ღამეს არ გვეძინა...

ეს ამბავი კი ასე დაიწყო... ბაირონმა 1810 წელს, ტროას ალექსანდრიაში, მონათა ბაზარზე, ქართველი ქალი ნახა... 13 წლის გოგონა მწარედ ტიროდა და სამშობლოში დაბრუნებას ითხოვდა. გოგონა მდიდარი ქართველი მემამულის ქალიშვილი ყოფილა — ცხვრებს თამაშ-თამაშით ასდევნებია და ქურთებს ჩავარდნია ხელში... მათ კი რამდენჯერმე გაუყიდიათ. მისი სილამაზით მონუსხულმა და ტანჯვით შეძრწუნებულმა ბაირონმა ტყვე ქალში 800 პიასტრი გადაიხადა და გამოისყიდა, — ლორდი და პოეტი მაშინ 22 წლისა იყო და 13 წლის გოგონაში მხოლოდ ბავშვს ხედავდა, — ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა, სამშობლოში დაებრუნებინა. მერე ირლანდიელი ვაჭარი მოძებნა, სახელად ფლეტჩერი და იმასაც დიდი ფული გადაუხადა, რომ ტყვე საქართველოში წამოეყვანა. ირლანდიელი კი მოღალატე და გაიძვერა აღმოჩნდა — გოგონა თავისთვის დაიტოვა და ხასად აქცია. როცა დიდი დრო გავიდა და ბაირონმა ქართველი ქალი მოიკითხა, ფლეტჩერის სიბილწის ამბავიც შეიტყო. ბინძური ვაჭარი ფაშას დახმარებით მოძებნა და ჯანმრთელობაშერყეული უბედური ქალი გამოიხსნა.

ᲑᲐᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘ ᲬᲔᲠᲡ: ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲘᲠᲖᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ, — ᲐᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲕᲘᲚᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ, ᲓᲐᲣᲫᲚᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲜᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲡ ᲧᲔᲚᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲔᲮᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲘᲟᲘᲕᲘᲗ ᲙᲝᲪᲜᲘᲓᲐ...

მერე დაუძლურებული კუნძულ კრეტაზე წაუყვანია სამკურნალოდ, თუმცა ამაოდ... მართლმადიდებელთა სასაფლაოზე გაუჭრიათ მისი საფლავი. ბაირონს ქართველი ქალის სიკვდილი მძიმედ გადაუტანია, დიდხანს ტიროდა თურმე...

...ამ ამბით არის შთაგონებული არა მარტო ლექსი „თირზა“, არამედ თირზას ციკლის ექვსიოდე ლექსიც. ამასთანავე, ეს ამბავი ასახულია ბაირონის უკანასკნელ და დაუმთავრებელ „დონ ჟუანში“.

— თირზა ქართველი ქალის ნამდვილი სახელი იყო?

— ალბათ, არა. თირზა პოეტური სახელი იყო... არსებობს გრაფ ლავლეისის, ბაირონის შვილიშვილის ნაამბობი — ბაირონს ცოლისთვის თირზას თმა უჩვენებია, ეს ეკუთვნის მას, ვინც ძალზე ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან და გულში ჩამრჩა, მის ნამდვილ სახელს არასოდეს ვიტყვიო.

— თირზას საფლავის მოძებნაც ხომ არ გიცდიათ?

— ვცადე, რამდენიმე წერილი გავგზავნე საბერძნეთში. მაინტერესებდა, არსებობდა თუ არა მართლმადიდებელთა ის სასაფლაო, სადაც ქართველი ქალი დაკრძალეს. მწერდნენ, ასეთი სასაფლაო არსებობდა, მაგრამ ქალაქის განაშენიანების დროს განადგურდა და იმ ადგილზე შენობები აიგოო.

ბიოგრაფიული ცნობებიდან ისიც იკითხება, რომ ბაირონს ქართველი ქალის პორტრეტის დახატვა დაუკვეთია, მაგრამ ვერ მივაკვლიეთ... გვაქვს მხოლოდ პორტრეტი იმ ახალგაზრდა ქალისა, რომელიც ბაირონს თირზას აგონებდა. მისი სახელია კაროლინა ლემი.

ნანა რამიშვილი

თირზას

ვიცი, შენს საფლავს ხსოვნის
ნიშნად ქვაც კი არ ადევს,
მინდა სიმართლეს გავუსწორო
მზერა თვალებში,
ვაითუ ყველამ დაგივიწყა,
არვის ადარდებ,
ასე უდროოდ,
ასე მალე რატომ წახვედი...

სხვა ცისქვეშ მახსოვს მე ცრემლები,
ჩვენი გულწრფელი,
ჩვენს თვალთა მზერას
ვერ ხედავდა უცხო ახდილად,
გულში მწვდებოდა
შენი ფიქრი გამოუთქმელი,
მთრთოლარე ხელი
მეხებოდა მხოლოდ ფაქიზად.

შენი ამბორი წმიდა იყო
და უწყინარი,
დიდრონ თვალებში გამოკრთოდა
მზერა უმწიკვლო,
ვნება იქ უმალ
გაქრებოდა ვით უჩინარი,
და სიყვარულის ყველა
განცდა იყო უბიწო.

მე, გულჩათხრობილს
შენი ხმა თუ მახალისებდა,
შენით ვისწავლე სიცოცხლესთან
ლაღი ტრფიალი,
ჰანგი უტკბესი მიქარწყლებდა
დარდსა და სევდას,
ღვთიურ სიმღერით
ჩამესმოდა ცათა შრიალი.

სადა ხარ ახლა, სად გეძებო
სულზე უტკბესო?
თან წარიტანე სანუკვარი
ის სახსოვარიც...
შენი თან დამაქვს, ისღა დამრჩა
ხსოვნად უბედოს,
როგორც არასდროს,
ვარ ბედკრული და უბედური.

ბედის ბორბალი დატრიალდა
რადგან უკუღმა,
თავად მოწყალე პატიებას
შენგან მოვითხოვ,
და თუ ამქვეყნად ჩვენს სიყვარულს
ბედმა უმუხთლა,
მჯერა შევხვდებით,
როს საუფლო ცათა მომიხმობს.

(იბეჭდება შემოკლებით)

ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ – ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲬᲝᲜᲐ

„ᲘᲡᲔ ᲓᲐᲕᲓᲘᲝᲓᲘ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲗ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲓᲐᲕᲐᲪᲐᲠᲔᲑᲓᲘ“

„ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სხეული წყლით მქონდა სავსე, - ამბობს სარა – მაგრამ შემდეგ აღმოვაჩინე პრეპარატი **„ეფელ საიდერი 600“** და ჩემი ცხოვრება შეიცვალა.“

ᲡᲐᲡᲝᲬᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲕᲘᲬᲐᲕᲘ

„საკუთარი გარეგნობით თითქმის მუდმივად უკმაყოფილო ვიყავი. სხეულის სიმძიმე, ორგანიზმში ჭარბი სითხის არსებობის შეგრძნება, რომლისგანაც თავის დაღწევას უშედეგოდ ვცდილობდი! მიუხედავად იმისა, რომ დიეტას ხშირად ვიცავდი, სასუნსავისგან დიდი ხნით თავის შეკავებას მაინც ვერ ვახერხებდი. მუცელი ხშირად მებერებოდა, თვალის ქუთუთოები მიშუპდებოდა, ხელის თითებიც მისივდებოდა, ფეხებიც – თითქოს მთლიანად ვიბერებოდი. მეჩვენებოდა, რომ ორგანიზმი სითხით მევსება, რომლისგან თავის დაღწევა შეუძლებელია! და ამ ყველაფერს პირიდან უსიამოვნო სუნიც ემატებოდა... გასაკვირიც არ არის, რომ ამ მდგომარეობით გაღიზიანებული და უკმაყოფილო ვიყავი. ბოლოსდაბოლოს სასოწარკვეთა დამეუფლა“.

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲛᲘᲠᲩᲘᲐ

ერთხელ ჩემმა ახლო მეგობარმა მირჩია მომესინჯა ვაშლის ძმრისგან მიღებული სკანდინავიური ტაბლეტები, „ეფელ საიდერ 600“, რომელიც მას ძალიან დაეხმარა. გადავწყვიტე, გამერისკა და მიმეღო ეს პრეპარატი, მაინც არაფერს ეკარგავდი. „ეფელ საიდერი 600“-ის ტაბლეტებს ვსვამდი ზუსტად ისე, როგორც შეფუთვაზე იყო მითითებული – 2-2 ტაბლეტს დილით და სადამოს, ჭამის დროს. ერთი კვირის თავზე უკვე შევნიშნე, რომ უფრო ხშირად გავდიოდი ტუალეტში – და, ამასთან ერთად, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი სხეულიდან ზედმეტი კილოგრამები გაედინებოდა. თანაც, უფრო ენერგიული გავხდი და თავს გაცილებით მსუბუქად ვგრძნობდი“.

ᲡᲘᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘᲡ ᲔᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐ!

„ეფელ საიდერ 600“ ტაბლეტებს უკვე ოთხი კვირაა ვსვამ და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. სრულიად გამიქრა ის საშინელი შეგრძნება, თითქოს სხეული სითხით მქონდა გაბერილი. ჩემი სხეული თითქოს გაახალგაზრდავდა და ენერგიით აივსო – ყველაფერს გაცილებით ადვილად და სიამოვნებით ვაკეთებ, ენით აუწერელ სიმსუბუქეს ვგრძნობ. და რაც ყველაზე მთავარია – ცხოვრება ისევ მიხარია. იქნებ, ჩემი პრობლემა სწორედ ის იყო, რომ ჩემი ორგანიზმი სითხისგან ვერ თავისუფლდებოდა?“ - გაკვირვებით კითხულობს სარა.

ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲐ

როდესაც ნივთიერებათა ცვლა სუსტდება, წარმოიქმნება საჭმლის მონელების პრობლემები, ხდება ცხიმების დაგროვება და იზრდება სხეულის მასა. ადამიანები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებით – კვებითი ჩვევებიც სხვადასხვანაირი გვაქვს და ნივთიერებათა ცვლაც. ისინი, ვის ორგანიზმშიც ნივთიერებათა ცვლის პროცესები უფრო ნელა მიმდინარეობს, უფრო აქტიურ ცხოვრებას უნდა მიხდეყნენ, მეტს მოძრაობდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდნენ დღის განმავლობაში მიღებულ კალორიებს. ასეთი ადამიანები აუცილებლად უნდა დაეხმარონ საკუთარ ორგანიზმს საკვების ათვისებასა და ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოდევნაში.

NEW NORDIC

შეფუთვაზე მოძებნეთ ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი. ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და

უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი“ გთავაზობთ.
„ნიუ ნორდიკი“ ზრუნავს ადამიანებსა დაბუნებაზე.

ᲡᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝ ᲢᲐᲑᲚᲔᲢᲔᲑᲘ „ᲔᲤᲔᲚ ᲡᲐᲘᲓᲔᲠᲘ 600“?

ორიგინალური ტაბლეტები „ეფელ საიდერი 600“-ის შეძენა შეიძლება აფთიაქებში.

ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ?

იხილეთ ინტერნეტ-საიტი:
www.newnordic.lv
ან დარეკეთ ტელეფონზე:
☎ 570 102 392
ქალაქის ნომრიდან
ზარი უფასოა

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ „ᲔᲤᲔᲚ ᲡᲐᲘᲓᲔᲠᲘ 600“?

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ სპეციალურ დიეტებს, ხოლო ვაშლის ძმარს სვამდნენ წონის დასაკლებად და ცხიმებისგან გასათავისუფლებლად. ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა ყოველი ჭამის შემდეგ მიირთმევდა ვაშლის ძმარს – როგორც სილამაზის და ჯანმრთელობის წყაროს. ხოლო 2400 წლის წინ ჰიპოკრატემ ვაშლის ძმარი პირველად გამოიყენა ადამიანების განკურნებისთვის.

„ეფელ საიდერი 600“-ის ტაბლეტები, დამზადებული ვაშლის ძმრისაგან, არტიშოკისა და ბაბუაწვერას ექსტრაქტისაგან, შექმნილია სკანდინავიური კომპანია „ნიუ ნორდიკის“ მიერ.

„ეფელ საიდერი 600“ ტაბლეტების აქტიური ნივთიერებები ეხმარება ორგანიზმს ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში, ცხიმების დაშლასა და სითხის ბალანსის შენარჩუნებაში.

„ეფელ საიდერი 600“ - ჭარბი სითხისა და ცხიმების დაუძინებელი მტერი!

R

მთავარი წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ!

25 თებერვლიდან 4 მარტამდე

„კვირის პალიტრასთან“ ერთად



წიგნის სპეციალური ფასი 14 ლარი

გაზეთთან ერთად 15 ლარი

პროექტი გრძელდება...

+

+

100 წიგნი თქვენს თარეზე!

მთავარი...



მომავალ ორშაბათს „კვირის პალიტრის“ მკითხველი გაზეთთან ერთად მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ ბიბლიას მიიღებს, რომელიც გაცილებით დიდი ზომის იქნება, ვიდრე პროექტში შემავალი წიგნები. ეს არის მთავარი წიგნი მთავართაგან, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ...

*მას მერე, რაც გამომცემლობა „პალიტრა L“-მა „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ პროექტის გაგრძელება გადაწყვიტა და პრეზენტაციაზე წარადგინა **„50 + 1 + 49** წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, მსჯელობა, კიდევ რომელი წიგნები უნდა შევიდეს ასეულში, ახალი ძალით განახლდა. ცხადია, ყველა მოსაზრებას გულისყურით ვეცნობით, უყურადღებოდ არ ვტოვებთ არც ერთ კრიტიკულ აზრსა და რეპლიკას, თუმცა ერთი წერილი, რომელიც პროექტის ფარგლებში ბიბლიის გამოცემას ეხებოდა, მართლაც განსაკუთრებული მგონია:*

მთავარი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

„წიგნს ვერაფერი შეცვლის, ვერც აუდიოჩანაწერი, ვერც ვიდეოვერსია. ამ აზრს ყველა ეთანხმება, ვისაც წიგნის კითხვით მიღებული სიამოვნების შეგრძნება ახსოვს. მით უმეტეს, ისეთი დიდი წიგნის, როგორიც ბიბლიაა, წიგნის ფურცლებიდან აღქმა განუმეორებელი და უსაზღვროდ საინტერესოა, მაგრამ რეალობა ასეთია: დღეს ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილშიც კი ნახევარზე გაცილებით მეტს ბიბლია წაკითხული არა აქვს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანებამდე მივიტანოთ აზრი, რომ ბიბლია აუცილებლად წასაკითხი წიგნია, ეს არის სიბრძნე, რომელიც მთელ ცხოვრებაში გაგყვება თან, ეს არის წიგნი, რომელიც უმძიმეს დროს გადაგატანინებს და სიცოცხლისკენ მოგაბრუნებს... რაკი თქვენი პროექტი — „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ ასეთი პოპულარულია, უსამართლობა იქნებოდა, რომ ამ დიდი საქმისთვის არ გამოგვყენებინა და კიდევ ერთხელ არ გვთქვა ადამიანებისთვის: ბიბლია აუცილებლად წასაკითხი წიგნია!

ვიცი, აზრთა სხვადასხვაობა იყო, ზოგი ემხრობოდა ამ წიგნის სერიაში შესვლას, ზოგი — არა... ბოლოს და ბოლოს, ნათელი მიზნისკენ სავალი გზა ყოველთვის გამართლებულია... დაე, თქვენი პროექტი „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ იყოს კიდევ ერთი გზა, რომელიც ბიბლიამდე მიიყვანს მკითხველს. ეს კი დიდი ბედნიერებაა მათთვის, ვინც უკვე იცნობს ბიბლიას და მათთვისაც, ვინც ეს გზა მომავალში უნდა გაიაროს.

პატივისცემით, ლიანა რუხიშვილი“

„ეს არის წიგნი, რომელიც სიცოცხლისაკენ მოგაბრუნებს“

ახსოვთ, რა ცხარე დებატები იმართებოდა იმ თემაზე, უნდა შევიდეს თუ არა ესა თუ ის წიგნი ამ ჩამონათვალში? ათიათასობით კაცი გამოვკითხეთ, თუმცა, აქტივობა დღესაც არ იკლებს და კიდევ და კიდევ იზრდება. ჩვენს „ფეისბუკზე“ მოწონებათა (ე.წ. „ლაიქერების“) რიცხვმა სამოცდაათი ათასს მიაღწია. განსაკუთრებით დიდი კამათი მოჰყვა მსჯელობას, უნდა შედიოდეს თუ არა სიაში ბიბლია. პასუხის ძიებაში უამრავმა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა... ილია II-ის კურთხევით, ბიბლია უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ არა დანომრილი, არამედ როგორც ცალკე მდგარი დიდი წიგნი.

მართლაც მნიშვნელოვანია, ადამიანებს გზა გაეხსნათ კაცობრიობის აზროვნების ამ მნიშვნელოვანი მონაპოვარისაკენ — ბიბლიისკენ.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული იქნება მომავალი ორშაბათი „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის. ისინი გაზეთთან ერთად მიიღებენ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ ბიბლიას, რომელიც გაცილებით დიდი ზომის წიგნი იქნება, ვიდრე პროექტში „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ შემავალი წიგნები. გემოვნებით შერჩეული დიზაინი წიგნს მიმზიდველსა და საინტერესოს გახდის მათთვისაც კი, ვისაც მცირე ასაკის გამო აქამდე ბიბლიის წაკითხვა არ უცდია. ისინი კი, ვინც დიდი დრო დაკარგეს და ბიბლია ჯერ არ გადაუშლიათ, მიუხედავად იმისა, კითხვის დრო აქვთ თუ არა, კიდევ ერთხელ დადგებიან მრავალთა მიერ მიღებული გამოცდილებისა და გადაწყვეტილების პირისპირ: ეს არის მთავარი წიგნი მთავართაგან, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ...

გურამ დოჩანაშვილის ერთი პერსონაჟის ფორმულირებისა არ იყოს, ამქვეყნად ბევრი მისალოცია, — ისინი, ვინც ჯერ არ გასცნობიან მსოფლიო კლასიკას... მისალოცია ის, ვინც ახლაღა გაეცნობა ბიბლიას... მისალოცია ისიც, ვინც იცნობს ამ წიგნთა წიგნს, იცის მისი ფასი და კიდევ ერთხელ კარგად გამოცემულ, მაღალი დონის წიგნს შემატებს თავის ბიბლიოთეკას... ბიბლია — „მთავარი წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ“ — 14 ლარად გაიყიდება.

ლელა ჯიყაშვილი

ბიბლიის გამოცემის შემდეგ დაიწყება პროექტის მეორე ნაწილი, „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“, გამოკითხვა, თუ რომელი ნაწარმოებები უნდა შევიდეს ამ სიაში გრძელდება: გთხოვთ, შეავსოთ კუპონი და გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით ან ინტერნეტმისამართზე www.49books.ge.

სპეციალური შანსი მათთვის, ვისაც „50 წიგნიდან“ რომელიმე ტომი გამორჩა: თუ გამოიწერთ „49 წიგნის“ სერიას მინიმუმ 3 თვით, „50 წიგნის“ თქვენთვის სასურველ ტომებს შინ აქციის ფასში – 7 ლარად მოგართმევთ.

პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა-ჯი“. ტელ: 238-26-73, 238-26-74, 238-26-76



ექსკლუზივი ქართველი ბიზნესმენების

„საოცარია ცა ყინულის კონტინენტზე – ფერს ყოველ 15 წუთში იცვლის“

„ყინულის სამეფოს“ ერთ-ერთი პირველი კაცი ქართველია

12-კაციანი თვითმფრინავი იტვირთებოდა 7 დღის საკვებით, საძილე ტომრებით და კარვებით, ე.ი. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა სადმე ჩარჩენა. ჩვენი გამოფრენიდან 3 დღეში ჩამოვარდა ის თვითმფრინავი და კანადელი პილოტი და მეცნიერები დაიღუპნენ...

მოგზაურობის და თავგადასავლების მოყვარულები, ალბათ, ხშირად ინატრებენ, რომ დედამიწის ყველაზე ცივ კონტინენტზე — ანტარქტიდაზე მოხვდნენ და ყინულის სამეფოში იმოგზაურონ. ასეთი მოგზაურობიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნდნენ „თი-ბი-სი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე და მისი მოადგილე ბადრი ჯაფარიძე. მათ სამხრეთ პოლუსზე იმოგზაურეს, იქ ქართული დროშა აღმართეს, ყინულის სამეფოს ამერიკული სადგურის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნებიც გადაათვალიერეს და აღმოაჩინეს, რომ კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცი, რომელსაც ყველა მნიშვნელოვანი ამერიკული სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელობა ევალება, ქართველია. ანტარქტიდული თავგადასავლების შესახებ **მამუკა ხაზარაძემ** და **ბადრი ჯაფარიძემ** „კვირის პალიტრას“ ექსკლუზიურად უამბეს.

მამუკა ხაზარაძე: — ღვინის კომპანია „შატო მუხრანში“ გვყავს ძალიან ცნობილი პარტნიორი, შვედი ბიზნესმენი ფრედერიკ პაულსენი, რომელიც გატაცებულია მოგზაურობით და რამდენიმე ქვეყნის გეოგრაფიული საზოგადოების წევრიცაა. მოგზაურობისას აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს და მათ გამოცემებსაც უზრუნველყოფს. ის დღეს მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, რომელიც უკვე ნამყოფია მსოფლიოს რვავე პოლუსზე. დიახ, რვა პოლუსზე. თურმე დედამიწას რვა პოლუსი ჰქონია: ორი გეოფიზიკური, ორი გეოგრაფიული, ორი მაგნიტური და ორიც — მიღწევადობის პოლუსი. 2007 წელს პაულსენი ყინულოვანი ოკეანის ფსკერზე ბატისკაფით ჩაეშვა რუსეთის 52-ე ანტარქტიდულ ექსპედიციასთან ერთად, რომლის შემადგენლობაში იყვნენ არქტიკის მკვლევარი, ამჟერად რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი არტურ ჩილინგაროვი, მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ბედრიცკი და სხვები. მაშინ ჩილინგაროვის ექსპედიციამ ჩრდილოეთ პოლუსის მახლობლად რუსეთის დროშა აღმართა, — მოსაზღვრე ქვეყნებმა ეს პროვოკაციული ნაბიჯი გააპროტესტეს.

ანტარქტიდაზე მოგზაურობა ძალიან ძვირად ღირებული ექსპედიციაა, რომელსაც თვითონ ფრედერიკი აფინანსებს. შარშანწინ უნდა წავსულიყავით, მაგრამ გემი რომელსაც პაულსენი მერვე პოლუსზე უნდა მიეყვანა, გაიჩხირა ყინულში და მოგზაურობა გადაიდო. ამჟერად სამხრეთ პოლუსზე 25 კაცი ორ — წითელ და ლურჯ ჯგუფებად ჩავედით. ჩვენი ჯგუფი პირდაპირ თვითმფრინავით მიადგა ბაზას, მეორე — „თავზეხელაღებულების“ გუნდი კი სამხრეთ პოლუსისკენ ასი კილომეტრით დაშორებული მანძილიდან გაემართა თხილამურებით.

— საიდან გადაფრინდით ანტარქტიდაზე?

— საკმაოდ გრძელი მარშრუტი გვქონდა. სულ აქეთ-იქით 76 საათი ვიფრინეთ. მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-ლონდონი-მადრიდი-სანტიაგო დე ჩილე-პუნტა არენასი. ამინდის გაუარესების გამო ორი დღე დავყავით ჩილეს უკიდურეს სამხრეთ წერტილში, პუნტა არენასში. გამოამინდებისთანავე ყინულის კონტინენტზე გავფრინდით რუსული საბარგო თვითმფრინავით, „ილუშინ 76-ით“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა ექსტრემალურ სიტუაციებში, დაბალი ტემპერატურის პირობებში საფრენად. 4,5-საათიანი ფრენის შემდეგ დავეშვით ანტარქტიდის დაახლოებით შუა ნაწილში, სადგურ იუნიონ-გლესიერზე. იქ არ არის აეროდრომი ან რაიმე ბაზა თვითმფრინავის მისაღებად — ხომალდი პირდაპირ ყინულზე ჯდება. სადგური არის კარვების ერთობლიობა, სადაც ჩვენც კარვებში ვცხოვრობდით.

ამერიკულ ბაზაზე უმნიშვნელოვანესი მეცნიერული გამოკვლევები ტარდება: 2000 მ სიღრმეზე გაბურღეს ყინული და გეოფიზიკური კვლევები მიმდინარეობს. აღმოჩნდა, რომ ყველა ამ სამეცნიერო კვლევის პროგრამების დირექტორი ქართველი მეცნიერი ვლადიმერ პაპიტაშვილია



„4,5-საათიანი ფრენის შემდეგ დავეშვით ანტარქტიდის შუა ნაწილში, სადგურ იუნიონგლესიერზე. სადგური არის კარვების ერთობლიობა, სადაც ჩვენც კარვებში ვცხოვრობდით“

— ქართველ მეცნიერს როგორ გადაწყდით?

ბადრი ჯაფარიძე: — სამწუხაროდ, მას პირადად ვერ შევხვდით. სამხრეთ პოლუსზე არის სკოტისა და ამუნდსენის ცენტრი, სადაც ქართული დროშა აღვმართეთ. იქვეა ამერიკული სადგური, სადაც ცხოვრობს ასამდე ადამიანი. სადგური გარეგნულად განსაკუთრებული არქიტექტურით არ გამოირჩევა, მაგრამ შიგნით შესანიშნავი პირობებია იმისათვის, რომ გარესამყაროს მოწყვეტილმა ადამიანმა 9 თვე მშვიდად იცხოვროს. მინისათბურიც კი აქვთ, რომ ახალ-ახალი პროდუქტი ჰქონდეთ. ამჟერად ამერიკულ სადგურზე უმნიშვნელოვანესი მეცნიერული გამოკვლევები ტარდება: ყინული 2000 მ სიღრმეზე გაიბურღა და მიმდინარეობს გეოფიზიკური დაკვირვებები სპეციალურად შექმნილი აპარატის გამოყენებით. აღმოჩნდა, რომ აშშ-ის მიერ წარმოებული სამეცნიერო კვლევის პროგრამების დირექტორი არის ქართველი მეცნიერი ვლადიმერ პაპიტაშვილი, რომელიც 1990 წელს წასულა ამერიკაში და ამჟამად აშშ-ის მოქალაქეა. გვეამაყებოდა, რომ ჩვენებურ კაცს ანდეს ძვირად ღირებული სტრატეგიული კვლევების ხელმძღვანელობა — ფაქტია, ასეთ ნდობას ხომ მხოლოდ აღიარებული მეცნიერები იმსახურებენ. მის შესახებ, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ გვეცოდინებოდა, რომ არა ამერიკული სადგურის ბიბლიოთეკა. ვკითხეთ, ქართულად თუ ჰქონდათ წიგნები. რა თქმა უნდა, ჩვენი ხელმძღვანელი ხომ ქართველიაო, გვიპასუხეს. მერე ერთი რუსი მთამსვლელიც შეგვხვდა, რომელსაც ახალგაზრდობაში შხარაზე ასვლა მოუნდომებია. ამინდის გაუარესების გამო უკან დაბრუნება რომ დაუპირებია, ერთ სვანს უთქვამს, აქ ტრანსპორტი სამი დღე არ იქნებაო. წაუყვანია და სამ დღეს უქეიფებია. მოგვიანებით მივხვდი, რომ მომატყუა და ავტობუსი ყოველდღე ამოდიოდა, მაგრამ ეს ძალიან კარგი ტყუილი იყოო, აღფრთოვანებული ამბობდა რუსი, განსაკუთრებული ხალხი ხართო, — ესეც დაამატა.

— ბაზიდან პოლუსამდე თხილამურებით იარეთ?

— ბაზიდან გადავფრინდით 1943 წელს გამოშვებული ამერიკული თვითმფრინავით „დისი 3“-ით. რომლის გადაიარაღებასაც ახორციელებს კანადური კომპანია „ბასლერი.“ ის ითვლება ანტარქტიდის პირობებში ოპტიმალურ საფრენ აპარატად. პოლუსთან შევხვდით ჩვენს პარტნიორს, ფრედერიკს, რომელიც თავის ჯგუფთან ერთად თხილამურებით მოდიოდა. მათ შორის იყო ლეგენდარული მთამსვლელი ფრანგი ფრანსუა ბერნარი, რომელიც მარტო ავიდა ევერესტზე და ყველა 8000-მეტრიანი მწვერვალი დალაშქრა, ამჟერად კი სამხრეთ პოლუსზე გადასვლაც მოახერხა თხილმაურებით. ექსპედიციის დროს გავიცანით ახალზელანდიელი ცნობილი ალპინისტი ქალი, რომელიც ჟანგბადის ნიღბის გარეშე ავიდა ევერესტზე. საერთოდ, იუნიონგლასიერის ბაზაზე ყველა უაღრესად გამოცდილი მოთხილამურეა და რამდენიმეს მარტოდმარტოს აქვს გავლილი ათასკილომეტრიანი სათხილამურო გზა ანტარქტიდის სანაპიროდან სამხრეთ პოლუსამდე, ყოველგვარი დახმარების გარეშე. ასეთი ხალხი ყოველთვის ახლავს სამეცნიერო ექსპედიციებს, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში შეძლონ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების გადარჩენა და დახმარება.

— რამდენი დღე დარჩით ანტარქტიდაზე?

მამუკა ხაზარაძე: — ჩავფრინდით 11 იანვარს და 16-ში უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ „ილუშინს“ ძრავა გაუფუჭდა და შეცვალეს, თუმცა ახალიც დაზიანებული აღმოჩნდა. მის შესაკეთებლად ბელორუსი ტექნიკოსი ჩამოიყვანეს თითქმის მთელი მსოფლიოს გამოვლით. მთლიანობაში ათი დღე დავრჩით. საინტერესოა ასეთ დროს ადამიანებზე დაკვირვება: როდესაც ალტერნატივა არ არსებობს და უნდა ელოდო ერთადერთი თვითმფრინავის გამოფრენას. ზოგი ნერვიულობს, ზოგიც მშვიდად არის, თავის თავს უღრმავდება, ზოგიც სასმელს ეძალება. გარშემო ცოცხალი არაფერია, ირგვლივ სულ ყინულია.

— კომუნიკაციის რა საშუალებები გქონდათ?

— მხოლოდ სატელიტური ტელეფონი და ძალიან შეზღუდული ინტერნეტი დამხმარე პერსონალისთვის.

— რა ემოცია გქონდათ, დროულად რომ ვერ გამოფრინდით?

— გამიხარდა კიდეც, რადგან ახალი თავგადასავალი დაიწყო. იქ რომ ხარ, უკვე თავგადასავალია. ამას მივხვდი შიდა გაფრენების სამზადისის დროს, როდესაც უნდა გავფრენილიყავით ანტარქტიდის უმაღლეს მწვერვალ ვინსონისაკენ. პატარა, 1971 წელს გამოშვებული 12-კაციანი თვითმფრინავი იტვირთებოდა შვიდი დღის საკვებით, საძილე ტომრებითა და კარვებით, ე.ი. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა სადმე ჩარჩენა. ჩვენი გამოფრენიდან სამ დღეში ჩამოვარდა ის თვითმფრინავი და მასზე მყოფი სამივე კანადელი დაიღუპა. ძალიან გამოცდილი პილოტი კარგი ადამიანი იყო, იმედი ჰქონდა, რომ კანადური კომპანია სვანეთში გამოუშვებდა სამუშაოდ. შარშან სვანეთში კანადური თვითმფრინავები პილოტებთან ერთად გამოგზავნეს.

— იქ დაბრუნების სურვილი გაქვთ?

— ჩრდილოეთ პოლუსზე ვფიქრობთ.

ანტარქტიდული თავგადასავალი

რადგან სამხრეთ პოლუსზე აღვმართეთ ქართული დროშა, არ გვინდა, ჩრდილოეთი დავტოვოთ საქართველოს გარეშე...

ანტარქტიდაზე დროის გაყვანის საშიშროება არ არსებობს, გარე სამყაროსგან მოწყვეტილი ერთიანად იძირები შენს თავში. საოცარია ცა ყინულის კონტინენტზე — ფერს ყოველ 15 წუთში იცვლის და ძლიერ ემოციებს იწვევს. შენს თავთან მარტო დარჩენილი მთელ სამყაროს ხედავ და, არა მხოლოდ დეტალებს, როგორც აქ, ყოველდღიურობით გაჯერებულ ყოფაში. წყალში ვყვინთავ, 30 მეტრზე ჩავსულვარ, წყლის სამყაროს სილამაზე ისე გხიბლავს, ველარ ფიქრობ იმაზე, რაც ხმელეთზე დატოვე. ყინულის სამეფოშიც ასეთივე განწყობა მქონდა. იქ ადამიანები გარინდული სხედან. გრძნობ, რომ მათში დიდი ძვრებია, ღირებულებების გადაფასება ხდება. რისკის ფაქტორიც საინტერესოა, აცნობიერებ, რომ თუ რამე კატასტროფა მოხდა, ვერაფერი გიშველის — ვერც ფული, ვერც სოციალური მდგომარეობა. გლობუსი რომ ამოვატრიალე, ღერძი სადაც არის გაყრილი, იმ ადგილს ღიმილით დავხედე — იქ ვიყავით. ეს არ იყო მხოლოდ მოგზაურობა. რაღაც უფრო მეტი იყო.

— როგორც ვიცი, ყინულის კონტინენტი კონვენციით არის დაცული, იქ არაფერი არ უნდა დაბინძურდეს.

— დაიჯერებთ? მხოლოდ ნაფეხურები რჩება, ისიც — სანამ თოვლი დაფარავს. ყველაფერი, ტუალეტიც კი, კონტინენტიდან საგანგებოდ შეფუთული გამოდის თვითმფრინავით. ამერიკული ბაზის გვერდით არის ორი საფრანგეთისოდენა ტერიტორია, სადაც ფეხის დადგმაც არ შეიძლება, რადგან იდეალური ჰაერის ზონაა, სუფთა ჰაერის ეტალონი. ანტარქტიდაზე განსაკუთრებით საგრძნობია გლობალური დათბობის შედეგად მოსალოდნელი საფრთხე. ყინული რომ დადნეს, უამრავი სახელმწიფო აღმოჩნდება წყალქვეშ. ადამიანებს საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვაში დაგვავიწყდა, რომ დაუნდობლად ვანადგურებთ დედამიწას. ქართული მენტალობიდან გამომდინარე, რატომღაც ვფიქრობდი, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და გლობალური დათბობის პრობლემა ჩვენ არ გვეხება, ეს უფრო განვითარებული ქვეყნების თავსატეხია და ამაზე მათ უნდა იფიქრონ-მეთქი. ანტარქტიდაზე მივხვდი, რომ ეს ნებისმიერი ადამიანის პრობლემაა — დედამიწა ხომ ყველასია.

ამ ექსპედიციის შემდეგ ვფიქრობ, დიდი კამპანია უნდა დავიწყოთ, მომავალმა თაობებმა სიყრმიდანვე უნდა გაიაზრონ და ისწავლონ, რომ გარემო ის ტოტია, რომელზეც ვსხედვართ და არ შეიძლება მისი განადგურება. ყველამ ჩვენი წილი სამყარო უნდა გადავარჩინოთ, რათა მსოფლიომ მშვიდად არსებობა შეძლოს.

ბადრი ჯაფარიძე: — სამწუხაროდ, საზოგადოებას გააზრებული არა აქვს, რომ ეს მდინარე, ეს ტყე, მთა, მიწა მათია. ზოგჯერ ადამიანებისთვის სამშობლო მისი ეზოს ღობესთან მთავრდება. ეს დამოკიდებულება უნდა შევცვალოთ.

ეკა ლომიძე



ანტარქტიდაზე, გარე სამყაროსგან მოწყვეტილი, ერთიანად იძირები შენს თავში. მარტო დარჩენილი მთელ სამყაროს ხედავ და არა — მხოლოდ დეტალებს, როგორც აქ, ყოველდღიურობით გაჯერებულ ყოფაში. ყინულის სამეფოში ადამიანები გარინდული სხედან. გრძნობ, რომ მათში დიდი ძვრებია, ღირებულებების გადაფასება ხდება...

„სამხრეთ პოლუსზე არის ცენტრი სკოტამუნდსენი, სადაც ქართული დროშა აღვმართეთ“

ინფლუციდი

a caring cure

ინტერფერონის ნატურალური ინდუქტორი – გრიპისა და მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციის დროს

ეფექტური. სანდო. დაბალანსებული.

ინფლუციდი – სამკურნალო საშუალება დამზადებული ბუნებრივ კომპონენტებზე, რომლის ეფექტურობა დამტკიცებულია კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევებით

ინფლუციდი ხასიათდება სამკურნალო ეფექტების მთელი სპექტრით, რომელიც აუცილებელია ვირუსული ინფექციის გამოვლენის კუპირებისთვის:

- ასტიმულირებს ენდოგენური ინტერფერონის გამომუშავებას
- თრგუნავს ფართო სპექტრის ვირუსების გავრცელებას
- ამსუბუქებს გაციების ძირითად სიმპტომებს (მაგ.: სურდო ან დახშული ცხვირი, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, ტკივილი კუნთებში, ხველა, ზოგადი სისუსტე და ენერგიის დაკარგვა).
- იცავს უჯრედს ვირუსების ციტოპათოგენური მოქმედებისგან

ინფლუციდს აქვს სარწმუნო ბრწყინვალე ამტანობა და პრაქტიკულად არ გააჩნია გვერდითი მოვლენები



ინფლუციდი. ექვსი აქტიური კომპონენტი და მათი მოქმედება

Aconitum napellus (ტილჭირი, აკონიტუმი) ხშირად ნიშნავენ მწვავე ანთებითი დაავადებების, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციისა და გრიპის დროს. აკონიტუმი წარმოადგენს ეფექტურ სიცხის დამწევ საშუალებას სწრაფად მიმდინარე მწვავე ინფექციური დაავადებების დროს, რომელიც ციების, მშრალი ცხელებისა და ამ მდგომარეობისთვის დამახასიათებელი სხვა ტიპიური სიმპტომებით მიმდინარეობს.

Bryonia dioica, Bryonia alba – ლეშურა, ხშირად გამოიყენება სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებების დროს, რომლებიც ხასიათდება მშრალი, შეტევითი ხასიათის ხველით, სუნთქვისა და ხველის დროს მკერდის გამჭოლი ტკივილით, ხიხინით და გაძლიერებული წყურვილის გრძნობით.

Eupatorium perfoliatum – ვარდკანაფა. ეს მცენარე გამოიყენება კიდურებსა და კუნთებში ტკივილის სწრაფად მოხსნისათვის. ამას გარდა, ვარდკანაფას იყენებენ ვირუსული ინფექციების საწყის სტადიაზე თავისა და თვალების ტკივილის მოსახსნელად.

Gelsemium – ყვითელი ჯასმინი, მარადმწვანე გელზემიუმი – ხშირად გამოიყენება ანთებითი დაავადებების დროს, რომლებსა თან ახლავს თავის ყრუ ტკივილი, ქუთუთოების სიმძიმის შეგრძნება, საერთო სისუსტე, ციებ-ცხელება. ეფექტურია სურდოს, ლარინგიტისა და ტონზილიტის დროს.

Ipecacuanha - იპეკაკუანა, ოქროს-ძირა – მოქმედებს სასუნთქი გზების დაავადებების დროს, როგორიცაა დიდი რაოდენობით ნახველით მიმდინარე ბრონქიტი და ასთმა. ის მოქმედებს, როგორც ამოსახველებელი საშუალება და ეფექტურია გულისრევის და ღებინების თანხლებით მიმდინარე დაავადებების დროს, სქელი ნახველისაგან სასუნთქი გზების გათავისუფლებაში.

Phosphorus - ფოსფორი – ეს არის მინერალი, რომელსაც იყენებენ სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების დროს, ლორწოვანი გარსების გაღიზიანებისა და წვის მოსახსნელად – განსაკუთრებით სისხლიანი და ჩირქიანი გარსების დროს. ის ასევე ეფექტურია ყელის ტკივილის დროს, რომელიც ხმის ჩახლეჩახა და დაკარგვას იწვევს. დამტკიცებულია, რომ ფოსფორი ხელს უწყობს გამოჯანმრთელებას და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ რეაბილიტაციას.

DEUTSCHE HOMÖOPATHIE-UNION

წარმომადგენლობა საქართველოში
თბილისი, 0177, მიცკევიჩის ქ.№27, ოთახი 508.
ტელ: 261-46-88
www.alpenpharma.com
Alpen Pharma

რაზომ „გაკრასკეს“ სტალინის „მოსიარულე“ ძეგლი

„თეა თუთბერიძე, თუ მაგარია, ჩამოვიდეს ალვანში და საქართველოს სიყვარული მოგვკითხოს“

„ტვინგახვრეტილი კაცი რომ „კრასკას“ ამ ალაგას მიასხამს, აღარ უნდა შევაგინოთ?..“

ალვანში სტალინის ძეგლის სანახავად არ წავსულვარ, თუმცა, რაღა დაგიმალოთ და... კი მაინტერესებდა, ასე რამ ააღელვა ალვანელები — როგორც ჩანს, ერთ დროს მსოფლიო ბელადი დღესაც ახერხებს ჩვენი ვნებების მართვას.

— რა ხდება სტალინის ძეგლთან დაკავშირებით ალვანში? — ვკითხე თუშ მძღოლს, რომელსაც ალვანში გომბორით მივყავდი. იმან ჯერ მე ამათვალიერა, მერე გომბორზე დადებული თოვლი და... დადუმდა. ასე, ერთი საათის შემდეგ კი მიკროავტობუსი სოფლის ცენტრში პირდაპირ მის ძეგლთან „წაატორმუზა“ — აგე, რა ამბავია, ამათი პატრონის დედაცო! იმის მიხვედრას რა უნდოდა, რომ თუშებს არ შეაგინებდა, მაგრამ პირკატა კი მეცა, — შავ სამოსელში გამოწყობილი ხალხთა დიდი ბელადი ისე მრისხანედ გამოიყურებოდა, რომ არა ფერხთით ვარდისფერ საღებავში ამოთხუპნილი ხელოვნური გვირგვინი, მგონი, ახლაც შემაშინებდა.

— ეს რა გიქნიათ, სტალინის ძეგლს სხვაგანაც გადაასხეს საღებავი, მაგრამ შავ ცელოფანში არ შეუფუთავთ! — გამოველაპარაკე ძეგლთან შემოჯარულ საზოგადოებას.

— დაგელაპარაკებით, თუ რასაც გეტყვით, შენს ჭკუაზე არ დაწერ, იმ ჩვენი ტელევიზიებივით... ამ ამბის გასაშუქებლად, ვითომ თბილისიდან დილაბნელზე ჩამოვიდნენ, სინამდვილეში კი ღამე ალვანში გაათიეს. სოფელმა არაფერი ვიცოდით და ტელევიზიებს როგორღა უნდა გაეგოთ სტალინის „გაკრასკვის“ ამბავი? სოფელმა რომ გაიღვიძა, ეგენი უკვე ტელეკამერებით ხელში იდგნენ. შემოვეხვიეთ და რას ვხედავთ: ამძვრალა ვიღაც ტვინგახვრეტილი სტალინის თავზე და ზედ ვარდისფერი საღებავი ჩამოუსხამს! თანაც იმდენი, სტალინი ხომ გაფერადებულია, მიწაზე რო გვირგვინი უდევს, ისიც „გაკრასკულია“. მაგას, იცი, რამოდენა „კრასკა“ დასჭირდებოდა? თანაც ეგ ზუსტად იმ ფერის „კრასკაა“, „ნაციონალებმა“ თბილისში კორპუსები რომ დაღებეს. რაც დარჩათ, ახლა სტალინს ალამაზებენ. მაგის გამკეთებელი ალვანელი არ იქნებოდა! ზედ რომ ამძვრალა, სტალინის ქუსლებთან გასაღები და ჩიპი („ფლეშკა“) დარჩენია. იმ დილაბნელზე სტალინის თავზე შემომჯდარი კაცი მაგას რას მოტვინავდა, გასაღები და ჩიპი სად ჩამოუვარდა! პატრულს გადავეცით ეგ ჩიპიცა და გასაღებიც. პატრულმა კიდევ, ძეგლი დალუქა და შავი ცელოფანიც ჩამოაცვა, ლენტი გაჭიმა, ამას იქით არავინ გადავიდესო.

— ანუ საქმე ძიებაშია გადაცემული?

— არი, მაგრამ გამოიძიებენ? თუ არ გამოიძიებენ, იქვე იყვნენ! სტალინის ძეგლი კოტე ლაგაზიძის ოჯახში ინახებოდა, რომელიც 37 წელში გადაასახლეს, — 1975 წლამდე კოტეს ცოლი ინახავდა. ახლაც დარჩა იმ ოჯახში სტალინის ძველი კვარცხლბეკი! მერე სოფელმა სტალინი თავის ადგილას დააბრუნა და უფრო მაღალი პიედესტალი გაუკეთა. შარშან ახმეტის გამგებელმა დაგვიბარა, — არ გეწყინოთ, მაგრამ ალვანელებმა სტალინის ძეგლი უნდა აიღოთო. რო ვუთხარით, სად წავიღოთო? — თუ ძალიან გული გტკივათ, შინ წაიღეთო. ავდექით და წავიღეთ. უკან დაბრუნებისას კიდევ უფრო ლამაზად მოვაწყვეთ, პირვანდელს აჯობა.

— რა გაგიკეთათ სტალინმა, რომ ასე რუდუნებით დაატარებთ აქეთ-იქით? იქნებ ის კაცი უფრო მართალია, ვინც პროტესტის ნიშნად საღებავი ჩამოასხა?

— მაგის შესაკითხად აქ რას ჩამოდიოდი, თეა თუთბერიძისთვის გეკითხა. მაგან დაწერა ინტერნეტში: — მე გადავასხი ალვანში სტალინს „კრასკა“ და მომკითხონ თუშებმაო. თუ მაგარია, ჩამოვიდეს ალვანში და თუშებს საქართველოს სიყვარული მოგვკითხოს. განა რამდენი სახლი უნდა მდგარიყო 41 წელში ალვანში, რომ 400 თუში წასულიყო ჰიტლერთან საომრად, — ყველა სახლი დაცარიელდა. ამ 400-დან 100 დაბრუნდა. იმ 400-დან ვისი სურათიც დარჩა, სტალინის ობელისკის გარშემო შემოვაწყვეთ — არც ერთი არ არის 22 წელზე მეტისა! აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომშიც 4 თუში მოკვდა, — ერთი ლევან ჩაგოშვილი იყო. ხალხი გადმოყავდა სოხუმიდან. ჭუბერში მაგის თვითმფრინავი კლდეს შეასკდა და დაიწვა. ახლა ვიღაცა ტვინგახვრეტილი ამ ალაგას რომ „კრასკას“ მისხამს, აღარ უნდა შევაგინოთ? ალვანელი კაცი აქ როგორ მოვიდოდა მაგისთვის! ათას კაცს რომ გვინდა ეს სტალინი, „ნაციონალების“ ერთი ვიღაცის ტვინში მოპრიანებისთვის ჩამოვაგდოთ?

— გმირ გმირია და ბელადი კიდევ, ბელადი, — ერთმანეთში არ აგვრიოს!

— შენ მაგაზე ნუ ინერვიულებო, — დამამშვიდეს თუშებმა და ზრდილობიანად დამემშვიდობნენ. თუმცა წამოსვლამდე საღებავჩამოთხუპნილ ძეგლზე ლექსი რომ ვეღარ გავარჩიე, ისიც წამიკითხეს, — უფრო სწორად, ზეპირად მითხრეს, თანაც დააყოლეს, — გიორგი ქადაგიძისა არისო.

— ალვანში სტალინის რეჟიმის წინააღმდეგ „შვიდი სამანელი“ იბრძოდა და მათ შორის რომ გიორგი ქადაგიძე იყო, ამ ლექსის ავტორი ის გიორგი ქადაგიძეა?!

თავი დამიქნიეს და... სტალინის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლის სტალინისადმი მიძღვნილი ლექსი რიხით ჩემიკითხეს: „ხან ზღვას გამსგავსებ უძიროს, ლაჟვარდით დამძიმებულსა/ ხან კი ქარიშხალს, სპეროზას კლდეებთან დაჭიდებულსა!“

ეთერ ერაძე

„ათას კაცს, რომ გვინდა ეს ძეგლი, ერთი „ნაციონალის“ ტვინში მოპრიანებისთვის ჩამოვაგდოთ?“

„სოფელმა რომ გაიღვიძა, ეგენი უკვე ტელეკამერებით ხელში იდგნენ. ამძვრალა ვიღაც ტვინგახვრეტილი სტალინის თავზე და ზედ ვარდისფერი საღებავი ჩამოუსხამს! ზუსტად იმ ფერის „კრასკაა“, „ნაციონალებმა“ თბილისში კორპუსები რომ დაღებეს. რაც დარჩათ, ახლა სტალინს ალამაზებენ...

„მაგის გამკეთებელი ალვანელი არ იქნებოდა. ზედ რომ ამძვრალა, სტალინის ქუსლებთან გასაღები და ჩიპი დარჩენია. იმ დილაბნელზე სტალინის თავზე ამ საქმისთვის შემომჯდარი კაცი მაგას რას მოტვინავდა, გასაღები და ჩიპი სად ჩამოუვარდა!

„შავ სამოსელში შეფუთული ხალხთა დიდი ბელადი ისე მრისხანედ გამოიყურებოდა, ახლაც მაშინებს“

ეკონომიკური პოლიტრა

№8 (263) 18-24 თებერვალი, 2013

BUSINESS, ECONOMICS &...

„კვირის პოლიტრის“ ყოველკვირეული ეკონომიკური დამატება

„შრომა-დასვენების კოდექსში“ უქმე დღეა 17

ბიზნესის წარმომადგენლებს ცვლილებების პროექტზე შეკითხვები უჩნდებათ

ხათუნა ჩიგოგიძე

რამდენი უქმე დღეა საქართველოში? შრომის კოდექსის ცვლილებების პაკეტში, რომლის განხილვაც ამჟამად მიმდინარეობს, ასეთი 17 დღეა ჩამოთვლილი. დასაქმებულის მიერ ამ დღეებში სამუშაოს შესრულება ზეგანაკვეთურად მიიჩნევა, ხოლო მისი პირობები განისაზღვრება უკვე არა მხარეთა შეთანხმებით, როგორც აქამდე მოქმედ კოდექსშია, არამედ ხელფასის საშუალო საათობრივი განაკვეთის არანაკლებ 1,25-ის ოდენობით. პროექტში არ ჩანს სხვადასხვა ბიზნესს შორის რამე დიფერენციაცია, არადა, არის სფეროები, სადაც დასვენების დღეებში მუშაობა, სავსებით შესაძლებელია, რომ მუდმივი არ იყოს, და ასევე არის სფეროები, სადაც დასვენების დღეებში რეგულარულად მუშაობა გარდაუვალია: სატრანსპორტო თუ კომუნალური მომსახურებით დაწყებული, პრესა-ტელევიზიით დასრულებული...

შრომის კოდექსის პროექტი ბიზნესსფეროს წარმომადგენლების შეკითხვებს აღძრავს. საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციამ შენიშვნები იუსტიციის სამინისტროს გადაუგზავნა, საბანკო სექტორის წარმომადგენლებმა კი თავიანთი მოსაზრებები ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს გაუზიარეს. ბიზნესმენთა ასოციაციაში დამსაქმებლისთვის „ვადიანი ხელშეკრულების გაფორმების უფლების წართმევა“ აფიქრებთ, აგრეთვე, კოლექტიური დათხოვნის შემთხვევაში 90 დღით ადრე შეტყობინების აუცილებლობა. ბანკების ასოციაციაშიც შიშობენ, რომ ცვლილებებმა საბანკო სექტორს, შესაძლოა, განსაზღვრული პრობლემები შეუქმნას.

ზურაბ გვასალია *(საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი):* — რასაკვირველია, შრომის კოდექსი უნდა შეცვლილიყო, მაგრამ სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა საბანკო სისტემისთვის: ამ სექტორის თანამშრომლები მუდმივი ტრენინგებისა და ტესტირების პროცესში არიან და კვალიფიკაციას მუდმივად იმაღლებენ. სხვაგვარად ძალიან ძნელი იქნება კონკურენციის პირობებში მუშაობა და საბაზრო ნიშის შენარჩუნება. თუ შრომის კოდექსი ამ პროცესს შეაფერხებს, საბანკო სექტორს ძალიან გაუჭირდება. პროექტში არის რამდენიმე მუხლი, რომელიც გაუგებარია და შესაძლოა შემაფერხებელიც აღმოჩნდეს. ამის შესახებ ვაცნობეთ იუსტიციის სამინისტროსაც და ფინანსთა მინისტრსაც: თუ ხელმძღვანელი რომელიმე ნაკლებად კვალიფიციურ თანამშრომელს გაუშვებს, ძნელია აუხსნას — რატომ, ის კი მიდის სასამართლოში, სადაც დამსაქმებელს ამის დამტკიცება კიდევ უფრო უძნელდება. ეს მაშინ, როცა საბანკო სექტორი მუდმივ წინსვლასა და ცვლილებას მოითხოვს. სხვა მაგალითი: ვიდრე თანამშრომელს გაუშვებდეს, დამსაქმებელი ვალდებულია იგი 30 დღით ადრე გააფრთხილოს. წარმოიდგინეთ მოლარე, რომელმაც იცის, რომ ერთ თვეში ბანკიდან გაუშვებენ და რომელსაც დიდ ფულთან აქვს საქმე. ბუნებრივია, აქ იქმნება საშიშროება, რომლის გამოც უმჯობესია, დამსაქმებელმა კომპენსაცია გადაუხადოს და მაშინვე გაუშვას.

— რას ამბობენ საბანკო სექტორში უქმე დღეებში მუშაობის ანაზღაურების თაობაზე?

— რაც კანონით არის გათვალისწინებული, ის უნდა დავიცვათ და ამის საწინააღმდეგო არც ერთი ბანკის ხელმძღვანელს არაფერი ექნება. თუ ადამიანი მუშაობს დღესასწაულებზე, ესე იგი, ამ დაწესებულებისთვის, ამ ბანკისთვის მუშაობს და მისი შრომა უნდა დაფასდეს. თუმცა ჯერ კიდევ უნდა დავაკვირდეთ: თუ ეს დიდი დანახარჯი იქნება ბანკებისთვის და მნიშვნელოვან ეკონომიკურ პრობლემებს შეგვიქმნის, რა თქმა უნდა, ბანკები თავიანთ გადაწყვეტილებას გადახედავენ.

23

„ამას პატიება, იმას გადავადება?!“

ემა ტუხიაშვილი

შემოსავლების სამსახურმა შემოწმებული და დაჯარიმებული მეწარმეების მონაცემები ცოტა ხნის წინ გაასაჯაროვა. მხოლოდ ბოლო სამი თვის განმავლობაში შემოსავლების სამსახურმა და ალტერნატიულმა აუდიტმა 1758 იურიდიული პირი შეამოწმეს, საიდანაც 698 დააჯარიმეს. 2012 წლის 1-ელი ნოემბრიდან 2013 წლის 31 იანვრის ჩათვლით კი 944 საგადასახადო შემოწმება დაინიშნა, მათ შორის როგორც გეგმური, ისე კამერალური. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანება 223,4 ათას გადასახადის გადამხდელს აქვს და ჯამში ეს თანხა 4,5 მილიარდ ლარს შეადგენს. 4 ათასამდე მეწარმე კი მედიაციის საბჭოში მათზე დაკისრებულ ჯარიმას ასაჩივრებს და სადავო თანხა დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარია.

ეკონომისტები ერთხმად აღიარებენ, რომ 4,5 მილიარდი, რომელიც მეწარმეებს ბიუჯეტის მართებთ, ძალიან დიდი თანხაა და რომ ყველა სადავო საქმე დეტალურად არის შესასწავლი. ერთი ნაწილი საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურიზაციასაც ემხრობა — მით უფრო, რომ ბოლო დროს არაერთი მაგალითი გამოვლინდა წინა ხელისუფლების დროს ფავორიტი კომპანიებისთვის საბიუჯეტო დავალიანების პატიების, ამნისტირების თუ სხვადასხვა ფორმით ჩამოწერისა. მაშინ, როცა მცირე და საშუალო მეწარმეებს ლარსაც არავინ პატიობდა და ხშირად გადასახადებსაც უსამართლოდ არიცხავდნენ.

22

სოფლის მეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო

ქვემო ქართლის სოფლებში საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო. „ხვნა აგროვადების ზუსტი დაცვით მოხდება, ამიტომ სამუშაოებს ქვემო ქართლის სოფლებიდან ვიწყებთ. ამ რეგიონში მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით 39 285 ბენეფიციარი ისარგებლებს და 24 ათასი ჰა მიწა ფართობი დამუშავდება“, — განაცხადა დავით კირვალიძემ. საერთო ჯამში მთავრობა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი 640 ათასზე მეტ მიწის მესაკუთრეს დაეხმარება, ვისაც საკუთრებაში აქვს 0-დან 5 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.

„ყველაზე სწრაფები“ ჯოზეფ ფოსტერისგან

Reebok-ის მარკის სამოსსა და ფეხსაცმელს მსოფლიოს 140 ქვეყანაში იცნობენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ კომპანიის ისტორია ლურსმნების გროვისა და წყვილი ფეხსაცმლის — თანამედროვე ბოტასის წინაპრისგან დაიწყო.

ინგლისის ქალაქ ბოლტონის მცხოვრები ჯოზეფ უილიამ ფოსტერი 1895 წელს სირბილის მოყვარულთა ადგილობრივ კლუბში ჩაეწერა. ფოსტერს მძლეოსნობა იტაცებდა და შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა. იმ დროისთვის მორბენლების მთავარი პრობლემა სარბენ ბილიკთან ცუდი მოჭიდება იყო, ამიტომაც ფოსტერმა გადაწყვიტა, დამოუკიდებლად შეექმნა სპორტული ფეხსაცმელი, რომელიც პრობლემას გადაუჭრიდა. გადაწყვეტილება ნამდვილად ორიგინალური გამოდგა — ჯოზეფმა თავის სარბენ ფეხსაცმელს ძირზე რამდენიმე ლურსმანი „ჩაჭედა“ და ასე შექმნა მსოფლიოში პირველი ბუცები. ფეხსაცმელი კარგად ეჭიდებოდა ზედაპირს და ამდენად, ყურადღებაც მიიპყრო როგორც საზოგადოების, ისე სპორტის მოყვარულთა მხრიდან. თავად გამომგონებლის გასაოცრად, მის ახალ „ტექნოლოგიაზე“ მოთხოვნილება გაჩნდა.

24

იანვრის საარსებო მინიმუმი 150,7 ლარია

ერთ წელიწადში საარსებო მინიმუმი 7,2 ლარით (4%-ით) შემცირდა და „საქსტატის“ მონაცემებით, 2013 წლის იანვარში 150,7 ლარია. საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა 133,5 ლარი შეადგინა (2012 წლის იანვარში — 139,3 ლარი), ხოლო საშუალო ოჯახის — 252,7 ლარი (2012 წლის იანვარში — 263,7 ლარი).

რუსი მექსპერტების ვიზიტი გადაიდო

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ „როსპოტრებნადზორს“ რუსულ ბაზარზე შესვლის მსურველი 84 ქართული კომპანიის სია გადაუგზავნა. სააგენტოს ხელმძღვანელ ლევან დავითაშვილის განმარტებით, გენადი ონიშჩენკოს განცხადება, თითქოს ქართულმა მხარემ ვერ შეძლო კომპანიების დოკუმენტაციის დროულად მომზადება, სიმართლეს არ შეესაბამება. რუსული მხარე სიას უკვე განიხილავს, თუმცა როდის ჩამოვლენ სპეციალისტების ჯგუფები კომპანიების ინსპექტირებისთვის, უცნობია. მათი ვიზიტი გასულ კვირაში უნდა შემდგარიყო, მაგრამ გადაიდო იმის მომიზეზებით, თითქოს განმცხადებელი ფირმების ერთი ნაწილის დოკუმენტაცია არასრული იყო.

„ამას პატიება, იმას გადავადება?!“

შემოწმების ინტენსივობა იმატებს, თუმცა დავალიანებაც იზრდება

(21-ე გვერდიდან)

ნოდარ ჭიჭინაძე *(ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის თავმჯდომარე):* „შემოსავლების სამსახურის მიერ შემოწმებულებს შორის დაჯარიმებულების წილი საკმაოდ დიდია. გამიჭირდება თქმა, სამართლიანად მოხდა ეს თუ უსამართლოდ კონკრეტული ბიზნესების შემთხვევაში, რადგან არ გვაქვს საშუალება, კონკრეტულ საქმეებში ჩავიხედოთ. მეორე მხრივ, თუ ვინმე არის დასაჯარიმებელი, უნდა დაჯარიმდეს მოქმედი კანონისა და კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. შესაცვლელია თუ არა ეს კანონმდებლობა, ეს კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ კანონდარღვევისთვის ნებისმიერმა პირმა თუ ორგანიზაციამ პასუხი უნდა აგოს.

„სახელმწიფო არც პრივილეგირებულ მდგომარეობაში უნდა აყენებდეს რომელიმე კერძო სუბიექტს და არც უნდა ჩაგრავდეს“

რაც შეეხება ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილ უზარმაზარ დავალიანებას, რომელიც 4 მილიარდ ლარს აჭარბებს, ვფიქრობ, ნაწილი უნდა ამოიღონ, მაგრამ ნაწილი აუცილებლად გადასახედია, ზოგს უნდა ეპატიოს და ზოგსაც განსაზღვრული სახით გადაუვადდეს გადახდა. თუ ბიზნესის ხელშეწყობა გვინდა, ამნისტიები, რომელზეც მიმდინარეობს საუბარი, შესაძლებელია, რაღაც ფორმით მივიღოთ და მეწარმეებს ნაწილი მაინც ვაპატიოთ. არ ვარ მომხრე მათთვის მთლიანი დავალიანების ჩამოწერისა, შესაძლებელია მოხდეს გადავადება, რესტრუქტურიზაცია. დაჯარიმება არ უნდა მოხდეს უხეშად და ისე, რომ ამის შემდეგ მეწარმეს საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობები მოვუსპოთ. ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის გავლებული უნდა იყოს მკვეთრი ზღვარი, ვგულისხმობ ჩარევის და არა თანამშრომლობის თვალსაზრისით. სახელმწიფო არც პრივილეგირებულ მდგომარეობაში უნდა აყენებდეს რომელიმე კერძო სუბიექტს და არც უნდა ჩაგრავდეს. ბიზნესი თავად უნდა დარწმუნდეს, რომ მთავრობის მიერ გაცხადებული კურსი რეალობას შეესაბამება“.

რუსეთი აშშ-ს ხორცს უწუნებს

აშშ-ი რუსეთისგან ამერიკული ხორცის იმპორტზე აკრძალვის დაუყოვნებლივ მოხსნასა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებისას აღებული ვალდებულებების შესრულებას მოითხოვს. „ეს ხორცი მსოფლიოში უსაფრთხოების ყველაზე მაღალ სტანდარტს აკმაყოფილებს“, — განმარტავენ აშშ-ის სავაჭრო წარმომადგენელი და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

როგორ ვაიჯულოთ $1 მილიარდის გადახდა

„აიფონსა“ და „აიპედში“ საძიებო სისტემის შენარჩუნებისთვის 2014 წლისთვის „გუგლი“ კორპორაცია „ეპლს“, დაახლოებით, $1 მილიარდს გადაუხდის. ამ გზით „გუგლი“ შეინარჩუნებს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მისი საძიებო სისტემა დარჩება iOS-ის საოპერაციო სისტემაზე შექმნილ „ეპლის“ მოწყობილობებში. ასეთივე შეთანხმება 2009 წელს „გუგლს“ $82 მილიონი დაუჯდა.



ინფოგრაფიკა © „მედიაპალიტრა“

კვლევა

ვალუტის გადაცვლა საქართველოს ბანკებში

„ეკოპალიტრა“ ბაზარზე მოქმედი 14 ბანკის სავალუტო პოლიტიკის კვლევას წარმოგიდგენთ. ის 22 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით მოაწყვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრის მკვლევრებმა, „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ ფორმატში. იმის დასადგენად, რომელი ბანკი სთავაზობდა მომხმარებელს მეტად და ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს ოთხი ვალუტის გაცვლისას, თითოეული ბანკის საშუალო მაჩვენებელი მათი ყოველდღიური კურსის დაჯამებისა და საშუალოს გამოყვანის გზით დაიანგარიშეს.

ბანკების ხუთეულები, სადაც მომხმარებლისთვის ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელია მითითებული ვალუტის ყიდვა და გაყიდვა (ლარი შესაბამისი ვალუტის 1 ერთეულზე).

Iliauni Business Review

აშშ დოლარი

მეტად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) ვითიბი ბანკი	1,647	1) ხალიკ ბანკი	1,665
2) ქეიესბი ბანკი	1,645	2) ტაოპრივატ ბანკი	1,665
3) პროგრეს ბანკი	1,645	3) პროგრეს ბანკი	1,6658
4) ხალიკ ბანკი	1,645	4) ქეიესბი ბანკი	1,666
5) ტაოპრივატ ბანკი	1,645	5) ბანკი კონსტანტა	1,666

ნაკლებად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) თიბისი ბანკი	1,636	1) თიბისი ბანკი	1,677
2) საქართველოს ბანკი	1,6362	2) საქართველოს ბანკი	1,6762
3) რესპუბლიკა ბანკი	1,6392	3) ბანკი რესპუბლიკა	1,676
4) ბანკი ქართუ	1,64	4) ბაზის ბანკი	1,6746
5) ბაზის ბანკი	1,641	5) ბითიეი ბანკი	1,674

ევრო

მეტად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) ბითიეი ბანკი	2,206	1) ბანკი კონსტანტა	2,245
2) პროკრედიტ ბანკი	2.2041	2) ხალიკ ბანკი	2,25
3) ბანკი ქართუ	2,2036	3) ბითიეი ბანკი	2,261
4) ხალიკ ბანკი	2,201	4) პროგრეს ბანკი	2,262
5) ქეიესბი ბანკი	2,1924	5) ტაოპრივატ ბანკი	2,264

ნაკლებად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) ბაზის ბანკი	2,1757	1) ბაზის ბანკი	2,2915
2) ბანკი კონსტანტა	2,1766	2) საქართველოს ბანკი	2,283
3) ტაოპრივატ ბანკი	2,178	3) თიბისი ბანკი	2,279
4) ბანკი რესპუბლიკა	2,1829	4) ლიბერთი ბანკი	2,2725
5) საქართველოს ბანკი	2,183	5) ქეიესბი ბანკი	2,2716

გირვანქა სტერლინგი

მეტად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) ხალიკ ბანკი	2,61	1) ბითიეი ბანკი	2,645
2) ბანკი კონსანტა	2,58	2) ტაოპრივატ ბანკი	2,647
3) ბითიეი ბანკი	2,579	3) ქეიესბი ბანკი	2,6625
4) ვითიბი ბანკი	2,573	4) ბაზის ბანკი	2,6657
5) პროგრეს ბანკი	2,567	5) ბანკი ქართუ	2,6666

ნაკლებად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) ბაზის ბანკი	2,5466	1) ხალიკ ბანკი	2,686
2) საქართველოს ბანკი	2,5539	2) ბანკი კონსტანტა	2,68
3) ტაოპრივატ ბანკი	2,557	3) ბანკი რესპუბლიკა	2,6784
4) თიბისი ბანკი	2,558	4) ვითიბი ბანკი	2,673
5) ლიბერთი ბანკი	2,5599	5) საქართველოს ბანკი	2,6719

რუსული რუბლი

მეტად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) თიბისი ბანკი	0,0537	1) ტაოპრივატ ბანკი	0,056
2) ვითიბი ბანკი	0,0537	2) ბიტიეი ბანკი	0,056
3) ბაზის ბანკი	0,05268	3) თიბისი ბანკი	0,0567
4) პროკრედიტ ბანკი	0,05238	4) საქართველოს ბანკი	0,05678
5) ტაოპრივატ ბანკი	0,052	5) ვითიბი ბანკი	0,0568

ნაკლებად ხელსაყრელი მომხმარებლისთვის

ყიდვა ბანკის მიერ		გაყიდვა ბანკის მიერ	
1) ბანკი ქართუ	0,049	1) ქეიესბი ბანკი	0,0615
2) ქეიესბი ბანკი	0,0497	2) ხალიკ ბანკი	0,06
3) პროგრეს ბანკი	0,05	3) პროგრეს ბანკი	0,05848
4) ბითიეი ბანკი	0,05	4) ბაზის ბანკი	0,058
5) ხალიკ ბანკი	0,05	5) ლიბერთი ბანკი	0,05725

მონაცემების დეტალური ანალიზი აჩვენებს, რომ წინა კვლევისას (10 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით) გამოკვეთილი საბაზრო ტენდენციები ძირითადად შენარჩუნებულია. მაგალითად, ხალიკ ბანკი სამი ვალუტის შემთხვევაში კვლავ უფრო ხელსაყრელ ბანკთა სიაშია როგორ შეძენისას, ისე გაყიდვისას, რუსული რუბლის შემთხვევაში კი ისევ ნაკლებად ხელსაყრელ ბანკთა ხუთეულში დარჩა ორივე ოპერაციისთვის.

კვლავ მხოლოდ რუსული რუბლის ყიდვა-გაყიდვისას აღმოჩნდა ხელსაყრელ ხუთეულში თიბისი ბანკი, არახელსაყრელ ხუთეულში — დანარჩენი სამი ვალუტის გაყიდვისას, ხოლო ყიდვისას — გირვანქისა და აშშ დოლარისთვის.

ოთხივე ვალუტისთვის ნაკლებად ხელსაყრელ ხუთეულში ამჯერადაც მხოლოდ ბაზის ბანკია, თუმცა გამონაკლისია გირვანქა სტერლინგის გაყიდვის ოპერაცია, სადაც მან ხელსაყრელ ხუთეულში გადაინაცვლა. წინა კვლევისგან განსხვავებით, თოთხმეტი ბანკიდან გაცვლითი კურსების სტაბილურობა ყველაზე ხშირად ტაოპრივატბანკმა გამოავლინა, როგორც ყიდვისას, ისე გაყიდვისას.

მართალია, მომხმარებელს არჩევანი, აქვს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ბანკებში კურსებს შორის სხვაობა არსებითი ამჯერადაც არ არის.

საშშენებლო კოდექსი განახლდება

საქართველოს სივრცითი დაგეგმარებისა და საშშენებლო კოდექსის პროექტი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების თანამშრომლობით მომზადდა. პროექტის საჯარო განხილვებსა და მისი საბოლოო სახით შემუშავებას, დაახლოებით, 6-8 თვე დასჭირდება.

„შრომა-დასვენების კოდექსში“ 17 უქმე დღეა

(21-ე გვერდიდან)

გურამ მაჭარაშვილი *(ბანკ „ქართუს“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე):* — არ მგონია, პრობლემა იყოს დამსაქმებლის ვალდებულება, 30 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს დასაქმებულს, რომ მის გაშვებას აპირებს; ხოლო თუ ბანკის მენეჯმენტი გადაწყვეტს, რომ კოლექტიური გათავისუფლებაა საჭირო, ამ შემთხვევაში თანამშრომლებმა 90 დღით ადრე უნდა იცოდნენ — ვფიქრობ, ამის უფლება აქვთ. შრომითი ურთიერთობები მოწესრიგებულია ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში და იმედია, ამას საქართველოშიც მივაღწევთ. საბანკო სექტორის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი კონსტიტუციით არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქე და მისი უფლებები. სწორედ ამიტომ, თუ ადამიანი მუშაობს უქმე დღეებში და ზეგანაკვეთურ სამუშაოს ასრულებს, ესე იგი, მას ზედმეტად ამუშავებენ და უნდა აუნაზღაურონ კიდეც — ეს საკვებით ლოგიკურია.

გოჩა ალექსანდრია *(საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე):* — გვესმის, რომ ბაზარზე კონკურენცია ძალიან გაზრდილია, ტექნოლოგიები სწრაფად იცვლება და დასაქმებული მხარს უნდა უბამდეს ცვლილებებს, მაგრამ რამე განსაკუთრებულ პირობებში საბანკო სექტორი ნამდვილად არ არის. თუ მათ მიაჩნიათ, რომ ატესტაციები უნდა მოეწყოს, ამას არც დღევანდელი კოდექსი გამორიცხავს და არც მომავალი. მაინც ვფიქრობ, რომ ამ პრეტენზიების მიზეზი ერთადერთია — დამსაქმებლებს სურთ ძველებურად, ადვილად ცვალონ კადრები. მარტო ბიზნესის ინტერესებით ხომ არ უნდა ვიხელმძღვანელოთ? ბიზნესი ძალიან კარგად არის განვითარებული, მაგალითად, არაბულ ქვეყნებში, სადაც დიქტატურაა, მივბაძოთ ამ ქვეყნებს? დასაქმებულთა ინტერესების უარყოფა საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკასაც შეაფერხებს, მიგრაციის პროცესსაც გაამძაფრებს და თუ ასე გაგრძელდა, საქართველოში პროფესიონალი შრომის რესურსი აღარ დაგვრჩება.

— უქმე დღეების ზეგანაკვეთურად ანაზღაურება ზოგიერთ ბიზნესს მძიმე ტვირთად არ დააწვება?

— ყველა უნდა შეეგუოს, რომ ზეგანაკვეთურად მიიჩნევა 48 სამუშაო საათის შემდეგ შესრულებული სამუშაო, უქმეებიდან კი ვერც ერთ დღეს ვერ ამოვიღებთ, ხალხს საშუალება უნდა მივცეთ, დღესასწაული აღნიშნონ. ეს მუხლი შრომის კოდექსში ადრეც იყო და მომავალშიც უნდა დარჩეს. ყველა ხომ არ მუშაობს კვირას, ან დღესასწაულებზე და ვინც მუშაობს, იმას აუცილებლად უნდა აუნაზღაურონ, რადგან ამ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერებაც მეტი იქნება. სახელმწიფომ მხოლოდ მოკლევადიან პერიოდზე არ უნდა იზრუნოს, იმაზეც უნდა ვიფიქროთ, ხვალ და ზეგ რა მოგველის.

ოფიციალური უქმე დღეები შრომის კოდექსის პროექტიდან

● 1 და 2 იანვარი; ● 7 იანვარი; ● 19 იანვარი — ნათლისღება; ● 3 მარტი – დედის დღე; ● 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე; ● 9 აპრილი; ● დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომა, მიცვალებულთა მოხსენიების დღე — თარიღები ცვალებადია; ● 9 მაისი; ● 12 მაისი — წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; ● 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; ● 28 აგვისტო — მარიამობა; ● 14 ოქტომბერი — მცხეთობა; ● 23 ნოემბერი — გიორგობა.

პარლამენტში სებ-ის შეფასებას არ ეთანხმებიან

დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტში, საქართველოს ეროვნული ბანკისგან (სებ) განსხვავებით, ეკონომიკური ზრდის შემცირების ნიშნებს ვერ ხედავენ. ეროვნულმა ბანკმა, 2012 წლის IV კვარტალში ეკონომიკური ზრდის შენელების მიზეზით გადაწყვიტა, მოთხოვნის სტიმულირებისთვის 4,75%-მდე შეამციროს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი. კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ იანვრის ბიუჯეტის შემოსავალი, ერთი წლის წინანდელთან შედარებით, გაზრდილია და ფინანსთა მინისტრს სტაბილური პროგნოზები აქვს. სებ-ში მიაჩნიათ, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ დონეს ჩამორჩება და ამიტომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს ამცირებენ.

მსოფლიო ვაჭრობის ლიდერი ჩინეთი პირველად გახდა

2012 წლის შედეგების მიხედვით, მსოფლიო ვაჭრობის ლიდერი ჩინეთი გახდა. მან გაუსწრო აშშ-ს, რომელიც ლიდერობას ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ინარჩუნებდა. ამერიკის ექსპორტ-იმპორტის მოცულობამ $3,82 ტრილიონი შეადგინა, ჩინეთისამ — $3,87 ტრილიონი. ეკონომისტები ჩინეთის ასეთ დაწინაურებას 2016 წლამდე არ ელოდებოდნენ. მსოფლიოში უმსხვილესი ექსპორტიორი ჩინეთი ჯერ კიდევ 2009 წელს გახდა, ხოლო აშშ დღესაც რჩება მსოფლიოს წამყვან იმპორტიორად ($2,28 ტრილიონი). ჩინეთი დღეს მსოფლიოში ენერგომატარებლების უმსხვილესი მომხმარებელია, აქვს ახალი ავტომობილების ყველაზე დიდი ბაზარი და ოქროსა და ვალუტის ყველაზე დიდი რეზერვები. არსებული პროგნოზებით, ჩინეთმა აშშ-ს ეკონომიკური განვითარებით, შესაძლოა, 2025 წელს გადაუსწროს. შარშან ჩინეთის მშპ-ი $7,7 ტრილიონი იყო და ოთხ წელიწადში შესაძლოა $20 ტრილიონს მიაღწიოს.



ჯოზეფ ფოსტერის „ყველაზე სწრაფების“ ბიზნესი

კარგად დალურსმული ფეხსაცმლის ანატომია

ჯოზეფ ფოსტერი

(21-ე გვერდიდან)

1900 წლისთვის ფოსტერმა იმდენად სრულყო წარმოება, რომ მცირე კერძო კომპანია Joseph W. Foster & Sons-ი გახსნა. საწარმოში ხელით ამზადებდნენ სპორტულ ფეხსაცმელს მორბენლებისთვის. ბოლტონის სპორტული კლუბის სპორტსმენები ფოსტერის ბუცების წყალობით შეჯიბრებებში გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ. ახალი „ფოსტერების“ დიდება სწრაფად გავრცელდა და მთელმა ქვეყანამ მეისვე შეიტყო მათ შესახებ, მალე კი მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები ახალი, „ეკლებიანი“ ფეხსაცმლით ასპარეზობდნენ. ფოსტერისეულმა სიახლემ მძლეოსნობაში რევოლუცია მოახდინა და სპორტული შედეგები საგრძნობლად გააუმჯობესა. მისმა მოდელებმა სირბილი სამუდამოდ შეცვალეს, ისინი 50 წლის განმავლობაში საუკეთესოდ მიიჩნეოდა.

ოლიმპიური „მარკეტინგი“

განსაკუთრებით საინტერესო იყო ფეხსაცმლის შეკვეთის წესი — სპორტსმენი საკუთარი ფეხის მონახაზ კონტურს სახელოსნოში ტოვებდა, სადაც ფეხსაცმელს ხელით უკერავდნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 1904 წელს გლაზგოს შეჯიბრებაზე საშუალო დისტანციაზე მორბენალმა ალფრედ შრაბმა 10 მილზე სირბილში იმ დროისთვის გამაოგნებელი შედეგი აჩვენა — 50 წთ და 40 წმ. ეს დიდი ბრიტანეთის ეროვნულ რეკორდად რჩებოდა 30-ზე მეტი წლის განმავლობაში.

1909 წელს ფოსტერი კვლავ დაწინაურდა — ამჯერად მან ტერფის გამზომი სპეციალური ცხრილი შექმნა, მისი საშუალებით უკეთ განისაზღვრებოდა ადამიანის ტერფის ინდივიდუალური თავისებურებები. თხუთმეტწლიანი თავდადებული შრომის შემდეგ, 1924 წელს, პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე სირბილის დიდმა სპეციალისტებმა კარლ აბრაჰამმა და კეროლ მოდელმა ყველას უთხრეს, რომ ფოსტერის ფეხსაცმლების წყალობით ისინი „ცეცხლწაკიდებულებივით“ გარბოდნენ. იმ დღიდან სარბენი ფეხსაცმელი „ფოსტერი“ იქცა ეტალონად, რომელზე „სწორებასაც“ ცდილობდნენ დანარჩენი მწარმოებლები.

ჯოზეფ ფოსტერი 1933 წელს გარდაიცვალა და ვაჟებს — ჯონსა და ჯეიმსს აყვავებული კომპანია დაუტოვა.

ტექნოლოგიების განვითარებამ, ფეხსაცმლის მრავალი მოდელის წარმოებამ, მათმა მოხერხებულობამ „ფოსტერს“ არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ უცხოეთშიც მოუტანა წარმატება. მის ფეხსაცმელს იძენდნენ მსოფლიოს ფეხბურთისა თუ რაგბის გუნდები — „ლივერპული“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბოლტონ უონდერერზი“, საბჭოთა კავშირიდან მოსკოვის „დინამოც“ კი.

113 წლის განმავლობაში ფოსტერის ფირმამ უამრავი მოდელი გამოუშვა

უსწრაფესი ანტილოპა

1958 წელს ჯოზეფ ფოსტერის შვილიშვილებმა — ჯოზეფმა და ჯეფრიმ კომპანიას სახელი შეუცვალეს და უსწრაფესი აფრიკული ანტილოპის პატივსაცემად „რიბოკი“ უწოდეს. მაშინდელი სპორტული ფეხსაცმლის მოდელი მართლაც მოგაგონებდათ ამ გრაციოზულ ცხოველს — მსუბუქი, წაწვეტებული ცხვირითა და ჩამოჭრილი ქუსლებით. ხარისხთან ერთად, ფეხსაცმლის წარმატებაში დიდ როლს ასრულებდა მარკის შეუბღალავი რეპუტაცია.

ფირმა ელვის სისწრაფით ვითარდებოდა, მაგრამ მას აშშ-ში ჯერ არავინ იცნობდა. ამ მდგომარეობის გამოსწორება ტურისტული აღჭურვილობით მოვაჭრე პოლ ფეიერმანმა ითავა. მან ფირმა „რიბოკი“ საერთაშორისო გამოფენაზე გაიტანა და მისთვის აშშ-ის ლიცენზიაც მოიპოვა. მალე ძალიან პოპულარული გახდა აერობიკა. ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა და არანაკლებ ცნობილმა ფემინისტმა ჯეინ ფონდამ საგანგებოდ ქალებისთვის ვარჯიშების სერია შეიმუშავა. მისი კასეტები ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. სპეციალური სპორტული ფეხსაცმელი მშვენიერ სქესსაც დასჭირდა და „რიბოკმაც“ მათთვის შექმნა 1982 წელს მოდელები „ფრისტაილი“ და „პრინსესი“, რომლებიც „კლასიკური აერობიკის“ კოლექციაში გაერთიანდა. ეს მოდელები მსოფლიოში დღემდე დიდი მოწონებით სარგებლობს.

1985 წელს „რიბოკმა“ სამოსისა და აქსესუარების მასობრივი გამოშვება დაიწყო. ფირმის ამერიკული ქვეგანყოფილებები სააქციო კომპანიად გადაიქცა. პოლ ფეიერმანმა ჯოზეფ ფოსტერის შვილიშვილისგან ფირმა გამოისყიდა, შემდეგ კი ამერიკული კომპანია და Reebok-International-ი გაერთიანა ერთ კომპანიად — Reebok-International Ltd-ი. მალე გაერთიანებული წარმოების აქციები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე გავიდა.

1989 წელს ბაზარზე გამოვიდა ბოტასები ამორტიზაციის ახალი სისტემა Pump-ით („ტუმბო“). ოთხ წელიწადში ამგვარად დამზადებული 12 მილიონი სპორტული ფეხსაცმელი გაიყიდა. ბევრი ფირმა ცდილობდა „რიბოკისთვის“ მეტოქეობის გაწევას, მაგრამ 1992 წელს აშშ-ის სახელმწიფო საპატენტო ბიურომ შესაბამისი პატენტი მხოლოდ „რიბოკს“ მისცა. გამოგონების არსი ის გახლდათ, რომ ბოტასის ზოგიერთ ნაწილში, სადაც ფეხისა და ფეხსაცმლის ფორმები ერთმანეთს არ შეესაბამება, საგანგებო საჰაერო კამერები განლაგდა. ფეხსაცმლის ენაში ლატექსის პატარა ბურთულა მაგრდებოდა. ფეხის სიმძიმის დაწოლისას ბურთულებში ჰაერი იწნეხებოდა და ამით ქრებოდა უხერხულობის შეგრძნება. ამ სიახლესთან ერთად „რიბოკმა“ რამდენიმე სხვა ტექნოლოგიაც დანერგა, რომლებიც სპორტსმენებს სირბილის დროს წარმოქმნილი პრობლემების დაძლევაში ეხმარებოდა.

ფირმას საიდუმლოებები ჰქონდა ტანსაცმლის წარმოებაშიც. მაგალითად, Play-Dry სპორტსმენს ნესტისგან იცავდა. ქსოვილის ბოჭკოების სტრუქტურა და კონფიგურაცია სიგრილეს, სიშშრალესა და კომფორტულობას განაპირობებდა. Play-DryTM-ის ქსოვილებს ზედმეტი ტენი გამოჰქონდა ტანსაცმლის ზედაპირზე. რევოლუციურ ტექნოლოგიად იქცა Tinosan-ი: ბოჭკოებში გამძლე ანტიბაქტერიულ ნაერთს უმატებდნენ, რაც ხელს უშლიდა ბაქტერიებისა და სოკოს წარმოქმნას, რითაც უსიამოვნო სუნს არიდებდა ადამიანს. პოპულარული სიახლე იყო Anti UV-ი, ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავი საშუალება. მოკლედ, კომპანიის ყველა ახალი გამოგონება განსაზღვრულ მომხმარებელზე, კერძოდ კი სპორტსმენებზე იყო გათვლილი და მათი სურვილებს ითვალისწინებდნენ.

კომერცია უდროოდ

1993 წელს დიდ ბრიტანეთში აიკრძალა ეროვნული სიმბოლოების რეკლამებში გამოყენება. არადა, „რიბოკის“ ლოგოტიპი წლების განმავლობაში სწორედ ქვეყნის დროშა იყო! კომპანია იძულებული შეიქნა, ლოგოტიპი შეეცვალა და დროშის ნაცვლად ე.წ. ვექტორი აირჩია. თუმცა ნაწარმის პოპულარობა ამით არ დაცემულა.

მომდევნო წელს ფირმამ ახალი მიღწევა, სისტემა Multi Tech-ი წარმოადგინა. იგი საშუალებას აძლევდა სპორტსმენებს, ინდივიდუალურად მორგებული მოდელები ჰქონოდათ — ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიის სურვილისამებრ კომბინირებით. კიდევ ორ წელიწადში შეიქმნა ამორტიზაციის ახალი სისტემა DMX-ი. ფეხსაცმლის ძირში ჩაინერგა ურთიერთდაკავშირებული საჰაერო კამერები, რომლებიც მოძრაობისას ამორტიზაციას ქმნიდა. მას შეეძლო ჭარბი დატვირთვის შემცირება და პატრონს ტრავმისგან იცავდა.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში „რიბოკმა“ სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ წინადადება თვით NBA-სგან მიიღო. ფირმამ 2001 წლიდან NBA-სა და WNBA (ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია) ლიცენზირებული პროდუქციის წარმოება დაიწყო. 2004-2005 წლიდან ორივე ასოციაციის ყველა გუნდს „რიბოკი“ ექსკლუზიურად ამარაგებდა. 2006 წელს „რიბოკი“ გერმანულ ფირმა „ადიდასთან“ გაერთიანდა, როცა ამ უკანასკნელმა შეიძინა. ერთობლივად მათ ამერიკულ ბაზარზე სპორტული ფეხსაცმლის გაყიდვა $11,7 მილიარდამდე გაზარდეს. გაერთიანებიდან პირველ სამ წელიწადში ფირმებმა 100-125 მილიონი ევრო დაზოგეს. სხვადასხვა დროს „რიბოკის“ სარეკლამო სახეები იყვნენ მსახიობი კრისტინა რიჩი, მომღერალი ჯამელია, რეპერი ფიფტი სენტი, სპორტსმენი ალენ აივერსონი და სხვ.

დღეს „რიბოკი“ „ადიდასის“ შვილობილი ფირმაა, ის კი „ფორბსმა“ მსოფლიოს 2000 უმსხვილესი საჯარო კომპანიის ბოლო, 2012 წლის აპრილის რეიტინგში 558-ე ადგილზე გაამწესა. $16,29 მილიარდის საბაზრო კაპიტალიზაციის გერმანული გიგანტის წლიური გაყიდვა $17,28 მილიარდია და მისთვის 40,6 ათასი ადამიანი მუშაობს.

მოამზადა ნატა ენუქიძემ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 16.02.2013-დან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

USD 1 აშშ დოლარი	1.6568
EUR 1 ევრო	2.2097
GBP1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	2.5685
RUB 100 რუსული რუბლი	5.5018

კეტჩუპის მწარმოებელში $28 მილიარდი გადაიხადეს



საინვესტიციო კონსორციუმი, რომელიც მილიარდერ უორენ ბაფეტის „ბერკშაიე ჰეთავეისა“ და ფონდ „3გ კეპიტალისგან“ შედგება, სოუსებისა და კეტჩუპების ამერიკელ მწარმოებელ Heinz-ს ყიდულობს („ჰაინცის“ შესახებ ბიზნესისტორია „ეკპალიტრის“ 2012 წლის 3 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა). $28 მილიარდიანი გარიგება უმსხვილესია კვების მრეწველობის ისტორიაში. თუმცა „ჰაინცის“ დავალიანების გარეშე ტრანზაქციის ღირებულება $23,2 მილიარდია. გარიგება კომპანიის აქციონერებმა და მარეგულირებელმა ორგანომ უნდა დაამტკიცონ.

ეკოპალიტრას რეკომენდაცია!

სინერჯი ჯგუფის წიგნები

მეცი წარმატებისთვის



ასეა:
- მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის
- თანამედროვე ორგანიზაციების მართვა
- ლიდერობის ხელოვნება

მაგრ.: მართვის ახალი გეომეტრია

გამომცემლობა პალიტრა L

იყიდეთ წიგნის მაღაზიებში ფასი: 12 ლარი

სარედაქციო კოლეგია
მთ.რედაქტორი: გელა გურგენიძე

მისამართი:
თბილისი; იოსებიძის ქ. 49,
ტელ.: 238-84-44
ელფოსტა: eko@palitra.ge

სარეკლამო სამსახური:
ტელ.: 237-78-07

გაზეთში გამოყენებულია საგენტო „ინტერფაქსნიუსისა“ და ინტერნეტპორტალ Commersant.ge-ს მასალები

თბილისელ ლომის ბოკვერს სიბრძავე აღარ ემუქრება

5 თვის კატოს თბილისის ზოოპარკში თვალის ოპერაცია გაუკეთდა

ბენს ზოოპარკში 5 თვის ლომის ბოკვერ კატოს ორივე თვალზე კატარაქტის უნაკერო ოპერაცია გაუკეთდა. დღემდე ოფთალმოლოგის მსგავსი მომსახურებით არა მხოლოდ ლომებს, არც ერთ ცხოველს არ უსარგებლია. ოპერაცია თბილისის ზოოპარკის კლინიკაში გაკეთდა, სადაც საჭირო ტექნიკა უსასყიდლოდ მოიტანეს კლინიკა „ნიუ ჰოსპიტლიდან“, ოპერაცია კი პროფესორმა მიშა ომიაძემ ჩაატარა. კატო თავს მხნედ გრძნობს, მადიანად მიირთმევს და მოფერებაზე კრუტუნით პასუხობს. თუმცა, ჯერ ვერ ხედავს. ვეტერინარების განმარტებით, მას რამდენიმე დღეში აღუდგება სუსტი მხედველობა, გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მორიგი ოპერაცია გაუკეთდება. „კვირის პალიტრა“ პროფესორ ***მიშა ომიაძეს*** *ესაუბრა:*

დღემდე ოფთალმოლოგის მსგავსი მომსახურებით არა მხოლოდ ლომებს, არც ერთ ცხოველს არ უსარგებლია

— ბოკვერს შემღვრეული ბროლი მოვაშორეთ. ახლა ბევრი რამ მის ორგანიზმზეა დამოკიდებული.

— ბროლი გადაუნერგეთ?

— სანამ ზრდას არ დაასრულებს, უკუჩვენებას მოგვცემდა ბროლის გადანერგვა. სამხრეთ აფრიკის წამყვანმა ვეტერინარებმაც არ გვირჩიეს, 2 წლამდე თავი შეიკავეთო. ამიტომაც კატო ორი წლის რომ გახდება, კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება მოუწევს. მორიგ ოპერაციამდე კატოს ახლომხედველობა ექნება, მაგრამ ზოოპარკში, სადაც საკვების მოპოვებაზე ზრუნვა არ მოუწევს, ეს საკმარისი იქნება. ბავშვები საბოლოო ოპერაციამდე სათვალეს ატარებენ, მაგრამ ლომს სათვალეს ხომ ვერ გავუკეთებთ.

— აქამდე ცხოველისთვის ოპერაცია გაგიკეთებიათ?

— არა. თუ არ ჩავთვლით მოსკოვში დისერტაციის დაცვისას კურდღლებზე მუშაობას. მათ ვუნერგავდი ბროლს, მაგრამ ის ექსპერიმენტი იყო. 40-მდე კურდღელს გავუკეთე ოპერაცია და ლომზე გამომადგა გამოცდილება. როდესაც კატოს მხედველობის პრობლემა გაუჩნდა, ეპილეფსიური შეტევებიც დაეწყო. ამიტომაც ბოკვრის ჯანმრთელობა დეტალურად გამოიკვლიეს. გადაღებულ კომპიუტერული, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რომ ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება გამოერიცხათ. ზოოპარკის დირექტორ ზურაბ გურიელიძის განცხადებით, გამოკვლევებმა არასასურველი სურათი არ აჩვენა. ამიტომაც იმედოვნებენ, რომ კატო მალე შეძლებს მხედველობის პრობლემის დაძლევასაც.

ზურაბ გურიელიძე: — ბუნებაში რომ გაჩენილიყო კატო და ეს დამართოდა, დაიღუპებოდა. ჩვენთან კი, უზრუნველი იქნება სიცოცხლის ბოლომდე.

— კატოს მშობლებმა ნალამ და სიმბამ 9 თებერვალს კიდევ სამი ბოკვერი გააჩინეს, ერთი დაილუპა, ორი კი კატოსა და მისი თანატოლი დის კარას მაგაქად დედის აგრესიულობის გამო ინკუბატორში გაიზრდება. ნალა ცუდი დედაა თუ გარემო არ მოსწონს?

— როცა გარემო არ მოსწონთ, ცხოველები არ მრავლდებიან. ამათ კიდევ წელიწადში ორჯერ მოასწრეს განაყოფიერება. შესაძლოა, შვილების მიმართ აგრესია სოციალური სტრუქტურის დარღვევის ბრალია. ზოოპარკში ეს პირობა დაცული ვერ იქნება. ხვადი ლომი ბუნებაში საკუთარი არჩევანით აყალიბებს პრაიდს, ხვადი და ძუები ერთმანეთს თვითონ ირჩევენ. აქ კი არჩევანი შეზღუდული აქვთ. თუმცა, შესაძლოა, ესეც არ იყოს მიზეზი და უბრალოდ ნალა ცუდი დედაა.

„ლომს სათვალეს ხომ ვერ გავუკეთებთ“

— მოსალოდნელია, რომ მომდევნო ექვსი თვის შემდეგ კიდევ დაიბადონ ბოკვრები?

— ეს ძუ ლომისთვის მავნებელია. ამიტომ ერთხანს მოგვიწევს მათი იზოლირება. თუმცა, საკმაოდ რთული შესამჩნევია, როდის ეწყებათ გამრავლების პროცესი ლომებს. გარეული ცხოველები ბუნებაში წელიწადში ერთხელ მრავლდებიან. სიმბამ და ნალამ კი ეს კანონზომიერება დაარღვიეს.

— როგორც ვიცი, ზოოპარკში ცხოველების მომრავლების გამო საგლეიერე ადგილს დეფიციტი. ზოოპარკს სხვა ტერიტორიაზე აღარ გადაიტანენ?

— შარშან გაზაფხულზე შემუშავდა საბოლოო კონცეფცია, რომ თბილისის ზღვასთან გადაიტანდნენ ზოოპარკს, მაგრამ შემდეგ პროექტი შეჩერდა. ვერ გეტყვით, როდის შეიცვლება მდგომარეობა.

ეკა ლომიძე

გარეული ცხოველები ბუნებაში წელიწადში ერთხელ მრავლდებიან. სიმბამ და ნალამ კი ეს კანონზომიერება დაარღვიეს – წელიწადში ორჯერ მოასწრეს განაყოფიერება

სასწაულით გადარჩენილები

ორიოდე კვირის წინ ზოოპარკში კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. ახალგაზრდა მამაკაცი თეთრი ვეფხვების ვოლიერის ახლოს ჩავარდა და მძიმედ დაშავდა. უბედური შემთხვევა დილით ადრე მოხდა, როდესაც ორი მეგობარი ვერეს ხეობაში, ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის გასწვრივ მიუყვებოდა ტროტუარს. გზის მონაკვეთი ზოოპარკის იმ ნაწილს ესაზღვრება, სადაც მტაცებლების ვოლიერებია განთავსებული. ბიჭებმა უფრო ახლოდან მოინდომეს მხეცების დათვალიერება. როგორც ამბობენ, ერთს ფეხი დაუცურდა და მტაცებლებლის ბასრი ბრჭყალები და კბილები მისწვდა, — უნებლიე მსხვერპლს გაგლეჯილი აქვს ცალი ფეხის ბარძაყი და ხელი. სამწუხაროდ, მტაცებლებთან სიახლოვე სხვა დროსაც ბევრს განუზრახავს.

ზოოპარკის ადმინისტრაციამ ამ სახიფათო მონაკვეთზე დამცავი ღობეები აღმართა, რომ ადამიანებს ხელი შეუშლოს მტაცებლებთან მიახლოებაში. სამწუხაროდ, რამდენიმე დღის წინ ისევ სცადეს ცნობისმოყვარეებმა ამ ღობეზე გადაძრომა. ეს კი შესაძლოა ძვირად დაუჯდეს ნებისმიერ ჩვენგანს.

საქველმოქმედო ფონდ ავერსსა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის დადებული მემორანდუმი გრძელდება

2009 წლის 19 თებერვალს ავერსსა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის პირველად გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად ქართულ სპორტში მოღვაწე და ვეტერანი სპორტსმენები ავერსის კლინიკაში სამედიცინო მომსახურებას სრულიად უსასყიდლოდ იღებენ. გარდა ამისა, ექიმის მიერ გამოწერილი ნამლებიც პაციენტებს უფასოდ გადაეცემათ. მემორანდუმი ყოველწლიურად ერთი წლის ვადით იდება. წლეულსაც 7 თებერვალს საქველმოქმედო ფონდ ავერსსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შორის გაფორმდა შეთანხმება დახმარების მემორანდუმის გაგრძელების თაობაზე. ბრიფინგს ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი; ვიცე-პრეზიდენტები - ელგუჯა ბერიშვილი და მამუკა ხაბარელი; ავერსის დამფუძნებელი პაატა კურტანიძე; საქველმოქმედო ფონდი ავერსის დირექტორი ქეთევან ნემსაძე; ავერსის კლინიკათა ქსელის გენერალური დირექტორი დიმიტრი ჯორბენაძე და ქართული სპორტის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები - ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები.

დღემდე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენებისათვის ნახევარმილიონამდე ლარია დახარჯული: ფინანსური - 192 442 ლარი, სამედიცინო მომსახურებაზე - 117 572, ხოლო მედიკამენტებზე -141 248,72 ლარი. მემორანდუმის თანახმად, სპორტსმენების ჯანმრთელობაზე ზრუნვა საქველმოქმედო ფონდ ავერსის პრიორიტეტი გახლავთ. ხელშეკრულება ქართული სპორტის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

როგორც ოლიმპიური კომიტეტის რიგით უკვე მეხუთე პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა აღნიშნა, ავერსის დამფუძნებელი ბატონი პაატა კურტანიძე ქართული სპორტის დიდი ქომაგია:

- ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად არჩევისთანავე წამოვჭერით, გახლდათ ავერსსა და ოლიმპიურ კომიტეტს შორის დადებული მემორანდუმის გაგრძელება. ეს მართლაც წარმატებული პროგრამაა - ნაკრების წევრები მუდმივად ფორმაში რომ იყვნენ რეგულარული სამედიცინო მომსახურება, დიაგნოსტიკური კვლევები და სხვადასხვა სახის პროცედურები სჭირდებათ. ბატონი პაატას ხელშეწყობით ყოველივე ამას სპორტსმენები უსასყიდლოდ იღებენ. ეს მართლაც დიდი საქმეა - ქართულ სპორტს დიდი გულშემატკივარი ჰყავს, რაზეც მადლობას მოგახსენებთ ბატონო პაატა - პროექტი ნამდვილად წაადგება ჩვენს სპორტს, რადგან არა მხოლოდ ვეტერანები, არამედ ნაკრების წევრები და მოქმედი სპორტსმენები, უმთავრესად, სწორედ ავერსის კლინიკაში იტარებენ სამედიცინო კვლევებს და ასევე ფონდ ავერსის ხელშეწყობით იღებენ მედიკამენტებს, რომლებსაც ექიმი უნიშნავთ. წარმატებები, რაც დაგროვდა ამ წლების განმავლობაში ნამდვილად თქვენი დამსახურებაც არის. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თქვენ დაგაჯილდოვათ საპატიო ჯილდოთი ნიშნად იმის, რომ მემორანდუმი წარმატებული და მნიშვნელოვანი პროექტია. იმედია, რომ, თქვენი მხარდაჭერით, ის კიდევ მრავალი წელი იმუშავებს...

სპორტის ფედერაციის სახელით, ვეტერანი და წამყვანი სპორტსმენების სახელით, დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ გულისხმიერებისთვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ქართული სპორტის მიმართ - აღნიშნა ბატონმა ლერიმ.

- მადლობელი ვარ ღმერთის, რადგან მაქვს საშუალება, რომ ჩემმა კომპანიამ დახმარება გაუწიოს როგორც მოქმედ, ასევე ვეტერან სპორტსმენებს - აღნიშნა ავერსის დამფუძნებელმა ბატონმა პაატა კურტანიძემ - სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისთვის ავერსთან გაფორმებული მემორანდუმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი გახლავთ. სასიხარულოა ისიც, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დამაჯილდოვა, როგორც სპორტის ქომაგი და მეცენატი

- მათი წარმომადგენლები გვესტუმრნენ და აღნიშნეს, რომ მსგავსი პროექტი დღემდე არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა და, ამ მხრივ, ქართველებს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული...

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ავერსისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართული სპორტის მიღწევები.

სპორტი უდიდეს შრომასთან და ასევე სერიოზულ სამედიცინო ტრავმებთან არის დაკავშირებული... ვინაიდან სამედიცინო სფეროში ვმოღვაწეობთ, გაგვიჩნდა იდეა, რომ ჩვენი წვლილი შეგვეტანა ქართული სპორტის განვითარებაში - გაგვეკეთებინა მაქსიმუმი რაც ჩვენზეა დამოკიდებული... ამიტომ წელს კვლავ ვაგრძელებთ ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობს როგორც მოქმედი, ასევე ვეტერანი სპორტსმენების სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ახალ ხელმძღვანელობას: ბატონ ლერის და ვიცე-პრეზიდენტებს, რომ გამოხატეს სურვილი, კვლავ გაეგრძელებინათ ავერსთან ხელშეკრულება. თავისთავად ცხადია, ახალი გუნდი კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით მოვიდა კომიტეტში და სურვილი აქვთ, სპორტსმენებმა მსოფლიო სპორტულ ასპარეზზე საქართველო საუკეთესოდ წარმოაჩინონ... ჩვენც ვეცდებით მაქსიმალურად მხარში დაგიდგეთ. დიდ მადლობას ვუხდი, ასევე, სპორტსმენებს, იმ წარმატებებისთვის, რაც ჩვენს ქვეყანას მოუტანეს...

ავერსის კლინიკის გენერალურმა დირექტორმა დიმიტრი ჯორბენაძემ კი აღნიშნა, რომ დიდ სპორტში წარმატების მიღწევა მძიმე შრომის გარეშე რთულია. ძლიერ დატვირთვას კი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მოსდევს, სწორედ ამიტომ საქველმოქმედო ფონდ ავერსსა და კომიტეტს შორის დადებული მემორანდუმი ქართული სპორტის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია:

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა რომან რურუამ აღნიშნა, რომ სისტემატური სამედიცინო კონტროლი სპორტსმენისთვის ისევე აუცილებელია, როგორც ვარჯიში:

- ამ პროექტის წყალობით იმედიანად ვართ - არ გვეშინია, რომ წამლის შესაძენად თანხა არ გვეყოფა, რომ სამედიცინო მომსახურების ღირებულებას ვერ ავანაზღაურებთ... ამასთანავე, უნდა აღვნიშნო, რომ ავერსის კლინიკაში სამედიცინო სერვისები უმაღლეს დონეზეა. სპორტი დიდ დატვირთვასთან არის დაკავშირებული და ტრავმები ასაკის მატებასთან ერთად შეგვახსენებს ხოლმე თავს. ბატონი პაატა კურტანიძე უდიდეს საქმეს აკეთებს, მე პირადად მადლობის მეტი არაფერი მეთქმის და ყველა სპორტსმენის სახელით მადლობას ვუხდი ეროვნული საქმის ერთგულებისთვის. მართლაც, სპორტსმენს ძლიერი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დატვირთვის ატანა უწევს, ამიტომ მისთვის სამედიცინო მომსახურება ხშირად ცხოვრების წესად იქცევა ხოლმე. მემორანდუმი ყოველწლიურად ფორმდება და პროექტი კვლავაც გაგრძელდება.

ავერსი საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენებს უსურვებს წარმატებას, გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს!

ავერსი – ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე!
აღმაშენებლის 148/2
საინფორმაციო სამსახური: 2-967-227
WWW.AVERSI.GE







1. მხარე საქართველოში
2. თენგიზ აბულაძის ფილმი
3. დიდი ქვა
4. ჯარის რჩეული ნაწილი
5. მომღერალი ... მარტინი
6. ზამბიის დედაქალაქი
7. მწერლობა
8. საუნჯე, ძვირფასი ნივთები
9. ადამიანის უძველესი გადაშენებული სახეობა
10. იაპონური ელექტრონიკის ფირმა
11. ქალაქი საქართველოში
12. იტალიელი ფერმწერი
13. ეკიპაჟის საცხოვრებელი გემზე
14. იტალიური ღვეზელი
15. პირუტყვით მოვაჭრე ძველად
16. ქვეყანა აზიაში
17. მუსიკალური ბგერა
18. რჩეული საზოგადოება
19. კოტე მარჯანიშვილის ფილმი
20. დაუკოდავი მამალი ცხვარი
21. ბაღჩეული კულტურა
22. ამჟავებული ღვინო
23. თხის ჯოგი
24. ადამიანებით ვაჭრობა
25. წითელი ხე
26. შუშა
27. ჩეხოვის პიესა
28. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი
29. საფრანგეთის ფეხბურთის გუნდი
30. რაიმეთი გატაცება
31. ყვავილი
32. საწერი სითხე
33. პირის ღრუს ნაწილი
34. ამერიკის შტატი
35. დიდ ბრიტანეთის ნაწილი
36. სიტყვის გალტანითი მნიშვნელობით ხმარება
37. ჟანდარმი იტალიაში
38. კურკოვანი ხილი
39. ძვირფასი ქვა
40. ქალაქი საბერძნეთში
41. იარაღის საწყობი
42. ქვეწარმავალი
43. სარწმუნოება
44. მოგრძო თონის პური
45. მთა თურქეთში
46. თასი
47. თხა, რომელმაც ზევსი გამოკვება
48. რადიოაქტიური ქიმ. ელემენტი

№7 სკანვორდის პასუხები: 1. შატლი; 2. ტაბუ; 3. ყია; 4. ხმალი; 5. გაზეთი; 6. ხანგალი; 7. გობელენი; 8. აირი; 9. აზოტი; 10. სალამური; 11. პროვიზორი; 12. სახედარი; 13. ალიგატორი; 14. ალაზანი; 15. ბატონი; 16. ხურვესი; 17. თონე; 18. ნავსი; 19. დარი; 20. ლოტი; 21. ლილეო; 22. ფლამენკო; 23. ზაქე; 24. ინდაური; 25. საგა; 26. რიფი; 27. აისი; 28. საქანელა; 29. ქილიკი; 30. ღადარი; 31. კოჩარი; 32. კამა; 33. ქადა; 34. ღონე; 35. ხელბურთი; 36. გრავიურა; 37. მოდა; 38. ნოტა; 39. დომრა; 40. ნიკორა; 41. კრედო; 42. რუნესანსი; 43. კარე; 44. რეკვიზორი; 45. ნარდი; 46. ყვარელი; 47. მინუსი; 48. ნემო; 49. ლაზიკა; 50. ის; 51. სახრე.

სურათებზე: 1. შუმახერი; 2. სტალონე; 3. შკოდა; 4. რიბერი; 5. დიკაპრიო.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲚᲘᲚᲘ — ᲭᲝᲠᲘᲙᲐᲜᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ

ᲠᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲓᲐᲛᲘᲠᲔᲙᲐ. ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲒᲘᲟᲘ ᲗᲘᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ? ᲐᲚᲐᲠᲐᲠᲘᲡᲝ. ᲒᲣᲚᲨᲘ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲩᲐᲛᲬᲧᲓᲐ. ᲗᲘᲜᲐ ᲑᲔᲑᲘᲐᲩᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝᲑᲘᲗ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲧᲐᲕᲓᲐ. ᲢᲠᲐ�გᲘᲣᲚᲘ ᲑᲔᲓᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲥᲛᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲬᲐᲠᲗᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲭᲙᲣᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲨᲐᲚᲐ...

ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ, ᲡᲣᲚ ᲠᲐᲚᲐᲪ 6-7 ᲬᲚᲘᲡ, ᲒᲘᲟᲘᲐᲝ, ᲙᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲗᲘᲜᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲘᲖᲘᲓᲐᲕᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ, ᲠᲝᲛ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲕᲣᲡᲐᲤᲠᲗᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲘᲡᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲚᲐᲓ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲧᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲫᲘᲠᲓᲨᲘ ᲒᲕᲘᲮᲣᲢᲔᲑᲓᲐ. ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ, ᲨᲐᲕᲘ ᲯᲐᲑᲐ ᲔᲪᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲯᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲫᲘᲜᲓᲐ ᲛᲣᲰᲚᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ. ᲛᲐᲦᲐᲚ ᲗᲔᲛᲝᲖᲔ ᲙᲐᲚᲐᲗᲨᲘᲛᲝᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲧᲕᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚ-ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚ ᲘᲧᲠᲘᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲢᲧᲘᲡ ᲜᲝᲛᲑᲐᲗᲡ. ᲗᲣ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ, ᲙᲐᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲐᲡ ᲐᲜ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲡ ᲐᲛᲘᲬᲘᲕᲓᲐ, ᲩᲐᲛᲘᲞᲘᲠᲥᲕᲐᲕᲔᲑᲓᲐ ᲨᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲤᲔᲠᲘᲚ ᲙᲔᲜᲯᲠᲐᲡ, ᲨᲣᲑᲚᲖᲔ ᲛᲐᲙᲝᲪᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲧᲝᲓᲐ, ᲭᲐᲛᲔ, ᲓᲔᲓᲘ, ᲭᲐᲛᲔ, ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲙᲠᲘᲤᲔᲓᲘ. ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲓᲔᲓᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲖᲘᲠᲐᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ, ᲕᲔᲠᲪ ᲙᲘ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲟᲘ ᲘᲧᲝ. ᲨᲐᲕᲘ ᲙᲔᲜᲯᲠᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲘᲕᲡᲔᲑᲓᲐ ᲙᲐᲚᲗᲐᲡ, ᲘᲛᲐᲖᲔ ᲕᲤᲘᲥᲠᲔᲑᲓᲘ ᲠᲐ ᲓᲐᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲛᲡ ᲓᲐᲗᲮᲕᲠᲘᲚ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ...

«ᲥᲛᲐᲠᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲯᲣᲚᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲝᲠᲡᲣᲚᲘ ᲪᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲝᲤᲘ ᲛᲘᲣᲨᲕᲔᲠᲘᲐ ᲛᲣᲪᲔᲚᲖᲔ, ᲗᲣ ᲒᲐᲘᲜᲫᲠᲔᲕᲘ, ᲛᲝᲒᲙᲚᲐᲕᲝ... ᲠᲝᲪᲐ ᲙᲘᲕᲘᲚᲖᲔ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲪᲕᲔᲜᲘᲚᲐᲜ ᲔᲖᲝᲨᲘ, ᲗᲣᲠᲛᲔ ᲥᲐᲚᲘ ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲘᲐᲢᲐᲙᲖᲔ ᲔᲒᲓᲝ ᲓᲐ ᲥᲛᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲡᲪᲔᲛᲓᲐ... ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲮᲛᲐ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲐ, ᲗᲘᲜᲐ ᲭᲙᲣᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲘᲨᲐᲚᲐᲝ...

ᲗᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ, — ᲢᲧᲔᲨᲘ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲘ, ᲛᲔᲚᲘᲔᲑᲡ ᲗᲛᲘᲡ ᲙᲣᲜᲬᲣᲚᲔᲑᲡ ᲕᲣᲗᲕᲝᲕᲔᲑ ᲑᲣᲩᲘᲥᲔᲑᲖᲔ, ᲓᲔᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ წყაროს წყალი ამაქვს სერზეო... მერე ისეთ ამბებს მოაყოლებდა, რომ თავი საოცრებათა ქვეყანაში მეგონა, თინა კი ალისა, რომელთან ერთადაც ზღაპრებში ვმოგზაურობდი... მაგრამ ვგრძნობდი, რომ თინას ზღაპრების მიღმა რაღაც ძალიან მძიმე იმალებოდა... ყმაწვილქალობაში გავიგე თინას საიდუმლო.

შესაძლოა მისი ამბავი ბევრისთვის გასაკვირიც არ იყოს, რადგან მსგავსი ტრაგედია მოგვიანებით მეც ბევრჯერ მსმენია, მაგრამ დღემდე მჯერა, რომ თინა გიჟი არ იყო. ვფიქრობ, დუმილში გატარებული ცხოვრება პროტესტი იყო იმის გამო, რაც თავს დაატყდა, ან იქნებ დაატეხეს.

17 წლის გოგონა მასზე 15 წლით უფროსი კაცისთვის შეურთავთ ცოლად. კაცი მდიდარი ოჯახიდან ყოფილა და თინას მშობლებს იმედი ჰქონდათ, ფულიანი სიძე მათ მზეთუნახავ შვილს დედოფალივით აცხოვრებდა. ქალიც მშობლების ნებას დაჰყოლია და უსიყვარულოდ გათხოვილა. ქმარს კი ლამაზი ცოლი რატომღაც ერთ თვეში მოჰბეზრებია და თურმე სრულიად უმიზეზოდ სცემდა. ქმარს გაცილებული უშვილო მულიც არ აკლებდა თურმე ხელს. უმიზეზოდ აუშარდებოდა რძალს და მერე სიამოვნებით უყურებდა მის ძმას, ჯერ ჭურჭელს რომ ლეწავდა, მერე კი ცოლს ათრევდა თმით.

ერთ დღეს თინას ბიძაშვილი ეწვია. შესჩივლა, არაფერი დამიშავებია და ქმარი სადისტურად მექცევა, წამიყვანეთ, სანამ მომკლავსო. თან დალურჯებული სხეული უჩვენებია. ის გოგო ქვითინით ჩავარდნია ფეხებში ბიძას და ბიცოლას, თინას კლავენ, უშველეთ, წამოვიყვანოთო. მშობლებს ჯერ თავში ხელი წაუშენიათ, ჩვენს ლამაზ გოგოს როგორ უბედავს ხელის აღმართვასო, მერე სიძესთან წასულან. ისიც დაჰპირებია, ყველაფერი კარგად იქნება, ცოლ-ქმრის ჩხუბი მხოლოდ სულელს ჰგონია მართალიო, უთქვამს და ხარხარით გადახვევია აკანკალებულ ცოლს სიდედრ-სიმამრის დასანახავად. მშობლებს თინაც დაურიგებიათ, შენი აქედან წაყვანა როგორ იქნება, ხომ მოგეჭრება სოფელში თავი, ყველა დევნას დაგიწყებს, ლამაზი ხარ, ნამუსს შეგირცხვენს ვიღაც და თავს ლაფი დაგვესხმებაო. მიწაზე დავარდნილა ქალი ღრიალით. ცრემლების ტბა დაუყენა თურმე მამას, იმას კი ზედაც არ შეუხედავს, — ცოლის ვალია, ქმარს ემსახუროსო. დაჭრილი ნადირივით ღრიალებდა თურმე ქალი, როცა ეზოდან მიმავალ მშობლებს გასცქეროდა. ქმარმა კი იმღამითვე გადაწყვიტა ჭირვეულის მორჯულება. სამი თვის ორსული ცოლისთვის თოფი მიუშვერია მუცელზე, თუ გაინძრევი, მოგკლავო. ჯერ მდუმარედ იდგა თურმე თინა, მერე კი კივილი დაუწყია. მეზობლები რომ შეცვენილან ეზოში, თურმე ქალი ბეტონის იატაკზე ეგდო და ქმარი გამეტებით სცემდა. მეორე დღეს ხმა გავარდნილა, თინა ჭკუიდან შეიშალაო... ამასობაში მშობიარობის დროც დამდგარა... თურმე გაყინული თვალებით უყურებდა შვილს — არც ხელი ახლო, არც ძუძუ მოაწოვა. ჩვილი ქმარმა წაიყვანა. დღემდე მიკვირს, როგორ არავინ მოსთხოვა იმ უღმერთოს პასუხი ძალადობის გამო? უშვილო მამიდას მოუსურვებია გოგონას აღზრდა. შვილიშვილი თინას მშობლებს არ დაუთმეს, დედამისისნაირი ალქაჯი გამოვა, თუ თქვენ გაზრდითო. მშობლებმა თინა სამშობიაროდან შინ წამოიყვანეს.

მახსოვს, ბირჟაზე ბიჭები რომ იდგნენ და თინა გამოივლიდა, ისეთი ლამაზი იყო, პირდაღებული შესცქეროდნენ, მაგრამ მალევე ხელს ჩაიქნევდნენ, — ლამაზია, მაგრამ გიჟი, ვერ მიეკარები, ისე დაგკაწრავს, როგორც გარეული კატაო. მერე გავიგე, ერთ-ორს უცდია თინას მკლავებქვეშ მოგდება, მაგრამ ამაოდ. ვეფხვივით ჩაჰფრენია კისერში კბილებით და კინაღამ ყელი გამოუღადრავს მოძალადისთვის. იმის მერე თინას ქალის სახელი აღარ ჰქონდა, გიჟი მოდისო, ჩურჩულებდა ქალიან-კაციანად ყველა... სულ გარე-გარე დადიოდა, ტყეში, ყანებში. აგროვებდა ტყის კენკრას, თივას, ჩალას და მერე კაპიკებად აძლევდა მეზობლებს. ისინიც სარგებლობდნენ თინას სიკეთით და კაპიკებზე მაინც ევაჭრებოდნენ. გული მტკიოდა, როდესაც ყანიდან ჩალის და თივის ზვინწამოკიდებული მოდიოდა. გვეცოდებოდა ბავშვებს და ვეშველებოდით ხოლმე.

შვილის მდგომარეობით შეძრწუნებულმა დედამ ვერ გადაიტანა ტკივილი და ალბათ დანაშაულის განცდაც, რომ თავის დროზე არ უშველა, ერთადერთ ქალიშვილს. მალე მოკვდა, მერე მამაც ლოგინად ჩავარდა. ღარიბებს და უმწეოებს, სამოწყალოდ აძლევდნენ ფულს მეზობლები. მერე ქვეყანა რომ აირია და ყველას რომ გაუჭირდა, თინასაც მოაკლდა „მეცენატები“. ერთ დღეს მამაც რომ მიაბარა მიწას, დარჩა ბედის ანაბარად, მარტო. ბიძაშვილი თუ დახედავდა ხოლმე...

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲡ

ზუსტად აღარ მახსოვს რამდენი წლის წინ იყო, მაგრამ ერთ დღესაც ბავშვობის მეგობარი მესტუმრა, სწორედ ის მეგობარი, რომელმაც ცოტა ხნის წინ თინას სიკვდილი შემატყობინა. საოცარ ამბავს მომიყვა.

თინას შვილის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, რადგან გოგონას არც ბებია-ბაბუას ანახვებდნენ და ნათესავებსაც ცივი უარით ისტუმრებდნენ, გიჟების მოდგმას ახლოს არ გავაკარებთ ჩვენს გოგოსო?! ბავშვი კი გაიზარდა, დედასავით ძალიან ლამაზი. 16 წლისა სახლიდან გაპარულა. შეყვარებულს გაჰყოლია მამისგან თავის დასაღწევად. ნინო ჰქვია იმ გოგოს. თუმცა, ახლა რაღა გოგო, ქალია და მოზრდილი ვაჟიც ჰყავს. ნინო რამდენიმე წლის წინ ვნახე. ახალგაზრდა თინა მეგონა. მასაც დედასავით არ დაჰყოლია ბედი. დედამთილმა არ ისურვა შინიდან გამოპარული რძალი და აითვალწუნა. მერე ჯერ კიდევ ყმაწვილ და ქარაფშუტა ქმარსაც განელებია ცოლის მიმართ ტრფობა და არევიათ ოჯახი. ნინოს მამის სახლში დაბრუნება არც უფიქრია. იქიდან შემოუთვალეს, ჩვენთვის მკვდარი ხარ და ჯანდაბამდის გზა გქონიაო. ამდგარა გოგო და უცნობი და ნანატრი დედისკენ გამოსდგომია გზას. როგორც უცხო სტუმარი, თურმე ისე მიიღო თინამ. ასეც გაგრძელებულა სიცოცხლის ბოლომდე. შვილს ხმას არ სცემდა, შვილიშვილს კი თავს ევლებოდაო, ამბობენ მეზობლები. არც ნინოს შეუცხადებია, ხელს რად მკრავ დედაო. მალე, ძალიან რომ გაუჭირდათ, საბერძნეთში წასულა, რომ დედა და შვილი როგორმე ერჩინა. უკვირდათ მეზობლებს, 5 წლის ბავშვი გიჟს როგორ დაუტოვაო, მაგრამ თინა ცივ ნიავსაც არ აკარებდა შვილიშვილს, ამბობენ, სკოლიდან მოსულ ბიჭს ამეცადინებდა კიდეცო.

ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲯᲔᲠᲐ, ᲗᲘᲜᲐ ᲒᲘᲟᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ...

— ეგ თავს ხომ არ იგიჟიანებდა ნეტავ, ვინმეს რომ აუგი არ ეკადრებინაო, — თავიდან დაიწყეს მეზობლებმა ჩურჩული. მეც სულ მეგონა, რომ თინა გიჟი არ იყო, მან პროტესტი გამოუცხადა საზოგადოებას, რომელსაც მის ტრაგედიაში დამანაშავედ მიიჩნევდა. იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ მგონია, რომ თინა ვერ ინელებდა მშობლების გულგრილობას, რომელთაც „რას იტყვის ხალხის“ გამო ქალიშვილი დასაღუპად გაწირეს.

...კიბო აღმოაჩნდა თინას. ნინო ამაოდ ცდილობდა დედა გადაერჩინა. სიკვდილის წინ დაუძახა შვილს, ეფერა, გულში ჩაიხუტა და ასე დალია სული...

დაკრძალვაზე ვერ წავედი, მაგრამ მერე საგანგებოდ მოვინახულე თინას საფლავი, რომელიც ჩემთვის უფრო სტერეოტიპებს შეწირულთა ხსოვნის მემორიალია, „რას იტყვის ხალხის“ შიშით რომ დაუნგრიეს ცხოვრება. არადა ის, რაც წლების წინ აკრძალული იყო, დროთა განმავლობაში ცხოვრების ნორმა ხდება... დღემდე მჯერა, თინა გიჟი არ იყო...

ᲡᲝᲤᲝ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲘᲚᲘ

ᲠᲐᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲚᲔᲑᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝ ᲡᲥᲔᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲨᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲐᲠ“.

ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: „ᲛᲔᲢᲐᲓ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲜᲐᲮᲐᲕ“.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲛᲝᲓᲘ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ“.

ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: „ᲨᲔᲜᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲐᲪᲜᲝᲑᲓᲘ?“

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲓᲐᲒᲘᲠᲔᲙᲐᲕ“.

ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: „ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐᲒᲘᲠᲔᲙᲐᲕ“.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲮᲐᲠ“.

ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: „ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲔᲢᲧᲕᲘ, ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲕᲘ ᲒᲖᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ“.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲘᲒᲖᲔᲐ, ᲗᲐᲕᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ“.

ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: „ᲕᲘᲪᲘ, ᲒᲘᲜᲓᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ ᲓᲦᲔᲛ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲕᲭᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲡ ᲕᲣᲧᲣᲠᲝ“.

ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: „ᲘᲥᲜᲔᲑ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲕᲛᲨᲕᲘᲓᲓᲔᲗ?“.

ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: „ᲘᲥᲜᲔᲑ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲐᲛᲨᲕᲘᲓᲓ?“.

ᲐᲮᲚᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲒᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ:

ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ: „ᲠᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑ?“

ᲘᲒᲔᲑᲡ: „ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲮᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲕᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲔᲑᲘᲗ?“.

ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ: „ᲔᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ?“

ᲘᲒᲔᲑᲡ: „ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲝᲗ“.

ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ: „ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ?“.

ᲘᲒᲔᲑᲡ: „ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝ, ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝ, ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝ...“

ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ: „ᲠᲝᲒᲝᲠ �გᲐᲛᲝᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲘ?“.

ᲘᲒᲔᲑᲡ: „ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ!“

ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ: „ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲓ ᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲥᲕᲡ?“

ᲘᲒᲔᲑᲡ: „ᲫᲐᲚᲘᲐᲜ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲨᲔᲜᲖᲔ!“

www.kvirispalitra.ge

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲐᲛᲐᲖᲔ? ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲗᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲖᲔ ᲐᲜ ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲝᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ

პონჩოსა და ჩიტოს საოცარი მეგობრობა

20 წელს გრძელდებოდა ადამიანისა და ალიგატორის ეს საოცარი მეგობრობა. ხოლო შოუ „პონჩო და ჩიტო“ იმდენად პოპულარული იყო კოსტა-რიკაში, რომ ალიგატორი ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. უკანასკნელ გზაზე კი დიდი პატივით — ყვავილებით, ლითონის კუბოზე დასვენებული გააცილეს.

ალიგატორის პირობაზე პონჩო უზარმაზარი იყო — 78-კბილიანი აგრესიული ქვეწარმავლის სიგრძე 5 მ-ს, წონა კი 250 კგ-ს აღწევდა.

მისი მწვრთნელი და პატრონი, ყოფილი მეთევზე ჩიტო, იგივე ჟილბერტ შედენი იხსენებს: „ჩვენი შოუ ყოველ კვირას იმართებოდა ტურისტულ ცენტრში. ის ყველა ჩემს ბრძანებას — კუდის მოქნევას, წყალში გადატრიალებას, პირის ფართოდ დაღებას, ხმელეთზე ამოსვლას და ა.შ. ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ასრულებდა“...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მომაკვდავი პატარა ალიგატორი შედენმა თევზაობის დროს იპოვა მძიმე მდგომარეობაში და მის გადარჩენას დიდი ძალისხმევა შეალია. როდესაც პონჩო წამოიზარდა, ის ერთგული ძაღლივით იქცეოდა და მასთან ერთად მეთევზემ წყალში შესვლა ამიტომაც გაბედა. შოუს იდეაც პირველად მაშინ დაიბადა.

“წარმოდგენის დროს მისი არასდროს შემშინებია, რადგან პონჩოს ძალიან ვუყვარდი“, — ამბობს ჩიტო, რომელიც, რომელიც, ცხადია, „აღზრდილს“ ვერ ივიწყებს.

პონჩო უკანასკნელ გზაზე დიდი პატივით — ყვავილებით, ლითონის კუბოზე დასვენებული გააცილეს

„ᲒᲐᲣᲙᲣᲚᲓᲐᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲙᲐᲑᲐ

ლოს-ანჯელესში „კინომსახიობთა გილდიის“ პრემიით დაჯილდოებაზე პაპარაცებმა ტრადიციულად „ყველაზე ცუდად ჩაცმული“ ვარსკვლავები გამოავლინეს. თუმცა მათშიც კი განსაკუთრებით გამოირჩეოდა სიგურნი უივერი, რომელსაც Lanvin -ის შავი აბრეშუმის კაბა ტომარასავით იმდენად უშნოდ ეკიდა, დაცინვით „ლამაზად გაჭრილი ნაგვის ტომარა“ უწოდეს. რეპუტაციის გადასარჩენად ფირმის დარცხვენილი დიზაინერი ალბერ ელბაზი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მათი ძვირფასი სამოსი 63 წლის სიგურნი უივერს უკუღმა ეცვა!

„შეიძლება სიგურნიმ ჩათვალა, რომ დეკოლტე მისთვის მეტად ღრმა იყო და გულმკერდის ნაცვლად ზურგი მოიშიშვლა, ან პირიქით, სურდა ხაზი გაესვა ახალგაზრდულად გამობურცული მკერდისთვის და რადგან ბიუსჰალტერის გარეშე გადაწყვიტა მოსვლა, კაბით დაიფარა“ — სცადა მან მსახიობის გამართლება.

უივერი, ცხადია, პირველი ვარსკვლავი არ არის, ვინც კაბა უკუღმა ჩაიცვა. 1999 წელს სელინ დიონმა „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე Dior-ის კაბა ჩაიცვა უკუღმა. მაგრამ ყველაზე საინტერესო კონფუზი უდავოდ ანჯელინა ჯოლის დაემართა 2009 წელს, როცა Max Azria-ს ლურჯი კაბა ძალიან ღრმა დეკოლტეთი უკუღმა ჩაიცვა და ნამდვილი ფურორიც მოახდინა, როცა გაოცებულმა პუბლიკამ მოულოდნელად მის ზურგზე „პირადული“ ტატუები აღმოაჩინა...

„ᲩᲐᲫᲕᲠᲐᲚᲘ“ ᲙᲐᲑᲐ

ლონდონში „ოქროს ნიღბის“ (BAFTA) პრესტიჟულ დაჯილდოებაზე, რომელიც ოპერისა და ბალეტის სამეფო თეატრ „კოვენტ გარდენში“ ჩატარდა და სადაც ბრიტანეთის კინოაკადემიის პრემიების მისაღებად დიდი ბრიტანეთისა და ჰოლივუდის მთელი ბომონდი შეიკრიბა, ყურადღების ცენტრში 37 წლის ფრანგი მსახიობი მარიონ კოტიარი აღმოჩნდა... „დიორის“ კაშკაშა ყვითელ კაბაში ის მეტად ეფექტურად გამოიყურებოდა, რომ არა ერთი „შტრიხი“ — კაბის გამჭვირვალე დეტალი დაცვამ, მაყურებელმა თუ დამსწრეთა უმრავლესობამ ვერ შეამჩნია და მათ ჩათვალეს, რომ კოტიარს კაბის ქვედა ნაწილი უბრალოდ „ჩაძვრა“... საწყალი მარიონი იძულებული გახდა, მრავალჯერ აეხსნა, რომ კაბა დიზაინერის მიერ სწორედ ასე იყო ჩაფიქრებული. სხვათა შორის, თავსხმა წვიმაც მაშინ წამოვიდა, როცა „გაყვითლებული“ ვარსკვლავი თეატრის წინ წითელ ხალიჩაზე პოზირებდა.



„ᲣᲐᲛᲮᲘᲜᲐᲒᲝ“ ᲙᲐᲑᲐ

ახლახან ლას-ვეგასში გამართულ ფილმ „პარკერის“ პრემიერაზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში ჯენიფერ ლოპესი არა მარტო იმის გამო მოექცა, რომ ფილმში ქალის მთავარ როლს თამაშობს, მთავარი ის იყო, რომ 43 წლის სუპერვარსკვლავი იქ ტრუსის გარეშე მივიდა! საქმე ის არის, რომ მომღერლის Kaufman Franco-ს თეთრ კაბაში გამჭვირვალე დეტალი ისეა ჩაკერებული, რომ პერანგისა და მისი „ამხანაგის“ ჩაცმას არ ითვალისწინებს — ორად გაყოფილი კაბის განიერი „ნაპრალი“ ზურგიდან იწყება და თეძოსა და ფეხზე ეფექტურად გრძელდება, ხოლო შიშველი ზურგისა და თავისი ყველაზე „ცნობილი“ ნაწილის უკეთ სადემონსტრაციოდ, ჯეი ლომ გრძელი თმაც საათანადოდ აიწია.

ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ!

„ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ L“ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲗᲐ ᲥᲡᲔᲚᲘ „ᲑᲘᲑᲚᲣᲡᲘ“ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲐᲥᲪᲘᲐᲡ

2 ᲬᲘᲒᲜᲘ 1-ᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ „ᲑᲘᲑᲚᲣᲡᲘᲡ“ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ

ჩემი ოჯახი

კროსვორდი ფუეში

ამოხსენი კროსვორდი დანომრილი ნახატების მიხედვით და ფერად უჯრებში იმ ცხოველის სახელს მიიღებ, რომელიც ხის უკან იმალება

კრიპტოგრამა

მოცემული ასოები ფერების მიხედვით გადაიტანე ცარიელ უჯრებში და გაიგებ, ვის ხახაში მოხვდნენ თევზები

ოვალ-ანეკდოტი

ზევსი და ჯუ

ზევსმა ქორწილი გადაიხადა, ყველა ცხოველი მიიწვია, ყველამ პატივი დასდო და ესტუმრა, მხოლოდ კუ არ მისულა. ზევსმა მიზეზი ჰკითხა:
– პურმარილზე რატომ არ მეწვიეო?
– შენი სახლი კარგია, მაგრამ ჩემი უკეთესიაო, – უპასუხა კუმ. ზევსი განარისხა კუს თავხედობამ და ბრძანა:
– ამიერიდან კუმ თავისი სახლი ზურგით ატაროს, თანაც სულ სახლში იჯდესო. ის დღე იყო და ის დღე, კუ თავის ჯავშნიან სახლს ველარ იშორებს და ზურგით დააქვს.

ანდაზა: „სხვის მდიდრულ სასახლეს საკუთარი ქოხი გერჩიოსო“.

რებუსები

ამოხსენი რებუსები და გაიგებ, რა სახეობის სოკოები შეაგროვა ბღარბუნამ

პასუხები იხილე: 37-ე გვ.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ



ᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲐᲞᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ — ᲠᲐᲖᲝᲛ?

მსოფლიო გააოგნა რომის პაპ ბენედიქტ XVI-ის (იოჰან რატცინგერის) გადაწყვეტილებამ, თვის ბოლოს ვატიკანის წინამძღვრის პოსტიდან გადამდგარიყო. როგორც კათოლიკური სამყაროს ლიდერმა განაცხადა, გაუარესებული ჯანმრთელობა ხელს უშლის სრულად შეასრულოს საკუთარი უფლება-მოვალეობები: „ამ მიზეზების გამო, საღ გონებაზე მყოფი, ვაცხადებ, რომ ვიხსნი ვატიკანში ღვთის მო-



წმინდა პეტრეს ბაზილიკას მეხი დაეცა — იმავე ღამეს, როდესაც პაპმა მსოფლიოს გადადგომის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილება ამცნო.

ციქულისა და წმინდა პეტრეს მემკვიდრის სტატუსს“, — ნათქვამია პაპის ოფიციალურ განცხადებაში. უკანასკნელი 600 წლის მანძილზე ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც რომის პაპი ტახტს ტოვებს.

ვინ იყო პაპი ბენედიქტი — ტრადიციონალისტი თუ რეფორმატორი? როგორ დარჩება მისი სახელი ისტორიაში — როგორც თავისი წინამორბედის, კურთხეულად წოდებული იოანე-პავლე II-ის ღირსეული მემკვიდრისა თუ პაპისა, რომელიც საკუთარ მოვალეობას გაექცა? პაპს არც მოთაყვანეები აკლია და არც მაძაგებლები. მის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს არც კონსერვატორთა და არც რეფორმისტთა ბანაკებში. მეტიც, ხშირად ერთსა და იმავე საკითხზე ვატიკანის მიდგომას, მაგალითად, ქალი-ეპისკოპოსებისა და ერთსქესიანი ქორწინებების საერთაშორისო სკანდალად ქცეული თემებისადმი, აკრიტიკებენ ტრადიციონალისტებიც და რეფორმისტებიც. ერთნი საკითხის დაყენებით არიან უკმაყოფილონი, მეორენი კი რომის პაპისგან პოზიციების დათმობასა და ლიბერალობას მოითხოვენ.

ვატიკანის კანონიკური კოდექსის მიხედვით, პაპი უნდა გადადგეს მხოლოდ თავისივე ნება-სურვილით. სწორედ ეს პუნქტი იქცა თავსატეხად საზოგადოებისათვის: რა იყო პაპის გადაწყვეტილების ნამდვილი მოტივი და იქნა თუ არა იგი მიღებული ძალდატანებით?

აი, რას ასახელებს პაპის გადადგომის მიზეზად ვატიკანის სპიკერი ფედერიკო ლომბარდი Euronews-თან ინტერვიუში:

— ეს გადაწყვეტილება მოითხოვდა უდიდეს სიბრძნეს, თავმდაბლობასა და სიმამაცეს. პაპმა ობიექტურად შეაფასა საკუთარი ჯანმრთელობა და უარი თქვა ამ საოცნებო და საარაკო პატივზე.

— ბოლო ხანს რომის კათოლიკურ ეკლესიას უამრავი სკანდალი დაატყდა თავს. ლაპარაკობენ ვატიკანის ბანკის უზარმაზარ ვალებზე, გახშირდა ბრალდებები პედოფილიასა და ჰომოსექსუალიზმზე, პაპის კამერდინერმა გასცა პაპის პირადი დოკუმენტები და პაპს ანტიქრისტეს შეგირდობას აბრალებს. იქონია თუ არა ყოველივემ გავლენა მის გადაწყვეტილებაზე?

— დარწმუნებული ვარ, პაპმა გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როდესაც ღვთის წინაშე შეაფასა საკუთარი სიმართლე და ძალა, შეეძლო თუ არა საკუთარი მოვალეობის კვლავ შესრულება. ცხადია, მისი მმართველობის დროს იყო პრობლემები. ბენედიქტი რეალისტია და მშვენივრად იცის, რომ ადვილი არ არის, იყო ისტორიის ნაწილი და ამავე დროს, თავადვე ქმნიდე მას. იგი თავისი მოვალეობების შესრულებას არ გაურბოდა. უეჭველია, მომავალ პაპსაც დახვდება დიდი პრობლემები, რომელთან გამკლავებაც მოუწევს.

— რატომ გადაწყვიტა პაპმა, რომელიც „ტვიტერზეც“ კი დარეგისტრირდა, საკუთარი გადადგომის შესახებ მსოფლიოსთვის ლათინურად ეცნობებინა?

— პაპი ბრძენი ადამიანია. იცის, რომ მისი გადაწყვეტილება ისტორიული და ეპოქალური მნიშვნელობისაა, რასაც ყველაზე კარგად ლათინური შეეფერებოდა.

ახალი პაპის ვინაობა აღდგომამდე გახდება ცნობილი. ვინ იქნება იგი, ან რა გზას აირჩევს, ჯერჯერობით უცნობია, ისევე, როგორც ის, თუ რას მოიმოქმედებს ბენედიქტ XVI გადადგომის შემდეგ — მას უფლება აქვს, ვატიკანში დარჩეს. თუ ასე მოხდა, კიდევ ერთ ისტორიულ პრეცედენტს მივიღებთ — კათოლიკურ სამყაროს ორი — ყოფილი და მოქმედი პაპი ეყოლება.

კარდინალი ფრანცის არინზე ნიგერიიდან პაპობის სავარაუდო კანდიდატებს შორის ყველაზე პოპულარულია. თუ არინზე პაპი გახდა, იგი ისტორიაში შევა, როგორც პირველი შავკანიანი პაპი. მიუხედავად იმისა, რომ პაპის ტახტი აფრიკელებს სამჯერ ეკავათ, ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ისინი კონტინენტის თეთრკანიანი მოსახლეობის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ.

80 წლის ფრანცის არინზე კარდინალისთვის საკმაოდ თამამი მოსაზრებებით გამოირჩევა: 2011 წელს მან მთელი მსოფლიო გააოცა, როდესაც განაცხადა, რომ მისი აზრით, სამოთხეში შეიძლება მოხვდნენ მუსლიმებიც, ბუდისტებიცა და ებრაელებიც. კარდინალი ასევე ცნობილია როგორც სპორტის გულმხურვალე ქომაგი

ინტერნეტწყაროების მიხედვით მოამზადა ვაჟა თავბერიძემ

ᲢᲝᲜᲘ ᲯᲐᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

ტონი ჯატი 2010 წლის 6 აგვისტოს 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას, უწინარეს ყოვლისა, ევროპის ისტორიკოსად იცნობენ — ავტორად 2005 წელს გამოსული წიგნისა „ომის შემდგომი“ (Postwar), რომელშიც სისადავის, სიღრმისა და აზროვნების მასშტაბის უჩვეულო, მხოლოდ ჯატისთვის დამახასიათებელი სინთეზითაა მოთხრობილი 1945 წლის შემდგომი ევროპის ისტორიული ტრაექტორია. თუმცა, ისტორიული გამოკვლევების გარდა, ჯატი მწვავე პოლემიკურ წერილებსაც აქვეყნებდა საერთაშორისო ურთიერთობების, ევროკავშირის, ისრაელისა თუ ამერიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ წერილების მეშვეობით ჯატი გასცდა აკადემიურ წრეებს და აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საჯარო ინტელექტუალად იქცა.



ქართულ ენაზე „რადარამის“ მიერ ახლახან გამოცემულ წიგნში „უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას“ ჯატი ამ ორივე როლს ითავსებს. ეს წიგნი ერთდროულადაა ომის შემდგომი დასავლეთის ისტორიაც და უკომპრომისო პოლემიკაც თანამედროვეობის პოლიტიკური კლიმატისა თუ სოციალური პრობლემების შესახებ. „არის რაღაც ძალზე არასწორი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წესში,“ — იწყებს ჯატი და ჩამოთვლის იმ მასშტაბურ პრობლემებს, რომლებიც, მისი აზრით, დღევანდელი დასავლეთის, უწინარესად კი აშშ-ისა და ბრიტანეთის რეალობაში დგას: მზარდ სოციალურ უთანასწორობას, ცხოვრების დონის გაუარესებას, ფულის გაფეტიშებას, პრივატიზაციის კულტს, ძლიერი და მდიდარი ძალების გავლენას დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და, რაც მისთვის ყველაზე მტკივნეულია, საზოგადოებაში თანაცხოვრების განცდისა თუ საერთო ინტერესების აღქმის თანდათანობით მოშლას.

მოქალაქეების უმთავრესი მომსახურებებით უზრუნველყოფის ფუნქციის სახელმწიფოსთვის მოხსნასა და კერძო სტრუქტურებზე გადაბარებას ჯატი პოლიტიკურ პრობლემად აღიქვამს. „ღარიბ მოქალაქეს, რომელსაც უმუშევართა დახმარება, ექიმის ყურადღება, სოციალური შემწეობა ესაჭიროება, აღარ აქვს ადმინისტრაციისა თუ მთავრობის იმედი, ხოლო კერძო კომპანიების მიერ მოწოდებული სოციალური მომსახურება აღარ აღიქმება კოლექტიურ სიკეთედ, რომელზეც ყველა მოქალაქეს უნდა მიუწვდებოდეს ხელი. შედეგად კი იმას ვიღებთ, რომ სოციალური კონტაქტებისა და საჯარო სიკეთეების კომპლექსური სტრუქტურები მინიმუმამდე დადის. მოქალაქეს სახელმწიფოსთან ძალაუფლებისა და მორჩილების გარდა აღარაფერი აკავშირებს“, — წერს ჯატი. ამ ვითარებაში ის ერთგვარ პარადოქსსაც ხედავს. სახელმწიფო, რომელიც სოციალურ ფუნქციას კარგავს, უფრო და უფრო მეტად ხდება დამოკიდებული თავის ძალადობრივ მხარეზე. მოქალაქეების თვალში დისკრედიტირებულ თუ გულგრილ მთავრობებს თავიანთი მიზნების მისაღწევად ხშირად თვალთმაქცობა, მუქარა და დამორჩილების სხვა ფორმების გამოყენება უწევთ. შედეგად კი მთავრობის როლის შემცირებას კი არა, პირიქით — მისი შეუზღუდავი ძალაუფლების გაძლიერებას ვიღებთ.

ოდნავ განსხვავებულ, მაგრამ არსობრივად იდენტურ სირთულეებს ხედავს ის ახალი დემოკრატიების ცხოვრებაშიც — ქვეყნებისა, რომლებიც ოციოდე წლის წინ განთავისუფლდნენ საბჭოური ავტორიტარიზმისგან. ჯატი შიშობს, რომ პოსტსოციალისტურ სივრცეში პოლიტიკური თავისუფლების იდეა თითქმის გაუტოლდა ფულის კეთების შესაძლებლობებსა თუ გამდიდრების ფეტიშს. საბჭოური, რეპრესიული თანასწორობა ჩაანაცვლა შეუზღუდავი სიხარბის კლიმატმა, რაც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ცნებებს — ისეთებს, როგორებიცაა „დემოკრატია“, „ლიბერალიზმი“ თუ „სამოქალაქო სოლიდარობა“ — სიცოცხლისუნარიანობის დაკარგვას უქადის. „რა თქმა უნდა, თავისუფლება თავისუფლებაა, მაგრამ თუ მის რომელიმე გამოხატულებას უთანასწორობისკენ, სიღატაკისა და ცინიზმისკენ მივყავართ, მაშინ ეს უნდა ვაღიაროთ და სისტემის ნაკლოვანებებს თავისუფლების ტრიუმფალური სვლისას შესალამაზებლად ფარდაგი არ უნდა გადავაფაროთ“, — წერს ჯატი.

საქართველოში ახლახან დასრულდა პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ტლანქად და პარადოქსულად უთავსებდა ერთმანეთს დაურეგულირებელი ბაზრების მიმართ ენთუზიაზმს, ბიზნესებზე პოლიტიკურ ზეწოლას და ხელგაშლილ საბიუჯეტო ხარჯებს ბრჭყვიალა ღონისძიებებზე და გრანდიოზულ პროექტებზე. ახლა მივიღეთ ხელისუფლება, რომელიც სოციალური უსამართლობის შემსუბუქების დაპირებებით გამოდის, მაგრამ, ამავე დროს, მისი ლიდერის ხელში კონცენტრირებული ფინანსური კაპიტალიდან გამომდინარე, კიდევ უფრო თვალში საცემს ხდის იმ გროტესკულ უთანასწორობას, რომელიც საბჭოთა სისტემის კაპიტალიზმით ჩანაცვლებამ მოიტანა, და რომელზეც ზემოთ მოტანილ ციტატაში ჯატიც ლაპარაკობს. ამდენად, ჩემი აზრით, ქართველ მკითხველს ეს წიგნი ჩვენი ქვეყნის გამოცდილების გაანალიზებაშიც დაეხმარება თანამედროვე დასავლეთში მიმდინარე პროცესების გააზრებასთან ერთად.

საქართველოს კონტექსტში ამ წიგნს აქტუალურობას ის ფაქტორიც მატებს, რომ დისკუსია, რომლის ხელახალ გაჩაღებასაც ჯატი დასავლეთის ქვეყნებში ცდილობდა, ჩვენში ჯერ არც კი დაწყებულა. ჩვენს პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში ახლა უნდა გაჩნდეს ცნებები — სამართალი, ზომიერება, სოლიდარობა. ბოლოს და ბოლოს უნდა დავსვათ კითხვები — როგორი საზოგადოება გვინდა გვქონდეს და რა უნდა მოვთხოვოთ ქვეყნის ლიდერებს საიმისოდ, ამის მიღწევა რომ შევძლოთ. ზოგადი და უმნიშვნელოვანესი ცნებების გარდა — ისეთების, როგორებიცაა სოციალური სამართალი, უთანასწორობა, ჩვენი, როგორც საზოგადოების, საერთო ინტერესები თუ კოლექტიური სიკეთე — ლაპარაკი უფრო კონკრეტულ თუ უფრო ტექნიკურ საკითხებზეც უნდა დავიწყოთ. მაგალითად, საბიუჯეტო სახსრებზე, მათი ხარჯვის მართებულ გზებზე, გადასახადების სამართლიან ფორმებზე, ეკონომიკურ სასოწარკვეთაში მცხოვრები ადამიანების ყოფის შემსუბუქების კონკრეტულ მექანიზმებზე. ამ დისკუსიის დაწყებისთვის კი ეს წიგნი შესაძლოა მართლა შეუცვლელი მნიშვნელობის იყოს.

ხელისუფლებების ცვლილების და სამართლიანობის აღდგენის შესახებ ომახიანი ლოზუნგების ფონზე ჩვენი უამრავი თანამოქალაქე კვლავ სიღატაკეში და ეკონომიკურ სასოწარკვეთაში ცხოვრობს. მათ — დევნილებს, პენსიონერებს, მუშებს, უსახლკაროებს, უმუშევრებს, ობლებს, ვეტერანებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს — ქვეყნის ცხოვრებაში ჩართვისთვის არც რესურსი აქვთ და არც შესაძლებლობა. და სანამ ამდენი ადამიანი გარიყული რჩება, ჩვენი, როგორც საზოგადოების წინსვლაზე განცხადებები განცხადებებადვე დარჩება. თანაც ფასადურ, გულგრილ და ფარისევლურ განცხადებებად.

სალომე ასათიანი, ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლება“

ᲧᲝᲛᲞᲚᲘᲜᲘᲐ
ᲛᲔᲢᲐᲚᲝᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲘᲡ ᲙᲐᲠ-ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲠ-ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲒᲘ ᲛᲘᲜᲘᲗ — ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ!
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ SALAMANDER ᲓᲐ KOMMERLING - 5-ᲙᲐᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘ, 7ᲒᲛᲓ. ᲡᲐᲛᲝᲜᲒᲐᲥᲝ ᲡᲘᲡᲘᲥᲘᲗ
ᲤᲔᲠᲔᲑᲘ: ᲗᲔᲗᲠᲘ, ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲣᲮᲐ; ᲮᲘᲡ ᲑᲔᲥᲡᲑᲣᲠᲘᲗ: ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲔ, ᲙᲐᲙᲐᲚᲘ, ᲜᲐᲑᲚᲘ, ᲛᲣᲮᲐ, ᲛᲣᲥᲘ ᲛᲣᲮᲐ, ᲛᲐᲙᲐᲑᲝᲜᲘ, ᲓᲐ Ა.Შ.
ᲛᲘᲡ: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ 141Ა Ⲙ. „ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ
☎ 35-47-47; 53-06-00; 61-32-37; 899-90-20-91; 895-30-22-92 Ⲧ/ᲤᲐᲥᲡᲘ: 35-13-13

„დაკონტრაქტებულები“ ჩვენებებს იძლევიან



ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ე.წ. „დასაქმების პროგრამასთან“ დაკავშირებით დაიკითხა. საქმე ეხება წინასაარჩევნოდ „გათამაშებულ“ „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამას“. გასამრჯელო მიიღეს სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა — 22 ათასამდე პირმა, თუმცა, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ. დაკითხვისას მერაბიშვილმა ყველაფერი უარყო(?!).

ილია ჯალაღანია *(დასავლეთ საქართველოს სამხარეო პროკურორი):* — 2012 წლის 5 ივლისს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა“, რომლის ფარგლებში თავდაპირველად დაახლოებით სამი ათასი ადამიანი დააასაქმეს, როგორც სოციალური აგენტები. ჩაუტარდათ ტრენინგი, დაურიგდათ კითხვარები და დაიწყეს მოსახლეობაში სიარული. მათი მიზანი იყო დაედგინათ, ვის სჭირდებოდა სამსახური. პროგრამის პირველი ეტაპი რეალურად განხორციელდა. აფიორული კომბინაცია კი მეორე ეტაპზე ჩაირთო, როდესაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა 21 837 ადამიანისთვის გაეფორმებინათ დამატებითი ხელშეკრულებები. ანუ ეს ხალხი პარალელურ რეჟიმში „დაეკონტრაქტებინა“.

— რას ნიშნავს „დაეკონტრაქტებინა“?

— დამატებით 21 837 ადამიანს გაუფორმდა ხელშეკრულება, რომელთაც იმ 3 ათასი აგენტის ანალოგიური სამუშაო უნდა ჩაეტარებინათ. ამ მიზნით ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და ჯანდაცვის სამინისტროს გამოეყო დამატებითი თანხები — 6 მილიონი ლარი. ამ ხალხს ხელშეკრულება გაუფორმდა 3-დან 30 სექტემბრამდე, ანუ ზუსტად წინასაარჩევნოდ. თავიდან ხელშეკრულების ასლი მისცეს, შემდეგ კი უკან დააბრუნებინეს, ვითომ რაღაც ხარვეზები გაიპარა, რომ მეორე პირიც მათ დარჩენოდათ. ესეც თავის დაზღვევის მიზნით გააკეთეს, თორემ სანდო კონტინგენტი იყო შერჩეული — 21 837 კაცი საგანგებოდ შეირჩა ადგილობრივი გამგეობებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიერ... ამ ეტაპზე დამუშავებული გვაქვს იმერეთის ცალკეული რაიონების ამ აფიორული სქემის მონაცემები. მაგალითად, ტყიბულში 37 საარჩევნო უბანი იყო და თითოეულზე 6 პირი, ანუ სულ 222 ადამიანი „დაკონტრაქტდა“. ასე მოხდა მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ პრეზიდენტის წინასაარჩევნო შეხვედრებში, ბროშურებისა და ფლაერების დარიგებაში, პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის განხორციელებაში. თითოეულს 2012 წლის სექტემბრის ბოლოს „ლიბერთი ბანკის“ შესაბამის ფილიალში ჩაერიცხა ხელზე ასაღები 240 ლარი. ყველა დაკითხულია. დადასტურდა, რომ მათ ამ პროგრამის ფარგლებში არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ. ეს იყო შენიღბული წინასაარჩევნო კამპანია.

— შეიძლება თუ არა ეს ჩაითვალოს ამომრჩევლის მოსყიდვად?

— ამას გამოძიება დაადგენს. ეს იყო ბიუჯეტის ფული, იმავე ხალხის ფული, რომელიც „ნაციონალებმა“ თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენეს.

— მერაბიშვილი უკვე დაჰკითხეთ?

— მერაბიშვილიც დავკითხეთ და ზურაბ ჭიაბერაშვილიც, თუმცა მათთვის მოწმეთა ჩვენებები არ გვიჩვენებია.

— ჯამში რამდენი თანხა გაიხარჯა?

— 21 837 ადამიანმა ხელზე აიღო 240 ლარი, ანუ ჯამში 5 240 880 ლარი.

მოწმეთა ჩვენებიდან:

ეკატერინე გოცაძის ჩვენება: „2012 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩემმა მეზობელმა ნ.მ.-მ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორი იყო, მითხრა, რომ დამასაქმებდა, მხოლოდ უნდა მივსულიყავი სოციალური მომსახურების სააგენტოში ხელშეკრულების გასაფორმებლად. სააგენტოში მისულმა ერთ-ერთ ქალბატონს ვუთხარი, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ გამომგზავნეს ხელშეკრულების გასაფორმებლად. მან ამოიღო დაბეჭდილი ხელშეკრულება, გამომართვა პირადობის მოწმობა, გადაამოწმა სიაში და ჩემი მონაცემები ხელშეკრულებაში ჩაწერა. მეც მოვაწერე ხელი და წამოვედი. ამის შემდეგ ნ.მ-მ მითხრა, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში მიდიო. იქ ს.ჯ.-მ მითხრა, რომ მევალებოდა ჩემს ქუჩაზე სააგიტაციო პლაკატების გაკვრა, თან დააყოლა, შესრულებულ სამუშაოს შევამოწმებთო. იმავე დღეს ს.ჯ.-მ სახლში მომიტანა პლაკატები, რომელიც გავაკარი აღმაშენებლის ქუჩაზე. თვის ბოლოს ნ.მ-მ მითხრა, ხელფასი ჩაგერიცხა „ლიბერთი ბანკში“ და აიღეო. მეც მივედი და ვუთხარი ოპერატორს, „ნაციონალების“ ხელფასი თუ არის ჩემს სახელზე ჩარიცხული-მეთქი? მივაწოდე პირადობის მოწმობა და მომცა 240 ლარი.

სოციალურ სააგენტოში ჩემთვის არავის აუხსნია, თუ რა მევალებოდა ხელშეკრულებით. არც ხელშეკრულება წამიკითხავს და არც ასლი წამომიღია. ვიცოდი, რომ „ნაციონალები“ მიფორმებდნენ ხელშეკრულებას და მათთან უნდა მემუშავა წინასაარჩევნოდ. დავალება შევასრულე და ანაზღაურებაც მივიღე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით კავშირი მქონდა მხოლოდ ნ.მ.-სთან და ს.ჯ.-სთან. პარტიაში რა თანამდებობები ეკავათ, არ ვიცი. ნ.მ. ჩემს ქუჩაზე კოორდინატორი იყო“.

ზურაბ ბრეგვაძის *ჩვენება: „ვცხოვრობ ჭიათურაში, აღმაშენებლის ქუჩაზე. 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში მეზობელმა მ.-მ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორი იყო, მითხრა, რომ პარტიის მხარდამჭერებში ჩამწერდა, დამევალებოდა წინასაარჩევნოდ ბუკლეტების დარიგება და „ნაცმოძრაობის“ აფიშების გაკვრა ჩემს უბანში. მითხრეს, ანაზღაურებას მოგცემენო, კონკრეტული თანხა არ დაუსახელებიათ. რამდენიმე დღეში მ.-მ მითხრა ჭიათურის სოციალური მომსახურების სააგენტოში შენი პირადობის მოწმობა მიიტანე და ხელს მოგაწერინებენო. მივედი სააგენტოში და იქ მომუშავე ერთ-ერთ პირს ვუთხარი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბიდან ვიყავი. შემიყვანა ოთახში, სადაც გავიმეორე, რომ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი ვიყავი და შტაბიდან გამომგზავნეს. ამის შემდეგ ქალბატონმა მომაწოდა დაბეჭდილი ფურცელი, რომელშიც ჩაწერა ჩემი სახელი, გვარი, პირადი ნომერი და მომაწერინა ხელი ორ ეგზემპლარზე. სექტემბრის თვის ბოლოს მ.-მ მითხრა, რომ შენს სახელზე „ლიბერთი ბანკში“ ფული ჩაირიცხა, მიდი და აიღეო. არჩევნებზე კი, ხომ იცი, მხარი უნდა დაგვიჭირო, ამისთვის გიხდით ფულსო. მეც მივედი „ლიბერთი ბანკში“ ოპერატორს მივეცი პირადობის მოწმობა და მომცეს 240 ლარი“.*

ქაკ შირაკი ფიქციურ სამუშაო ადგილებს ქმნიდა



საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით გაასამართლეს. გამოძიების ვერსიით, 1992-დან 1995 წლამდე შირაკი, რომელიც პარიზის მერიას ედგა სათავეში, ფიქციურ სამუშაო ადგილებს ქმნიდა და ამ ფულით თავის პარტიას აფინანსებდა. განაჩენში ნახსენები იყო მხოლოდ 28 ფიქციური სამუშაო ადგილი. ფრანგული კანონმდებლობით, უფლებამოსილების გადაჭარბების, ნდობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვისთვის შირაკს 10-წლიანი პატიმრობა და 150 000 დოლარის ჯარიმა ელოდა, თუმცა ასაკისა და მძიმე ავადმყოფობის გამო 2-წლიანი პირობითი სასჯელით შემოიფარგლნენ.

მომზადა თამარ როსტიაშვილმა

ექსკლუზივი

ბენდუქიძესაც დაიბარებენ?

სანდო წყაროს ცნობით, სულ მალე პროკურატურა დასაკითხად კახა ბენდუქიძესაც დაიბარებს. ამის მიზეზი ის დოკუმენტები გახდება, რომლებიც ნათლად ასახავს, თუ როგორ ჩაიგდო გროშებად ხელში ძვირად ღირებული სახელმწიფო ქონება კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდმა“.

ასი მილიონი ოთხ მილიონად?!

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სახელმწიფო ქონება, რომელსაც შპს „აგრომეტი“ განკარგავდა, რომლის დამფუძნებელი ასევე სახელმწიფო იყო ასპროცენტიანი წილით, შეადგენდა დაახლოებით 100 მილიონი ლარის უძრავ-მოძრავ ქონებას. მარტო ჩამონათვალი რად ღირს: 1324 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მათ შორის თბილისში მდებარე აგრარული უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები, უნიკალური ლაბორატორიები, საცდელი მეურნეობები და სხვა მოძრავი ქონება.

ეს სახელმწიფო ქონება საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2012 წლის 15 თებერვალს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა აგრარულ უნივერსიტეტს (რომლის დამფუძნებელიც „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდია“, რომელიც, თავის მხრივ, კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდმა“ დააფუძნა) სულ რაღაც 4 მილიონ დოლარად. გამოდის, რომ 1 კვმ მიწა მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით გასხვისდა სულ რაღაც 0,31 დოლარად (?).

საინტერესოა, ბენდუქიძეც ხომ არ გაჯიუტდება, პროკურატურაში არ გამოვცხადდებიო. ამ თემით „კვირის პალიტრა“ მომავალშიც დაინტერესდება.

ნინო ლომთათიძე

www.kvirispalitra.ge

თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში

მედიცინა

შეკითხვა ექიმს

რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ. გაზეთის მცირე ფორმატი ვერ იტევს ყველა შეკითხვას, ამიტომ ზოგიერთ მათგანზე პასუხს იხილავთ ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე, ასევე თქვენთვის საინტერესო უამრავ კითხვაზე პასუხს ნახავთ სამედიცინო ინტერნეტჟურნალში **www. mkurnali.ge** *— ამიერიდან საიტზე შეგიძლიათ გამოგზავნოთ კითხვები, რომლებსაც ექიმი უპასუხებს. თუმცა მათ, ვისაც ინტერნეტ-საიტით სარგებლობის საშუალება არ გაქვთ, კითხვები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთის მეშვეობით.*

— შესაძლებელია თუ არა დაორსულება არეული ციკლის შემთხვევაში?

თქვენ მკითხველი ია

— შესაძლებელია, მაგრამ გააჩნია, რა არის ასეთი დარღვევის მიზეზი. უმჯობესია, ციკლის არევის მიზეზი წინასწარ დადგინდეს, რათა ორსულობის დროს არ შეიქმნას ჰორმონული დისბალანსის პრობლემები.

— 1 კვირის წინ გადავიტანე სტრესი და იმის მერე ყოველდღე დილის 6 საათზე მელვიძება და ვერაფრით ვიძინებ. როგორ მოვიქცე?

მკითხველი

— პირველ რიგში, უნდა მოიხსნას სტრესის გამომწვევი ფაქტორი, ამისთვის საჭიროა გადაფასდეს ის მოვლენები, რამაც სტრესი გამოიწვია. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ მიიღებთ მცენარეულ დამამშვიდებელ საშუალებებს, მაგალითად, ვალერიანის აბებს ან კატაბალახასა და შავბალახას ნაყენს. თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, აუცილებლად მიმართეთ ფსიქონევროლოგს.

— მყავს 40 დღის ბავშვი, არის მხოლოდ ძუძუზე. მენსტრუაცია ჯერ არ აღმდგენია, თავდაცვის გარეშე რამდენად არის შესაძლებელი დავორსულდე?

ანა, თბილისი

— საკმაოდ ხშირია შეთხვევები, როცა ნამშობიარები ქალები ვერ აფიქსირებენ პირველ მენსტრუაციას მისი ატიპურობის (ის შეიძლება იყოს ხანმოკლე, მცირე რაოდენობის გამონადენი) გამო და შედეგად მეძუძურობის პერიოდში ორსულდებიან. თუმცა, ზოგჯერ მშობიარობის შემდეგ ქალს რამდენიმე თვე არ აქვს მენსტრუაციული ციკლი და არც ორსულდება. შესაძლოა, ვერ მიხვდეთ, გქონდათ თუ არა მენსტრუაცია და მაშინ დაორსულებაც მოსალოდნელია.

— შესაძლებელია თუ არა ქალს 36 წლის ასაკში გაუჩნდეს ტრიქომონა სექსის გარეშე? შეიძლება თუ არა თვითონ ქალი იყოს ამის პირველადი წყარო, რა იწვევს ინფექციას და რა ნიშნები ახასიათებს ქალებსა და მამაკაცებში?

რდ, ერთგული მკითხველი

— ტრიქომონიაზი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვენერიული დაავადებაა, ძირითადად გადადის სქესობრივი გზით. მისი გამომწვევი არის საშოს ტრიქომონა — ერთუჯრედიანი პარაზიტი. ქალებში ტრიქომონა ძირითადად მოქმედებს საშოს ქსოვილზე, მამაკაცებში — შარდსაწვეთ მილსა და პროსტატაზე. ტრიქომონიაზის სიმპტომებია: ქალებში გამონადენი საშოდან, საშოს ქავილი, წვა, ტკივილი მოშარდვისას, მამაკაცებში — გამონადენი შარდსაწვეთი მილიდან, ტკივილი და წვა მოშარდვისას, პროსტატის დაზიანების შემთხვევაში პროსტატიტის სიმპტომები. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები და განსაკუთრებით მამაკაცებში, როცა ტრიქომონიაზი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ტრიქომონიაზმა შეიძლება გამოიწვიოს სპერმის ხარისხის დაქვეითება, ქალებში — შეხორცებები საშვილოსნოს მილში, მცირე მენჯის ღრუში, რაც შესაძლოა გახდეს უშვილობის მიზეზი. ტრიქომონას მკურნალობისას გამოიყენება ანტიტრიქომონადული პრეპარატები და მისგან განკურნება ძნელი არ არის.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

როგორ დავძლიოთ დაღლილობა

***ყ**იდ დატვირთვას ყოველთვის თან სდევს დაღლილობა და შრომის უნარის დაქვეითება. ამ დროს დაგეხმარებათ სამკურნალო მცენარეების: კატაბალახასა და კრაზანას ნაყენი. კატაბალახა დამამშვიდებლად მოქმედებს, ხსნის სპაზმებს, ნერვიულობის ნიადაგზე განვითარებულ მუცლის ტკივილს. კატაბალახას ნაყენი მიიღეთ ძილის წინ.*

კრაზანას ჩაი დალიეთ შუადღემდე, რადგან წნევას მაღლა სწევს. კრიტიკულ დღეებში კი უსიამოვნო სიმპტომების შესამსუბუქებლად ქალებმა უნდა მიიღონ ხეპილპილას ნაყენი. ის შეიცავს ასკორბინის მჟავას, რომელიც აწესრიგებს ჰორმონულ ფონს და მატებს ტონუსს.

სარძევე ჯირკვლები რომ არ დაგიავადდეთ, ჭამეთ მწვანე ბოსტნეული, თევზი და ხორცი; რძემჟავა პროდუქტები გაგიმაგრებთ ძვლებს და მოგიწესრიგებთ კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას.

ზედმეტი ემოციური დატვირთვაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, გუნება-განწყობილებაზე, კანზე. კანის ელასტიკურობის აღდგენაში დაგეხმარებათ მარწყვაბალახასა და წიწმატურას ნაყენი. კანს სიმკვრივე და ახალგაზრდული იერი რომ შეუნარჩუნოთ, მიიღეთ ბიოტინით მდიდარი პროდუქტები: კაკალი, ხორბალი, ოსპი, სოია.

მენოპაუზასთან დაკავშირებული სიმპტომები: შიშის შეგრძნება, ფორიაქი შეიძლება შეგიმსუბუქოთ წითელი სამყურას ექსტრაქტმა, რომელიც ამცირებს კლიმაქსის სიმპტომებს და იცავს სარძევე ჯირკვლებს კიბოს განვითარებისაგან.

თავად სცადეთ კრემის დამზადება

კარგი სახის კანი, აუცილებლად მოითხოვს ზრუნვას და ამისთვის ჩვენც ათას საშუალებას ვიყენებთ. საკითხავი ის არის, რამდენად სანდოა ეს საშუალებები. მოკლედ, ამაზე ბევრს არ ვიმსჯელებთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სანდო და სასარგებლო სახის მკვებავი კრემის დამზადება თქვენც შეგიძლიათ.

მასალად საჭიროა:

სპერმაცეტი 40.0გ.
კაკაოს ზეთი 15.0 გ.
ვარდის ზეთი 10-15 წვეთი
ნუშის ზეთი 10-15 წვეთი
თაფლის სანთელი 10.0 გ.
ბორაქსი 1 გ.
ზეითუნის ზეთი 200 გ.
ალოე (სამედიცინო და არა სახლში გაწურული) ერთი სუფრის კოვზი
ადუღებული წყალი 100 გრ.
ზეთზე დამზადებული ვიტამინები A, E, D 15-15 წვეთი.

მომზადების წესი: სასურველია, თუკი კრემს ფაიფურის ჯამში, ფაიფურისავე როდინის მსგავსი კოვზით მოამზადებთ, მაგრამ თუ ამისი საშუალება არა გაქვთ, შეგიძლიათ ემალირებული ჭურჭელიც გამოიყენოთ.

პირველ რიგში ფაიფურის ან ემალირებულ ჯამში მოათავსეთ სპერმაცეტი, კაკაო და თაფლის სანთელი. ჯამი წყლიან მოზრდილ ჭურჭელში ჩადგით, ისე რომ ადუღების შემდეგ წყალი ჯამში არ გადმოვიდეს და დაბალ ცეცხლზე შემოდგით. პერიოდულად ამოურიეთ. როდესაც ყველაფერი დადნება, ამოიღეთ ცხელი წყლიდან, აცადეთ ოდნავ შეგრილება და მიღებული მასა ათქვიფეთ (შესაძლებელია მიქსერის გამოყენებაც), იქამდე, სანამ არაჟნის კონსისტენციას არ მიაღწევს. შემდეგ ნელ-ნელა დაუმატეთ ზეითუნის, ვარდის და ნუშის ზეთი და თან ურიეთ. ეს საკმაოდ სახიფათო პროცესია, რადგან თუკი აჩქარდებით, შესაძლოა კრემი აგეჭრათ. როდესაც ზეთიანი კრემიც შესქელდება, ანადუღარ, გაცივებულ წყალში გახსენით ერთი გრამი ბორაქსი, ფრთხილად დაუმატეთ კრემს და გააგრძელეთ თქვეფა იქამდე, სანამ არ ჩათვლით, რომ თქვენი მკვებავი კრემი უკვე სრულყოფილად ჰგავს მომზადებულ პროდუქტს. სულ ბოლოს ფრთხილად ჩაუმატეთ ვიტამინები.

5-6 საათით დატოვეთ კრემი თავდახურულ ჭურჭელში, ოთახის ტემპერატურაზე. კრემის ქილებში

გადატანამდე მიღებული მასა ნახევარი საათი კიდევ უნდა ათქვიფოთ. შემდეგ, ჩაამატეთ ერთი სუფრის კოვზი ალოე (თუ დარწმუნებული ხართ, რომ ალოე ალერგიას არ გაძლევთ), ისევ მოურიეთ და დაანაწილეთ ქილებში.

კრემი გრილ ადგილას შეინახეთ. შეგიძლიათ ამისთვის მაცივარიც გამოიყენოთ, მაგრამ ის ქილა, რომლითაც ისარგებლებთ, ძილის წინ გამოიღეთ.

მარგებელი ხილის ჩირი

***ხ**ილის ჩირში თავმოყრილია ნატურალური ნივთიერებები და არ შეიცავს ცხიმს. გაშრობისას ხილი კარგავს მცირე რაოდენობით ვიტამინებს, კალიუმს, კალციუმს, რკინას, პექტინებსა და უჯრედისებს, სამაგიეროდ, მისი კალორიულობა იზრდება: თუ 100 გ ყურძენი 75 კკალორიაა, 100 გ ჩამიჩი — 280.*

კალციუმი ამაგრებს ძვლებსა და თმას, სახის კანს ანიჭებს სინორჩეს, მაგნიუმი აწესრიგებს წნევას, კალიუმი აუმჯობესებს გულისა და ნერვული სისტემის მუშაობას, ორგანიზმიდან გამოდევნის ზედმეტ სითხეს, ნატრიუმი და რკინა ხელს უწყობენ სისხლში ჰემოგლობინის დონის შენარჩუნებას, უზრუნველყოფენ ორგანოებსა და ქსოვილებს ჟანგბადით. ერთი მუჭა ჭერმის ჩირი უზრუნველყოფს კალიუმის დღეღამურ ნორმას, 50გ ალუბლის ჩირი B ვიტამინისა და მაგნიუმის, ხოლო დღეში რამდენიმე ცალი შავი ქლიავის, ლეღვისა და უნაბის (შეიცავს საკვებ ბოჭკოს) ჩირი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას.

გაგაცნობთ ზოგიერთი ჩირის თვისებებს:

ჭერამი შეიცავს: კალიუმს, პექტინს, რკინას, ვაშლის, ლიმონისა და ღვინის მჟავებს, B ჯგუფის ვიტამინებს, P ვიტამინისა და კაროტინს.

100გ-ში: 5,2გ ცილაა, 65,9გ — ნახშირწყლები და 288 კკალორია.

მსხლის ჩირი შეიცავს უნიკალურ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც აძლიერებს იმუნიტეტსა და ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას.

100გ-ში: 2,3გ ცილაა, 62,1გ — ნახშირწყლები, 257 კკალორია.

შავი ქლიავი ანტიოქსიდანტების წყალობით საუკეთესო ანტიდეპრესანტია, უხვად შეიცავს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს.

100გ-ში: 2,3გ ცილაა, 65,6გ — ნახშირწყლები, 271 კკალორია.

ბანანი მდიდარია შაქრით, რომელიც სწრაფად აღადგენს ენერგიას, ამიტომაც სპორტსმენებს ურჩევენ, ჭამონ ვარჯიშის დაწყების წინ.

100გ-ში: 4,5გ ცილაა, 54,6გ — ნახშირწყლები, 2,5 კკალორია.

ანანასში ბევრია A და C ვიტამინები, ნახშირწყლები, უჯრედისები, მაგნიუმი, იოდი, ფერმენტი ბრომელინი.

ანანასის ჩირი ხელს უწყობს საჭმლის მონელების პროცესს.

100გ-ში: 0,8გ ცილაა, 82,6გ — ნახშირწყლები, 339 კკალორია.

უნაბსა და ფინიკში ბევრი მიკროელემენტი და ვიტამინია, განსაკუთრებით კი B_5, რომელიც ორგანიზმს მატებს სასიცოცხლო ტონუსს. შეიცავს 23 სახის ამინმჟავას.

100გ-ში: 2,3გ ცილაა, 65,6გ — ნახშირწყლები, 295 კკალორია.

მანგო ორგანიზმს უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი მინერალური ნივთიერებით, ამცირებს სისხლში შაქრის დონეს და აახალგაზრდავებს ორგანიზმს.

100გ-ში: 9,5გ ცილაა, 57,6გ — ნახშირწყლები, 640 კკალორია.

ვაშლი სამკურნალო თვისებებით ტოლს არ უდებს უნაბსა და ჭერმის ჩირს, შეიცავს ბორს, აძლიერებს იმუნიტეტს.

100გ-ში: 2,2 ცილაა, 59,0გ — ნახშირწყლები, 230 კკალორია.

ლეღვი უხვად შეიცავს რკინასა და კალციუმს, ისეთ ფერმენტებს, რომლებიც ასტიმულირებენ საჭმლის მონელების პროცესს.

100გ-ში: 4,5გ ცილაა, 54,6გ — ნახშირწყლები, 298 კკალორია.

ნესვი შეიცავს შაქარს, ვიტამინებს, რკინას, ფოლიუმისა და ნიკოტინის მჟავებს, აქვს შარდმდენი და ანთებსაწინააღმდეგო თვისებები.

100გ-ში: 6,5 გ ცილაა, 60,6გ — ნახშირწყლები, 325 კკალორია.

მკურნალობა - ხერხემლის თიაქარის, ოპერაციის გარეშე, ძვალსახსროვანი დაავადებების და ოსტეოხონდროზის, მარილების დაგროვების, პოდაგრის, ართროზების, სპორტული ტრამვების, კიფოზის, ნერვის ანთების, რადიკულიტის.

551-00-51-84 *ყოფილია „ნიუ მედი“*

ლაზერი ბინაზე

- სახსრების დაავადებები
- ოსტეოქონდროზი
- ტროფიკული ნყლული
- დიაბეტური ანგიოპათია
- ჰიპერტონიტი და სხვა...
- აღეჩბიული ჩინიტი
- სამნვეია ნეჩვის ანთება
- ჯოლიტი
- დიზბაქტეჩიოზი

ლაზერის პროცედურები მაღალ ეფექტური და უსაფრთხო

სამედიცინო ცენტრი „ღაზეჩი“ ტელ: 599 20 60 73 253 36 52

ბუნების ღვთივკურთხეული სასწაული

რუის-ურბნისის მთავარეპისკოპოსის, იობის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა სამკურნალო ცენტრი **ნინო ჟურდაძის** ხელმძღვანელობით.

ქალბატონმა ნინომ წარმატებით გაიარა სტაჟირება ისრაელის ცნობილ კლინიკაში „სოროკა“ პროფესორ შლეფერთან და მიიღო Internal Medicine Department „E“ სერტიფიკატი.

1. მცენარეული წამალი მთელ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (საყლაპავში, კუჭში, ნაწლავებში) ახორცებს ეროზიებსა და წყლულებს.

2. ძალიან მოკლე დროში მოქმედებს ბრონქიტზე — აძლიერებს სასუნთქი სისტემის იმუნიტეტს და იცავს ორგანიზმს ვირუსის შემდგომი გართულებებისგან.

3. ეფექტიანია საშარდე სისტემისათვის (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), შედეგიანია პროსტატიტების, უშვილობასთან დაკავშირებული (ანტისპერმალური ანტისხეულების არსებობა) პრობლემების დროს.

4. ნევროზების სამკურნალო საშუალებაა.

5. ჭიების წამალი კი რამდენიმე სახის პარაზიტზე (ენტერობიოზზე, ასკარიდაზე, მახვილაზე, ლამბლიაზე) მოქმედებს.

მიღება გრძელდება,
წინასწარი ჩაწერით
მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №31 ☎599-78-89-18; 298-98-54
ქ. ხაშური (შაბათ-კვირას)
9 აპრილის ქ. №10
E-mail: niqurdadze@gmail.com

R

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ 18 თებერვალი

06.30 დოკ/ფ „რიკი მეცხერეს სანახორის იკვლევს“ 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 00.30 „მიამე“ 11.00 „სამთოს ვაშლები“ 12.45 „ბრიდი ეფის“ - მრი მალაზინი 13.30 „დღეს ორის ნახევრზე“ 15.00 დოკ/ფ „დიანა - ალანეტა“ 17.00 დოკ/ფ „მეცნიერების ისტორია“ 18.00 „ჰეეე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერიალი „რეალტერორი“ მე - 9 სერია 21.00 ტ/სერიალი „ბერი და თავისუფლება“ 22.00 „დილიდან დღით პიანჯესთან“ 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ 00.00 „საფარ“ 00.50 მხ/ფ „რეკორი 23“

07.30 დილამშვიდობისა საქართველო

10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერიალი „დიდი ქალი“ 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 „კურორი“ 12.30 „შუა დღე“ 15.30 შერეული 17.00 სერიალი „ჯენის უფასურელ“ 18.45 სერიალი „მეზობარე გული“ 20.05 სერიალი „დირსება და ამბიცია“ 22.00 ფილინი ბობალი 23.00 შაშის ფესტორი 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 „ქრონიკა“ 10.00 სერიალი „ფლიანი მოახლე“ 11.20 სერიალი „მფის ქერვე“ 13.00 სერიალი „ფაქეცი - 4“ 14.40 სერიალი „24 - 5“ 15.40 სერიალი „დიდელი სიმრთლე“ 17.50 სერიალი „თილისმა“ 18.50 სერიალი „სახეფთო ენეა“ 21.00 სერიალი „პირტოსელი“ 22.00 სერიალი „ცხელი ძალი“ 23.00 მხ/ფ „სამ მუშეტერი“ 01.10 სერიალი „ვენის გზა“ 01.45 მხ/ფ „ქეა მოლელი“ 03.15 მუსიკა

tv 9 08.00 „ახალი“ დილა 10.00 მატრიცა 11.00 მოკარი კითხვა 12.00 სიინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 სიინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მოკარი კითხვა 18.00 „ახალი“ 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 „ახალი“ 22.00 მოკარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 „ახალი“ 24.30 მოკარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 „ახალი“ დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მოკარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.20 უცხოეთის ამბები 09.00 ახალი ამბები 09.15 უცხოეთის ამბები 10.00 ახალი ამბები 10.30 უცხოეთის ამბები 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 უცხოეთის ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.30 უცხოეთის ამბები 13.55 უკომენტაროდ + ამინდი 14.00 ახალი ამბები 14.05 მეცხერის პრესკლუბი 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.30 უცხოეთის ამბები 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.40 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინფორმაციული ტაბლა 19.05 თოქშოუ „სუბიექტური ანრი“ 20.00 ახალი ამბები 20.05 თოქშოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 „ყოველდღიური პიესა“ 22.20 თოქშოუ „პოლიტმეტრი“ 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ „სუბიექტური ანრი“ 01.20 ყოველდღიური პიესა 01.40 თოქშოუ „არგუმენტები“ 02.00 თოქშოუ „პოლიტმეტრი“ 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.35 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შოდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუყურეთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ერთ პიპრა ქალაქში“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა „ეანთადი“ 10.00 ერთსულოვნების ვერნისაე 10.05 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლეჩხუმ ქუთა ქუა 10.40 კვირაკე 11.55 შოდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ისტორიის დღიური 12.10 მხ/ფ „წისქილი ქალის გრეუნანში“ 13.15 კინკერტი - ვეეის ლასტი 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შოდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 ეანთადის სტუმრი 15.30 საეტაკალი „ერთი რამის სიყვარული, დაფარე რომ სჭირდეს“ 16.55 შემეტნთალოდ/ფ „ეკლესიერ ბუნეს“ 17.20 მოკ/ფ „ეკლესიერ“ 17.55 შოდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაე 18.10 საქართველო არის ეს! 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი ალიჭის განცრტესანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლეები 19.20 მხ/ფ „ძმა“ 20.40 ძალი ნებისა 20.55 შოდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაე 21.20 სალოცავსტეელი სიტეები 21.55 ისტორია 22.00 სიახლეები 22.25 საქართველოს ისტორია 22.55 ფოტოგალერეა 23.00 სალამის ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ - ებრაული ურთიერთობები“ გად. V 23.50 ფოტოგალერეა 23.55 შოდგზის ლოცვა 00.05 საეკლესიო კალენდარი 00.10 სიახლეები 00.30 ისტორიის დღიური 00.35 ეანთადის სტუმრები 01.00 უკეთ გაგიცოლ ჩვენი შოლეები 02.30 სიახლეები

PALITRATV 07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.07 გადაცემა „აქ და ახლა“ (გამეორება) 11.07 ვიდეოფილმი (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.12 რადიომარკეტი 12.30 გადაცემა „საქმე“ 13.00 გადაცემა „მოკლე ჩართვა“ (გამეორება) 13.30 ვიდეოპორტალი (გამეორება) 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.07 გადაცემა „აქ და ახლა“ 15.00 ვიდეოპორტალი (გამეორება) 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.07 გადაცემა „დეპარტამენტი ვეფე და მაკიფარი“ 17.06 გადაცემა „ პპლე და თურაშოული“ 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.15 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 გადაცემა „რეზიუმე“ 19.35 ვიდეოფილმი 20.30 გადაცემა „მოკლე ჩართვა“ 21.00 ვიდეოპორტალი 22.00 გადაცემა „რეზიუმე“ (გამეორება)

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 19 თებერვალი

06.30 „მიამე“ (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 01.30 „მიამე“ 11.00 „სამთოს ვაშლები“ 12.45 „ბრიდი ეფის“ - მრი მალაზინი 13.30 „დღეს ორის ნახევრზე“ 15.00 დოკ/ფ „ჭელების მკვლელები“ 17.00 „საფარ“ 18.00 „ჰეეე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერიალი „რეალტერორი“ 21.00 ტ/სერიალი „ბერი და თავისუფლება“ 22.00 „ოქტენტები“ 23.40 ფესტერეთი. ჩემმინთა ლიგა. მერეფფინალი. არსენალი - ბიერნი. შესვენებისას „ეიტორინა“ 01.50 მხ/ფ „სიყვარულის სურნელ“

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო

10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერიალი „დიდი ქალი“ 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 „კურორი“ 12.30 „შუა დღე“ 15.30 ვინის შოუ 17.00 სერიალი „ჯენის უფასურელ“ 18.45 სერიალი „მეზობარე გული“ 20.05 სერიალი „დირსება და ამბიცია“ 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 „ნიუკას შოუ“ 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 „ქრონიკა“ 10.00 სერიალი „ფლიანი მოახლე“ 11.20 სერიალი „მფის ქერვე“ 13.00 სერიალი „ფაქეცი - 4“ 14.40 სერიალი „24 - 5“ 15.40 სერიალი „დიდელი სიმრთლე“ 17.50 სერიალი „თილისმა“ 18.50 სერიალი „სახეფთო ენეა“ 21.00 სერიალი „პირტოსელი“ 22.00 სერიალი „ცხელი ძალი“ 23.00 მხ/ფ „სამ მუშეტერი“ 01.10 სერიალი „ვენის გზა“ 01.45 მხ/ფ „ქეა მოლელი“ 03.15 მუსიკა

tv 9 08.00 „ახალი“ დილა 10.00 მატრიცა 11.00 მოკარი კითხვა 12.00 სიინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 სიინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მოკარი კითხვა 18.00 „ახალი“ 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 „ახალი“ 22.00 მოკარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 „ახალი“ 24.30 მოკარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 „ახალი“ დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მოკარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.20 უცხოეთის ამბები 09.00 ახალი ამბები 09.15 უცხოეთის ამბები 10.00 ახალი ამბები 10.30 უცხოეთის ამბები 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 უცხოეთის ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.30 უცხოეთის ამბები 13.55 უკომენტაროდ + ამინდი 14.00 ახალი ამბები 14.05 მეცხერის პრესკლუბი 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.30 უცხოეთის ამბები 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.40 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინფორმაციული ტაბლა 19.05 თოქშოუ „სუბიექტური ანრი“ 20.00 ახალი ამბები 20.05 თოქშოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 „ყოველდღიური პიესა“ 22.20 თოქშოუ „პოლიტმეტრი“ 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ „სუბიექტური ანრი“ 01.20 ყოველდღიური პიესა 01.40 თოქშოუ „არგუმენტები“ 02.00 თოქშოუ „პოლიტმეტრი“ 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.35 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

ვერავითარი დრო ვერ განკურნავს შენს მონატრებას. რა ძნელია უშენოდ თებერვლის მოსვლა. ჩვენ სულ შენთან ვართ, შენზე ლოცვით და მოგონებებით ვინუგეშებთ თავს. ღმერთმა ცათა სასუფეველში დაამკვიდროს შენი ლამაზი სული, ჩვენო საყვარელო ნინო. შენი სულის სათნად ყოველთვის იციმციმებს ჩვენგან დანთებული სანთლები. უფალი ფარავდეს შენს სპეტაკ სულს.

დედა ბენიტა, დეიდა როენა

ქეთევან კალატოზიშვილის ტკივილიანი მოგონება

ერთი ტკივილიანი წელიწადი და პირველი დაბადების დღე – უმნოდ. 11 თებერვალი – როგორი სიხარულით ხვდებოდი ამ დღეს, ჩემო ლამაზო ფერიავ, თვალხატულა გოგო. 14 წლის შესრულება უნდა გეზეიმა. 20 თებერვალს კი ერთი ტკივილიანი წელიწადი მიილია, რაც ცათა სასუფეველში დაიმკვიდრე სამუდამო სამყოფელი. არაფროს მიგვირდა სიტყვების თქმა და ახლა მიგჭირს... არაფროს მომნდომებია წარსულის დაბრუნება და ახლა მინდა... რა ბედნიერები ვიყავით მაშინ მე და შენ. ვერაფერი განკურნავს შენს მონატრებას. უშენობა სასჯელია, მძიმე სასჯელი. არ მინდა შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ ვაი, რომ ასე არაა... გილოცავ დაბადების დღეს. დაგინთებ სანთლებს, ვილოცებ შენი ლამაზი სულისთვის.

შენი ლაურა მასწავლებელი

ზურაბ თოდუას მონატრება

ჩემო საყვარელო ძმაო, ზურაბ, ძალიან გვენატრები. უკვე ორი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. დიდი ტკივილით და მონატრებით, მიმძიმს ძმაო წარსულ დროში შენზე ლაპარაკი. თუმცა გწამდეს, რომ ყოველთვის ჩვენს გვერდით განაგრძობ ყოფნას. შენი გარდაცვალება მოულოდნელი იყო, სიცოცხლით და ენერგიით სავსეს ძმიმე სენი შეგეყარა, რომლის წინაშე უძლურები გავხდით.

ღმერთმა გამყოფოს სასუფეველში და გზას გინათებდეს ჩვენს მიერ დანთებული სანთლები.

და ლეილა, ნათესავები და მეგობრები

დათო კონსტანტინოვის ხსოვნას

დათო, შენმა უეცარმა წასვლამ ამქვეყნიდან დიდი დარტყმა მიაყენა უბედურ დედას, დას, ძმას და მისი ცოლშვილის გულებს. წახვედი და დაგვტოვე დიდი, უკურნებელი ტკივილი, რაც არასოდეს მოშუშდება. შვილო, 21 თებერვალს შეგისრულდებოდა 43 წელი, მაგრამ უშენოდ უნდა შეეხვედეთ შენს დაბადების დღეს ცრემლით და ტკივილით. დაე, უფალმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული.

დედა

დათო ჟვანიას მონატრება

მონატრების მომგვრელია შენი სახელი... 18 თებერვალს 19 წლის გახდებოდი, ბებო! ჩვენი დიდი ოჯახისთვის სიხარულის, ბედნიერების საწინდარო, თვალხატულა, ხუჭუჭა ბიჭო, ნიჭით და გონიერებით გაპრწყინებულო... ვერ გათვალე საშიშროება, მიეხე შენსავით დაუღალავ ნაკადულს, მან კი მზაკვრულად ჩაგთრია მორევში და სამუდამოდ მიგისაკუთრა. ყველას, ვისაც სიცოცხლესავით უყვარდი, უსასრულო ტკივილმა სამუდამოდ დასწყვიტა გული. 2002 წლის 18 თებერვალს, ჩემი დედა, შენი დიდი ჟუჟა ბებია გარდაიცვალა. ეს ტკივილი შენ გადამტანინე... შენ მყავდი და ბედნიერი ვიყავი, მაგრამ რა დალევს ამქვეყნად საწუხარს, ტკივილს – ტკივილი ემატება...

შენი გონელი, „გონელიკო“ ბიძია, რომელმაც ძლივს გაუძლო შენს საოცრად ტრაგიკულ დაღუპვას, თვითონაც ნაადრევად და საოცარი სიკვდილით წავიდა ამ ქვეყნიდან – ჩვენი ისევაც გამწარებული ცხოვრება კიდევ უფრო გაამწარა.

ჩვენ მხოლოდ ისღა შეგვძლებია თურმე ცრემლით ვნამოთ თქვენი სფლავები, ვილოცოთ და შევთხოვოთ უფალს, რათა საუკუნო ხსენება მოგცეთ და ნათელში გამყოფოთ. ცრემლნარევმა მოგონებამ და დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოთ, სიმშვიდე დაგიმკვიდროთ.

შენი ბებო მზიანა კობერიძე

დათო ჟვანიას ტკივილიანი მონატრება

18 თებერვალი ტკივილის, დარდის და უსაზღვრო მონატრების დღეა ჩვენთვის. დაბადების დღეს ვილოცავთ ჩვენო პატარა დათო, მაშინ პატარა, მაგრამ ახლა უკვე 19 წლის ხარ, ჩვენო მონატრებულო დათუნ. ძნელი იყო ეს წლები. უშენოდ დარდით და მწუხარებით სავსე, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. მარადიდ დარჩები ჩვენს გულებში. ეს ერთ დროს სასიხარულო თარიღი – 18 თებერვალი, შენს სიცოცხლეშივე გახდა ჩვენთვის მწუხარების დასწყისი. 11 წლის წინ, 18 თებერვალს გარდაიცვალა ჩვენთვის ძალიან საყვარელი და თბილი ჟუჟა ბებია, მაშინ პატარა იყავი, მაგრამ ძალიან განიცადე თურმე. მას ძალიან უყვარდი და შენც გიყვარდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მალევე დატრიალდა ეს თავზარდამცემი ტრაგედია და შენ სამუდამოდ დაიმკვიდრე ბინა ცათა სასუფეველში და იქ შეხვდნენ თქვენი კეთილი სულები ერთმანეთს.

ჩემი საყვარელი დათუნა, ამდენ ტკივილს და დარდს ჩემთვის მოულოდნელი და საზარელი ტრაგედია დამატა, სულ რაღაც სამი თვის უკან უეცრად და ტრაგიკულად დაღუპა ჩემი საყვარელი მამიკო, შენი „გონელიკო“, რომელიც გიყვარდა და მასაც ძალიან უყვარდი. შენი



ტრაგიკული დაღუპვის დროს მუხლმოდრეკილი ვევედრებდა ეკმეპს შენს გადარჩენას, მაგრამ ვერაფერი გიშველეს. შენი პატარა გული უკვე გაჩერებული იყო. მაშინ რა იცოდა, თუ ასე მალე შეხვდებოდით ერთმანეთს ზეცაში. ძალიან მიჭირს უთქვენობა, უზომოდ მიყვარხართ და მენატრებით, მაგრამ... მამაჩემის მოულოდნელმა და ნაადრევმა დაღუპვამ თან გაიყოლა სიცოცხლის ხალისი.

ჩემო საყვარელო მამიკო, თურმე ყველაფერი შენ გიკავშირდებოდა, ცხოვრების სტიმული ყოფილხარ. უშენობით სიცარიელეს ვგრძნობ, მაკლიხარ. მამა, მენატრება შენი მოფერება და შენი ლაღი სიცილი. ვერაფერით ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ არასოდეს შემოაღებ ჩვენს კარს. ყველაფერს თავი რომ გავანებოდთ, დედასთვის გეცოცხლა, ყოფილიყავით ერთმანეთის ვეკრძნობ, ერთად გეფუსფუსაო. ის ვერ ეგუება უშენობას, უჭირს, ძალიან უჭირს შენზე წარსულში საუბარი. მწარეა წუთისოფლის ხვედრი. ვერ კიდევ ვერ გაგვიაზრებია ეს ტკივილი. რაც დრო გადის, მმაფრდება და უფრო გვენატრები, ჩვენი ოჯახის ბურჯო. შენ ხომ ოჯახზე და ახლობლებზე უზომოდ იყავი შეყვარებული და არც არასდროს იღლებოდი მათი სიყვარულით. უზომოდ მენატრები, ჩემო საყვარელო მამა, მიყვარხარ ჩემი მოურჩენელო გულის ტკივილო.

ღმერთმა ნათელში გამყოფოთ ჩემო უსაყვარლესო ადამიანებო, დაგინთებთ სანთლებს და ყველა მუხლმოდრეკით შეეთხოვთ უფალს, თქვენს კეთილ სულებს სამუდამო ბინა დაუმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

მაკა დანელია

თემურ წერეთლის გახსენება

ერთი წელი გავიდა იმ სუსხიანი თებერვლის თვიდან, ჩვენო თემურ, როცა დაგვტოვე და წახვედი ჩვენგან სამარადისო სამყოფელში. უსაშველოდ გრძელი გამოდგა ეს წელი უშენოდ, დღეები ცრემლებით, კვირეები დარდით და თვეები მონატრებით. სევდამ და დარდმა დაისადგურა უშენოდ შენს ბედნიერ ოჯახში და მეგობრების გულებში. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს იმის შეგუება, რომ შენ აღარ ხარ ჩვენს შორის, ოჯახის მოსიყვარულე და მეგობრების მუდამ ერთგული. ვცოცხლობთ შენზე ტკბილი მოგონებებით, როგორც კაცურ კაცზე და საყვარელ ადამიანზე. სიკვდილი ვერაფერს დააკლებს იმ სახელსა და სიყვარულს, რაც შენ დატოვე, სიკვდილი მხოლოდ შენი ამაღლების გზად იქცა. იყავი სასუფეველში და გზას გინათებდეს ჩვენს მიერ დანთებული სანთლები.

მუდამ შენი მომგონებელი და მოსიყვარულე ოჯახი და მეგობრების წრე

ალეკო თვარაძის გახსენება

ჩვენო უსაყვარლესო ალეკო, 18 თებერვალს 51 წელი შეგისრულდება, 22 იანვარს გარდაცვალებიდან 10 წელი. ძალიან გვაკლიხარ ნათესავებს, მეგობრებს, შენ ყველასთვის დიდი იმედი იყავი. ვინც გიცნობდა აღნიშნავენ, რომ შენ იყავი ერთგული, მეგობრული, ნიჭიერი, კეთილშობილი ექიმი, გვარის მოყვარული და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, განსხვავებული ადამიანი. სხვისი ტკივილი გულთან მიგქონდა, როგორც საკუთარი. შენმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ ალეკო ყველა პაციენტს ისე ექცეოდა, როგორც ახლობელ ადამიანს. დიდი ამაგი გაქონდა ყველასთვის. შენს მიერ წამოწყებულ გვარის შეკრებებს ჩვენ ვაგრძელებთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

შენი ოჯახი

იოსკა თათარაშვილის (ჩანახას) მონატრება



20 წლის წინ, 21 თებერვალს სხვა სამყაროში დიდე ბნა. შენთან წამოვიდნენ შენი დები ბელა, ჟანა და ვერა. დაზარი და ვაქალაც შენთან არიან, ყველნი ვენატრებით. ნთელში გამყოფოთ ღმერთმა. ილოცეთ თქვენი დანატოვარისათვის.

ელგა და გია თათარაშვილები. შენი ძმისშვილები – ლექსო, ანა და ვერიკო თათარაშვილები; დისშვილები – გოჩა და ნინო ნიბლიაშვილები, გოგა, ლია და ლალი ძაგანიშვილები, მაია ბიბილაშვილი; თეა და გელა წიკლაურები

დედა-შვილის — დიტო ჩუგუაშვილისა და ანა აფრიაშვილის გახსენება

თებერვალს სიხარული უნდა მოჰქონდეს, როგორც გაზაფხულის წინა თვეს. ჩვენთვის კი, თქვენს არყოფნასთან ასოცირდება, ჩემო უსაყვარლესო ძმო დიტო და უფროფსესო დედიკო ანა. ათი წელია დედა აღარა გყავს, ძალიან მაკლიხარ, დე! მაგრამ დიტოს ტრაგიკულმა სიკვდილმა შენი თვი ითიქმის დამაწყო. ძმას უძროდ შეწყვეტილმა სუნთქვამ ჭლოვის ზარი ჩამოკრა ჩვენს ცხოვრებაში. ლაღსა და უადგილს რამე თუ მოერეოდა, არ მეგონა. ჩვენი მთავარი დასაყრდენიც იყო ცხოვრებაში, მაგრამ მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან. სასოწარკვეთა, დასრულდა ყველფერი, ოდესმე თუ გავცინდები, არ მეგონა, მაგრამ შენმა პატარა ნათიამ და თათიამ „დამაძლეს“ ცხოვრება. თითოეულ კერცხლს დარაკუნებენ ჩემს თვალებზე, სურათებში გეფერებიან უკვე წამოზრდილები.

შენ გვრის გმირძალეულიც ალარ დაგრჩა, ჩემო ერთადერთო ძმო. ცივ სამრეს შეეცქერით შენს ნაცვლად, უნუგეშოდ დარჩენილები. ლოცვებში დაღლილი ზეცისკენ აეჯაჭრობ თვალებს, იქნებ დაგანდო ღრეჩოს ფოლეში. უზომოდ მენატრები, ჩემო დიტო. უკვე მეშვიდე გაზაფხულს ვხვდებით უშენოდ. შენ და დედა თებერვლის თვეში მიგარეთ უფალს და ნუგეში მის კალთაში ბოლოთი ალმთა. მნდა დაგიგერო, რომ „სიკვდილი არ – რა არის რა! თქენ მზოლოდ გაგის მხარეს გასვლთ“. ეგეი არ უნდა ვიტირო, მაგრამ მასტეტი, მე ხომ ძალიან მეჭირს უოქენობა. ძალიან, ძალიან მენატრებით, ჩემო, ლიდ დარჩენილო ირეკი... უფალს ეარებოდეთ, სანთელ საკვლის გაგანათოს ზეცეური სვალი.

თამუნა ხარებაშვილის მონატრება

თამუნა, შვილო, ვილოცავ დაბადების დღეს – 18 თებერვალს, 28 წელი შეგისრულდებოდა... 2007 წლის 24 დეკემბერს ყვარელში ავტოავარიამ ამსხვრია 4 ლამაზი სიცოცხლე. მაშინ 22 წლის იყავი თამუნა, გურამ, გიორგი და ჩრეკი ერთად გადასცდნენ მარადიულ სასუფეველში.

ჩემო ლამაზო შვილო თამუნა, ძალიან გვენატრები, შენი კისკისი აკლია სახლს. 5 წელია მხოლოდ სიზარმაცე ვხედავ და ცვლ ქცევა და შენს სფლავზე მობმინე ყვავილს ვეფერები. თავდაკვეს სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებში მეშობდი. ბევრი ვეგმა გქონდა, მფრინავობაზე ოცნებობდი, მაგრამ შვილო, ერთ წამში დამთავრდა ყველაფერი და შენი სული სამუდამოდ გაფრინდა ცაში.

თამუნა, სიცოცხლით, ხალისით, ლიტლით, სიყვარულით და სიკეთით სავსე იყავი, ანლა კი მარადიულ ნატვრად, ტკივილად და ცრემლად იქეცი. ყველფერს ვილოცეთ, რომ ნათელში აყოფოს უფალმა შენი სული. 18 თებერვლს შენი ახლობლები შეეკრებით შენს სფლფინ. მოგიტანთ ბევრ ყვავილს, დაგინთებთ 28 სანთელს და ხმამაღლა დაგიძახებთ: თამუნა! ვილოცავთ დაბადების დღეს!

დედა ნანა, და თეონა, მამა ემზარი, ბებია ვენერა

თენგიზ დიღმელაშვილის მონატრება

16 თებერვალს სამოცდამეოთხეჯერ დადგა შენი დაბადების დღე ჩვენ 19 წელია უშენოდ ვხვდებით ამ ლამაზ დღეს.

ანუბანს, ვანლინთ სვსეს 59 წლის ასაკში გულმა გამტყუნა და უცროდ, უეცრად სამუდამდ გამოცალე შენს სამყო ოჯახს. უნუგეშოდ დატოვე სრულიად ახალგაზრდა მეუღლე ორ შვილთან ერთად. შენმა უსაყვარლესმა მეუღლემ, ცოლმ, მუხედავად დიდ ტკივილს და გაჭირვებისა, ღირსეულად ზდა ქრეკი დედის მხე ვეკარი და სამყალთო შვილი გაზარდა, გზაზე დაყენა, კარგ პიროვნებად ჩამოაყალიბა... და დღეს ასე ღირსეულად ფრთხელებს ამ საქმეს შვილიშვილებთან, იმ 4 პატარა ანგელოზთან, რომლებმაც შეეძლეს შენგან დატოვებული სიცარიელე და შეეშუბეეს ტკივილი, მაგრამ გულის სიღრმეში შენი წასვლით დატოვებული იარა დღემდე მოუშუშებელია...

რამდენი ნატვრა დაგრჩა განხორციელებელი, რამდენ სიხარულს ვერ მოესწრო. ილასა და ნინას ბედნიერებით უნდა გეხარა... პირველად შენ უნდა ფეეცინა ხელში შენი მოსახელე შვილიშვილი – თენგიზ დიღმელაშვილი და შემდეგ მაყოლებით გვანცა, სალომე, გიორგი... მაგრამ არ დეცალდა, არ დეცალდა ნანატრი რძლის ეკენობაც...

დარჩა მხოლოდ მოგონები დიდებული პიროვნისა – თენგიზ ილას ძე დიღმელაშვილის, რომლის კაკობით, ვაეკაკობით დღემდე ამყარს ოჯახი და სანთესაო.

შენს სახელს დეფიწეა არ უწერია. უსაზღვრო სიყვარულით და სიკეთით განვლილ შენს ხანმოკლე სიცოცხლეს უკვლოდ არ ჩაუვლია და მისაბაძ მაგალითად დარჩა შთამომავლობას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული...

მარად შენზე მლოცველი მეუღლე – ციცო, შვილები – ილია და ნონა, შვილიშვილები: თენგიზი, გვანცა, სალომე და გიორგი, რძალი – ქეთი.

ნათელა ბეთლემიშვილის მონატრება

40 ტკივილიანი დღე მიდეგა, 21 თებერვალს უშენოდ დედა. შენი დაბადებიდან 81 წელი უნდა აღვნიშნა 14 იანვარს, მაგრამ არ დეცალდა, 13 იანვარს შენმა სულმა ზეცეურ სასუფეველში დამკვიდრა ადგილი 20 წლის წინ წასულ მამასთან ერთად. დედა, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. გვიჭირს უშენოდ. რამდენი ალილ ცრემლი გაგეცა იმ ქვეყნად ყველასგან – დედა ჩვენ ვამყობთ, რომ შენი გაზრდილ შვილები და შვილიშვილები ვართ.

ვილოცეთ შენი წმინდა სულისთვის დე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სამოთხისაკენ. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ღმერთმა გაცხონოს და გაგანათლოს.

შენი ოჯახი

გიორგი ფარცხალაძის გახსენება



15 თებერვალი ის ტკივილიანი დღეა, როდესაც სამუდამოდ დაგვტოვე. რა დროც არ უნდა გავიდეს, გაუსაძლისია უშენობა, ძალიან გვენატრება შენი კეთილი ღიმილი და მხრეგელობა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ოჯახი

კვირიკატურა

— ეს ჩვენი დეპუტატი დუმბაძე რომ გაიძახოდა, ბათუმში ერთი მეჩეთიც არ აშენდებაო, ახლა რა არის ეს?

— ის ამბობდა, ერთი არ აშენდებაო, თორემ ორის აშენებაზე არაფერი უთქვამს.

ანეკდოტები

გურული დასტირის მეგობარს:

— ეს რა მოგსვლია, შე საწყალო, არა და, ერთი კვირის წინ რომ გნახე, რა კარგად იყავიიიიი...

მიცვალებულის ცოლი — არ იყო კარგად, არაااااااა...

— გუშინწინაც არაფერი გეტყობოდა სასიკვდილო, კარგად იყავიიიი...



ცოლი — არ იყო კარგად არა�ااااა...

— გუშინაც, ჯოკერს რომ ვთამაშობდით, ისე კარგად იყავიიიი...

ცოლი — არ იყო კარგად არااااااა...

გურული — ე ქალო, მაცალე ტირილი, რაცხა იყო, ამას ხო ჯობდა.

ჭიჭიკიამ ესპანეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების თამაშზე დააგვიანა. შეხედა „ტაბლოს“ და 6-0 ესპანეთის სასარგებლოდ.

— დიდი ხანია დეიწყო? — ეკითხება გვერდით მჯდომს.

— არა, ახალი დაწყებულია...

— აპა, აგი ბურთები ესპანელებმა გატანილი ჩამეიტანეს?

ახალდაქორწინებული მიხო და მარო აფთიაქში შევიდნენ. მარო:

— ერთი შეკვრა პამპერსი მომეცით, ორი ქილა ჰუმანა, ბავშვის ჭოჭინა, კალიასკა და სოსკა. რამდენი უნდა გადაგიხადოთ?

ფარმაცევტი:

— 320 ლარი, ქალბატონო.

მიხო:

— რაო? დაიცა ქალო... — მიხომ ჯიბიდან ლარიანი ამოიღო, — ერთი ცალი პრეზერვატივი მომეცით, თუ შეიძლება...

სენტიმენტები

პოლიტიკოსების მემუარები

40 წლის შემდეგ

საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე როგორც კი მიხვდა, რომ მისი პოლიტიკური ცხოვრება დამთავრდა, მემუარების წერა დაიწყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პოლიტიკაზე კარგად გამოუვიდა. ახლანდელი ერთი პარტიის მდგომარეობას რომ ვხედავ, მე მგონი, დროა, უკვე ისინიც ედუარდ შევარდნაძის გზას დაადგნენ და მემუარებით მაინც გაგვახარონ. თავის დროზე „ოცნებასაც“ მოუწევს ამ საქმის კეთება, თუმცა ჯერ ადრეა. საინტერესო იქნება, რას დაწერენ ახლანდელი პოლიტიკოსები თავიანთ მოგონებებში? ჩვენ დაახლოებით ვხვდებით, რა იქნება მათი მემუარების საკვანძო მომენტები, ამიტომ გთავაზობთ ცნობილი ქართველი პოლიტიკოსების აწ დასაწერი მემუარების ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს.

ბიძინა ივანიშვილი: „ჩემს მეექვსე პრემიერობას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან 15 ათასი დოლარი დამრჩა, ამიტომ თანამდებობა დავტოვე და ეს ფული ბიზნესში ჩავდე. ყველაფერი თავიდან დავიწყე...“

მიხეილ სააკაშვილი: „15 ათასი ჰქონდა დარჩენილი, მაინც ვერ გავიმარჯვე არჩევნებში.“

შალვა ნათელაშვილი: „მთელი ჩემი ცხოვრება ვებრძოდი შევარდნაძე-სააკაშვილი-ივანიშვილი-ხმალაძე-ალასანია-გეგეშიძე-დავით XV ბაგრატიონის კლანს.“

კოგა დავითაშვილი: „40 წლის შემდეგ კიდევ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს მე და სერგო. ამჯერად — „კათარზისში“. პროთეზი მესროლა და გაიქცა, მე გამოვეკიდე და დავეწიე...“

ჩიორა თაქთაქიშვილი: „რომელი წელი იყო, არ მახსოვს, სამზარეულოში ვიყავი, როცა მიშამ დამირეკა, სასწრაფოდ ლოგინში ჩაწექიო. რა თქმა უნდა, დავემორჩილე. ცოტა ხანში ვიღაც უცხოელი შემოვიდა, „მარნეული 2“-ის თუ „ახალციხე 4“-ის ჟურნალისტთან ერთად. ყველაფერს მივხვდი. გენიოსი პრეზიდენტი გვყავდა.“

ეკა ბესელია: „ჩემი პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია. სამიოდე პატიმარი რჩება ციხეში. ისე არ მოვკვდები, მათთვის ამნისტიის კანონი რომ არ დავწერო.“

ვანო მერაბიშვილი: „ჩემი ცხოვრება საინტერესო იყო — მინისტრობა და დაკითხვაზე სიარული.“

გიგი უგულავა: „აქ ძალიან ნელა გადის დრო.“

კახა კალაძე: „ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში იყო 24 მარტი. დღე, როცა გამოვიდა ჩემი წიგნი „ქარის ენერგიის როლი დენის გაიაფების საკითხში“.

აკაკი მინაშვილი: „მახსენდება ყველაზე დიდი პოლიტიკური ბრძოლა ჩვენსა და უმრავლესობას შორის. ეს იყო 2038 წელს, როცა პარლამენტის ადგილსამყოფელის განხილვა მიმდინარეობდა. ოპონენტები ასპინძიდან ხონში გადატანის მომხრენი იყვნენ, ჩვენ ვანში გვინდოდა. მაშინ კიდევ ერთხელ შედგა კოჰაბიტაცია და ვანსა და ხონს შორის მდებარე ქალაქ სამტრედიაზე შევაჩერეთ არჩევანი.“

გია ხუხაშვილი: „ჩემი ცხოვრებიდან ყველაზე მეტად რა მახსოვს? ერთხელ, ვხედავ, ერთ ბიზნესმენთან „ნაციონალი“ მისუ-ლა და წილს ართმევს. ბიზნესმენი ემუდარება, ბანკის ვალი მაქვს და ნუ დამლუპავო, მაგრამ არაფერი შველის... მერე ჩვენ გავიმარჯვეთ არჩევნებში, მოვიდა ის ბიზნესმენი ჩემთან და მეკითხება, რამდენი გინდათ წილიო, არაფერი-მეთქი, ვუთხარი. იმ ბიზნესმენის დაუჯერებლობით და სიხარულით სავსე თვალები მახსოვს.“

მარიამ საჯაია: „არასოდეს დამავიწყდება, როცა პირველი სიყვარული და დეპუტატობა ერთად მეწვია.“

გიგი წერეთელი: „რომის სენატში იყო ერთი სენატორი, მარკუს კოკციუს ნერვა. მე, ხათუნამ და მიხეილმა მას მთელი ორი წლით ვაჯობეთ და გინესის რეკორდებში შევედით. დიდი მადლობა ყველა იმ პარტიას, რომელთა სიით ჩვენ დეპუტატები ვხდებოდით. ეს მათი გამარჯვებაც იყო.“

ნამდვილი ამბავი

მაცივარი

ეს ამბავი რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა სოციალური ქსელებით და დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქმე ეხება ზუგდიდის დამკრძალავ ბიუროსა და სვან კლიენტს შორის წარმოქმნილ დავას, რომელიც შეიძლება სასამართლომდეც კი მივიდეს. ეს შემთხვევა იმდენად კურიოზულია, გადავწყვიტეთ ჩვენი მკითხველისთვისაც გაგვეცნო.

ზუგდიდის დამკრძალავი ბიურო სვან კლიენტს სასამართლოში უჩივის

საქმე კლიენტის მიერ დამკრძალავი ბიუროსადმი მიყენებულ ზარალს ეხება.

— სვანეთის ერთ-ერთ მკვიდრს გარდაეცვალა ოჯახის წევრი. ჩამოვიდნენ ზუგდიდში და იქირავეს მიცვალებულის მაცივარი. დათქმული დროის გასვლის შემდეგ მივაკითხეთ მას და მაცივრის დაბრუნება მოვითხოვეთ. გაკვირვებულმა მოქალაქემ კი გვიპასუხა, იმ მაცივრით მიცვალებული დავასაფლავეთო, — აცხადებს დამკრძალავი ბიუროს ხელმძღვანელი და მოქალაქისგან მიყენებული ზარალის, 2 500 ლარის გადახდას მოითხოვს, რაზეც დამქირავებელი უარს აცხადებს.

დავას ზუგდიდის რაიონული სასამართლო გადაწყვეტს.

ფოტოკომიქსი

მოგვწერეთ ცხოვრებისეული კურიოზები. აგრეთვე თქვენი ქალაქის, რაიონის, სოფლის პრობლემებზე, ადგილობრივ ჩინოვნიკთა გულგრილობაზე. ჩვენთან დაკავშირება შეგიძლიათ ,,კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით;
ელ/ფოსტით: **kvirispalitra@posta.ge;** ტელეფონით: 596 121-819

რუბრიკა მოამზადეს
სულხან ნამჩევაძემ და
გელა კორძაძემ

№8(855) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №8(855) — ძლიერების გარანტი

თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა არის ძვეყნის ძლიერების გარანტი (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-ის ჩათვლით.

№	თემა №8(855)	ქულა
1	კანონის უზენაესობა	
2	ძლიერი არმია	
3	თავისუფალი მედია	
4	ძლიერი მრეწველობა	
5	რელიგიურობა	
6	ტრადიციული ღირებულებების დაცვა	
7	ძლიერი სოფლის მეურნეობა	
8	თავისუფალი სასამართლო	
9	პროფესიონალი კადრები ქვეყნის სათავეში	

დამატებითი კითხვა

თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ხელისუფლებასა და უმცირესობას შორის კოჰაბიტაცია?

შესაძლებელია	არ არის შესაძლებელი	მიჭირს პასუხის გაცემა

(შესაგამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე... გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად. პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს. საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი. იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

ყურადღება! საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში SMS-ის **საშუალებითაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება. შეკსების წესი მარტივია: ტელეფონის** SMS **ფუნქციაში ლათინურად უნდა აკრიფოთ სიტყვა** REITINGI **გამოგზავნოთ ცარიელი ადგილი და შემდეგ ქულების ისეთივე კომბინაცია, როგორც რეიტინგის ქვითარს შეავსებდით. მაგალითისთვის:** **REITINGI 734561829, ამ შემთხვევაში 7 — „კანონის უზენაესობისთვის“ მიკუთვნებული ქულაა, 3 — „ძლიერი არმიისთვის“, 4 — „თავისუფალი მედიისთვის“ და ა.შ. შემდეგ დააფიქსირეთ დამატებითი კითხვის პასუხი, თქვენი სახელი და გვარი, ასაკი, ქალაქი (რაიონი) და გამოგზავნეთ ნომერზე 2141.**

ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი SMS-ის გამოგზავნა შეგიძლიათ. ერთი SMS-ის ღირებულებაა 50 თეთრი. **SMS-ის** გამოგზავნის ბოლო ვადაა **ხუთშაბათის, 21 თებერვლის 20⁰⁰ სთ.**

№8(855) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 20 თებერვლის 10⁰⁰ საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 21 თებერვლის 13⁰⁰ საათამდე.**

©თბილისი

№7(854) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემას — **„უარყოფითი როლი“** — 484 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 194 ქალისა და 285 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი (SMS) მონაწილეობდა. კითხვა ასეთი იყო: **„ვის როლს შეაფასებთ ყველაზე უარყოფითად 8 თებერვლის ინციდენტში?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველები 8 თებერვლის ინციდენტში ყველაზე უარყოფითად თბილისის მერის როლს აფასებენ. რესპონდენტთა 60%-მა დაუწერა გიგი უგულავას მაქსიმალური — 8 ქულა.

7.41 საშუალო ქულით გიგი უგულავა პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა მიხეილ სააკაშვილი, საშუალო ქულაა 6.31. რესპონდენტთა 28%-მა სწორედ პრეზიდენტის როლი შეაფასა ყველაზე უარყოფითად.

სამეულს თენგიზ გუნავა ასრულებს 5.76 საშუალო ქულით.

აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური ქულა არც ერთ მკითხველს არ მიუკუთვნებია პარლამენტის თავმჯდომარისთვის; ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური შეფასება კი პრემიერ-მინისტრს ხვდა წილად და 1.54 საშუალო ქულით რეიტინგშიც ბოლო ადგილზეა.



საპრიზოს ზუსტად 23 ბარათი (SMS) დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 66 წლის **რამაზ ცერცვაძე,** 59 წლის **ვანო მეგრელიშვილი,** 58 წლის **გურამ გუთხუნი,** 48 წლის **თამაზ კარიჭაშვილი,** 61 წლის **კანდიდ მეტრეველი,** 51 წლის **შალვა ულენტი,** 53 წლის **ალექსანდრე ტაბახმელაშვილი,** 48 წლის **მზია ჩიკვაიძე,** 79 წლის **ნინა ბარათაშვილი,** 49 წლის **ნიკოლოზ ღამბაშიძე,** 67 წლის **ვაჟა ტაბატაძე,** 79 წლის **შალვა ჭინჭარაული,** 71 წლის **ციალა აბაიშვილი,** 73 წლის **გიორგი ზაგაშვილი,** 75 წლის **თეთნულდ ტყეგუჩავა,** 48 წლის **ოლიკო გოგნიაშვილი,** 70 წლის **გენრიეტა ფრუიძე,** 58 წლის **ნინო კილაძე,** 46 წლის **დალი ადუაშვილი,** 69 წლის **გივი ალადაშვილი,** 45 წლის **პეტრე გულაცაშვილი,** 30 წლის **ლევან ჯამდელიანი** (თბილისი-სოხუმი) და დაფიქსირდა კიდევ ერთი, უავტორო ბარათი, რომელიც ზუსტად დაემთხვა საპრიზო ვარიანტს.

საპრიზო ფონდი — 200 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 20 თებერვალს, 17 საათზე.

დამატებითი კითხვა

თქვენი აზრით, უნდა მისცემოდა თუ არა პრეზიდენტს პარლამენტში გამოსვლის უფლება?



405-მა დამატებით კითხვას რესპონდენტმა უპასუხა

ცნობილთა აზრით:

ნონა გაფრინდაშვილი: — არა, არ უნდა მისცემოდა საშუალება, რადგან ის აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი. სააკაშვილმა კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა და საკუთარი უფლებამოსილების ვადა გაიგრძელა. ქვეყნის პირველი პირი ხელისუფლების ოპოზიციაშია და მის დისკრედიტაციას ეწევა ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე. ეყოთ, რაც აკეთეს ამ 9 წლის მანძილზე. დააცადონ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას მუშაობა.

ზალიკო სულაკაური: — დიახ. უნდა მისცემოდა ხალხისთვის ანგარიშის ჩაბარების უფლება. მოგვწონს თუ არა, ქვეყნის პირველი პირია და ეს მისი კონსტიტუციური ვალდებულებაა. სამწუხაროა, რომ ქართველებს სიყვარულის მაგიერ ერთმანეთის სიძულვილი და ბოღმა გვკლავს. განსხვავებული აზრის მოსმენის კულტურა არ გვაქვს და სიყვარულზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ნიკა ლომიძე: — არ ვიცი. მიჭირს პასუხის გაცემა. გავიგე, რომ თვითონ არ მივიდა და არც კი გამიგია, თუ ვინმემ დაუშალა. იმდენად არ ვარ პოლიტიკაში ჩახედული, რომ სრულყოფილი ინფორმაციაც კი არ მაქვს ასეთ საკითხებზე.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) ყუთების საშუალებით.

ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას **აუცილებელია, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში“ („დამატებით კითხვაში“).**
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგში“ („დამატებით კითხვაში“) მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დაფიქსიროთ თქვენი აზრი.
- „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, გოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

ყურადღება! „კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით ©

8 უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი _____

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№8 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ **21 თებერვლის** (ხუთშაბათი) 13⁰⁰ სთ-მდე.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲔᲑᲘ — ᲠᲣᲡᲘ ᲛᲔᲤᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ

საიმპერატორო კანვოის ისტორია 1811 წლის 18 მაისიდან დაიწყო, როცა კაზაკებისგან რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის პირადი დაცვა შეიქმნა. კანვოი არა მხოლოდ ტუსაღთა ბადრაგს ნიშნავდა, არამედ მეომართა ჯგუფს, რომელიც სავაჭრო გზებს იცავდა. კანვოი გვერდიდან არ შორდებოდა იმპერატორს, მონაწილეობდა დღესასწაულებში, რომელიც იმპერატორის კარზე იმართებოდა, ასევე უცხოური დელეგაციების შეხვედრებში, სამეფო ოჯახის საქორწინო ცერემონიებში.

საიმპერატორო გვარდია — კანვოელები

სხვადასხვა ეროვნების რჩეული მეომრებისგან დაკომპლექტებულ ქვედანაყოფს განსაკუთრებული უფლებები, მაღალი ხელფასები და პრივილეგიები ჰქონდა. 1856 წელს მეფის მთავრობამ გადაწყვიტა, კანვოისთვის დაემატებინა ახალი ნაციონალური ქვედანაყოფი — ქართველების შემადგენლობით. იმპერატორმა ქართველები ესკადრონის თავში, №1 ოცეულად ჩააყენა. ამალის უფროსად დაინიშნა 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის გმირის, პეტრე ბაგრატიონის ძმისწული და სეხნია პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი. იმპერატორმა ნება დართო ბაგრატიონს, ქართული ოცეულის მუნდირი ეტარებინა. მიუხედავად იმისა, რომ კანვოის კაზაკების ფორმა უნდა სცმოდა... თავიდანვე ქართველმა კანვოელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს მშვენიერი კოსტიუმების, მდიდრული იარაღისა და ბრწყინვალე ჯირითის წყალობით. 1858 წლის 30 მაისს პეტერბურგში ისააკის ტაძრის კურთხევაზე სხვებთან ერთად, ქართველებიც მონაწილეობდნენ, რომელთა შორის იმყოფებოდა ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟი, 11 წლის ნიკო დადიანი. „...იწყება პარადი, რომელშიც თვით ხელმწიფე კამანდობს. ქართველ (კანვოების) ცხენოსნებს კამანდობდა კნიაზი პეტრე ბაგრატიონი, — წერდა ამბის თვითმხილველი თედო ხოშტარია, — როცა ხელმწიფემ შესძახა კანვოელებს გაჭენებით გავლა, მაშინ კნიაზ მენგრელსკიმაც სხვებთან ერთად, თერთმეტი წლის ყმაწვილმა, ფიცხლად გააჭენა ცხენი — აღტაცებული ხმოვანება შექმნეს მაყურებლებმა, დიდებულებმა და ხალხმა. გაჭენების შემდეგ „გრუზინსკი ცარი“ ხელმწიფემ ცხენდაცხენ გადაკოცნა, მერმედ ჩამოიყვანეს ცხენიდან და მოიყვანეს იმპერატრიცასთან, რომელმაც დიდი ალერსით მიიღო...“

«გაჭენების შემდეგ „გრუზინსკი ცარი“ ხელმწიფემ ცხენდაცხენ გადაკოცნა, მერმედ მოიყვანეს იმპერატრიცასთან, რომელმაც დიდი ალერსით მიიღო...

პეტრე რომანოვიჩ ბაგრატიონი

უჩა დადიანი

«ერთხელ მეფის სასახლეში კანვოის მორიგე ოფიცერთა ოთახში ბანქოს თამაშობდნენ. მოულოდნელად თავს პიჟამაში გამოწყობილი იმპერატორი წამოადგათ. მოთამაშეები დატუქსა, მაგრამ შემდეგ ყველას თუმან-თუმანი ჩამოურიგა და თავადაც მიუჯდა სათამაშო მაგიდას... ერთ-ერთი ქეიფის შემდეგ კი იმპერატორის ფავორიტმა დავით (უჩა) დადიანმა ნიკოლოზ II გააოცა, როცა განუცხადა, რომ საკუთარი ეპოლეტები დააგირავა, რაც ნიშნავდა, რომ პატიოსანი სიტყვა მისცა, რომ ვალს აუცილებლად გადაიხდიდა...

«ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲡᲙᲐᲓᲠᲝᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ, №1 ᲝᲪᲔᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲠᲗᲝ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲓᲘᲠᲘ ᲔᲢᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲜᲕᲝᲘᲡ ᲙᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲪᲛᲝᲓᲐ...

ᲙᲐᲜᲕᲝᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲗ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲖᲔ, ᲚᲘᲕᲐᲓᲘᲐᲨᲘ ᲛᲔᲤᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ II ᲢᲔᲠᲐᲡᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲰᲘᲠᲓᲐᲰᲘᲠᲔ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ (ᲣᲩᲐ) ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲔᲤᲔᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲘᲮᲛᲝ. ᲣᲩᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲙᲔᲜ ᲗᲐᲕᲥᲣᲓᲛᲝᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲥᲪᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ ᲘᲓᲒᲐ. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲪᲮᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲕᲚᲝ. ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲝᲮᲘᲡ ᲙᲐᲚᲗᲐ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲡᲔᲠᲕᲘᲖᲘᲡ ᲭᲘᲥᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲤᲨᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲓᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲜᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲔᲑᲐᲓ ᲘᲥᲪᲐ. ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ ᲓᲐᲘᲛᲝᲠᲪᲮᲕᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲔᲡ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ.

ᲙᲐᲜᲕᲝᲘᲨᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲝᲠ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲣᲨᲠᲣᲜᲕᲔᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲓᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲢᲛᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲓᲜᲔᲜ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲠᲣᲓᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲘᲠᲧᲠᲝ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲚᲘᲦᲔᲑᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲛᲝᲔᲠᲒᲝ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲡ; ᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ, �პᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ. ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲓᲐᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲡᲘᲡᲨᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲒᲣᲚᲘᲡᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲰᲐᲢᲐᲕᲓᲐ: ᲕᲡᲗᲕᲘᲕᲗᲣ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲜ ᲙᲘᲡᲙᲐᲡᲝᲑ/ ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲜ ᲘᲩᲔᲜ ᲡᲘᲛᲐᲠᲓᲔᲡᲐ? /ᲨᲔᲜᲘ ᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑ/ ᲨᲔᲜᲡ ᲓᲐᲛᲦᲣᲠᲣᲞᲕᲔᲚ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲡᲐ?

ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ „ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲘ“. ᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲛᲔ-12 ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲡᲔ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲐ: „ᲨᲔᲜᲘ ᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑ ᲨᲔᲜᲡ ᲓᲐᲛᲦᲣᲠᲣᲞᲕᲔᲚᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲡᲐ“. ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲘᲚᲘᲐᲛ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ „ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲘ“ — „ᲘᲐᲜᲘᲩᲐᲠᲘᲗ“, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲡᲐ“, ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ „ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲡᲐ“.

ᲙᲐᲜᲕᲝᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ. ᲗᲔᲗᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 1917 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲛᲐᲠᲢᲡ, ᲙᲐᲜᲕᲝᲘᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲐ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲘ“ №2

«ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲙᲐᲜᲕᲝᲘᲡ ᲛᲝᲠᲘ�გᲔ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲑᲐᲜᲥᲝᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲗᲐᲕᲡ �პᲘᲯᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲬᲐᲛᲝᲐᲓ�გᲐᲗ. ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲢᲣᲥᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲗᲣᲛᲐᲜ-ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲣᲠᲘᲒᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲣᲯᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ... ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲥᲔᲘᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ (ᲣᲩᲐ) ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ II �გᲐᲐᲝᲪᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲔᲞᲝᲚᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲐ�გᲘᲠᲐᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲚᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ �გᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲓᲐ...

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲬᲐᲛᲝᲐᲓ�გᲐᲗ. ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲢᲣᲥᲡᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲗᲣᲛᲐᲜ-ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲣᲠᲘᲒᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲣᲯᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ... ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲥᲔᲘᲤᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ (ᲣᲩᲐ) ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ II �გᲐᲐᲝᲪᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲔᲞᲝᲚᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲐ�გᲘᲠᲐᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲚᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ �გᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲓᲐ...

«ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲧᲘ ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠ ᲛᲔᲜᲘᲣᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ. ᲙᲐᲜᲕᲝᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ — ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ „ᲙᲐᲠᲒ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲖᲔ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲗᲕᲠᲔᲡ!

„ბოიკოტი ჩვენი საქმე არ არის“

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა უხერხული მეტოქე — პორტუგალიის ნაკრები დაძაბულ ბრძოლაში გატეხა და 23 თებერვალს რუსეთში გასამართი მატჩისთვის ემზადება. „რუსეთის არმიის დღეს“ პრინციპული მეტოქის დამარცხებას განსაკუთრებული გემო ექნება, ბორჯღალოსნებს ამას ტრადიციაც „ავალდებულებს“, მაგრამ ნაკრების ლიდერი ***მამუკა გორგოძე*** *მიიჩნევს, რომ სოჭში ურთულესი მატჩი გველის. ეროვნული გუნდის გარდა, „გორგოძილა“ კიდევ სამ „ფრონტზე“ იბრძვის: საფრანგეთის ჩემპიონატის ფლეიოფისთვის, „ჰაინეკენის“ თასის მეოთხედფინალისთვის და ევროპის საუკეთესო მორაგბის ტიტულისთვის!*

— პორტუგალია ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქეა. თანაც, ბოლო მატჩებმა აჩვენა, რომ ჩვენს თამაშში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. არადა, საწყის წუთებზე მართლაც ძალიან კარგად ვითამაშეთ: არც მახსოვს, საქართველოს ნაკრებს ოდესმე გადაეცა შეტევის იმდენი ფაზა, რამდენიც პირველი ლელოს დროს...

— საწყისი წუთები მართლაც საუცხოო იყო... ისეთივე სტილში რატომ ველარ გააგრძელეთ?

— სულ ასე რომ „ვაგრძელებდეთ“ და ბოლომდე დალაგებული გუნდი ვიყოთ, კარგი იქნებოდა (*იცინის*). ხმალაძის ლელოს შემდეგ კი ვთქვით, რომ გამარჯვებაზე ფიქრი ნაადრევი იყო, მაგრამ... როგორც ჩანს, ეს მხოლოდ სიტყვებად დარჩა. ლელოს შემდეგ მორაგბეები უფრო თავდაჯერებული გახდნენ და ინდივიდუალურად დაიწყეს თამაში.

— ნაკრები ახალ სტილზე გადასვლას ცდილობს... კონკრეტულად რას ითხოვს მილტონ ჰეიგი თქვენგან?

— უფრო გაშლილ თამაშს, ბურთის ფრთებზე ხშირად ჩატანას. უნდა, რომ აქცენტი მხოლოდ შერკინებაზე არ გაკეთდეს. ქართველები ყველაფერში სულსწრაფები კი ვართ, მაგრამ ეს ყველაფერი ისე სწრაფად ვერ მოხდება, როგორც გულშემატკივარს უნდა. მილტონ ჰეიგი მაღალი დონის პროფესიონალია. დარწმუნებული ვარ, კარგად იცის, საით მიჰყავს საქართველოს ნაკრები. თუმცა, მისი მუშაობის შეფასებისგან ჯერ თავს შევიკავებ. უპირველესად, ჩვენ უნდა ავყვეთ: თუ მწვრთნელის დავალება ვერ შეევასრულეთ, როგორ უნდა შევაფასოთ ცუდია თუ კარგი? თუ შედეგი ყველა დავალების შესრულების შემდეგაც ვერ დავინახეთ, მაშინ გავაკრიტიკოთ. ჯერჯერობით კი, ნამდვილად ვერ ვასრულებთ ისე, როგორც საჭიროა.

— ბელგიასთან მატჩში ასე რატომ გაგიჭირდათ?

— ბელგიის ნაკრებში ძალიან ბევრი ნატურალიზებული ფრანგია. თანაც, როგორც ჩანს, „ერთა თასის“ დებიუტანტთან სათანადო კონცენტრაცია გაგვიჭირდა. ამას მსაჯის არაპროფესიონალიზმიც დაემატა, — პროფესიონალი კარგად დაინახავდა, რამდენჯერ დაინდო არბიტრმა მასპინძლები. დასაწყისში ჩხუბიც ატყდა, ოღონდ გალახულები ბელგიელები დარჩნენ და აყალმაყალს ჩვენზე უარყოფითად ნამდვილად არ უმოქმედია (*იცინის*). თუმცა, მთავარი მიზეზი ის არის, რომ სუსტად ვითამაშეთ...

— მომდევნო მატჩი სოჭში, რუსეთის ნაკრებთან გვაქვს...

— ორი წლის წინ სოჭში ძალიან გაგვიჭირდა და ახლაც ძალიან რთული მატჩი იქნება. თუ სათანადოდ არ მოვემზადეთ, აუცილებლად დავისჯებით. რუსეთი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე. ფიზიკურად კარგად მომზადებული მორაგბეები ჰყავთ და სიურპრიზებს ყოველთვის უნდა ველოდოთ. მით უმეტეს, თბილისში 0:46 წაგების შემდეგ, განსაკუთრებულად მოტივირებული იქნებიან.

— იაპონიასა და ფიჯისთან შეხვედრებმა რა გვიჩვენა?

— მეტი გამოცდილება და იღბალი რომ გვქონოდა, გავიმარჯვებდით. თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ვთქვათ, რომ ფიჯელებს ბევრი წამყვანი მორაგბე აკლდათ. ისიც ფაქტია, რომ დიდი გამოცდილება მივიღეთ — მხოლოდ ძლიერ მეტოქეებთან თამაშით თუ წავიწევთ წინ.

> „თუ მწვრთნელის დავალება ვერ შევასრულეთ, როგორ უნდა შევაფასოთ ცუდია თუ კარგი?“

— სხვა შემთხვევაში, ისევ რუმინეთისა და პორტუგალიის დონეზე უნდა დავრჩეთ და ერთი ადგილი ვტკეპნოთ...

— ბოლო წლებია, რუმინეთის ნაკრებს რაღაც ალმაცერად ვუყურებთ. როგორც ჩანს, უკვე დაგვავიწყდა, როგორ გვეთამაშებოდა საუკუნოვანი სარაგბო ისტორიის მქონე ეს გუნდი ორი-სამი წლის წინ. ქართველი ქომაგი უკვე მიეჩვია, რომ რუმინეთსა და რუსეთს აუცილებლად უნდა მოვუგოთ! არადა, რაღაც დონეს რომ მიაღწევ, მერე წინ წასვლა რთულია. უცხო ენის სწავლას ჰგავს — სიტყვებს ისწავლი, რაღაც ეტაპამდე მიხვალ და გგონია, ძალიან სწრაფად სწავლობ. სინამდვილეში კი ამის მერე პროგრესირება ძალიან ძნელია. თანაც, სანამ ჩვენ მორიგ ნაბიჯს გადავდგამთ, პროგრესს ჩვენი მდევრებიც ხომ განიცდიან?

— „მონპელიე“ მართლაც არის დაინტერესებული მერაბ შარიქაძის დამატებით?

— შარიქაძის კანდიდატურა ფრანგულ კლუბს ჩვენმა ექიმმა შესთავაზა. ჩვენთან ვარჯიშობს და თუ დაიტოვეს, ნაკრებისთვისაც შესანიშნავი იქნება. მერაბი ძალიან კარგი პიროვნება და მორაგბეა და ძლიერ გუნდში თუ მოხვდა, გაცილებით მოუმატებს.

— თბილისის „ლელოს“ თავკაცმა, შენმა პირველმა მწვრთნელმა ლევან მისაშვილმა, რომელიც ცოტა ხნის წინ „მონპელიესა“ და „ტულონში“ იყო სტაჟირებაზე, თქვა, რომ მონპელიეში ყველას გორგოძე აკერია პირზე...

— ლევანს ეს სიტყვები ჩემმა სიყვარულმა ათქმევინა (*იცინის*). რვა წელიწადია, ამ გუნდში ვარ და რა გასაკვირია, „მონპელიეს“ გულშემატკივრებს რომ ვუყვარვარ?

— შენ კლუბი არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა „ჰაინეკენის თასის“ მერვედფინალში.

— ეს იმის დამსახურებაა, რომ უძლიერესი მწვრთნელი გვყავს და გუნდმაც პროგრესი განიცადა. არადა, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, „ჩელენჯ კაპზე“ ვთამაშობდით, რომელიც „ჰაინეკენის თასს“ ისევე ჩამორჩება დონით, როგორც „ევროპის ლიგა“ „ჩემპიონთა ლიგას“.

— „ჰაინეკენის თასზე“ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდი, თუმცა, კიდევ უფრო დიდი აღიარება ევროპის საუკეთესო მორაგბის ნომინანტთა შორის დასახელებაა...

— ეს დიდი პატივია ჩემთვის. თუმცა, გამარჯვება ძალიან რთული იქნება. ჯერ ერთი, ისეთი ნომინანტები არიან დასახელებული, ამპარტავანი უნდა ვიყო, ვთქვა, რომ მათზე ძლიერი ვარ. თანაც, უმეტესად, ის მოთამაშეები იმარჯვებენ, რომელთა კლუბებიც „ჰაინეკენის თასის“ ფინალში გადიან. ფინალში გასვლის იმედი ნამდვილად არ გადამწურვია, მაგრამ თუ რეალურად შევაფასებთ, „მონპელიეს“ ამის უფრო ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე კონკურენტებს.

— „ჩემპიონთა ლიგა“ ახსენე და... რამდენიმე წუთში „რეალი“-„მანჩესტერი“ იწყება (*ინტერვიუ ჩაწერილია 13 თებერვალს — ავტ.*)...

— საქართველოში ყოფნისას უფრო აქტიური ქომაგი ვიყავი. ბავშვობიდან „იუვენტუსს“ ვგულშემატკივრობდი. დღესდღეობით, საუკეთესო „ბარსელონაა“, მაგრამ იმდენად მაღიზიანებდა, ყველა კატალონიელებს რომ გულშემატკივრობს, „რეალის“ ქომაგი გავხდი (*იცინის*).

— უნდა მიიღოს თუ არა ქართულმა დელეგაციამ მონაწილეობა 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადაში?

— რა თქმა უნდა, უნდა მიიღოს. ჩვენ სპორტსმენები ვართ და ჩვენი ქვეყანა ბოიკოტით კი არა, წარმატებული ასპარეზობით უნდა წარმოვაჩინოთ. თუ ომი იქნება, ვიომოთ, ბოიკოტი და მაიმუნობა კი ჩვენი საქმე არ არის.

SPORTALL.ge-ამბები

საქართველო

ოლიმპიადა ჭიდაობის გარეშე?

12 თებერვალს ქართველთათვის საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დღის წესრიგში დადგა ჭიდაობის თამაშებიდან ამოღების საკითხი. საბოლოო პასუხს სექტემბერში, ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მივიღებთ.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ოლიმპიურ თამაშებზე 25 მედალი გვაქვს მოპოვებული. მათგან 15 ჭიდაობაზე მოდის. განვმარტავთ: სპორტის ამ სახეობაში შედის თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობა (ძიუდოს ცალკე ფედერაცია აქვს).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იმედს გამოთქვამს, რომ ჭიდაობა,

როგორც ტრადიციული, ანტიკური ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული ერთ-ერთი ძირითადი სპორტული შეჯიბრება, ოლიმპიური სახეობების რიგში დარჩება.

საქართველოს ნაკრები „ფიფა კოკა-კოლის“ რეიტინგში წინსვლას აგრძელებს

თებერვალში გამოქვეყნდა „ფიფა კოკა-კოლის“ მორიგი სანაკრებო რეიტინგი, რომელშიც საქართველოს ეროვნულმა გუნდმა სამი საფეხურით წინ წაიწია და 491 ქულით 69-ე ადგილზე გადავიდა.

თემურ ქეცბაიას ნაკრების წინსვლა ტირანაში, ალბანეთის ეროვნულ გუნდთან ამხანაგურ შეხვედრაში გამარჯვებამ განაპირობა — ჯვაროსნებმა მასპინძლები მათე ვაწაძისა და უჩა ლობჟანიძის გოლებით, ანგარიშით 2:1 დაამარცხეს.

მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში საქართველოს ეროვნული გუნდის ერთი მეტოქე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები რეიტინგში კვლავ ლიდერია (1590 ქულა), მეორე — საფრანგეთი კი ისევ მე-17 ადგილზეა. ჩვენს ნაკრებზე უკეთესი პოზიცია აქვს ბელორუსს. ის 65-ე საფეხურზეა, ფინეთი — 85-ეზე.

„ყოჩაღ, ქართველო!“ — ვალერი კარპინის ქათინაური ჯანო ანანიძეს

საქართველოს ნაკრების ჰავბეკი ჯანო ანანიძე მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად ესპანეთში შეკრებაზე იმყოფება.

„სპარტაკის“ თავკაცმა ფეხბურთელების გამძლეობის შემოწმება მოინდომა და ამის გაკეთება რატომღაც მუსიკის თანხლებით გადაწყვიტა... როგორც ჩანს, ანანიძემ კარპინის დავალებას თავი კარგად გაართვა:

„ყოჩაღ, ქართველო!“ — ეს ქათინაური ვალერი კარპინისგან ჯანო ანანიძემ დაიმსახურა, რომელმაც გაცილებით მეტის გარბენა შეძლო, ვიდრე ბევრს ეგონა“, — ასეთი მინაწერი აქვს ფოტოს, რომელიც რუსულ პრესაში გავრცელდა.

მსოფლიო

ცნობილმა პარაოლიმპიურმა ჩემპიონმა შეცდომით საზრფო მოკლა

ცნობილ პარაოლიმპიურ ჩემპიონს, სამხრეთაფრიკელ ოსკარ პისტორიუსს მეგობარი გოგონა შემოაკვდა. უბედურება მის ბინაში დატრიალდა — სპორტსმენს მოდელი რივა სტინკემპსი, რომელსაც ერთი წელია, ხვდება, მძარცველი ეგონა და ცეცხლსასროლი იარაღი ესროლა. გოგონა მაშინვე გარდაიცვალა.

როგორც ირკვევა, რივას სატრფოსთვის ვალენტინობის დღესასწაულზე სიურპრიზის გაკეთება სურდა და მის ბინაში ღამის ოთხ საათზე შეიპარა. ახალგაღვიძებული სპორტსმენი ვითარებაში ვერ გაერკვა, ხელი უმალ იარაღს სტაცა და გაისროლა.

პისტორიუსი, რომელსაც ორივე ქვედა კიდური მუხლქვემოთ ამპუტირებული აქვს, დაკავებულია.

„რეალს“ „ბარსელონას“ 18 წლის ჯალანჯის გადაბირება სურს



მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა მისი კლუბის დაუძინებელი მტრის „ბარსელონას“ ბანაკში 18 წლის ამომავალ ვარსკვლავს, ჟერარდ დეულოფეუს დაადგა თვალი და, როგორც ჩანს, მის გადასაბირებლად ძალღონესა და ფინანსებს არ დაიშურებს.

ვარაუდობენ, რომ პერესის განზრახვას საფუძვლად მხოლოდ საფეხბურთო მოტივი არ უდევს — წელს „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტის არჩევნებია და ფლორენტინოს თანამდებობის შესანარჩუნებლად ხმაურიანი და მომგებიანი სვლის გაკეთება სჭირდება.

რას გახდება ამჯერად „რეალის“ პრეზიდენტი, ძნელი სათქმელია, ცნობილია, რომ დეულოფეუს „ბარსელონადან“ ფეხის გადგმაზე სიტყვის გაგონებაც არ სურს.

ვრცლად იხილეთ www.sportall.ge-ზე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

SPORTALL.ge-ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐᲡ ᲡᲐᲜᲐᲙᲠᲔᲑᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲒᲐᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ



ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ „ᲰᲔᲠᲗᲐᲡ“ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲛᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ **Sportall.ge**-Ს ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ „ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲗᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘᲡ, ᲗᲔᲛᲣᲠ ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲒᲐᲐᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ:

„ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲐᲠᲐᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲕᲘᲓᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲐᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲛᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲗᲘ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲬᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ ᲤᲐᲡᲓᲔᲑᲐ. ᲘᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲥᲔᲪᲑᲐᲘᲐᲡ 4-5-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲔᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ, ᲛᲒᲝᲜᲘ, Ს�წᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ.

ᲐᲛ ᲒᲐᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ. ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲠᲝ.

ᲗᲘᲠᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲯᲔᲠ ᲒᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲢᲐᲘᲛᲨᲘ ᲛᲐᲗᲔ ᲕᲐᲬᲐᲫᲔᲛ Გ

დოქტორ სონი კაფს N20

მცენარეული
დამამშვიდებელი,
ძილის საშუალება

ჩვენებები:

- ძილის დარღვევა და უძილობა
- ემოციური სტრესი, შფოთვა, ნეირული აბზნებადობა
- ფსიქიური გაღიზიანება.
- დეპრესია.

ბავშვებში გამოიყენება 12 წლის ასაკიდან.

Nabros Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში შ.პ.ს „კონტა ფარმა" ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. ავორებითი მოვლენების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს

თაფლობის თვე ციხეში – ლიკა ყაზბეგი პაპიმარს მისთხოვდა

„ლიკა ყაზბეგის სამოდელო სააგენტოს" ხელმძღვანელი ლიკა ყაზბეგი პატიმარს მისთხოვდა და ხელი სასჯელაღსრულების მე-16 დაწესებულებაში მოაწერა. მისი რჩეული გიორგი ჯელაძეა, მეტსახელად „ჩუქჩა". ქორწილამდე ერთი დღით ადრე „კვირის პალიტრასთან" საუბრისას ლიკამ თქვა, რომ მართალია, მისი საქმრო პატიმარია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ბედნიერი იყოს და თაფლობის თვის ციხეში გასატარებლად ემზადება.



— ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, გიორგის ვიცნობდი, მაგრამ ურთიერთობა არ გვქონია, ალბათ, ასე იყო საჭირო... როდესაც გავიგე, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იყო, ლალი მოროშკინას ვთხოვე დახმარება, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ გადაწყვეტილებაში... გიორგიმაც ძალიან იაქტიურა და მეც დავთანხმდი.

— როგორც ვიცი, ციხის ადმინისტრაციაც გგულშემატკივრობდათ.

— ყველანაირად ხელი შემიწყვეს. რამდენიმე დღე მაჩუქეს, რომ ერთად გაგვეტარებინა. ასე რომ, თაფლობის თვე ციხეში მექნება, ასეთ ეგზოტიკურ გარემოსა და ექსტრემალურ პირობებში.

— ვინ იყვნენ მეჯვარეები?

— გიორგის მეჯვარე მისი მეგობარი იყო, რომელიც მასთან ერთად იხდის სასჯელს და ასევე, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, თვით ციხის დირექტორი. ჩემი მეჯვარე ლალი მოროშკინაა. მან სოზარ სუბარს ჩემი თავი სარძლოდ გააცნო. ყველა ძალიან გახარებულია. ვერ ვაცნობიერებ, რომ ეს ყველაფერი ჩემს თავს მოხდა... ახალ პროექტს ვაკეთებდი და მთლიანად მასში ვიყავი ჩართული. ყველაფერი გვერდზე გადავდე და პირადი ცხოვრებისთვის მოვიცალე.

გიორგი ჯელაძე



ლიკა ყაზბეგი

თარაზულად: 1. სინდისი; 5. ამერიკის შტატი; 9. არგენტინული ცეკვა; 11. მოსკოვის ერთ-ერთი აეროპორტი; 12. ხმლის ბუდე; 13. ნაზი, ფაქიზი; 14. ამერიკელი მომღერალი ქალი; 17. ტბა რუსეთში; 18. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 20. სამშენებლო მასალა; 21. ცოლის მამა; 24. სისხლის აღრევა; 28. ჯავრი, ნაღველი; 31. ხელმეორედ, ისევ; 32. ავსტრალიის დედაქალაქი; 33. მდინარე აზიაში; 34. რეჟისორი ფილმისა „ბაში-აჩუკი"; 35. ყურის ნაწილი.

შვეულად: 1. უდიდესი ნეტარება, რომელსაც აღწევენ ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებებისაგან სრული გათავისუფლებით; 2. ორგანის კლავიატურა; 3. ძვ. ბერძენი დრამატურგი; 4. პრესი; 6. პოლონური ხალხური ცეკვა; 7. ინდონეზიის დედაქალაქი; 8. მღვდელმთავარი; 9. ილიონი; 10. სახელმწიფო ტერიტორიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ან სამეურნეო ერთეული: 15. ძველებური, იშვიათი ნივთებით მოვაჭრე; 16. იგივეა, რაც ძროხა; 17. სერბი მუსიკოსი; 19. ქვევრი; 21. ქალაქი საქართველოში; 22. ღრმა თეფში წვნიანის საჭმელად; 23. თოვლზე სასრიალო საზიდარი; 25. კანის მოლურჯო შეფერილობა; 26. ცოლის დედა; 27. ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულება ძვირფას ქვაზე; 28. ღია, მკრთალი; 29. სპირტიანი სასმელი; 30. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ამერიკაში.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. სუბარუ; 6. ალჟირი; 7. მეჩეთი; 10. აფონია; 13. თელავი; 14. პროსტი; 15. გრადაცია; 17. თადარიგი; 18. დრო; 19. რკო; 20. მეწამული; 21. იმიტაცია; 26. მარანი; 27. სხარტი; 32. მეთუნე; 33. ამპერი; 34. ბიზონი; 35. ოდისეა.

შვეულად: 1. ყურე; 2. ტუჩი; 3. წაღა; 4. ორბი; 8. ჩალმა; 9. თავლა; 11. ფერია; 12. ნესტი; 16. ანდერძი; 17. თეოლოგი; 21. წირი; 22. მენი; 24. ტახი; 25. ცერი; 28. ველი; 29. ლუკი; 30. კალო; 31. არვე.

პარიზის „სიყვარულის კედელზე" – მე შენ მიყვარხარ – ქართულად წერია



სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ინტერნეტში პარიზში არსებული ე. წ. სიყვარულის კედლის ფოტოები გავრცელდა. კედელზე ფრაზა „მე შენ მიყვარხარ" მსოფლიოს ყველა ენაზე, მათ შორის ქართულადაც წერია.

ფოტოს სოციალურ ქსელში ათასობით მოწონება და გაზიარება დაუგროვდა.

„პალიტრამედიის" ცხელი ხაზი

2 19 60 13; 2 19 60 53

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი;
პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88
რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88

contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".

ISSN 1987 - 5002